ქ 70/3

ახალი აღთქმის საღვთო ისტორია

შედგენილი და გაძღოლებული

ბრწყინვალეთის მონასტრის წინამძღვრის

არხიმანდრიტის ნესტორის მიერ

ფასი ოქრი აბაზი.

ბათუმი
სტამბა ტფილისელისა და კანონიერი
1910.

ახალი აღთქმის

საღვთო ისტორია

ზედგენილი

ქუთაისის საკათედრო სობოროს დეკანოზის

ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ.

ქუთაისი
სტამბა სარწმუნოებრივ-განმანათლებელ „ძმობისა“.
1910

Разрѣшаю напечатать. 16 Сентября 1909 г. Кутаисъ. Георгій, Епископъ Имеретіи.

წინასიტყვაობა.

ვინაიდგან ქართულ ენაზე არ იყო შედგენილ-გამოცემული ახალი ადოქმის სრული სადვოო ისტორია, ამიტომ საჭიროდ დაგვინახე შემედგინა და გამომეცა ეს წიგნი. საზოგადოდ სახელ-მძღვანელო წიგნები ქართულ ენაზე ძლიერ მცირეა, რაც ცა ძლიერ აბრკოლებს ქართულ ენაზე სწავლების საქმეს და საგრძნობლად საჭირონი არიან ეგეთი წიგნები. ამაზედ ბევრი დაწერილა და ბევრ-საც სწერენ. ამიტომ აქ საჭიროდ არ ვთვლი გავაგრძელო სიტყვა. წინაზე შევადგინე და გამოვეცი სადვრო ისტორია ძველი ადოქმისა. მერმე ამ წიგნის შედგენა-გამოცემას შეუდექი. როგორც ძველი ადოქმის სადვოო ისტორია, ეგრეთვე ეს წიგნიც შედგენილია გიმ-ნასიების, რეალურ, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პროგრამასე ცოტა ოდენი დამატებით, რადგანც სამდგელო დიაკვნები ჩქარად ახოულობენ ეგეთ წიგნს და მათოვის კი რავდენადაც ერცელი იქმნება სადვოო ისტორია, იმდენად უმჯობესია. თუმცა ეს წიგნები ჯერჯერობით მოავრობისაგან არ არიან განხილულ — მიდე-ბულნი შეოლებში სასწავლო წიგნებად. მაგრამ, იმედია, სადვოო სჯულის მასწავლებლები მიაქცევენ მათ ყურადღებას და ნებას დარ-თავენ შაგირდებს რუსულ სახელმძღვანელოებთან ერთად იქონიონ ეს წიგნებიც, რომ ქართულად შეისწავლონ როგორც ძველი ადოქმის, ეგრეთვე ახალი ადოქმის სადვოო ისტორია. ამ წიგნის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდი სადვოო წერილის წიგნებით (დაბადებით), ეგრეთვე დეკანოზების ბობოვის, სმირნოვის და სოკოლოვის ახალი ადოქმის სადვოო ისტორიით, დიდოსის და ფარრარს წიგნებით და სხ. წიგნში ჩქარად მაქვს მოყვანილი სახარებიდგან ბერდაბერ ამოდებული ფრაზები, მაგრამ ჩქარადვე მათი განმარტებაც იქმენ მაქვს მოყვანილი, რომ მკითხველმა აზრი ადვილად გაიგოს. ეს საჭიროდ დავინახე, ამიტომ რომ ახალი ადოქმის ისტორიის სწავ-ლების დროს ფრიად საჭიროდ და სასარგებლოდ მიშაჩნია, რომ სადვოო სჯულის მასწავლებელმა წაკითხოს ბავშს სახარების ის

ადგილები, რომლებშიაც ადწერილია დღიური კაკვეთილის მისაცემი და სასარგებლო რაც გაუგებარი ადგილები შეხვდება ბავშს, ცოტად თუ ბევრად განუმარტავს ეს წიგნი. თუ რამე შეცდომა—ნაკლულევანებას დაინახავს ამ წიგნში მკითხველი, რადგა აუცილებლად იქმნება, რადგანც ქვეყანაზე უნაკლულო თითქმის არა რად არს, და შიჩვენებს ეგეთ ნაკლულევანებას, ვეცდები შემდგომ გამოცემაში გაასწორო იგი.

არსიმანდრიტი ნესტორ.

ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.

I.

იესო ქრისტეს შობა და პირველნი წელნი მისი ქვეყნიური ცხოვრებისა.

§ 1. ყოველად წმიდა ქალწულ მარიამის შობა და ტაძრად მიყვანება.

როცა მაცხოვრის განხორციელების დრო მოახლოვდა, მაშინ იუდელებთ შორის ცხოვრებდა მოხუცებული ცოლ-ქმარი, მართალნი Იოაკიმე და Ანნა.

Იოაკიმე იყო წარმომდგარი იუდას ტომისაგან, სახლისაგან Დავითისა; Ანნა—Ლევის ტომისაგან, სახლისაგან Არონისა. Ისინი დიდ ხანს იყვნენ უშვილონი. Უშვილონი ებრაელებს იმ დროს მიაჩნდათ ცოდვილებად და ღვთის მოწყალების უღირსებად, ამის გამო Იოაკიმე და Ანნა ძლიერ სწუხდნენ და Ღმერთს მხურვალედ ევედრებოდნენ, რომ მათთვის შვილი მიეცა. Იმათ Ღმერთს აღთქმა მისცეს, რომ მათ თუ შვილი ეყოლებოდათ, ტაძარში სამსახურებლად შესწირავდნენ. Ღმერთმა მათი ვედრება ისმინა და მისცა მათ ასული, რომელსაც დაარქვეს Მარიამი. Ამ მარიამისაგან განხორციელდა და იშვა მხსნელი სოფლისა და მაცხოვარი, Იესო Ქრისტე, ძე Ღვთისა, ამიტომ Მარიამს უწოდებთ ჩვენ ყოვლად წმიდა Ღვთის მშობელს. Ღვთის მშობლის შობას ვდღესასწაულობთ 8 სექტემბერს.

როცა მარიამი სამი წლის შეიქმნა, აღთქმის თანახმად, მშობლებმა ის ტაძარში წაიყვანეს. ქალწულ Მარიამს ანთებული სანთლებით და საღვთო გალობით გაყვნენ უბიწო ქალწულები; სჯუ-

ლის თანახმად ტაძარში სამსახურებლად შეწირულებს მღვდელთ-მთავარი მიიღებდა და აკურთხევდა ტაძრის კარებში. როცა მარიამი მიიყვანეს, მღვდელთ მთავარი მას კარებში გამოეგება, მიიღო და, ღვთის შთაგონებით, შეიყვანა წმიდა-წმიდათაში, ტაძრის იმ ნაწილში, სადაც თვითონ წელიწადში მარტო ერთხელ შეეძლო შესულიყო. მღვდელთ მთავარს თვითონ არ ესმოდა, ეგრე რად მოიქცა; მას უკვირდა და თან ფიქრობდა: უსათუოდ ქალწულ მარიამს ღვთისაგან დიდი ბედი აქვს დანიშნულიო. ანგელოსებსაც გაუკვირდათ, იხილეს რა შესვლა ქალწულისა წმიდა-წმიდათაში. ამ დღეს უწოდებთ ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის ტაძრად მიყვანებას და ვდღესასწაულობთ 21 ნოემბერს.

მშობლებმა მარიამი ტაძარში დატოვეს. ის იქ მღვდლების ხელმძღვანელობით აღიზარდა. იოაკიმე და ანნა მალე გარდაიცვალნენ და წმიდა ქალწული მარიამი დაობლდა, მაგრამ თვით უფალი ღმერთი იცავდა და იფარავდა მას. მარიამი მუდამ შრომობდა, ლოცვილობდა და საღვთო წერილის წიგნებს კითხულობდა. არავითარ ბოროტებას და ბიწიერებას არ უშვებდა თავის გულში; თვითონ სული ღვთისა იფარავდა მის სულს ყოველ ცოდვისაგან, ყოველ ბიწისაგან და ამიტომ ის შეიქმნა ყოვლად წმიდა და ყოვლად უბიწო. მაგრამ ის თავის სიწმიდით სრულიადაც არ ამპარტავნობდა, წინააღმდეგ ამისა ის ღვთის წინაშე თავისს თავს უღირსად სთვლიდა და მოუთმენლად მოელოდა მაცხოვარს. ჰან ღმერთს აღთქმა მისცა, რომ ის მარადის (მუდამ) ქალწულად დარჩება. როცა მარიამს 14 წელიწადი შეუსრულდა, მღვდლებმა მისი გათხოვება მოინდომეს. მარიამმა მათ თავისს აღთქმა განუცხადა, მაშინ მღვდლებმა გადასცეს ის მის ნათესავს 80 წლის მოხუცებულ იოსებს, როგორც დაწინდული სასძლო, და უთხრეს მას მარიამის აღთქმა, რომ მას სიქალწულე მისი დაეფარა. იოსები იყო ღარიბი ხურო, წარმოდგებოდა დავითის სახლისაგან, ცხორებდა ქალაქ ნაზარეთში—გალილიაში. ჯოვლად წმიდა ქალწული მარიამი დაბინავდა იოსების ღარიბ სახლში და ხელთსაქმით ეწეოდა მას.

§ 2. წინათ უწყება იოანე წინამორბედის და ნათლის მცემლის შობაზე.

(ლუკ. 1, 5—25).

მაცხოვრის განხორციელების წინეთ, მალაქია წინასწარმეტყველის თქმულების თანახმად (მალაქ. 3, 1), უნდა შობილ იყო მაცხოვრის წინამორბედი, ესე იგი კაცი ღვთისა, რომელსაც მაცხოვრის მისაღებად ხალხი უნდა მოემზადებია. წინამორბედის შობაზე წინათ უწყება ამ გვარად მოხდა: როცა ურიასტანში (იუდეელების ქვეყანაში) იროდი იდუმელი მეფობდა, მაშინ იქ სხვათა შორის ცხოვრებდა მღვდელი ზაქარია და ცოლი მისი ელისაბედ, რომელნიც ღვთის წინაშე მართალნი და უბიწონი იყვნენ, ისინი მოხუცდნენ და შვილი არ ყავდათ, წარმომდგარნი იყვნენ არონის სახლისაგან. ერთხელ ზაქარია, როცა ის ასრულებდა ღვთის მსახურების წესს (რიგს), საკმეველის საკმევად იერუსალიმის ტაძარში შევიდა, იმ დროს ტაძრის ეზოში მრავალნი მლოცველნი იყვნენ. მაშინ მას გამოეცხადა ანგელოსი უფლისა, რომელიც სასაკმეველე საკურთხეველის მარჯვენით იდგა. ზაქარია ძლიერ შეშინდა და ათრთოლდა. ანგელოსმა უთხრა მას: „ნუ გეშინინ, ზაქარია, ვედრება შენი შესმენილ არს და ცოლმან შენმან ელისაბედმა გიშვას შენ ძე და უწოდე მას სახელი: იოანე. და იყოს შენდა სიხარულ და მხიარულება და მრავალთა განიხარონ მისი შობის გამო. ის იყოს დიდ წინაშე უფლისა, ღვინო და თაფლუჭი (დამათრობელი სასმელი) არა სვას, და სულითა წმიდითა აღივსოს დედის მუცლითგანვე, და მრავალნი ძეთა ისრაილთაგანი მოაქციოს ღვთისადმი, და განვიდეს წინაშე უფლისა ღვთისა სულითა და ძალითა ილიასითა, რომ მოამზადოს ხალხი უფლის მისაღებად“. ზაქარიამ უთხრა ანგელოზს: „რით ვსცნა ეს? მე მოხუცებული ვარ და ცოლი ჩემი გადასრულ არს დღეთა მისთა“. ანგელოსმა მიუგო: „მე ვარ გაბრიელ, ღვთის წინაშე მდგომელი და გამოგზავნილ ვარ შენთან ამის ხარებად. და აჰა იყო შენ დადუმებულ და ვერ შეიძლო ლაპარაკი, სანამ ეს აღსრულდებოდეს, ამიტომ რომ შენ არ ერწმუნე ჩემ სიტყვებს, რომელნიც თავის დროზე აღსრულდებიან“.

ამასობაში ზაქარიას ხალხი ელოდა და მისი ტაძარში დაყოვნება უკვირდა. როცა ტაძრიდგან გამოვიდა, ლაპარაკი ვერ შეიძლო და ხალხი მიხვდა, რომ მან ტაძარში რაიმე ჩვენება იხილა. ზაქარია ანიშნებდა მათ და დაადგრა უტყვად (დარჩა მუნჯად). როცა ზაქარიას მსახურების დღენი გათავდნენ, ის თავისს სახლში წავიდა. იმ დღეების შემდგომ ცოლი მისი ელისაბედ დაორსულდა და ხუთ თვეს თავისს თავს იფარავდა (არ ამხელდა ორსულობას), და ამბობდა: „ესრეთ მიყო მე უფალმან დღეთა ამათ, რომელთა შომხედა მე, რომ მოსპოს ყოვლრება ჩემი კაცთა შორის“.

---

§ 3. სარწმუნოება. (ლუკ. 1, 26—38).

მის შემდგომ, რაც მთავარ ანგელოზმა გაბრიელმა აუწყა ზაქარიას იოანე წინამორბედის შობა, ექვსი თვე გავიდა, და იგივე მთავარ ანგელოსი გაბრიელ გაგზავნა ღმერთმა ბალილიაში, ქალაქ ნაზარეთში, ყოველად წმიდა ქალწულ მარიამთან, რომ ახაროს მას შობა ქრისტესი მისგან. ძველი საღვთო გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთხელ მარიამი კითხულობდა ისაია წინასწარმეტყველის წიგნის იმ ადგილს, სადაც სწერია: „აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (ჩვენთანაა ღმერთი). ამ სიტყვებზე მარიამი შეჩერდა და გაიფიქრა: „რა ნეტარი იქნება ის ქალწული, რომელიც ეღირსება გახდეს დედად ღვთისა და მეც რა ძლიერ ვისურვებდი გავმხდარ ვიყავ მის უკანასკნელ მოსამსახურედ“. აი, როცა მარიამი ამას ფიქრობდა, გაბრიელ მთავარ ანგელოსი გამოეცხადა მას და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენთანა; კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეშინდა. ანგელოსმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ! შენ ჰპოვე მადლი წინაშე ღვთისა. შენ მუცლად იღო და შვ ძე და უწოდო სახელი: იესო (მაცხოვარი). ესე იყოს დიდ და ძ მაღლის ეწოდოს, და მისცეს მას ღმერთმან საყდარი (სამეფო ტახტი) დავითისა, მამისა თვისისა, და მეფობდეს სახლსა ზედა იაკობისა საუკუნოდ, და სუფევისა მისისა არა იყოს დასასრულ“. მარიამმა უთხრა ანგელოსს: „როგორ მეყოს ეს, მე მამა კაცი არ

ვიცი?!“ ანგელოსმა მიუგო: „სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ, ამიტომ შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე ღვთისა. და აჰა ელისაბედ, ნათესავი შენი, იგიცა მიდგომილ არს ძესა სიბერესა თვისსა და ესე მეექვსე თვე არს მისი, რომელსა იგი ერქვა ბერწ. რამეთუ არა შეუძლებელ არს წინაშე ღვთისა ყოველი სიტყვა“. მარიამმა უთხრა: „აჰა მხევალი უფლისა! მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“ და წავიდა მისგან ანგელოსი იგი.

---

§ 4. ყოველად წმიდა ქალწულ მარიამის მისვლა ელისაბედთან სანახავად.

(ლუკ. 1, 39—56.)

როგორც კი გაიგო ანგელოსისაგან ელისაბედის მდგომარეობა, ყოვლად წმიდა ქალწული მარიამი საჩქაროთ წავიდა მის სანახავად მთაზე მდებარე იუდას ქალაქში. (როგორც ზოგიერთნი ჰფიქრობენ, ზაქარია ცხოვრებდა ქალაქ ქებრონში). მარიამი შევიდა ზაქარიას სახლში და მოიკითხა ელისაბედი. ამ დროს ელისაბედის მუცელში აინძრა ყრმა, ხოლო ელისაბედ სული წმიდით აღივსო და ხმა მაღლა უთხრა მარიამს: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა. და ვინა ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა? და ნეტარ არს, რომელსა რწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულება თქმულთა მათ მისა მიმართ უფლისა მიერ“ მარიამმა უპასუხა: „ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა, რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი, რამეთუ ჰყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან და წმიდა არს სახელი მისი.“ მარიამი ელისაბედთან სამ თვეს დარჩა და ვერმე თავისს სახლში წავიდა.

---

§ 5. იოანე წინამორბედის და ნათლის მცემლის შობა.

(ლუკ. 1, 57—80).

მთავარ ანგელოზის ბაბრიელის წინათ უწყება იოანე წინამორბედის შობაზე აღსრულდა. ზაქარიას და ელისაბედს ვაჟი-შვილი ეყოლათ. ელისაბედს უხაროდა, რომ უფალმა გამოიხსნა ის ყველრებისაგან უშვილოებისა. ეგრეთვე მეზობლებს და ნათესავებსაც უხაროდათ მისი ბედნიერება. ისინი მერვე დღეს ზაქარიასას შეიკრიბნენ, რომ ყრმის წინადაცვეთას დაესწრონ. წინადაცვეთის დროს ყრმას უწოდებდენ სახელს. ნათესავებს სურდათ, ეწოდებიათ ყრმისთვის მამის სახელი: ზაქარია; მაგრამ ყრმის დედა, ელისაბედ არ დაეთანხმა და უთხრა მათ: „მაგას იოანე ეწოდოს.“ დედის სურვილმა ყველა გააკვირვა მით უმეტეს, რომ ზაქარიას ნათესავთა შორის არავის არ ერქვა იოანე. მაშინ ზაქარიას ნიშნებით ჰკითხეს, ზაქარიამ ფიცარი მოითხოვა და ზედ დასწერა: „იოანე არს სახელი მისი.“ ეს ყველას გაუკვირდა. მაშინ ზაქარიამ უეცრად დაიწყო ლაპარაკი და აკურთხევდა ღმერთს. ამ სასწაულმა ყველა ძლიერ შეაშინა. ზაქარია სული წმიდით აღივსო, წინასწარმეტყველებდა და სთქვა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაილისა, რომ მოხედა თავისს ერს და ჰყო ხსნა მისი, როგორც გვაუწყა წინასწარმეტყველთა მიერ და როგორც ფიცით ეფუცა აბრაამს მამასა ჩვენსა “ მერმე მიუბრუნდა შვილს და სთქვა: „და შენ, ყრმაო, იწოდო წინასწარმეტყველ მაღლისა, რამეთუ შენ წარსძღვე წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისთა.“ ეს ამბავი მოეფინა მთელ ურიასტანის გარემოს და ამბობდნენ: „რამე იყოს ყრმა ესე.“ იოანე წინამორბედის და ნათლის მცემლის შობას ვდღესასწაულობთ 24 ივნისს და ვეძახით: ივანობას.

---

§ 6. ანგელოსი უცხადებს იოსებს ღვთის ძის განხორციელების საიდუმლოებას.

(მათ. 1, 18—25)

იოსებმა, რომელთანაც ქალწული მარიამი დაწინდულ იყო,

ღვთის ძის განხორციელების საიდუმლოება არ იცოდა. ეს გაიგო მან ანგელოზისაგან ამ გვარად: იოსებმა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა, თვითონ მართალი იყო, („დაფარულსა ქორწილსა აზმნობდა—ჰგონებდა") და არ უნდოდა ამის გამხელა, ამიტომ ჩუმად უნდოდა მისი გაშვება. მაგრამ როდესაც ის ამას განიზრახავდა, ანგელოსი უფლისა ძილში გამოეცხადა მას და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისო! ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს. შვეს ძე და უწოდო სახელი მისი: იესო; რამეთუ მან იხსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან. ესე ყოველი იქმნა, რომ აღსრულდეს სიტყვა უფლისა, თქმული წინასწარმეტყველის პირით: აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩვენთანა არს ღმერთი (ისაია 7, 14). იოსებმა გაიღვიძა და ისე მოიქცა, როგორც ანგელოსმა უბრძანა მას.

---

§ 7. შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მწყემსთა თაყვანისცემა. წინადაცვეთა უფლისა.

(ლუკ. 2, 1—21.)

ქრისტეს შობის დრო მოახლოვდა. როგორც მიქია წინასწარმეტყველის მიერ იყო თქმული, ქრისტე ბეთლემში უნდა შობილ იყო (მიქ. 5, 2), ხოლო ქალწული მარიამი იმ დროს ქალაქ ნაზარეთში ცხოვრებდა. ღმერთმა საქმე იმ გვარად მოაწყო, რომ მარიამი ბეთლემს უნდა წასულიყო: რომის იმპერატორის, აგვისტოს კეისრისაგან ბრძანება გამოვიდა; მთელ მის სახელმწიფოში ხალხის აღწერა უნდა მოეხდინათ. იმ დროს პალესტინა რომის იმპერიის ნაწილი იყო, ამიტომ ხალხის აღწერა იქაც უნდა მომხდარ იყო. სხვა ტომის ხალხს იქ სწერდენ, სადაც ცხოვრებდნენ, იუდელები კი, მათი ჩვეულებისამებრ, თავიანთ წინაპართ ქალაქში უნდა ჩაწერილ იყვნენ. ამიტომ ყველა იუდელები ასაწერად თავიანთ წინაპართ ქალაქში უნდა წასულიყვნენ. იოსები და მარიამი დავითის ტომისაგან იყვნენ წარმომდგარნი, ამიტომ ისინი

დავითის სამშობლო ქალაქ—ბეთლემს წავიდნენ. იქ ხალხის სიმრავლის გამო იმათ სასტუმროში ბინა ვერ იშოვეს და დაბინავდნენ გამოქვაბულ კლდეში, სადაც ბეთლემელნი მწყემსნი ავდრის დროს თავიანთ საქონელს აბინავებდნენ. იმ ღამეს კარგი დარი იყო, მწყემსებს საქონელი მინდორში ჰყავდათ და დაღლილ მგზავრებს არ აწუხებდნენ. იმ ღამეს ყოვლად წმიდა ქალწულ მარიამისაგან იშვა ძე, რომელიც იყო სრული ღმერთი და სრული კაცი; „მხოლოდ შობილი ძე ღვთისა, თანა არსი მამისა განხორციელდა, სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა“. მარიამმა სახვეველში იგი თვითონ შეახვია და ბაგაში მიაწვინა.

ამ დროს უეცრად ბეთლემელ მწყემსებს ანგელოსი გამოეცხადა და დიდება შფლისა გამოუბრწყინდა მათ. ისინი ძლიერ შეშინდნენ. ანგელოსმა უთხრა მათ: „ნუ გეშინინ, მე გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა. დღეს იშვა თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე შფალი, ქალაქსა დავითისსა, ჰპოვოთ ყრმა იგი შეხვეული და მწოლარე ბაგასა.“ მერმე ურიცხვნი ანგელოსნი გამოცხადდენ, აქებდენ ღმერთს და გალობდნენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.“ როცა ანგელოსები ზეცას ავიდნენ, მწყემსებმა სთქვეს: „წავიდეთ, ვნახოთ: რა მოხდა ბეთლემში?“ მივიდნენ და ნახეს ყოვლად წმიდა მარიამი, იოსები და ყრმა მწოლარე ბაგაში. იმათ მარიამს და იოსებს ყოველივე უამბეს, რაც ანგელოსთაგან გაიგონეს, ყრმას თაყვანისცეს და ღვთის ქებით და დიდებით წავიდნენ.

იესო ქრისტეს შობას ვდღესასწაულობთ 25 დეკემბერს. შობის წინ დაწესებულია 40 დღე მარხვა, რომელსაც ვეძახით შობის მარხვას.

შობიდგან მეოვე დღეს, მოსეს სჯულის თანახმად (ლევიტ. 12, 3), იოსებმა და მარიამმა შეასრულეს წესი წინადაცვეთისა და უწოდეს ყრმას სახელი: იესო. იესო ნიშნავს მაცხოვარს. შფლის იესოს წინადაცვეთას ვდღესასწაულობთ პირველ იანვარს.

§ 8. მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

(ლუკ. 2, 22—39).

როცა ყრმა **ი**ესო 40 დღის შეიქმნა, **მ**ოსეს სჯულის თანახმად, **მ**არიამმა და **ი**ოსებმა წაიყვანეს იგი ტაძარში, რათა წარადგინონ წინაშე **ღ**ვთისა და შესწირონ **ღ**ერთს მსხვერპლი ყოველად დასაწველი და განსაწმედელი. (**მ**ოსეს სჯულისამებრ, დედა კაცი, რომელიც შობდა მამრობითი სქესის ყრმას, 40 დღეს ითვლებოდა უწმიდურად. 40 დღის შემდგომ მას უნდა შეეწირა ყოველად დასაწველ მსხვერპლად, თუ მდიდარი იყო, ერთი წლის კრავი და ცოდვისაგან განსაწმედელ მსხვერპლად ერთი მტრედი ან გვრიტი; თუ ღარიბი იყო, ორი გვრიტი, ან მტრედის ორი მართვი (ხუნდი): ერთი ყოველად დასაწველად და მეორე ცოდვისაგან განსაწმედელ მსხვერპლად (**ლ**ევიტ. 12, 1—8). **ი**მავე სჯულის თანახმად, ებრაელებს უნდა წარედგინათ **ღ**ვთისთვის პირველი შვილი **მ**ამრობითი სქესისა და მის გამოსასყიდლად უნდა შეეწირათ ხუთი სიკილა (რიცხ. 18, 15—16), რაიცა შეადგენდა დაახლოვებით ხუთ მანეთს.) **მ**არიამი თუმცა ყოვლად უბიწო და ყოვლად წმიდა ქალწული იყო და შვა ძე **ღ**ვთისა სულისაგან წმიდისა, მაგრამ მან მაინც აღასრულა სჯული **ღ**ვთისა: მან მსხვერპლად წაიყვანა ორი მართვი მტრედისა და ხუთი სიკილა. **ი**მ დროს **ი**ერუსალიმში ცხოვრებდა კაცი მართალი და **ღ**ვთის მოშიში, მოხუცებული **ს**ვიმეონ, რომელიც მოელოდა **ი**სრაელის ნუგეშის ცემასა და სული წმიდა იყო მის ზედა. მას ანგელოსისაგან გამოცხადებული ჰქონდა, რომ ის არ მოკვდებასანამ თავისს თვალით არ იხილავს მაცხოვარს, ქალწულისაგან შობილს. **რ**ოცა ყრმა **ი**ესო ტაძარში მოიყვანეს, მაშინ, სული წმიდის ჩაგონებით, **ს**ვიმეონიც მოვიდა ტაძრად და გაიგო, რომ ყრმა **ი**ესო არის აღთქმული მაცხოვარი. **ის ი**ესოს მიეგება, ხელში აიყვანა, მკლავზე მიიქვა (მიიწვინა) და სთქვა: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოველისა ერისასა. **ნ**ათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა.

და დიდებად ერისა შენისა Ისრაილისა.“ მერმე მარიამს უთხრა: „მაგის გამო ბევრნი (ურწმუნონი) დაეცემიან და ბევრნი (მორწმუნენი) აღსდგებიან და შენც გამოსცადო იგეთი მწუხარება, თითქო მახვილით განგეგმიროს გული.“ Იქ იყო მოხუცებული 84 წლის ქვრივა წინასწარმეტყველა ანნა, რომელიც განუშორებლად ტაძართან ცხოვრებდა და ლოცვით და მარხვით ატარებდა დროს. იგეც მოვიდა, Ღმერთს ადიდებდა და ყრმაზე ამბობდა, რომ, ისარის მაცხოვარიო. Აღასრულეს რა ყოველივე სჯულის თანახმად, Იოსები და მარიამი ყრმით Იესოთი ნაზარეთში დაბრუნდნენ. მირ-ჭმას, ანუ Უფლის მიგებებას ვდღესასწაულობთ ორ თებერვალს.

§ 9. მოგვთა თაყვანისცემა. (მათ. 2, 1—12).

Მაცხოვარს მოელოდნენ არა მარტო ებრაელები, არამედ წარმართნიც (კერპთთაყვანის მცემელნიც). ეს მოლოდება უფრო გაძლიერებული იყო საშვალ Აზიაში, სადაც წინეთ ტყვე იუდელები ცხოვრებდნენ და სადაც მაცხოვრის მოსვლის დროსაც იყვნენ წინეთ ტყვედ წაყვანილნი და სხვა ხალხთა შორის გაფანტულნი ებრაელები.

Ბოვლად ბრძენი Ღმერთი თავისს განცხადებას იგეთი საშვალებით იძლევა, რომელიც კაცთათვის გასაგებია: ისრაელებს სწამდათ ანგელოსი და Ღმერთი მათ განცხადებას ანგელოსების საშვალებით აძლევდა. Აღმოსავლეთის მოგვებს ამცნო (გააგებინა) ეს ამბავი (მაცხოვრის მოსვლა) სულ სხვაფრივ: მოგვები იყვნენ სწავლულნი ვარსკვლავთ მრიცხველნი. Ისინი ფიქრობდნენ, რომ ყოველ კაცს ჰყავს თავისს ვარსკლავი, როცა კაცი დაიბადება, მისი ვარსკვლავიც ცაზე გამოჩნდება და როცა კაცი მოკვდება, მისი ვარსკვლავი ციდან ჩამოვარდებავო. Რადგან მათ ეგეთი რწმენა ქონდათ, ამიტომ Ღმერთმა დაანახვა მათ ცაზე არა ჩვეულებრივი, ძლიერ ბრწყინვალე ვარსკვლავი. Ამ ვარსკვლავის დანახვით ისინი დარწმუნდნენ, რომ მაცხოვარი, ანუ მეუფე ურიათა უკვე იშვაო. რადგანც იმათ გაგონილი ჰქონდათ, რომ მეუფე ურიათა ურიასტანში იშვებაო, ამიტომ ასინი წავიდნენ

ერუსალიმს. მივიდნენ იქ და კითხულობდნენ: „სად არის ახლად შობილი მეუფე ურიათა? მისი ვარსკვლავი ჩვენ აღმოსავლეთში ვიხილეთ და მის თაყვანისსაცემად მოვედით.“ როგორც გაიგო ეს ამბავი ირაოდი მეფემ, ის შეძრწუნდა: მას ეგონა ახლაც წაართმევენ მას მეფობას; იერუსალიმის მცხოვრებნიც შეშინდნენ: იმათ გონათ, რომ ამ საქმის ჭამო არეულობა მოხდება და რომაელები მოწყვეტენ ისრაელებსო. ირაოდიმ ახლად შობილ ურიათა მეუფის მოკვლა განიზრახა, მაგრამ ჯერ უნდოდა გაეგო, სად იშვა ეგი. ამიტომ მან ურიების მღვდელთმთავარნი და მწიგნობარნი შეკრიბა და ჰკითხა მათ: „სად უნდა იშვას ქრისტე?“ მათ უთხრეს: ,,ბეთლემს ურიასტანისასა, რადგან წინასწარმეტყველისაგნ ეგრეა დაწერილი.“ ერმე ირაოდიმ ჩუმად მოუწოდა მოგვებს, ვარსკვლავის გამოჩენის ერო გამოკითხა და უთხრა მათ: „წადით და იმ ყრმის შესახებ ყოელივე ნამდვილად გამოიკითხეთ და როცა ჰპოვოთ, მითხარით მე, რომ მეც მივიდე და თაყვანისვცე მას. მოგვნი წავიდნენ და აჰა ვარსკვლავი, რომელიც აღ მოსავლეთში იხილეს, წინ მიუძღოდა მათ, მივიდა და იმ სახლის თავზე გაჩერდა, რომელშიაც იყო ყრმა იესო. მოგვები შევიდნენ სახლში და ნახეს ყრმა იესო მარიამისთანა, დავარდნენ იწაზე, თაყვანისცეს მას და შესწირეს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. მერმე ღვთისაგან ბრძანება მიიღეს, რომ ისინი ირაოდთან არ დაბრუნებულ იყვნენ და სხვა გზით დაბრუნდნენ სამშობლოში.

შენიშვნა 1. მირქმის შემდგომ თუმცა იოსებმა ყრმა იესო და მარიამი ნაზარეთში წაიყვანა, მაგრამ ის მერმე ისევ ბეთლემს დაბრუნდა, გადაწყვიტა საცხოვრებლად ბეთლემში დარჩენილ იყო, რადგან იქ ჩაეწერა და მისი აზრით მესსია ბეთლემში უნდა აღზრდილ იყო. იხ წიგ. ლიდონისა: იესო ქრისტე. ბეერი 152.

შენიშვნა 2. გადმოცემა ამბობს, რომ მოგვები იყვნენ მეფენი ანუ მთავარნი სპარსეთიდგან (ფასლი დიდი, იოანე ოქროპ.), ან არაბეთიდგან (იუსტ.,ციპრ.), რომ ისინი იყვნენ წარმომადგენელნი სამი ხნოვანებისა და კაცთა ნათესაობის სამი ტომისა: მელხიორი იყო მოხუცი, ხემის ტომისაგან. მან შესწირა იესო ქრისტეს ოქრო, როგორც მეფეს. მეორე გასპარ იყო უწვერულვაშო, ვარდის ფერი ჭაბუკი, ძემის ტომისაგან, მან შესწირა გუნდრუკი, როგორც ღმერთს. მესამე ვალტასარ იყო ახლად

დავაქაცებული. შაგვრემანი Iაფეტის ტომისაგან. მან შესწირა მური (სუნნელოვანი ნივთიერება, რომელსაც ხმარობდენ წარჩინებულთა პირთა დამარხვის დროს), როგორც კაცობრივი ბუნებით სიკვდილის და დასაფლავების მომლოდნელს კაცობრიობის ცოდვისათვის. ბადმოცემა ამბობს, რომ ესენი შემდგომში Oომა მოციქულისაგან იყვნენ მონათლულნი და ‘ერაცხილ არიან წმიდანებად.

---

§ 10. Iოსების გაქცევა ეგვიპტეში ურმით იესოთი და მარიამითურთ. ბეთლეემში ურმების დაბოცვა და წმიდა სახლობის დაბრუნება ისრაელთ ქვეყანაში.

(მათ. 2, 13—23.)

Iროდი მოგვების დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდა. ბოლოს გაიგო, რომ მოგვები თავიანთ სამშობლოში უკვე დაბრუნებულან, ამის გამო ძლიერ განრისხდა და ეჭვით აღივსო: მას ეჩვენებოდა, რომ მზათ არიან, მას მეფობა წაართვან. მან გადასწყვიტა: ყოველი ღონის ძიება იხმაროს, რომ მისთვის საშიში ყრმა მოკლას, მხოლოდ არ იცოდა, როგორ ეპოვნა იგი. Oოვლად ბოროტმა Iროდმ გასცა საშინელი ბრძანება: ბეთლემში და მის გარშემო დახოცონ ყველა ყრმები ორი წლისანი და მათზე უმცროსნი. მას ეგონა, რომ ამ ყრმებთან ერთად მოკლავდნენ მისთვის საშიშ ახლად შობილს ურიათა მეუფეს. მაგრამ სანამ ულვთო Iროდი ამ ბრძანებას გამოსცემდა, ანგელოსი Oფლისა გამოეცხადა Iოსებს და უთხრა: „აღსდეგ და წაიყვანე ყრმა ეგე და დედა მისი და გაიქეც Eგვიპტეში, იქ დარჩი, სანამ არ გითხრა, ამიტომ რომ Iროდის უნდა მაგის მოძებნა და მოკვლა.“ რომ არავის გაეგო, Iოსები ადგა და ღამე წაიყვანა ყრმა Iესო. და დედა მისი და წავიდა Eგვიპტეში. Iროდის გამოგზავნილნი კაცები ამის შემდგომ მოვიდნენ ბეთლემს და 14 ათასი ყრმები დახოცეს. ბეთლემში საშინელი ტირილი, გოდება და ვაება გაისმა, საცოდავი დედები არავისგან ნუგეშის ცემას არ ღებულობდნენ, ამიტომ რომ მათი შვილები ცოცხალნი უკვე აღარ იყვნენ. ბეთლემის უბედურ, მცხოვრებლებს ღრმა მწუხარება გულს უწუხებდა. Aმ გვარად აღ-

სრულდა იერემია წინასწარმეტყველის სიტყვები: ,,ხმა რამას ისმა გოდებისა, და ტირილისა, და ტყებისა მრავალი. რაქილ სტიროდა შვილთა თვისთა და არა უნდა ნუგეშინის ცემა, რამეთუ არა არიან.'' (იერ. 31, 15). ამ გვარად უმანკო ყრმები შეიქმნენ პირველნი მოწამენი ქრისტესნი. იმათ ხსოვნას ვდღესასწაულობთ 29 დეკემბერს.

ამის შემდგომ ცოტა დრომ გაიარა და იროდიც საშინელ ტანჯვით მოკვდა: ის იტანჯებოდა შინაგანი სიცხით, შიგნეულობა სრულიად დაუმუწუკდა, გარედან მატლები დაეხვია და ცოცხლად სჭამდენ, სულის თქმა უჭირდა და ისეთი ცუდი სუნი ამოდიოდა, რომ კაცი ვერ ეკარებოდა. ზარდა ამისა ის იტანჯებოდა საშინელი შიმშილით, რომლის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო და დალია სული (მოკვდა). ჰისი სამეფო გაიყო სამმა მისმა შვილმა: არხელაოს გამეფდა ურიასტანში, ირადი ანტიპა — ბალილიაში და ფილიპპე — ორდანეს იქით მხარეში. ირადის სიკვდილის შემდგომ ანგელოსმა უბრძანა იოსეს: ,,აღსდეგ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი და ისრაელთ ქვეყანაში წადი, ამიტომ რომ მოკვდა ის, ვინც ეძებდა სულსა ძაგის ყრმისასა''. მაშინ აღსრულდა სიტყვები ოსე წინასწარმეტყველისა: ,,მგვიპტით უწოდე ძესა ჩემსა'' (ოს. 11, 1). იოსებმა მგვიპტიდგან წამოიყვანა ყრმა ესო და დედა მისი და მოვიდა ისრაელთ ქვეყანაში. მას ბეთლემში უნდოდა დაბინავება, მაგრამ გაიგო, რომ ურიასტანში მეფობს არხელაოს, კაცი ეჭვიანი და ფიცხელი, იქ მისლვა შეეშინა და, ღვთის ბრძანებით, ბალილიაში წავიდა. ის მივიდა და დაესახლა ნაზარეთში. ამის გამო, როგორც იყო წინასწარმეტყველის მიერ თქმული (მსაჯ. 13, 5), ესო ქრისტეს უწოდეს ნაზარეველი.

---

§ 11. ყრმა ესო ტაძარში. (ლუკ. 2, 40—52).

ესო ქრისტე, სანამ 30 წლის შეიქმნებოდა, ცხოვრებდა ქალაქ ნაზარეთში, ოსების სახლში. ამ 30 წლის განმავლობაში ესო როგორ ატარებდა ცხოვრებას, ამის შესახებ ძლიერ ცოტა ცნობები გვაქს. ლუკა მახარებელი სწერს: ,ყრმა იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა, ოვ აღივსებოდა სიბრძნითა და მადლი

ღვთისა იყო მისზედა“ (2, 40.) მეორე ადგილს სწერს: „Იესო წარემატებოდა სიბრძნითა და ასაკითა და მადლითა წინაშე ღვთისა და კაცთა (2. 52).“ ამ სიტყვებიდგან სჩანს, რომ Იესო ქრისტე კაცობრივი ბუნებით ბავშობიდგან ისე იზრდებოდა, როგორც ისრაელთა სხვა ბავშები, მაგრამ ის სხვა ბავშებიდგან განირჩეოდა სიწმიდით, უმანკოებით და უბიწოებით. სწავლობდა Იოსების სახლში საღვთო წერილს (რაბინების სკოლაში არსად არ უსწავლია,) შაბათობით თორაში დადიოდა, თავის დროზე, როგორც ბავში, კიდეც თამაშობდა.

შენიშვნა. Ერთ წიგნში, რომელიც იწოდება: „არაბული სახარება Იესოს სიყმაწვილეზე“ სწერია: „ადარის თვეში Იესომ შეკრიბა ყმაწვილები, ვითომ ის იყო მათი მეფე, იმათ დააფინეს თავიანთი ტანსამოსი მიწაზე და Ესო დაჯდა მასზე. Მაშინ მას დაადგეს თავზე ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინი, და, როგორც მეფის კარის კაცნი, მსახურნი მეფისა, ჩაემწკრივნენ მის წინ: ზოგი მარჯვენით და ზოგი მარცხენით მისა, და ყოველ კაცს, ვინც გაივლდა იქვე გზაზე, ყმაწვილები ძალით იჭერდნენ და უყვიროდნენ: „მოდი აქ და თაყვანი ეცი მეფეს და მერმე წადი შენ გზაზე.“

სახარება მოგვითხრობს მისი სიყმაწვილის ცხოვრებიდგან მხოლოდ ერთ შემთხვევას: Იოსები და ყოვლად წმიდა ქალწული Მარიამი ყოველ წელიწადს პასექის დღესასწაულზე დადიოდნენ Იერუსალიმში. როცა Იესო 12 წლის იყო, იგეც წაიყვანეს დღესასწაულზე Იერუსალიმში. Დღესასწაულის გათავების შემდგომ ყველა შინ დაბრუნდა. Ერმა Იესო დარჩა Იერუსალიმში. Რადგანც ბევრი ხალხი მოდიოდა, Იოსებმა და Მარიამმა ეს ვერ შეამჩნიეს და ეგონათ, რომ Იესო ნათესავებთან და ნაცნობებთან მოდიოდა. საღამოს მოიკითხეს, მაგრამ Იესო მათ შორის არ აღმოჩნდა. Ისინი შეწუხდნენ, Იერუსალიმში დაბრუნდნენ და ეძებდნენ მას, მესამე დღეს ის ტაძარში იპოვეს. Ის მღვდელთ მთავრებთან და მწიგნობრებთან იჯდა, ისმენდა მათსას და ჰკითხავდა მათ. Ყველას უკვირდა, ვისაც ესმოდა მისი გულის ხმის ყოფა და მისი სიტყვის მიგება. Იოსებს და Მარიამსაც გაუკვირდათ, როცა Იესო დაინახეს, Მარიამმა უთხრა: „შვილო! ეს რა მიყავ ჩვენ? Აჰა მე და მამა შენი დავდივართ და გეძებთ შენ.“ Იესომ უთხრა: „და რასა მეძიებთ მე Არ იცით, რომ მამისა ჩემისა თანა ჯერ არს ჩემი ყოფა?“ Ამ

სიტყვებში მან გამოთქვა წინასწარი გრძნობა თავისი დანიშნულებისა: რომ ის არის მესსია, ძე ღვთისა, რომ მამა მისი არის მამა ღმერთი, რომ ტაძარი არის სახლი ღვთისა და ჯერ არს მისი ყოფნა თავისს მამასთან. Iოსებმა და მარიამმა ეს სიტყვები ვერ გაიგეს. მერმე Iესო წაყვა მათ ნაზარეთში და იყო მათ მორჩილებაში.

ძველი ზეპირ გადმოცემა მოგვითხრობს, რომ Iესო ქრისტემ იცოდა ხუროვნობა და Iოსებს ეხმარებოდა. ამ გადმოცემას განამართლებს მარკოზის სახარებაც (6, 3). ამ გვარად Iესო ქრისტემ თავისს მაგალითით გვაჩვენა, რომ შრომა არის პატიოსანი და კეთილშობილური საქმე, რომ შრომა იფარავს სხეულს სინაზისა და დასუსტებისაგან, ხოლო სულს ცუდი ფიქრებისა და გულის თქმისაგან.

---

§ 12. Iოანე ნათლის მცემლის ქადაგება.

(ლუკ. 3, 1—18; მათ. 3, 1—12; მარკ. 1, 2—8).

Iოანე წინამორბედი სიყმაწვილეში დაობლდა. Iის წავიდა უდაბნოში და იქ დაიწყო განმარტოვებული ცხოვრება. Iის ატარებდა დროს ლოცვით და მარხულობით. მას ეცვა აქლემის თმისაგან გაკეთებული სამოსელი, ერტყა ტყავის სარტყელი და სჭამდა მკალს და ველურ თაფლს; როცა ის 30 წლის შეიქმნა, მაშინ ღმერთმა უბრძანა მას ხალხის მომზადება მესიის მისაღებად. ეს ბრძანება იმ დროს მიიღო, როცა იუდელებს თავისს მეფეს აღარ ყავდათ და იმათ მართველად რომაელების ხელმწიფის გამოგზავნილი პონტოელი პილატე იყო. Iოანემ ქადაგება მდინარე Iორდანეს პირზე დაიწყო. Iის ამბობდა: „შეინანეთ, მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“. Iოანესთან შეიკრიბა დიდ ძალი ხალხი და მის ქადაგებას ისმენდა. Iოანე დარიგებას აძლევდა მათ, რომ იმათ თავიანთ სული სინანულით გაეწმიდათ, რომ თავისს ცოდვები აღიარებიათ=წარმოეთქვათ, ბოროტი ცხოვრება დაეტოვებიათ და მაცხოვრის მიღების ღირსნი გამხდარიყვნენ. Vინც ცოდვებს აღიარებდა, იმათ მომავალი სიწმიდის ნიშნად Iოანე ნათელსცემდა Iორდანეში. Iოანესთან მივიდნენ ძარავალნი ფარისეველნი და სადუკველნი. Iოანემ უთხრა მათ: „ნაშობნო იქედნეთანო! ვინ

გიჩვენა თქვენ სილტოლვა მერმისა მისგან რისხვისა. (Იქედნა არის ძლიერ შხამიანი გველი; ნაშობნო იქედნეთანო=შვილნო იქედნეთანო, ესე იგი, მეტად ბოროტნო და არა წმიდანო! ვინ გასწავლა თქვენ, რომ თქვენი ძალით შეგიძლიათ გაექცეთ ღვთის რისხვას), ჰყავთ უკვე ნაყოფი სინანულისა. ნუ ფიქრობთ და ნუ იტყვით: მამა გვყავს ჩვენ აბრაამი. ღმერთს შეუძლია ამ ქვებისგან აღუდგინოს აბრაამს შვილნი. ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას". Იოანეს ჰკითხავდენ: „რა ვქმნათ ჩვენ!" Იოანემ მიუგო: „რომელსა ორი სამოსელი ქონდეს, ერთი მიეცი მას, რომელსაც არ ქონდეს, ეგრეთვე საზრდელიც". Მივიდნენ მასთან მეზვერენიც (ხარკის შემკრებნი) და უთხრეს: „ჩვენ რა ვქმნათ?" Იოანემ უთხრა მათ: „განწესებულზე მეტს ნუ აიღებთ". Კითხავდნენ მას მხედარნიც (ჯარის კაცნი): „ჩვენ რა ვქმნათ?" Იოანემ უთხრა მათ: „ნუ ვის აპირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და იყავით კმაყოფილნი თქვენი ჯამაგირით". ზოგიერთებს ეგონათ, რომ ის არის ქრისტე მაგრამ Іოანე ეუბნებოდა მათ: „მე ნათელ გცემთ თქვენ წყლითა, ჩემს შემდეგ მოვა უძლიერესი ჩემსა, მან ნათელ გცეს თქვენ სულითა წმიდითა".

---

§ 13. ნათლის ღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

(Მათ. 3, 13—17; Მარკ. 1, 9—11; Лუკ. 3, 21—22).

როცა Іოანე ნათლის მცემელი ნათლავდა ხალხს იორდანეში, მაშინ მასთან მივიდა Іესო ნათლისღებად. Іოანე აყენებდა მას და ეტყოდა: „მე უნდა ნათელ ვიღო შენგან და შენ ჩემთან მოხვალ?" Іესომ მიუგო: „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შვენის ჩვენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე". ე. ი. ნუ მაყენებ, ჩვენ უნდა აღვასრულოთ ის, რისთვისაც მოწოდებულ ვართ. Მაშინ Іოანემ ნება დართო. Іესო შთავიდა იორდანეში, ნათელ იღო Іოანესაგან, ამოვიდა წყლიდგან და ლოცვილობდა. Ამ დროს ცა გაიხსნა და სულიწმიდა მტრედის სახედ გადმოვიდა და დაადგრა მასზედ. ზეციდგან ხმა მოისმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ". Მაშინ Іოანე დარწმუნდა, რომ Іესო არს მესსია,

ძე ღვთისა, რაზედაც თვითონ იოანე ნათლისმცემელი მოწმობს (იოან. 1, 31—33). ნათლის ღებას ვდღესასწაულობთ 6 იანვარს. ამ დღეს ვეძახით კიდევ ღვთის განცხადებას, ამიტომ რომ ამ დღეს ქვეყანაზე გამოცხადდა ყოვლად წმიდა სამება: ძე მოინათლა, მამისაგან ხმა ისმოდა, სულიწმიდა გადმოვიდა მტრედის სახედ. ნათლისღება დღეს აკურთხევენ წყალს, მოსახსენებელად იესო ქრისტეს ნათლის ღებისა.

---

§ 14. იესო ქრისტეს გამოცდა უდაბნოში. (მათ. 4, 1—11; მარკ. 1, 12—13; ლუკ. 4, 1—13).

ნათლის ღების შემდგომ იესო ქრისტე წავიდა უდაბნოში, რომ იქ განმარტოვებული მარხვით და ლოცვით მომზადებულ ყოფილ თავისს დიდი საქმისათვის, (კაცობრიობის გამოსახსნელად ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან). იქ მან 40 დღე და ღამე იმარხულა, არა უჭამია რა და ბოლოს მოშივდა. მაშინ მივიდა მასთან ეშმაკი, გამოცდიდა და ეტყოდა: „თუ შენ ძე ღვთისა ხარ, სთქვი, რომ ეს ქვები პურად იქცნენ“. იესომ მიუგო მას: „წერილ არს: არა პურითა მარტო ცოცხლობს კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღვთისა“. (მეორ. სჯ. 8, 3). მერმე დააყენა ის იერუსალიმის ტაძრის სახურავზე და უთხრა: „თუ შენ ძე ღვთისა ხარ, გადავარდი აქედან ძირს, რადგანაც წერილ არს: ანგელოსთა მისთა აქვთ ნაბრძანები შენთვის დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა და ხელთა მათთაზედა აღგიპყრან შენ, რომ არ წარსცე ქვასა ფერხნი შენნი“ (ფსალ. 90, 11, 12). იესომ უთხრა მას: „წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“ (მეორ. სჯ. 6, 16). მაშინ ეშმაკმა აიყვანა ის ძლიერ მაღალ მთაზედ და აჩვენა მას ყოველნი სამეფონი ქვეყანისანი და მათი დიდება და უთხრა: „ყოველი უფლება ამ სამეფოებზე მე მაქვს მოცემული და მე, ვისაც მინდა მივსცემ მას. უკეთუ შენ თაყვანს მცემ, ყოველივე ესე შენი იყოს“. იესომ მიუგო მას: „წარვედ ჩემგან, სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყვანისცე და მას მხოლოსა მსახურებდე“ (მეორ. სჯ. 6, 13). მაშინ ეშმაკი განშორდა მას და ანგელოსნი მოვიდენ

და მსახურებდენ მას. მერმე იესო ქრისტემ იწყო ხახლში ქადაგება. მაშინ ~~იესო იყო 30 წლის.~~

§ 15. იოანე ნათლის ძეციერი მოწმობა იესო ქრისტესა (იოან. 1, 19—34).

როცა იესო ქრისტე ურიასტანის უდაბნოში იყო, მაშინ იოანე განაგრძობდა ქადაგებას და ნათელსცემდა ხალხს იორდანეს ხან ერთ ნაპირზე და ხან მეორეზე. მის ქადაგებამ ყველას ყურადღება მიიქცია, მის წმიდა სასტიკ ცხოვრებას ყველა განცვიფრებაში მოყავდა. წინასწარმეტყველის გამოცხადებაზე მთელ ურიასტანში დაიწყეს ლაპარაკი. ბევრი ფიქრობდა: ნუ თუ ის არის ქრისტეო? ამ საზოგადო მიმოთქმის დროს სინედრიონმა გაგზავნა იოანესთან მღვდელნი და ლევიტელნი: უნდოდა გაეგო, ვინ იყო იოანე. ამ დროს იოანე ქადაგებდა ბეთაბრას—პერეიაში, იერიქოს პირდაპირ. სინედრიონისაგან გაგზავნილები მივიდნენ იოანესთან და ჰკითხეს მას: „შენ ვინ ხარ?“ იოანემ მიუგო: „მე არა ვარ ქრისტე“. ზრიები ფიქრობდნენ, რომ ქრისტეს მოსვლის წინ მოვა ილია, და ჰკითხეს: „მაშ ვინ ხარა შენ? ილია ხარ?“ იოანემ მიუგო: „არა ვარ“. ზრიები აგრეთვე ფიქრობდნენ, რომ ქრისტეს მოსვლის წინ აღსდგება იერემია, ან რომელიმე სხვა წინასწარმეტყველი, და ჰკითხეს: „წინასწარმეტყველი იგი ხარა შენ?“ იოანემ მიუგო: „არა“. მერმე უთხრეს: „გვითხარ, ვინ ხარ შენ, რომ პასუხი მიუტანოთ ჩვენ გამომგზავნელს“. იოანემ მიუგო: „მე ვარ ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა: განმზადენით გზანი უფლისანი, როგორც სთქვა ესაია წინასწარმეტყველმა“ (ის. 40, 3). მერმე ჰკითხეს: „რისთვის სცემ ნათელს, თუ არა ხარ ქრისტე, არც ილია, არც წინასწარმეტყველი იგი“. იოანემ მიუგო: „მე ნათელსცემ წყლითა, ხოლო თქვენ შორის სდგას, რომელი თქვენ არა იცით. რომელი ჩემ შედგომად ჴნდა მოვიდეს, მაგრამ ჩემზე წინ იყო; მე არა ვარ ღირს, რომ გავხსნა საბელი (წვრილი თოკი) ხამლთა მისთა. (ხამლი=ფეხსაცმელია). ამ გვარად იოანემ სინედრიონის წევრთ ცხადად უთხრა, რომ ვინმე, მასზე მეტად უდიდესი უკვე გამოცხადდა ქვეყანაზე.

მეორე დღეს იოანემ დაინახა იესო მომავალი მასთან და სთქვა: „აჰა ტარიგი ღვთისა, რომელმან აღიხვნეს (იტვირთოს) ცოდვანი სოფლისანი. ეს არის რომლისათვისაც ვსთქვი: ჩემს შემდგომ მოვა კაცი, რომელი ჩემზე წინ იყო, რადგანც ჩემზე უპირატეს არს. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ მისთვის მოველ ნათლის ღებად წყლითა, რომ ის გამოეცხადოს ისრაელსა". იოანემ სწამა—დაამოწმა და სთქვა: „ვიხილე სული ღვთისა, ვითარცა ტრედი, გარდამომავალი ზეცით, და დაადგრა მას ზედა. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ვინც მომავლინა მე ნათლისღებად წყლითა, მან მითხრა მე: რომელსაზედა იხილო სული გარდამომავალი ‌ᲘᲐ დადგრომილი მასზედ, იგი არს, რომელმან ნათელსცეს სულითა წმიდითა. მე ვიხილე და ვსწამე, რომ ესე არს ძე ღვთისა".

---

§ 16. პირველნი მოწაფენი ქრისტესნი. (იოან. 1, 35—51; მათ. 4, 18—22; მარკ. 1, 16—20).

ერთჰელ იოანე ნათლის მცემელი იორდანის პირზე იდგა თავისს ორი მოწაფით: ანდრია და იოანეთი. მათ დაინახეს მიმავალი იესო. იოანე ნათლისმცემელმა თქვა: „აჰა ტარიგი ღვთისა". ამ სიტყვაზე იოანეს მოწაფენი გაედევნენ იესოს. იესომ მოიხედა და უთხრა მათ: „რას ეძებთ?" მოწაფეებმა მიუგეს: „მოძღვარ! სად ცხოვრებ?" იესომ უთხრა მათ: „მოდით და იხილეთ". ისინი წაყვნენ იესოს და მასთან დარჩენ მთელი დღე. ანდრიამ, რომელიც პირველად მივიდა იესოსთან და ამიტომ დაერქვა მას პირველ წოდებული, ხანა ძმა თვისი სიმონ და უთხრა მას: „ვპოვეთ მესსია, რომელ არს თარგმანებით ქრისტე", და მოიყვანა იგი იესოსთან. იესომ შეხედა მას და უთხრა: „შენ ხარ სიმონ ძე იონასი. შენ გეწოდოს კეფა ანუ პეტრე, რომელიც ნიშნავს კლდეს". (კეფა სირიელთ ენაა, პეტრე ბერძნული, ორივე სიტყვა ნიშნავს კლდეს). იესო ქრისტემ სიმონს უწოდა კლდე, რადგანც მან წინდაწინვე იცოდა სიმონის ხასიათის და სარწმუნოების სიმტკიცე. მეორე დღეს იესო გალილეაში წავიდა, შეხვდა ფილიპპეს და უთხრა: „მომდევდი მე". ფილიპპე იყო ბეთსაიდელი, ქალაქი-

საგან ანდრიასა და პეტრესა. ფილიპემ ნახა ნათანაილი და უთხრა მას: „ჩვენ ვნახეთ ის, ვისზედაც სწერდენ მოსე და წინასწარმეტყველნი: იესო, ძე იოსებისი ნაზარეთით“. ნათანაილმა მიუგო: ნაზარეთით შესაძლოა რაჲმე კეთილის ყოფა?“ ფილიპემ უთხრა: „მოვედ და იხილე“. ნათანაილ წაყვა ქრისტესთან. იესომ დაინახა ის და თქვა: „აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომელშიაც არა არს ზაკვა (ვერაგობა)“. ნათანაილმა ჰკითხა: „საიდან მიცნობ მე?“ იესომ მიუგო: „სანამ ფილიპე დაგიძახებდა ლეღვ-ქვეშ გიხილე შენ“. ნათანაილს ეს სიტყვები ძლიერ გაუკვირდა, უსათუოდ ლეღვ-ქვეშ ისეთი რამ შეემთხვა ნათანაილს, რომ კაცთაგანმა არა ვინ არ იცოდა. მაშინ ნათანაილმა უთხრა: „მოძღვარ! შენ ხარ ძე ღვთისა, შენ ხარ მეფე ურიათა“. იესომ უთხრა მას: „შენ გრწამს, რადგანც მე გითხარი: მე გიხილე შენ ლეღვ-ქვეშ; ამაზე უფროსი იხილო. ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: იხილოთ ცანი განხმულნი (გაღებულნი) და ანგელოსნი ღვთისანი აღმავალნი და გარდმომავალნი ძესა ზედა კაცისასა“.

---

§ 17. პირველი სასწაული ქრისტესი. (იოან. 2, 1—11.).

იესო ქრისტე კანას გალილეას მივიდა. იქ ნათანაილის მოწოდების შემდგომ მესამე დღეს ქორწილი იყო. ქორწილში სხვათა შორის მიპატიჟებულნი იყვნენ ღვთის მშობელი მარიამ და იესო თავისს მოწაფეებით. ქორწილის დროს მასპინძელს ღვინო შემოაკლდა. მარიამმა უთხრა იესოს: „ღვინო არა აქვთ“. იესომ მიუგო: „კიდევ არ მოსულა დრო ჩემი“. მაგრამ მარიამმა იცოდა, რომ ძე მისი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, არ დატოვდა მათ უმოწყალოდ და მან მოსამსახურეებს უთხრა: „რაც გითხრას თქვენ, ჰყავთ“. იესომ მოსამსახურეებს უბრძანა, რომ მათ წყლით აღევსოთ ექვსი სარწყუნლი, რომელნიც იქ იდგნენ. იმათ ექვსივე სარწყული აღავსეს. იესომ წყალი ღვინოთ შესცვალა და მოსამსახურეებს უბრძანა: „ამოიღეთ და მიართვით პურის უფალს (სუფრის გამგეს). მათ მიართვეს. სუფრის გამგემ გემო გაშინჯა, მოეწონა ღვინო; რადგანც მან არ იცოდა, საიდან მოიტანეს ეს ღვინო,

(მხოლოდ მოსამსახურეებმა იცოდა), სიძეს დაუძახა და უთხრა: „ყოველი კაცი პირველად კარგ ღვინოს მოიტანს და როცა საკმაოდ დალევენ მერმე უდარესს და შენ უკეთესი ღვინო ამ დენ ხანს შეგინახავს". პირველად ეს სასწაული ქმნა იესომ კანას გალილიაში და უჩვენა მან თავისს დიდება მოწაფეთა თვისთა და ისინი ერწმუნენ მას.

II.

ისტორია უფლის იესო ქრისტეს გამოცხადებულ მსახურებისა კაცობრიობის საცხოვნებელად.

პირველი წელიწადი ქრისტეს მსახურებისა.

§ 18. მოვაჭრეთ განდევნა ტაძრიდგან (იოან. 2, 13—25).

მოახლოვებულ იყო პასქა ურიათა. იესო იერუსალიმს მივიდა და ნახა, რომ ტაძარში ყიდდენ სამსხვერპლო ცხოველებს და ისხდნენ ფულის დამხურდავებელნი (ზარაფნი). იესომ თოკისაგან გააკეთა შოლტი და ყველა მოვაჭრენი თავიანთ ცხოველებით ტაძრიდგან განდევნა. ზარაფებს სტოლები წაუქცია, და ფულები დაუფანტა. ტრედების გამყიდველთ უთხრა: „აღიღეთ ესე აქედგან და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ საჭაპრო". მაშინ ურიებმა უთხრეს მას: „რა სასწაულს მიჩვენებ ჩვენ, რომ ამას იქმ?" იესო ქრისტემ მიუგო: „დაარღვიეთ ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე". ურიებმა უთხრეს მას: „ეს ტაძარი 46 წელიწადს აღშენდა და შენ სამ დღეს აღადგინო იგი?" იესო იტყოდა თავის სხეულზე, რომ მას მოკლავენ და მესამე დღეს მკვდრეთით აღსდგება. პასექის დროს იესო ქრისტე სასწაულებს იქმოდა და მრავალნი ერწმუნენ მას.

---

§ 19. იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდიმოსთან. (იოან. 3, 1—21)

როდესაც იესო ქრისტე პასექის დღესასწაულის გამო იერუსალიმში იყო, მაშინ მასთან ღამე მივიდა ვინმე ფარისეველთაგანი,

ურიათა მთავარი—სინედრიონის წევრი, რომელსაც ერქვა ნიკოდიმოს, და უთხრა: „რაბი (მოძღვარ)! ვიცით, რომ შენ ღვთისაგან მოსულ ხარ მოძღვრად; ამიტომ რომ არავის არ შეუძლია ისეთი სასწაულების ქმნა, რომელთა შენ იქმ, თუ არ იყოს მასთან ღმერთი". ნიკოდიმოსი, როგორც ყველა ფარისევლები, მოელოდა მესიას და ფიქრობდა, რომ მესია ქვეყნიური მეფე იქმნება, რომ მესია ღვთის სასუფეველს დააფუძნებს ქვეყანაზე და იმედი ჰქონდა, რომ ის, როგორც შვილი აბრაამისა და აღმასრულებელი სჯულისა, უსათუოდ შევა ამ სასუფეველში. იესო ქრისტემ თავისს საუბარში ნიკოდიმოსს ეს ოცნება გაუფანტა. იესომ უთხრა მას: „ჭეშმარიტად გეტყვი შენ, თუ ვინმე მეორედ არ იშვეს, სასუფეველის ხილვა ვერ შესძლოს". ე. ი. ხორციელად შობა აბრაამისაგან სასუფეველში შესვლის უფლებას არ იძლევა, არამედ საჭიროა ხელმეორედ შობა—სხვა კაცად გახდომა, საჭიროა ყოველ ბოროტებისაგან სულის გაწმედა ისე, როგორც წყალი გაწმენდს სხეულს. ნიკოდიმოსს გაუკვირდა და უთხრა: „როგორ შეუძლია ბერ კაცს შობა? ნუ თუ შესაძლოა დედის მუცელში მეორედ შესვლა და შობა?" იესომ მიუგო: „ჭეშმარიტად გეტყვი შენ: უკეთუ ვინმე არ იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელმწიფების შესვლად სასუფეველსა ღვთისასა. შობილი ხორცთაგან ხორცი არს, და შობილი სულისაგან სული არს. ნუ გიკვირს, რომ გითხარ: თქვენთვის საჭიროა მეორედ შობა. ქარი, როდესაც უნდა ჰქრის, მაგრამ არ იცი: სიდან მოდის და სად მიდის, ასეა ყოველი შობილი სულისაგან.". ე. ი. არა ვის არ შეუძლია სთქვას, როგორ მოხდება სულისაგან შობა, მხოლოდ ამ სიტყვებს უნდა ერწმუნო. ნიკოდიმოსმა უთხრა: „ეს როგორ შეიძლება?" იესომ მიუგო: „შენ ხარ მოძღვარი ისრაილისა და ეს არა იცია? ჭეშმარიტად გეტყვი შენ: ჩვენ ვამბობთ მას, რაც ვიცით, და ვმოწმობთ, რაც ვიხილეთ; და თქვენ ჩვენ მოწმობას არ იღებთ. თუ მე გითხარ თქვენ ქვეყნიური (პირობა, რომელიც კაცმა უნდა აღასრულოს, რომ სასუფეველში შევიდეს) და არ გრწამთ; თქვენ როგორ ერწმუნებით, თუ რომ გითხრათ ზეციური (ღვთის სასუფეველის საიდუმლოება)". იესომ იცოდა, რომ ნიკოდიმოსი მესიას

ელის, როგორც ქვეყნიურ მეფეს, და განუცხადა მას, რომ
ესია არის მხოლოდ შობილი ძე ღვთისა, რომელიც გარდამოხდა
ეცით და რომელიც იმყოფება ზეცას, რომ ის უნდა ეწვალოს
ა მოკვდეს და ვინც მას ერწმუნება, დაიმკვიდრებს საუკუნო
ხოვრებას: „არა ვინ აღხდა ზეცად, გარდა იმისა, რომელი
რდამოხდა ზეცით, ძე კაცისა, რომელი არს ზეცათა შინა, და
ოგოც მოსემ აღამაღლა გველი (ხეზე) უდაბნოში, ეგრეთ ჯერ
ს ამაღლება (ჯვარზე) ძისა კაცისა, რათა ყოველი მორწმუნე
სი არა წარწყმდეს, არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო. ვინა-
დგან ღმერთმა ისე შეიყვარა სოფელი, რომ ძე თვისი მხოლოდ
ობილი მიცა მას, რათა ყოველი მორწმუნე მისი არა წარწყმდეს,
ამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო. მისთვის კი არ მოავლინა
მერთმან ძე თვისი სოფლად, რომ დასაჯოს სოფელი, არამედ
ომ აცხოვნოს სოფელი მის მიერ. მისი მორწმუნე არ დაისჯება,

ლო ურწმუნო აწ უკვე დასჯილ არს, ამიტომ რომ ნათელი
ავიდა სოფლად და კაცთა ნათელზე უფრო ბნელი შეიყვარეს,
ადგანაც საქმენი მათნი ბოროტ იყვნეს. ვინც ბოროტს იქმს,
ს სძულს ნათელი და არ მოვალს ნათლისაკენ, რომ არ ამხილონ
ქმენი მისნი. ხოლო ვინც ჭეშმარიტებას იქმს, ის მივალს ნათლი-
კენ, რომ ცხად იყვნეს საქმენი მისნი“. ამ საუბრის შემდგომ
ოკოდიმოსი შეიქმნა იესო ქრისტეს ფარული მოწაფე და მიიღო
ათლის ღება პეტრე და იოანე მოციქულებისაგან.

---

20. უკანასკვნელი მოწმობა იოანე ნათლისა მცემლისა იესო ქრისტეზე და იოანეს შეყენება საპყრობილეში

(იოან. 3, 22—34; მათ. 14, 3—5; მარკ. 6, 17—20; ლუკ. 3, 19—20).

ნიკოდიმოსთან საუბრის შემდგომ იესო ქრისტე იერუსალი-
დგან ოავისს მოწაფეებითურთ ურიასტანში წავიდა. იქ მათთან
ერთად ცხოვრებდა, და მისი მოწაფეები მისი ბრძანებით ნათელს-
ემდენ ხალხს. ხალხი ბევრი მიდიოდა მათთან. იოანეც სალიმის
ხლობლად ენონში იყო და ნათელსცემდა. იოანეს მოწაფეებმა
რიებთან დაიწყეს ცილობა (დავა) მასზედ თუ, რომელი ნათლის

ღება უკეთ ვანწმედს Იოანესი თუ Იესოსი? მერმე მივიდნენ დ
უთხრეს Იოანეს: „ის, რომელიც შენთან იყო იორდანეს პირზ
და რომლისთვისაც შენ სწამე, აჰა, იგი ნათელს სცემს და ყვე
ლანი მასთან მიდიან“. Იოანემ მიუგო მათ: „არ შეუძლია კაც
თავისს თავზე არაფრის მიღება, თუ არა აქვს მას მოცემულ
ზეცით. Თქვენ თვითონ მოწამე ხართ იმისა, რომ მე ვთქვი: არ
ვარ მე ქრისტე, არამედ მოვლინებულ ვარ მის წინაშე. Ჯერ არ
მისი აღმატება, ხოლო ჩემი მოკლება. ზეგარდამომომავალი ყველა
ზე მაღლა დგას, ვინაიდგან ის, რომელიც ღმერთმა მოავლინა
ღვთის სიტყვას იტყვის. მამასა უყვარს ძე და ყოველივე მოსც
ხელთა მისთა. რომელსა რწმენეს ძე, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო
ხოლო რომელიც ურწმუნო იყოს, მან ვერ იხილოს ცხოვრება“
ამ სიტყვებით Იოანემ განუმარტა თავისს მოწაფეებს, რომ ი
მოვლინებულ არს ქრისტეს წინ, რათა მოამზადოს ხალხი ქრისტე
მისაღებად, რომ მან აღასრულა თავისს მოვალეობა: ხალხი მიდი
Იესოსთან და ამიტომ მას მართებს ახლა სიხარული; რომ Იესო
ქრისტე არს ძე ღვთისა, მოვლინებული მამა ღმერთისაგან დ
ვინც მას ერწმუნება, ის საუკუნო ცხოვრებას დაიმკვიდრებს. ე
მოწმობა Იოანესი Იესო ქრისტეზე იყო უკანასკნელი. ამ დროი
ცოტა წინეთ გალილიის მეფემ Ეროდი ანტიპამ თავისს ძმ
ფილიპეს წაართვა ცოლი — Ეროდიადა და თვითონ შეირთ
ცოლად. რადგანაც ეს ქორწინება სჯულის წინააღმდეგი იყო
ამიტომ Იოანე ამხილებდა Ეროდის. ეს მხილება ბოროტ Ეროდია
დას არ მოსწონდა. მან Იოანეს მოკვლა გადასწყვიტა და სთხოვდ
Ეროდის ეს გადაწყვეტილება შეესრულებინა, მაგრამ Ეროდი აღ
თანხმდებოდა. ის ღრმა პატივისცემით უცქეროდა Იოანეს დ
უსმენდა მას. მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგანც Ეროდი სუსტ
ხასიათის იყო, Ეროდიადამ იმდენი ეცადა, რომ Იოანე დააჭერინ
და მახერონის საპყრობილეში დააპატიმრებია.

---

§ 21. იესო ქრისტეს საუბარი სამარიტელ დედაკაცთან.

(Иоан. 4. 1—42; Марк. 1, 14—15).

Როცა Იესო ქრისტე ურიასტანში იმყოფებოდა, მან Иოანეზე ეტი მოწაფეები მოიპოვა. Ეს ფარისეველებმა შეიტყვეს, შურით ლივსნენ და აღშფოთდენ. Როგორც კი გაიგო ფარისეველების ღშფოთება და Иოანეს საპყრობილეში შეყენება, Იესო ქრისტემ ურიასტანი დასტოვა და გალილიაში წავიდა. Მან აღირჩია მოკლე ზა, რომელიც სამარიაში გაივლიდა. Იესო ქრისტე სამარიტელთა ალაქ სუქარში (წინანდელ სიქემში) მივიდა. Ის მგზავრობისაგან ალილი იყო და ჭის მახლობლად დაჯდა, ხოლო მოწაფენი ისნი საჭმელის საყიდლად ქალაქში წავიდნენ. Ამ დროს წყლის ასაღებად ჭასთან მოვიდა სამარიტელი დედაკაცი. Იესომ უთხრა ას: „მასვ მე წყალი“. Დედაკაცმა გაკვირვებით უთხრა: „შენ ურია ხარ და ჩემგან, სამარიტელ დედაკაცისაგან ითხოვ წყალს?“ ედაკაცმა ასე იმიტომ უთხრა, რომ ურიები სამარიტელებს ერი-ებოდნენ, მათთან არა ვითარ კავშირს არ იკავებდნენ. Იესომ თხრა: „შენ რომ ნიჭი ღვთისა იცოდე და ვინ გთხოვს შენ ასმელ წყალს,— შენ თვითონ თხოვდი მას და ის ცხოველ წყალს ოგცემდა შენ“. (Ცხოველ წყალს ეძახოდნენ ჭის ფსკერში მდგო-რე წყალს). Იესო ქრისტე სიტყვებში «ცხოველ წყალს» გული-მობდა თავის ღვთაებრივ სწავლას და სული წმიდის მადლს, ედაკაცი კი ფიქრობდა, რომ Იესო ამბობს ჭის ფსკერში მდგომარე აროს წყალზე. Ამიტომ Იესოს უთხრა: „შენ ამოსაღებიც არა-ერი გაქვს, ჭა კი ღრმაა და საიდან ამოიღებ წყაროს წყალს“. სომ უთხრა: „ყოველსა, რომელი ამ წყალს სვამდეს, კიდევ სწყურდეს, ხოლო ვინც იმ წყალს დალევს, რომელსაც მე ცემ, მას არ მოწყურდეს უკუნისამდე; წყალი, რომელსაც მე ცემ მას, შეიქმნება მასში წყაროდ წყლისა, რომელი ვიდოდეს ოვრებად საუკუნოდ“. Დედაკაცმა უთხრა: „Უფალო! მომეც მე ალი ესე, რომ არ მომწყურდეს და აქ წყლის ამოსაღებად აღარ ვიდე“. Რადგანც სამარიტელ დედაკაცმა Იესოს სიტყვები ვერ ეგო ცხოველ წყლის შესახებ და რადგანც ქრისტე ყოველ კაცის ცხოვნებლად განხორციელდა, ამიტომ მან დედაკაცს დაანახვა,

რომ მან იცის ის, რის ცოდნაც კაცს არ შეუძლია, რომ მან ა
დედაკაცის მთელი ცხოვრება იცის, იცის რა არის მის გულში,
დაანახვა თავისი გულთა მხილველობა. დედაკაცი გაკვირდა დ
უთხრა იესოს: „უფალო! ვხედავ, რომ შენ წინასწარმეტყველ
ხარ“. და მან საუბრის საგანი მაშინვე შესცვალა, ის გადვიდ
სარწმუნოებრივ საკითხზე.—მამანი ჩვენნი თაყვანსცემდენ ამ მთაზ
(მან უჩვენა გარიზინის მთა, რომელზედაც სამარიტელთა ტაძრ
ნანგრევი იყო. ეს ტაძარი დააქცია იოანე გირკანმა), თქვენ კ
ურიანი, ამბობთ, რომ ადგილი, სადაც უნდა თაყვანისცემა, არ
იერუსალიმია, (მითხარ, რომელ ადგილზე უნდა ვსცეთ ღმერთ
თაყვანი?)“. იესომ უპასუხა: „მერწმუნე მე, რომ დრო მოვა დ
მოსულიც არს, როდესაც ჭეშმარიტნი თაყვანის მცემელნი თაყვან
ცემენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა. სულ არს ღმერთი დ
თაყვანისმცემელთა მისთა უნდა თაყვანისცენ სულითა და ჭეშმ
რიტებითა“. ე. ი. ჭეშმარიტნი თაყვანისმცემელნი უნდა თაყვან
ცემდენ არა ერთ ადგილზე, როგორც სამარიტელნი, არამ
ყოველგან,—არა მარტო სხეულით, გარეგნობით, არამედ სულით
და ჭეშმარიტებითა,—სიმართლით, გული წმიდით, სიყვარულით
გულწრფელად. მაშინ დედაკაცმა უთხრა: „როდესაც მესია, ქრის
ტე, მოვა, ის ყოველივეს განგვიმარტებს“. იესომ უთხრა მა
„ეს (მესია) მე ვარ, რომელიც გელაპარაკები შენ“. ამ დრო
მოწაფენიც მოვიდნენ და გაუკვირდათ, რომ იესო სამარიტე
დედაკაცს ელაპარაკებოდა. მაგრამ არ უკითხავთ, რაზე ესაუბრ
ბოდა მას. დედაკაცმა სარწყული დატოვა, ქალაქში წავიდა
მცხოვრებლებს უთხრა: „მოდით და ნახეთ კაცი, რომელმან მ
თხრა მე ყოველი, რაც კი ვქმენ; ნუ უკვე იგი არს ქრისტე
ამასობაში მოწაფეებმა მიუტანეს იესოს საჭმელი და უთხრ
„რაბი! სჭამე“. იესომ უთხრა მათ: „მე მაქვს საჭმელი, რომელ
თქვენ არ იცით“. მაშინ მოწაფეებმა ერთმანეთს უთხრეს: „ნუ თ
ვინმემ მოართვა მას საჭმელი?“ იესომ უთხრა მათ: „ჩემი საჭმელ
არს; რათა ვყო ნება მომავლინებელისა ჩემისა და აღვასრულ
საქმე მისი“. ამის შემდგომ ბევრი სამარიტელთაგანი მოვ
იესოსთან და სთხოვა მათთან დარჩენა. იესო დარჩა მათთან ო

დღე და ბევრი მათგანი ერწმუნა მას. სამარიტელთა ქალაქიდგან იესო მივიდა გალილიაში და დაიწყო იქ ქადაგება: „აღსრულებულ არს ჟამი (დრო) და მოახლებულ არს სასუფეველი ღვთისა; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა“. გალილეველებმა სიხარულით მიიღეს იგი, ამიტომ რომ იხილეს სასწაულნი, რომელნიც ქმნა მან პასექის დროს იერუსალიმში, სადაც მოსულ იყვნეს დღესასწაულზე გალილეველნიც.

§ 22. განკურნება მეფის კარის კაცის შვილისა.

(Иоан. 4, 46—54).

იესო ქრისტე მივიდა კანას გალილიას, იქ სადაც წყალი ღვინოდ შესცვალა. იქ მასთან მივიდა ერთი მეფის კარის კაცი, რომელსაც ხურვებისაგან ძლიერ ავადმყოფი შვილი ჰყავდა კაპერნაუმში, და მის სახლში მისვლა და შვილის განკურნება სთხოვა. იესო ქრისტემ უთხრა მას: „წადი, შენი შვილი კარგად არის“. ის ქრისტეს ერწმუნა და შინ წავიდა. გზაზე მოსამსახურენი მოეგებნენ მას და უთხრეს: „შენი შვილი კარგად არისო“. მან ჰკითხა მათ: „რომელ საათზე განიკურნა ის?“ მათ უპასუხეს: „გუშინ მეშვიდე საათზე“. მამამ გაიგო, რომ მისი შვილი მაშინ განიკურნა, როცა ქრისტემ უთხრა მას: შენი შვილი კარგად არისო, და მთელი თავის სახლობით ერწმუნა ქრისტეს. ფიქრობენ, რომ ეს მეფის კარის კაცი იყო ქოზა, ირღოდის სახლის გამგე, რომლის ქვრივა — იოანნა შემდგომში მსახურებდა იესო ქრისტეს.

§ 23. იესო ქრისტეს ქადაგება ნაზარეთში (Лук. 4, 16—32).

გალილიაში მოგზაურობის დროს, იესო ქრისტე მივიდა ნაზარეთში, სადაც ის აღიზარდა, შაბათ დღეს თორაში შევიდა და დაიწყო კირხვა. მას მიუტანეს ისაია წინასწარმეტყველის წიგნი, წიგნი გაშალა და ის ადგილი წაიკითხა, სადაც ეწერა: „სული უფლისა ჩემზედა, რომლისათვის მცხო მე, და მახარებელად ღარიბთა მომავლინა მე, განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყვეთა განტევებისა, და ბრმათა აღხილვად, განთავისუფლე-

ბად ტანჯულთ» და ქადაგებად წელიწადი უფლისა შეწყნარებული (საამებელი, კეთილ მისათვალველი) (ისაია 61, 1—2). მერმე წიგნი შეკეცა, მსახურს მისცა და დაჯდა; ყველა იქ მყოფნი მას უცქეროდნენ. იესომ წარმოსთქვა: „დღეს აღსრულდა წერილი ესე, რომელიც თქვენ გაიგონეთ“, და განუმარტა მათ, რომ ეს სიტყვები სახელდობრ მასზედ აღსრულდა. უნებურად ყველანი ეთანხმებოდნენ მას და მისი მადლიანი სიტყვა უკვირდათ, მაგრამ იმავე დროს ერთმანეთს ჰკითხავდნენ: „ეს იოსების ძე არ არის?“ და მოელოდნენ მისგან სასწაულებს: „რავდენი გვესმა საქმე კაპერნაუმს, ქმენ აქაცა მამულსა შენსა“. იესო ქრისტემ უთხრა მათ: „ეშმარიტად, გეტყვი თქვენ, არავინ წინასწარმეტყველი არ შეწყნარებულ არს თავისს მამულში (თავის სამშობლოში). (ამიტომ მეც არ მიღებთ თქვენ სარწმუნოებით. მათთვის, რომელთაც სარწმუნოება არ აქვთ, სასწაულები არ იქმნებიან). რავდენი ქვრივი იყო ისრაელთ შორის ილიას დროს და არც ერთთან არ იყო ილია გაგზავნილ, გარდა ქვრივისა, რომელიც ცხოვრებდა სარეპტაში სიდონის მახლობლად. ელისეს დროს ისრაელთ შორის რავდენი კეთროვანი იყო და არა ვინ მათგანი არ განიკურნა, გარდა ნეემან ასურელისა.

ამ სიტყვების გამო ყველანი თორაში მყოფნი განრისხდნენ, განაძეს იგი ქალაქა გარედ და მთის წვერზე წაიყვანეს, რომ იქიდგან გადმოაგდონ იგი და მოკლან. მაგრამ მან განვლო მათ შორის და წავიდა. ის მივიდა კაპერნაუმს და იქ დაბინავდა. იქიდგან დადიოდა ქალაქებში და სოფლებში, უქადაგებდა და ასწავლიდა ხალხს.

§ 24. საკვირველი ნადირობა თევზთა. (ლუკ. 5, 1—11; მათ. 4, 18—22; მარკ. 1, 16—20).

ერთხელ იესო ქრისტე გენესარეთის ტბის კიდეზე იდგა, ხალხი ბლომად გარშემო ეხვია და მის სწავლას ისმენდა. მეტის მეტი სივიწროვე იყო. ტბის პირზე ორი ნავი იდგა. ერთ იმათგანში, რომელიც სიმონს ეკუთნოდა, იესო ჩავიდა და ცოტა თი ტბაში შეაცურეს და ხალხს იქიდან ასწავლიდა. როცა სწავლება და-

ირულა, სვიმონს უთხრა: „შეავლინე ღრმად და ბადე თქვენი
ითევით ნადირობად“. სიმონმა მიუგო: „მოძღვარ! ჩვენ მთელი
ამე ვიშრომეთ და ვერა დავიჭირეთ რა, ხოლო შენი სიტყვით
ადაუტეოთ ბადე“. ბადე წყალზე დაკრეს და უზომოდ ბევრი
ევზი დაიჭირეს, ასე რომ ბადე კინაღამ გასქდა. ლაუძახეს თავი-
ით ამხანაგებს, რომელნიც მეორე ნავში იყვნენ, რომ მოხმარე-
ადნენ. ისინი მოეშველნენ, ამოათრიეს ბადე და ორივე ნავი
ევზებით გაავსეს, ასე რომ ნავები კინაღამ დასძირა. ეველა იქ
ოფნი ძლიერ გაკვირდნენ. სვიმონ-პეტრემ, დაინახა თუ ორა ეს
კვირველი ნადირობა თევზთა, ქრისტეს წინ დაიჩოქა და უთხრა:
ანველ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო!“ უფალმა
თხრა: „ნუ გეშინინ, სიმონ, ამიერიდან იყო კაცთა მონადირე“.
ისტემ მოუწოდა ანდრიას, პეტრეს, იაკობს და იოანეს. იმათ
ტოვეს ყოველივე და წაყვნენ ქრისტეს.

---

25. განკურნება ეშმაკეულისა კაპერნაუმის თორაში, სიმონის სიდედრისა, კეთროვანისა და სხვათა ძრავალთა.

(რკ. 1, 21—45; ლუკ. 4, 31—44; 5, 12—15; მათ. 4, 23—25; 8, 2—4, 14—17.).

კაპერნაუმში დაბრუნების შემდგომ იესო ქრისტე შაბათ
ეს თორაში შევიდა და ხალხს სწავლება დაუწყო. იქ იყო კაცი
ეული (ბოროტ სულისაგან შეპყრობილი), მან დაიყვირა:
ა, რა არს ჩვენი და შენი, იესო ნაზარეველო? მოსულ ხარ
წყმედად ჩვენდა. ბიცნობთ, შენ ვინ ხარ, წმიდა იგი ღვთისა“.
ო გაურისხდა მას და უთხრა: „გაჩუმდი და მაგისაგან გამოდი“.
ინ არა წმიდა სულმან დასცა ეშმაკეული, ხმა მაღლა დაიყვირა
გამოვიდა მისგან. ეველა განცვიფრდა და ერთი მეორეს ეკი-
ბოდა: „ეს რა არის? ეს რა ახალი მოძღვრობაა, რომ ბოროტ
ებსაც უბრძანეს იგი და ემორჩილებიან მას? ეს ამბავი მთელ
ილიის სოფლებს მოედვა.

მერმე იესო თორიდგან გამოვიდა და სიმონ-პეტრეს სახლში
და. იმ დროს პეტრეს სიდედრი ცხელებით ავად იყო. იესო

მივიდა მასთან, ხელი მოკიდა და ააყენა, ის მაშინვე განიკურნ
ადგა და მსახურებდა მათ.

საღამო დროს ყველას, ვისაც ავადმყოფები და ეშმაკეულებ
ყავდათ, იესო ქრისტესთან მოყავდათ, იესო ხელს ადებდა მათ დ
კურნავდა. დილით ადრე ადგა, უდაბნო ადგილს წავიდა დ
ლოცვილობდა. სიმონ და სხვები მასთან მივიდნენ და უთხრეს
„ყველანი გეძებენ შენ“. იესომ უთხრა მათ: „მახლობელ სოფ
ლებში და ქალაქებში წავიდეთ, რომ იქაც უქადაგო, რადგანა
ამისთვის მოვივლინე“. წავიდა და ქადაგებდა გალილიის ყველ
თორებში, ეშმაკებს განასხმიდა და სნეულებს კურნებდა. მის
ამბავი მთელ სირიაში გავრცელდა, ყოველ გვარი ავადმყოფები მ
ყავდათ მასთან და კურნავდა მათ. მას დაყვებოდა მრავალი ხალ
გალილიიდგან, იერუსალიმიდგან, ურიასტანიდგან და იორდან
გაღმა მხარედგან.

ბალილიაში მოგზაურობის დროს, ერთ ქალაქში იესო ქრ
ტესთან მივიდა კეთროვანი, თაყვანისცა მას, მის წინ დაიჩოქა
უთხრა: „უფალო! უკეთუ გნებავს, შეგიძლია ჩემი განწმე
(განკურნება)“. იესოს შეეწყალა იგი, ხელი შეახო და უთხრ
„მნებავს, განიწმიდე“. კეთროვანი მაშინვე განიწმიდა. იესომ უთხ
მას: „იხილე, არა ვის უთხრა, მხოლოდ მიდი, თავი შენი უჩვ
მღვდელს და შენი გაწმედისათვის შესაწირავი შესწირე, როგორ
ბრძანა მოსემ“. (მოსეს სჯულის თანახმად კეთროვნებს ქალ
გარეთ გააძევებდნენ, რომ კეთრი სხვას არ გადადებოდა. ის
ცხოვრობდნენ მოწყალებით. კეთრისაგან განკურნებული მღვდ
თან უნდა მისულიყო, რომ შეემოწმებია ის, მსხვერპლი შეეწ
და კარგა მყოფებთან ცხოვრების ნება მიეცა).

---

§ 26. განკურნება გაბრძოლებულისა კაპერნაუმში. (მარკ. 2, 1—
ლუკ. 5, 17—26; მათ. 9, 1—8).

ბალილიაში მოგზაურობის შემდგომ იესო ქრისტე მივ
კაპერნაუმს, და ქადაგებდა ერთ სახლში. მასთან ხალხი ისე ბ
შეიკრიბა, რომ კაცს კარებში შესვლაც კი არ შეეძლო. ამ დ

ოთხმა კაცმა ცხედრით მოიტანეს ერთი ავადმყოფი — განრღვეული, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო კარებში ვერ შევიდნენ. სახლის სართულზე ავიდნენ, სახურავი აიღეს და განრღვეული, ლოგინში მწოლარე, იესოს წინ ჩამოუშვეს. იესომ, რაკი იხილა ეგეთი სარწმუნოება, უთხრა განრღვეულს: „შვილო! მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი“. იქ მყოფ ფარისეველებმა იფიქრეს, რომ იესო ღმერთს ეგმობსო, ცოდვების მიტევება ღვთის გარდა ვის შეუძლიაო. იესომ იცოდა მათი ფიქრი და უთხრა მათ: „რის თქმა უადვილესია: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, თუ განრღვეულს რომ უთხრა: აღსდეგ და ხვიდოდე, მაგრამ თქვენ რომ იცოდეთ, რომ ძესა კაცისასა ქვეყანაზე ცოდვების მიტევების ნება აქვს, შენ გეუბნები, უთხრა. იესომ განრღვეულს: აღსდეგ, აღიღე ცხედარი (ლოგინი) შენი და წადი“. ავად მყოფი განიკურნა, ადგა, აიღო ცხედარი და წავიდა. ყველა გაკვირებით ამბობდა: „საკვირველი საქმე ვნახეთ, არასოდეს ამის მსგავსი არა გვინახავს რა“.

---

§ 27. მოწოდება ლევისა, ანუ მათესი და სწაულია მარსულობაზე.

(მარკ. 2, 13—22; მათ. 9, 9—17; ლუკ. 5, 27—39).

კაპერნაუმში განრღვეულის განკურნების შემდგომ, იესო ქრისტე გალილეის ზღვისაკენ წავიდა. გზაზე მან დაინახა მეზვერე (ბაჟის, ანუ ხარკის ამკრები) მათე ანუ ლევი ალფეზის ძე საბაჟოზე მჯდომარე და უთხრა მას: „წამომყევ მე“. მათე ადგა და წაყვა, და შეიქმნა მისი განუყრელი მოწაფე. ამ გარემოებამ ამაყნი ფარისეველნი კიდევ უფრო განარისხა. აქედან იმათ დაინახეს, რომ იესო არა თუ სწყალობს ცოდვილებს (მეზვერენი ცოდვილებად მიაჩნიათ), არამედ კიდეც უახლოვდებოდა და უმეგობრდება მათ. მაგრამ იესო ხედავდა, რომ მათეს სულში ფულის სიხარბეს არ განუქარვებია ყოველივე სიკეთე. იესო ქრისტემ იცოდა, რომ მათე ღირსეულად აღასრულებდა თავისს დანიშნულებას. რადგანც იესო ქრისტეს მოწაფეთა შორის ჩარიცხვა მათესთვის უდიდესი ბედნიერება იყო, ამიტომ მან თავის სახლში ლხინი გაიმართა. ამ ლხინში იესო ქრისტესთან და მის მოწაფეებთან ერთად იყვნენ

მრავალნი მეზკერენი და ცოდვილნი, რომელთაც ფარისევლები ზიზღით უცქეროდნენ. ისინი განრისხდნენ და იესოს მოწაფეებს დაუწყეს ყვედრება: „თქვენი მოძღვარი რისთვის სჭამს და სვამს მეზვერეებთან და ცოდვილებთან? და თქვენც რისთვის სჭამთ და სვამთ მათთან?“ იესო ქრისტე კაცთა საცხოვნებლად მოვიდა, ხოლო ცხოვნება იგეთ კაცთათვის არის საჭირო, რომელნიც ცოდვის გამო იღუპებიან. ის იყო სნეულთა მკურნალი, ამიტომ მან უპასუხა ფარისევლებს: „მკურნალი კარგა მყოფთ კი არ უნდა, არამედ სნეულთა. მე მოვედი მოწოდებად არა მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“.

მაშინ იოანეს და ფარისევლების ზოგიერთ მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს: „ჩვენ და ფარისეველნი რისთვის ვმარხულობთ და მოწაფენი შენნი არ მარხულებენ?“ (მარხვა არის მწუხარების გამოხატვა ცოდვებზე. იმ კაცს, რომელიც თავისს ცოდვების გამოსწუას, არ შეუძლია მიეცეს სიამოვნებას, ის არ ფიქრობს საჭმელზე. ის ჭამს ძლიერ ცოტას, რომ სიცოცხლე არ მოესპოს. ის მარხულობს, ამ გვარად ჭეშმარიტი მარხულობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კაცი თავისს გულში ცოდვებზე სწუხს. იესო ქრისტეს მოწაფენი დაახლოვებულნი იყვნენ ღმერთთან, მაცხოვართან ცხოვრებდნენ, მაშინ მათ მწუხარება არ შეეძლოთ, ეს დღეები მათთვის სამხიარულო იყო და ამიტომ არ მარხულობდნენ. მოვლენ დღენი, როცა მაცხოვარი განშორდება მათ, მაშინ ისინი იგრძნობენ მწუხარებას და იმარხულებენ კიდევაც). ეს სწავლა იესო ქრისტემ წარმოსთქვა ფარისევლების საპასუხოთ შემდგომ სიტყვებში: „ვერ ხელეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე სიძე იგი მათთანა არს, მარხვად. არამედ მოვლენან დღენი, ოდეს ამაღლდეს სიძე იგი მათგან და მაშინ იმარხვიდენ მას ღღესა შინა“. ამ გვარად, იესო ქრისტეს მარხულობა არ გაუუქმებია, არამედ გამოსთქვა, რომ მარხულობა არის გარეგანი გამოხატულება სულიერი მდგომარეობისა, ანუ გარეგანი ფორმა, წესი. მაშასადამე, როგორც გარეგან ფორმას იმის შესაფერად აკეთებენ, რაც შიგ უნდა ჩააწყონ, ეგრეთვე მარხულებაც იმ რწმენას უნდა შეეფერებოდეს, რომელიც იმყოფება კაცის სულში. იესო ქრისტემ მოიტანა ახალი სწავლა და ამ სწავლამ ახალი ფორმა უნდა შეისხას,

ახალი წესი. ძველი წესი ისე არ ვარგა ახალი სწავლისთვის, როგორც ძველი თხიერი (გუდა, ტიკი) ახალ ღვინისთვის ახალი საკერებელი ძველი ტანისამოსისთვის. ამის განსამარტებლად იესო ქრისტემ უთხრა მათ შემდგომი იგავი: „არა ვინ ახალი სამოსლის სადგმელს (საკერებელს) ძველ სამოსელს არ დააკეროს, რომ სამოსელი უფრო არ გაიხეს. ახალ ღვინოს ძველ თხიერში არა ვინ შთაასხამს, რომ ახალ ღვინომ ძველი თხიერი არ გახეთქოს და ღვინო დაიღვაროს და თხიერიც გაფუჭდეს; არამედ ახალი ღვინო ახალ თხიერში ჩაასხან და ორივენი შეინახებიან. არა ვინ, ძველი ღვინის მსმელი, მაშინვე ახალ ღვინოს არ მოინდომებს, ვინაიდგან იტყვის: ძველი სჯობიაო“.

მეოთხე წელიწადი ქრისტეს მსახურებისა.

§ 28. განკურნება განრღვეულისა ცხოვართა საბანელთან.
(იოან. 5, 1—16).

იესო ქრისტე ურიების დღესასწაულის დროს იერუსალიმში მივიდა. იქ სამსხვერპლო ცხვრების გასაჩერებელ კარებში იმ დროს საბანელი ტბა იყო, ხოლო ტბასთან ხუთი სტოვა (თაღიანი ოთახები). მას ერქვა ებრაულად ბითეზდა (მოწყალების სახლი). მასში იყვნენ მრავალი უძლურნი: ბრმები, კოჭლნი, ავადმყოფობიდგან გაშხმარნი და წყლის ამღვრევას მოელოდნენ, ამიტომ რომ ხან და ხან ანგელოსი უფლისა გარდამოდიოდა, საბანელში წყალს აამღვრევდა და რომელიც ავადმყოფთაგანი ამღვრეულ საბანელში პირველად ჩავიდოდა, ყოველივე სენისაგან განიკურნებოდა. იქ იწვა 38 წელიწადი ერთი უძლური — განრღვეული. იესომ დაინახა ის და უთხრა: „გსურს, რომ განიკურნო?“ განრღვეულმა მიუგო: „უფალო! კაცი არ მყავს, რომ საბანელში ჩამსვას, როცა წყალი აიმღვრევა; სანამ მე ვიდოდე, ჩემს უწინ სხვა ჩადის და იკურნება“. იესომ უთხრა: „აღსდეგ, აიღე ლოგინი შენი და წადი“. კაცი იგი მაშინვე განიკურნა, ადგა, თავისს ლოგინი წაიღო და წავიდა. ეს დღე შაბათი იყო. ურიებმა უთხრეს მას: „დღეს შაბათია, ლოგინის წაღება ცოდვაა“. მან უთხრა მათ: „ვინც გან-

მკურნა, მან მითხრა: აიღე ლოგინი შენი და წადიო“. „ვინ არის ის კაცი?“ ჰკითხავდენ მას ურიები. მან ვერა მიუგო რა მათ, რადგანც იესოს ვერ იცნობდა და ხალხში ვერ იპოვა იგი. მერმე იესო მივიდა მასთან და უთხრა: „აჰა, განიკურნე, ნულარ სცოდავ, რომ რაჲმე უარესი არ შეგემთხვეს“. განკურნებულმა გაიგო, რომ ის იესო არს, წავიდა და ურიებს უთხრა, ვინ განკურნა იგი. ამიტომ ურიები სდევნიდნენ იესოს და მისი მოკვლა უნდოდათ, რომ ეგეთ საქმეებს შაბათს იქმსო.

---

§ 29. იესო ქრისტე თავისს თაკს აცხადებს

მობს, არამედ მოწმობენ Იოანე ნათლის მცემელი, თვითონ საქმენი მისნი (სასწაულნი), მამა ზეციერი და საღვთო წერილის წიგნები. Ამის შემდგომ Იესო ქრისტე იერუსალიმიდგან გალილიაში წავიდა და მრავალი ერი მიყვებოდა მას.

§ 30. იესო ქრისტეს სწაკლა შაბათ დღის უქმობასე.

(მარკ. 2, 23—28; 3, 1—12; მათ. 12, 1—21; ლუკ. 6, 1—11).

Ამის შემდგომ, რაც Იესო ქრისტემ შაბათ დღეს განრღვეული განკურნა, მას ფარისევლები თვალყურს ადევნებდნენ, რათა, თუ შაბათის უქმობა მან კიდევ დაარღვია, ხალხის წინაშე ამხილონ იგი. შემთხვევა მალე მოხდა: პასექის პირველი დღის შემდგომ მეორე შაბათს Იესო ქრისტე თავისს მოწაფეებითურთ ყანების მახლობლად მიდიოდა. მოწაფეებს მოშივდათ და გზაზე ყანის თავთავებს დაუწყეს გლეჯა, ხელით ფშვნა და ჭამა. ეს ფარისევლებმა დაინახეს და ქრისტეს უთხრეს: „შეხედე, შენი მოწაფენი შაბათს იმას შვრებიან, რაც არ უნდა ქმნან. ჭამა შაბათს არ იყო აღკრძალული, მხოლოდ თავთავის გამოფშვნა ფარისევლებმა ლეწვას შეადარეს და Იესოს მოწაფენი რჯულის დამარღვეველად ჩათვალეს. მაგრამ მოწაფეებმა ეს მიუცილებელ საჭიროების გამო ჩაიდინეს, ამიტომ ისინი რჯულის დამარღვეველად არ ჩაითვლებოდნენ. Იესომ უთხრა ფარისევლებს: „ნუ თუ თქვენ არ მოგიკითხავთ, Დავითმა რა ჰქმნა, როდესაც მას და მასთან მყოფთ მოშივდათ; Აბიათარ მღვდელთ მთავრის დროს ის როგორ შევიდა Ღვთის სახლში და თვითონაც ჭამა პურნი შესაწირავნი და მასთან მყოფთაც მისცა, რომელთაც არ უნდა ეჭამათ, გარდა მღვდლებისა? ანუ არ აღმოგიკითხავთ, რომ შაბათ დღეებში მღვდლები ტაძარში შაბათს არღვევენ (მსხვერპლის შეწირვის დროს შრომობენ) და უდანაშაულონი არიან? თქვენ რომ იცოდეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვები: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი“ (ოს. 6. 6.) მაშინ არ გაკიცხავდით უბრალოებს. შაბათი კაცისათვის არს და არა კაცი შაბათისათვის.

შენიშვნა: სიტყვები: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი“, იმას კი არ ნიშნავს, რომ Ღმერთმა უარ ჰყო მსხვერპლი. რომელიც თვითონ

დაწესა, არამედ იმას ნიშნავს, რომ მას წყალობის მაგიერ მსხვერპლი ა
ენდა, რომ ის მსხვერპლზე უპირატესობას აძლევს კაცთადმი მოწყალებას

ამის შემდგომ შაბათს იესო შევიდა თორაში და ხალხ
ასწავლიდა. იქ ი[illegible] კაცი, რომელსაც მარჯვენა ხელი გამხმარ
ჰქონდა. იესომ უთხრა მას: „დადექ შუა ადგილზე“. ის გამოვიდ
და დადგა, იესო ქრისტემ ჰკითხა იქ მყოფ ფარისევლებს: „გკითხა
მე თქვენ: რის ქმნა შეიძლება შაბათს? კეთილის თუ ბოროტის?
სულის ცხოვნება თუ წარწყმედა?“ ისინი ჩუმად იყვნენ. შფალმა
იმათ რისხვით შეხედა, ხოლო ხელ გამხმარ კაცს უთხრა: „განირთხ
(გაჭიმე) ხელი შენი“. მან გაჭიმა ხელი თვისი და მოურჩა იგი,
როგორც მეორე. მწიგნობრები და ფარისევლები ძლიერ განრის-
ხდნენ, თორიდან გამოვიდნენ და ერთმანეთში რჩევა ქონდათ
მასზედ, თუ იესო როგორ დაღუპონ. იესო მიწაფეებითურთ გან-
შორდა მათ და გალილიის ზღვისკენ წავიდა. მას მიჰყვებოდა ერი
მრავალი და იესო კურნავდა მათ უძლურებს.

---

§ 31. თორმეტი მოციქულის აღრჩევა. (ლუკ. 6, 12—16; მათ. 10, 1—4; მარკ. 3, 13—19).

გალილიაში მყოფობის დროს იესო აღვიდა მთაზედ სალო-
ცავად და მთელი ღამე დაჰყო ლოცვაში. გათენებისას მან მოუ-
წოდა თავისს მოწაფეებთაგან იმათ, ვინც თვითონ უნდოდა და
ამოირჩია ისინი მოციქულებად. მოციქულები იყვნენ თორმეტნი.
ანდრია პირველ წოდებული, ძმა მისი სვიმონ, რომელსაც იესომ
დაარქვა პეტრე, იაკობ და იოანე—ძენი ზებედესნი, ფილიპე
ბართლომე, თომა, მატთე, იაკობ და იუდა, რომლებიც იწო-
დებოდნენ შფლის ძმებად, სვიმონ კანანელი, რომელიც იწოდე-
ბოდა მოშურნედ და იუდა ისკარიოტელი, რომელმანც გასცა
ქრისტე. მოციქულები განუშორებლად იყვნენ იესოსთან და
ისმენდნენ მის სწავლას; განშორდებოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა
იესო გაგზავნიდა მათ საქადაგებლად.

---

32. მთაზედ იქმული ქადაგება. (მათ. 5, 6 და 7 თ. ლუკ. 6, 17—49).

მოციქულების აღრჩევის შემდგომ იესო ქრისტე მათთან ერთად მთის წვერიდგან ჩამოვიდა და ვაკე იდგილზე გაჩერდა. იქ მოელოდნენ მას მისი მოწაფენი და მრავალი ხალხი, სხვა და სხვა კუთხიდგან მოსული მის სწავლის მოსასმენად და სენისაგან განსაკურნებლად, და მრავალნი განიკურნებოდნენ. ხალხი ცდილობდა მიახლოვებოდა და შეხებოდა მას, ამიტომ რომ მისგან გამოდიოდა ძალა და კურნებდა ყველას. ბევრი ფიქრობდა: მან ამოირჩია მოციქულები, სჩანს, მალე დააწესებს ღვთის სასუფეველს, რომელსაც დიდი ხნიდან მოელოდნენ. ამიტომ იესო ქრისტემ მოისურვა დაენახვებია—გამოეცხადებია ხალხისთვის: როგორი იქმნება მისი სასუფეველი, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, რომ შევიდეს მის სასუფეველში. ის აღვიდა მაღლობ ადგილზე და დაჯდა. მას გარშემოეხვივნენ მოწაფენი. იესომ აღიხილნა თვალნი თვისნი, შეხედა მათ და დაიწყო სწავლება:

ცხრა ნეტარებაზე: 1) „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“. სულით გლახაკნი არიან ისინი, რომელნიც გრძნობენ, რომ მათ ღვთოდ არაფერი არ შეუძლიათ, მათ მხოლოდ ღვთის იმედი აქვთ და ყოველთვის ღვთისადმი მიიქცევიან მოწყალებისათვის. 2) „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ“. ბულით მგლოვარე არის ის, ვინც სწუხს თავის ცოდვებზე. 3) ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. მშვიდი=წყნარი, მშვიდობიანი, უწყინარი. 4) „ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყურიოდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ“. მშიერი და მწყურვალე სიმართლისათვის ის კაცია, რომელსაც სულით და გულით სურს სიმართლე, წმიდა და უმანკო ცხოვრება. 5) „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ“. მოწყალე=მოწყალების გამცემი, გლახაკთ შემბრალე. 6) „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. წმიდანი გულითა ისინი არიან, რომელნიც გულში არ

გაიტარებენ ბოროტ განზრახვას, ბოროტ გულისთქმას. 7) „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისა იწოდნენ". მშვიდობის მყოფნი ისინი არიან, რომელნიც მუდამ ცდილობენ, რომ ვინც ერთმანეთთან უკმაყოფილონი არიან, შეარიგონ და მაი შორის მოსპონ უთანხმოება, შური, მტრობა და დანერგონ სიყვარული, ერთობა და ძმობა. 8 და 9) „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა. ნეტარ იყვნენ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და ყოველრიდენ და სთქვან ყოველივე სიტყვა ბოროტი სიცრუით ჩემთვის; გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდარს ცათა შინა". სიმართლისათვის დევნულნი ისინი არიან, რომელნიც, თუ საჭირო იქმნა, თავიანთ თავს სიმართლეს შესწირავენ, ე. ი. მოითმენენ ლანძღვას, დაცინვას, განკიცხვას, დევნას, წვალებას და ტანჯვას და თუ შეხვდა სიკვდილსაც სიმართლისათვის, ჰეშმარიტებისთვის და ქრისტეს სარწმუნოებისთვის.

ქრისტეს მოწაფეების მაღალ დანიშეულებაზე. იესო ქრისტემ უთხრა თავისს მოწაფეებს: „თქვენ ხართ მარილნი ქვეყანისანი". (როგორც მარილი ინახავს საჭმელს დამპლობისაგან და განხრწნისაგან, ეგრეთვე ქრისტეს მოწაფენი უნდა იცავდნენ კაცობრიობას ბიწიერებისაგან. როგორც მარილი საჭმელს გემოს აძლევს, ეგრეთვე ქრისტეს მოწაფენი თავისს სწავლით უნდა ატკბობდნენ კაცის ცხოვრებას). „თქვენ ხართ ნათელი სოფლისა. ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა".

ძველი აღთქმის მცნებების განმარტებაზე. „ნუ ფიქრობთ, რომ მე მოვედი მოსეს სჯულის ანუ წინასწარმეტყველთა სწავლის დასარღვევად. მე მოვედი არა დასარღვევად, არამედ აღსასრულებლად (და აღსავსებად). უმალეს წარხდეს ცა და ქვეყანა, ვინემ აუსრულებლად დარჩეს სულ ცოტა რამე სჯულისაგან. თუ სიმართლე თქვენი არ აღემატოს მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა.

მეექვსე მცნების განმარტებაზე: „თქვენ გსმენიათ (გაგი-

ონიათ), რა ითქვა წინაპართა მიმართ: არა კაც კლა, ხოლო
ომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა. (ბამოს. 20. 13).
ოლო მე გეტყვი თქვენ: რომელი ცუდ უბრალოდ განურისხდეს
მასა, თანამდებ არს სასჯელისა, და რომელმან უთხრას ძმასა:
აკა (საძაგელ), თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად; რო-
ელმან უთხრას თავისს ძმას: ცოფ, თანამდებ არს იგი გეენიასა
ეცხლისასა. ამიტომ უკეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხე-
ელზე და გაგახსენდეს შენ, რომ ძმა შენი გულძვირად არის
ენთან, დატოვე შესაწირავი საკურთხევლის წინ, მიდი, პირველად
ენ ძმას შეურიგდი და მერმე მოდი და შესწირე შესაწირავი შენი".

მეშვიდე მცნების განმარტებაზე: „თქვენ გაგიგონიათ,
ა ითქვა: არა იმრუშო. (გამოს. 20, 14), ხოლო მე გეტყვი
ქვენ: რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქმით, მან იმრუშა
ისთანა გულსა შინა თავისსა. **თ**უ თვალი შენი მარჯვენე გაცდუ-
ებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან. თუ მარჯვენე
ელი შენი გაცდუნებდეს შენ, მოიკვეთე იგი და განაგდე შენგან.
ინაიდგან შენთვის უმჯობესია, რომ ერთი ასოთა შენთაგანი
არწყმდეს და არა მთელი სხეული შენი შთავარდეს გეენიასა". ე.
მოერიდე ყოველ საცდურს. **ფ**იცზე თქვენ კიდევ გაგიგონიათ:
ი დაარღვიო ფიცი, არამედ აღასრულე წინაშე **უ**ფლისა ფიცი
ენი (ლევ. 19, 12; მეორ. სჯ. 23, 21). **ხ**ოლო მე გეტყვი
ქვენ: სრულიად ნუ ფიცავ ნუცა ცასა, ნუცა ქვეყანასა, ნუცა
რუსალიმსა, ნუცა თავსა შენსა, არამედ იყავ სიტყვა შენი: ჰე,
და არა, არა". **ე**. ი. ჩვენ ყოველთვის მართალს უნდა ვლაპა-
კობდეთ და ერთი მეორეს არ ვატყუვლებდეთ, თუ ასე მოვი-
ევით, მაშინ ფიცი სრულიად საჭირო არ არის.

შეურაცხების მიტევებაზე **და** მახლობელთა სიყვა-
ელზე: „თქვენ გაგიგონიათ, რაც თქმულ არს: თვალი თვალისა
ლ და კბილი კბილისა წილ (გამოს. 21, 24). **ხ**ოლო მე გეტყვი
ვენ: ნუ ეწინააღმდეგები ბოროტს. **ა**რამედ ვინც შემოგარტყას
ჯვენა ყვრიმალში, მიუპყარ მას მარცხენეც". **ე**. ი. ბოროტის
ლ ნუ მიაგებ ბოროტსა, **შ**ურს ნუ იძევ, რადგანც შურის ძიება
არიბს (ამტკიცებს) ...

კაცს უნდა მიუტეო შეურაცხება და მაშინ დამკვიდრდება კაცთა შორის სიყვარული. „თქვენ გაგიგონიათ, რაც თქმულ არს: შეიყვარო მოყვასი შენი და მოიძულო მტერი შენი. (ლევ. 19, 17—18). ხოლო მე გეტყვი თქვენ: გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა, კეთილს უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ილოცევდით მათთვის, რომელნი გმძლავრობდენ თქვენ და გდევნიდენ თქვენ, რათა იყვნეთ თქვენ შვილ მამისა თქვენისა ზეცათასა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და სწვიმს მართალთა ზედა და ცრუთა. იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს.“

მოწყალებაზე, ლოცვაზე და მარხვაზე: ქრისტე გვასწავლის, რომ მოწყალება უნდა გავსცეთ ფარულად და არა ხალხის შესახედავად: „ეკრძალენით ქველის საქმესა თქვენსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა. რაჟამს ყოფდე ქველის საქმესა, ნუ სცნობს მარცხენე შენი, რასა იქმოდეს მარჯვენე შენი. რათა იყოს ქველის საქმე შენი ფარულად და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულსა, მოგაგოს შენ ცხადად. ეგრეთვე როცა ილოცვიდე, შედი შენ ოთახში, კარები დახურე და ფარულად ილოცე. ლოცვის დროს ნუ მრავალსა იტყვით, როგორც შვრებიან წარმართნი და ფიქრობენ, რომ მრავალ მეტყველებითა მათითა ისმინოს მათი. თქვენ თხოვადმდე იცის მამამან თქვენმან, რაც თქვენთვის საჭიროა“. იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ჩვენ თუ არ მიუტევეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არც ღმერთი მოგვიტევებს ჩვენ შეცოდებას: „უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან. ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არც მამამან თქვენმან მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი. მარხულობის დროს ნუ იქმნებით მწუხარე, როგორც ორგულნი, რომლებიც სხვებს ეჩვენებიან მმარხველად. როცა მარხულობდ იცხე თავსა შენსა (ზეთი) და დაიბანე პირი შენი; ნუ ეჩვენებ კაცსა მმარხველად, არამედ მამასა შენსა ზეცათასა ფარულად დ მამამან შენმან ზეცათამან, რომელი ხედავს დაფარულსა, მოგაგო შენ ცხადად.

Იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ჩვენ სხვა კაცი არ უნდა ანვკიცხოთ, არ უნდა დავძრახოთ: „ნუ განიკითხავთ, რათა არა ანკითხნეთ. რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, ანიკითხნეთ და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს ქვენ. ანუ რასა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და ვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი; ანუ ვითარ რქვა ძმასა ენსა: მაცადე და აღმოგიღო წველი თვალისაგან შენისა; და აჰა გერა დვირე თვალსა შინა შენსა; ორგულო! აღმოიღე პირ-ელად დვირე თვალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად ველი თვალისაგან ძმისა შენისა“. ე. ი. შენ ვერ ამჩნევ შენ დიდ აკლულვანებას, ხოლო სხვის მცირე ნაკლულევანებას კი ხედავ; ერ შენი ნაკლულევანება მოიშორე, ჯერ თავი შენი გაისწორე ა მერმე სხვისი ნაკლულევანება გაასწორე. „ყოველი, რომელი ინდეს თქვენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათდა ამართ“.

Იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ღმერთი დაუცხრომელად ქმედობს, მუდამ დროს ზრუნავს თავისს ქმნილებაზე: ყოველ თილს ეწევა, ბოროტებას სპობს, ან კეთილ გზაზე მიაქცევს; ავლის შემძლებლობით და სიბრძნით ყოველ ქმნილებას იფარავს ა ღვთის უნებურად არა რა იქმნების: „ნუ ზრუნავთ სულისა ქვენისათვის, რა სჭამოთ და რა სვათ, ნუცა ხორცთა თქვენთა-ის, რა შეიმოსოთ. მიხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა ესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა და მამა თქვენი ცათა ზრდის მათ, არა თქვენ უმჯობეს ხართა მფრინველთა?“

Იესო ქრისტე გვასწავლის: გული წმიდით უნდა ვსთხოვოთ ერთს და ის მოგვცემს ყოველივეს, რაც გვჭირდება: „ითხოვდით მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და პოოთ, ირეკდით და განგეღოს ვენ. ვინ არს თქვენგანი ისეთი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე ისი პურსა, ნუ თუ ქვა მისცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, თუ გველი მისცეს მას? უკეთუ თქვენ ბოროტთა იცით მისა-ველი კეთილი მიცემად შვილთა თქვენთა, რაოდენ უფროს ღა ამან თქვენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვ-ნ მას“.

Იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ყოველმან კაცმან კეთილ
საქმე უნდა ქმნას და მარტო ლოცვა, ანუ თხოვნა არ კმარ
სასუფეველში შესასვლელად. ლოცვას ჩვენ უნდა შეუერთო
კეთილი საქმე, უნდა ვიყოთ ღვთის ნების აღმასრულებელი
„ყოველმან ხემან, რომელმან არა ჰყოს ნაყოფი კეთილი, მოეკვ
თოს და ცეცხლსა დაედვას. ნაყოფთა სამე მათთაგან იცნეთ იგინ
არა ყოველმან, რომელმან მრქვას მე: უფალო! უფალო! და შევ
დეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ჰყოს ნებ
მამისა ჩემისა ზეცათასა".

„ისინი რომლებმაც ისმინეს სიტყვანი ესე ჩემნი და აღ
სრულნეს, ვამგზავსო კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლ
თვისი კლდესა ზედა და ვერც წვიმამ, ვერც მდინარემ და ვერ
ქარმა ვერ დაანგრია ის, ამიტომ რომ დაფუძნებული იყო კლდ
ზე. ხოლო ის, რომელმან ისმინა სიტყვა ჩემი და არ აღასრულ
იგი, ემგზავსოს კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თვის
ქვიშაზე, მოვიდა წვიმა, ადიდდა მდინარე, ქროდეს ქარნი დ
ეკვეთნეს (ძლიერ ეძგერა) სახლსა მას და დაეცა სახლი იგი"
როცა იესო ქრისტემ გაათავა ქადაგება, ხალხს უკვირდა სწავლებ
მისი, ვინაიდგან ის ასწავლიდა, როგორც უფლების მქონებელ
და არა როგორც მწიგნობარნი და ფარისეველნი.

---

§ 33. ასისთავის მოსამსახურის განკურნება
(ლუკ. 7, 1—10; მათ. 8, 5—13).

მთაზედ თქმულ ქადაგების შემდგომ იესო ქრისტე შევ
კაპერნაუმს, სადაც იყო ავად მყოფი მოსამსახურე (მონა) ას
თავისა. ასის თავი წარმართთაგანი იყო, მაგრამ, რაკი იეს
სასწაულთ მოქმედება გაიგო, დარწმუნდა, რომ მისი მონის გ
კურნება ქრისტეს შეუძლია. მან იესოსთან გაგზავნა მოხუცებულ
ურიანი, რომ მათ ქრისტეს სთხოვონ ასისთავის მონის განკურნ
ურიანი მივიდნენ იესოსთან და უთხრეს, რომ ის ღირსია ამ
მას უყვარს ჩვენი ერი და მან აღგვიშენა ჩვენ შესაკრებელი (სალ
ანუ სახლი ლოცვა) იესო წაყვა მათ, მაგრამ როგორც კი მ

ახლოვდა ასისთავის სახლს, ასისთავი გამოეგება მას და უთხრა: „შფალო! არა ღირს ვარ მე, რომ ჩემ სახლში შამოხვიდე, არამედ სიტყვით სთქვი და განიკურნოს მონა იგი ჩემი: მეც კაცი ვარ ხელმწიფებასა ქვეშე და მქონან ჩემ ქვეშე ერისაგანი და ვარქვ მას: წარვედ და წარვიდის, და სხვასა: მოვედ და მოვიდის, და მონასა ჩემსა: ჰქმენ ესე და ჰქმნის“. ესმა რა ესე იესოს, დაუკვირდა სარწმუნოება მისი და უთხრა ვარშემო მყოფ ერს: „გეტყვი თქვენ, არცაღა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნოება ვპოვე. ბევრი წარმართთაგანი სცხონდნენ, ხოლო ძენი ისრაილიანი წარწყმდენ, ხოლო ასისთავს უთხრა: „წარვედ და ვითარცა გრწმენა გეყავნ შენ“. და განიკურნა მონა მისი მაშინვე.

---

§ 34. ნაინელ ქვრივის ძის აღდგინება. (ლუკ. 7, 11—17)

კაპერნაუმიდგან იესო ქრისტე ქალაქ ნაინს წავიდა. მას მიყვებოდნენ თავისს მოწაფენი და ერი მრავალი. როცა მიეახლა ქალაქის კარებს, დაინახა, მკვდარს მოასვენებდნენ—მკვდარი იყო ხოლოდ შობილი ძე ნაინელ ქვრივისა, რომელიც მწარედ სტიროდა. იესოს შეეწყალა იგი და უთხრა მას: „ნუ სტირი“. მივიდა და ცხედარს ხელი შეახო. ცხედარი გაჩერეს. იესომ უთხრა მკვდარს: „ჰაბუკო! შენ გეტყვი, აღსდეგ“. მკვდარი გაცოცხლდა, ადგა წამოჯდა და ლაპარაკი დაიწყო. იესომ მისცა იგი დედას. ყველა შეშინდა, დაიწყეს დიდება ღვთისა და ამბობდნენ: „წინასწარმეტყველი დიდი აღდგომილ არს ჩვენ შორის. ღმერთმა მოხედა ერსა თვისსა“.

---

35. იესო ქრისტესთან მიგზავნა იოანეს მიერ თავისს მოწაფეებისა. (ლუკ. 7, 18—35; 10, 12—15; მათ. 11, 2—30).

როცა იოანე ნათლის მცემელი უკვე საპყრობილეში იყო, ესმა მოწაფეებმა უამბეს მას იესო ქრისტეს სასწაულებზე. იოანემ, რათა დაარწმუნოს ისინი, რომ იესო არის მესია (ქრისტე), მოუწოდა ორ თავისს მოწაფეთაგანს და ისინი იესო ქრის-

ტესთან გაგზავნა საკითხავად: „შენ ხარა ის, რომელიც უნდ
მოსულ იყო, თუ სხვასა მოველოდეთ?“ როცა Iოანეს მოწაფენ
Iესოსთან მივიდნენ და ესრეთ ჰკითხეს, Iესომ ბევრი სნეულ
განკურნა: კეთროვანნი განწმინდა, ეშმაკნი განასხა, ბრმებ
თვალნი აღუხილნა და პასუხად Iოანეს მოწაფეებს უთხრა: „წადი
და უთხართ Iოანეს, რაც თქვენ ნახეთ და გაიგონეთ: ბრმებ
აღიხილვენ, კოჭლნი ვლენან, კეთროვანი განიწმინდებიან, ყრუთ
ესმით, მკვდრები აღსდგებიან და გლახაკთა ეხარების. Dა ნეტა
არს რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ“. Rოცა Iოანე
მოწაფენი წავიდნენ, ხალხს Iოანეს შესახებ ეჭვი დაებადა: წინე
Iოანე ხალხს ეუბნებოდა Iესოზე, რომ ის მესია არისო, ეხლ
Iესოს მოწაფენი მიუგზავნა და ჰკითხა; შენ ხარ მესია, თუ სხვ
უნდა მოველოდეთო. Mაგრამ ეს ეჭვი Iესო Cრისტემ მათშორი
განაქარვა. Mან Iოანეს შესახებ ხალხს უთხრა: „რის სანახავ
გამოხვედით უდაბნოში? ლერწმისა ქარისაგან შერყეულისა? რ
სანახავად გამოხვედით? კაცისა რბილ სამოსლით შემოსილის
ვინც რბილ სამოსლით შემოსილია ის სამეფო სასახლეში იმყო
ება. Rის სანახავად გამოხვედით? წინასწარმეტყველისა? ჰე, გეტყ
თქვენ, უმეტეს წინასწარმეტყველისა. Eს არის, რომლისათვ
დაწერილ არს: აჰა წარვავლინო ანგელოსი ჩემი წინაშე პირ
შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა (მალა
3, 1). Cეშმარიტად გეტყვი თქვენ დედის ნაშობთაგან არ არ
წინასწარმეტყველი უდიდეს Iოანესა, იგი არს Iლია, რომელ
მოვალს. Aმის შემდგომ Iესო Cრისტემ ურწმუნონი, (რომელნ
არც Iოანეს ერწმუნენ და არც თვითონ Cრისტეს), შეადა
ახირებულ ბავშებს, რომლებსაც არც ლხინში და არც ჭირში
უნდათ ითამაშონ ამხანაგებთან, და რომლებსაც ამხანაგები ეუბნ
ბიან: „ჩვენ უკრავდით თქვენთვის სალამურს და თქვენ არ თ
შობდით, ჩვენ გიგალობდით თქვენ სამგლოვიარო გალობას
თქვენ არ ტიროდით“. Iმ ბავშებსავით იქცევიან ურწმუნონ
მოვიდა Iოანე, არცა სჭამდა, არცა სმიდა და იტყვიან: ეშმ
არის მასშიო. Mოვიდა ძე კაცისა, სჭამს და სვამს,
იტევიან: აჰა კაცი მჭამელი და ღვინის მსმელი, მეგობარი მეზ
რეთა და ცოდვილთა“. Mაშინ დაუწყო Iესომ ყველრება ქალაქ

ორაზინს, ბეთსაიდას და კაპერნაუმს, სადაც მან ბევრი სასწაუ-
ები ჰქმნა, მაგრამ ისინი არ ერწმუნენ, და ადიდებდა მამა
მერთს იმისთვის, რომ მან გამოუცხადა ჭეშმარიტება არა ბრძენ-
ა და მეცნიერთა, არამედ უბრალო კაცებს. მერმე ხალხს
უბრუნდა და უთხრა: ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ;
ა ვინ იცის ძე გარნა მამამან, და არცა მამა ვინ იცის, გარნა
ძან. მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი (დაღალულნი) და
ვირთ მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი
ვენზედა, და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ
ლითა და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა, რამეთუ უღელი
ი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს". ეს სიტყვები

ომ მალე დაამტკიცა საქმით, როცა მან ცოდვილ დედაკაცს
ადვები შიუტევა.

---

§ 36. იესო ქრისტე სვიმონ ფარისეველის სახლში
(ლუკ. 7, 36—50; 8, 1—3).

ერთხელ ერთმა ფარისეველმა, რომელსაც ერქვა სვიმონ.
ოქრისტეს სთხოვა მის სახლში მისულ იყო და მასთან პური
ჭა. იესო შევიდა მის სახლში და დაჯდა ჭამად პურისა. ამ
ის სვიმონის სახლში შამოვიდა ერთი ცოდვილი დედაკაცი,
ელმანც ძვირფასი ნელსაცხებელით (სუნნელოვანი ზეთით)
ე ალაბასტრის ჭურჭელი მოიტანა, იესოს ფეხებთან დადგა,
ოდა და იესოს ფეხებს ცრემლებით ასველებდა, თავის თმით
ორცდა, იესოს ფეხებს იამბორებდა (კოცნიდა) და ნელსაცხე-
ს სცხებდა. ფარისეველმა თავისს გულში იფიქრა: ეს თუ
სწარმეტყველი იყოს, ეცოდინებოდა: ვინ და როგორი დედა-
ა შეეხება მას; დედა კაცი ცოდვილია. იესომ იცოდა: ფარი-
ლი რას ფიქრობდა, მიუბრუნდა მას და უთხრა: „სვიმონ!
ა, რაჲმე გითხრა შენ". მან მიუგო: „მოძღვარ! მითხარი".
ლმა უთხრა: „ერთ ვინმე გამსესხებელს ორი მოკალე ჰყავდა:
ემართა ხუთასი დრაჰკანი, მეორეს — 50 და რადგანც ვალის
და არც ერთს არ შეეძლო, ორივეს აპატივა. ახლა მითხარი:

რომელი უფრო შეიყვარებს მას?“ სვიმონმა მიუგო: „ვფიქრობ
ის, რომელსაც მეტი აპატივა“. იესომ უთხრა მას: „სამართლა
საჯე“. (მართალს ამბობ). მერმე მიიხედა დედაკაცისაკენ
სვიმონს უთხრა: „ხედავ ამ დედაკაცს? შემოვედ შენ სახლში
შენ წყალი ფერთა ჩემთა არა მეც (ე ი. ფეხი არ დამბანე.
დროს ჩვეულება იყო სტუმარს ფეხს დაბანდენ), ხოლო მან ცრე
ლით დაალტვნა (დაასველა) ფერნი ჩემნი და თმითა თვისი
წარხოცნა; შენ ამბორის ყოფა არ მომეც მე, ხოლო ეს რა
შამოვიდა, იმ დროითგან მას არ შეუწყვეტია ამბორის ყო
ფერხთა ჩემთა. შენ თავზე ზეთი არა მცხე, ხოლო მან ნელსაც
ბელი სცხო ფერხთა ჩემთა, ამიტომ გეტყვი შენ: მიეტევნეს მა
ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რადგანც ფრიად შეიყვარა. ხოლ
რომელსა მცირედ მიეტეოს. მცირედცა შეიყვაროს. დედაკ
უთხრა: „მიგეტევნენ შენ ცოდვანნი შენნი“. იქ მყოფნი თავ
გულში ამბობდნენ: „ეს ვინ არის, რომ ცოდვებსაც მიუტევებ
იესომ უთხრა დედაკაცს: »სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შ
წადი მშვიდობით“.

ამის შემდგომ იესო ქრისტე მიმოვლიდა გალილიის ქალაქ
და სოფლებს და ქადაქებდა ღვთის სასუფეველზე. მას და
ბოდნენ 12 მოციქულნი, მარიამ მაგდალინელა, რომლისა
ქრისტემ შვიდი ეშმაკი განსდევნა, იოანნა—ცოლი ქოზ
სუსანნა და სხვანი მრავალნი დედანი მის მიერ განკურნებულ
ისინი მსახურებდენ მას თავიანთ შრომით და ქონებით.

---

§ 37. იგავი ქრისტესი მთესველზე. (მათ. 13, 1—23; მარკ. 1—25; ლუკ. 8, 4—15).

ერთხელ იესო ქრისტე გალილიის ზღვის კიდეზე მი
მასთან მრავალი ერი შეიკრიბა. თვითონ ნავში ჩაჯდა. ხალხ
ზღვის კიდეზე იდგა. იესომ დაიწყო ხალხის სწავლება ი
(მაგალითით ანუ მიმსგავსებით). მან წარმოსთქვა იგავი მთესვ
„ისმინეთ ესე: გამოვიდა მთესვარი თესვად, თესვის დროს
ლიმე თესლი დავარდა გზაზედ, მოფრინდენ მფრინველნ
შესჭამეს იგი, და სხვა დავარდა კლდოვან ადგილზე, სადაც

ოტა იყო, მალე აღმოცენდა, მზე ამოვიდა, დასცხა და, რადგან
ბიწის სიღრმე ცოტა იყო და ამის გამო ძირი ვერ გაიკეთა, გახმა.
ხვა დავარდა ეკალთა შორის და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშ-
ოვეს იგი და ნაყოფი ვერ გამოიღო. **Ს**ა სხვა დავარდა ქვეყანასა
კეთილსა და აღმოსცენდა და ჰყო ნაყოფი ასი წილი, სამოცი და
ოცდა ათი წილი. **რ**ომელსა ასხენ ყური სმენად ისმინენ". **შ**ემ-
დგომ როცა მოწაფეებთან მარტო დარჩა, მოწაფეებმა ჰკითხეს:
„რა არს იგავი ესე?" მან მიუგო: „აი რას ნიშნავს იგავი ესე:
თესლი არს სიტყვა **ღ**ვთისა. **მ**თესველი არის იგი, ვინც თესავს
ქადაგებს) **ღ**ვთის სიტყვას. **თ**ესლი, რომელიც გზაზე დავარდა,
ნიშნავს **ღ**ვთის სიტყვას, რომელიც ესმათ კაცთა გაფანტულთა,
ონება დაბნეულთა, მოვიდა ეშმაკი მათთან და წაიღო სიტყვა
იგი გულთაგან მათთა. **თ**ესლი, რომელიც კლდოვან ადგილზე
დავარდა, ნიშნავს **ღ**ვთის სიტყვას, რომელიც ესმათ კაცთა და
ბიხარულითაც მიიღეს, მაგრამ გაჭირვების და დევნის დროს და-
ივიწყეს სიტყვა იგი. **თ**ესლი, რომელიც დავარდა ეკალთა შორის,
ნიშნავს **ღ**ვთის სიტყვას, რომელიც ესმათ კაცთა და კიდეც მიიღეს,
საგრამ ქვეყნიურ სიმდიდრეზე ზრუნვამ დაავიწყა მათ სიტყვა
ღვთისა და ნაყოფი ვერ გამოიღო. **თ**ესლი, რომელიც დავარდა
კეთილ ადგილზე, ნიშნავს **ღ**ვთის სიტყვას, რომელიც ესმათ
კაცთა, რომელთაც მიიღეს იგი და იმარხვენ თავიანთ კეთილ და
ბმიდა გულში და მოაქვთ ნაყოფი მოთმინებით".

---

§ 38. იგავი კეთილ თესლზე და ღვარძლზე; იგავი მდო-
ვის მარცვალზე. (**მ**ათ. 13, 24—43; **მ**არკ. 4, 31—32; **ლ**უკ. 13,
18—19).

იესო **ქ**რისტემ უთხრა ხალხს სხვა იგავი: „ერთმა კაცმა
ავის ადგილში კეთილი თესლი დათესა. **რ**ოცა პატრონს ეძინა,
ივიდა მისი მტერი და დათესა ყანაში ღვარძლი (ცუდი ბალახი,
ომელიც მაწყინარ მარცვალს ისხამს) და წავიდა. **ა**ღმოსცენდა
ბეჯილი, გამოჩნდა ღვარძლიც. **ყ**ანის პატრონთან მოსამსახურენი
ოვიდნენ და უთხრეს: „შენ ადგილში კეთილი თესლი **ა**რ დას-

თესე? საიდან აღმოცენდა ღვარძლი?“ მან უთხრა: „მტერმან ჰქმნა ესე“. მოსამსახურეებმა უთხრეს: „თუ გნებავს მივალთ და გამოვარჩევთ მას“. „არა, უთხრა პატრონმა, ღვარძლის გამორჩევის დროს, რომ იფქლიც არ მოთხაროთ, მკამდი აცადეთ—ერთად აღიზარდონ; მკის დროს მომკალთა უბრძანებ: პირველად ღვარძლი შეკრიბეთ, ძნებად შეკარით და დასწვით იგი. იფქლი კი ჩემ საუნჯეში შეკრიბეთ“.

შემდგომ, როცა იესომ ხალხი დატოვა და სახლში შევიდა, მოწაფეებმა უთხრეს მას: «გამოგვითარგმანე (აგვიხსენი) ჩვენ იგავი ღვარძლისა“. იესომ უთხრა მათ: „მთესველი კეთილი თესლისა არს ძე კაცისა (იესო ქრისტე); ადგილი არს ეს ქვეყანა; თესლი კეთილი—ძენი სასუფეველისა; ღვარძლი—ძენი უკეთურისانი; მტერი, ღვარძლის დამთესი არის ეშმაკი; მკა არის ამ სოფლის აღსასრული; მომკალნი არიან ანგელოსნი. ქვეყნის აღსასრულის დროს ძე კაცისა მოავლენს თავისს ანგელოსებს, ისინი ყოველ პოროტის მოქმედთა და ცოდვილთა შეკრებენ სუფევისაგან მისისა და ცეცხლში ჩაყრიან. იქ იქმნება ტირილი და ღრჭენა კბილთა. მაშინ მართალნი გამობრწყინდებიან, როგორც მზე, სასუფეველსა მამისა მათისათა, რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ».

მერმე უფალმა უთხრა მათ სხვა იგავი: „სასუფეველი ღვთისა ესგავს არს მდოგვის მარცვლისა, რომელიც, თუმცა ყოველ მარცვალზე უმცროსია, მაგრამ, როცა დაითესება, აღმოცენდება და შეიქმნება უფროს ყოველთა მხალთა, ხე დიდ, (პალესტინაში მდოგვის მცენარე—მრავალ წლოვანია, იზრდება კარგა მოზდილ ხის ტოლა და მის რტოებზე ფრინველებს შეუძლიათ თავის შეფარება), გამოიღებს დიდრონ რტოებს და მის რტოებზე დაიბუდებენ მფრინველნი ცისانი». ამ იგავით იესო ქრისტემ ჩააგონა თავისს მოციქულებს, რომ სასუფეველი ღვთისა, წმიდა ეკლესია, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, თუმცა ახლა მცირე რიცხოვანია, მაგრამ თავის დროზე გავრცელდება ქვეყანაზე და განაახლებს კაცობრიობას.

§ 39. გალილეის ზღვაზე მძაფრი ქარის დაცხრომა

(მათ. 8. 23—27; მარკ. 4, 35—41; ლუკ. 8, 22—25).

ერთ საღამოს იესო ქრისტე თავისს მოწაფეებიანად ნავში ჩაჯდა და გადარინის ქვეყანას წავიდა. მას ნავის თავში დაეძინა. ზღვაზე ასტყდა მძაფრი ქარი, ზღვა აღელდა და ნავში წყალი ჩამოესხა. მოწაფეები შეშინდნენ, გააღვიძეს იესო და უთხრეს: «მოძღვარ! ვიღუპებით, თუ არ ზრუნავ ჩვენზე»? იესო ადგა, გაურისხდა ქარს და ზღვას; ქარი დაცხრა და შეიქმნა მყუდროება. მოწაფეებს უთხრა: „ეგრე რად შეგშინებიათ? რათ არა გაქვთ სარწმუნოება?" ძლიერ შეშინებულნი და გაკვირვებულნი მოწაფენი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: «ვინა არს ესე, რომ ქარიც და ზღვაც ემორჩილებიან მას»?

---

§ 40. ეშმაკეული კაცის განკურნება გადარინის ქვეყანაში.

(მარკ 5, 1—20; ლუკ. 8, 26—39; მათ. 8, 28—34).

იესო თავის მოწაფეებიანად გავიდა გადარინის ქვეყანას. იქ იმ დროს იყო ერთი ეშმაკეული კაცი, რომელიც თავისს სიგიჟით თავზარს სცემდა იქაურებს. ის ქალაქ გარეთ, გამოქვაბულ კლდეებში, ცხოვრებდა, სადაც ასაფლავებდნენ მიცვალებულებს, საშინლად ყვიროდა, თავში ქვას იცემდა, ტანისამოსს იგლეჯდა და იმ ადგილას, საცა ის იყო, არავის გავლა არ შეეძლო. ის რავდენმეჯერ ჯაჭვებით და ბორკილებით შეკრეს, მაგრამ ყოველთვის გლეჯდა და გაიქცეოდა ხოლმე, ვერა ვინ ვერ აკავებდა. როგორც კი დაინახა მან იესო ქრისტე, მივიდა მასთან, თაყვანისცა. მას და უთხრა: «რა საქმე გაქვს შენ ჩვენთან, იესო ძეო ღვთისა მაღლისაო? გაფიცებ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე». იესომ შეხედა და ჰკითხა: «რა არის სახელი შენი?» ეშმაკმა უთხრა: „ლეგეონ, ამიტომ რომ ბევრი ვართ». ქრისტემ უბრძანა ეშმაკს: «არა წმიდა სულო! განვედ მაგ კაცისაგან». იქ იყო ღორის კოლტი (ჯოგი); ეშმაკები შეევედრენ იესოს, რომ მას მათთვის კოლტში შესვლის ნება მიეცა. იესომ ნება მისცა. ეშმაკნი გამოვიდნენ იმ კაციდან

და ღორის კოლტში შევიდნენ. ეშმაკებიდგან შებყრობილი კაცი განიკურნა, ღორები კი, რომლებიც ორი ათასამდი იყვნენ, გადირიენ და ზღვაში ჩაცვივდნენ. მწყემსნი შეშინდნენ და ქალაქში გაიქცნენ და ეს ამბავი მოქალაქეებს უთხრეს. ისინი მივიდნენ ქრისტესთან და სთხოვეს, რომ იესო მათ ქვეყანას განშორებულ იყო. იესო ნავში ჩაჯდა და გალილიას წავიდა. განკურნებულმა სთხოვა იესო ქრისტეს, რომ ის წაეყვანა, მაგრამ ქრისტემ უთხრა მას: «წადი შინ და უამბე თქვენებურებს, რა გიყო შენ უფალმან». ის წავიდა და თავისს ქვეყანაში დაიწყო ქადაგება იესო ქრისტეზე.

---

§ 41. სისხლ-მდინარე ავადმყოფ დედაკაცის განკურნება და იაიროსის ასულის აღდგინება.

(მათ. 9, 18—26; მარკ. 5, 21—43; ლუკ. 8, 41—56).

ბადარინიდგან დაბრუნების შემდგომ იესო ასწავლიდა ხალხს ზღვის კიდეზე. ამ დროს მივიდა მასთან ერთი კაცი—მთავარი შესაკრებლისა—სახელით იაიროს. იესოს წინ დავარდა, თაყვანისცა და უთხრა მას: «ასული ჩემი სიკვდილის დღეზეა მიწევნილი, გთხოვ, მოხვიდე, ხელი დაადვა და განიკურნოს». იესო წაყვა მას. იესოს დიდ ძალი ხალხი ჰგაყვა და გზაზედ ავიწროებდენ მას. ხალხში იყო სისხლის დენით ავად მყოფი დედაკაცი, რომელსაც თავისს საცხოვრებელი ექიმობაში დაეხარჯა და ვერ განეკურნათ. ამ დედაკაცმა გამოიჩინა ძლიერი სარწმუნოება; მან იფიქრა: იესოს ტანისამოსს რომ შევეხო, განვიკურნებიო. მივიდა, შეეხო იესოს ტანისამოსს და განიკურნა. იესო მობრუნდა და სთქვა: «ვინ შემახო მე»? ყველა გაჩუმდა. მაშინ პეტრემ და სხვა მოციქულებმა უთხრეს: «მოძღვარ! გარშემო ხალხი გახვევია და გაიწროებს და შენ ამბობ: „ვინ შემახო მე?“ იესომ უთხრა: „მე ვსცან ძალი განსრული ჩემგან“. მაშინ მივიდა განკურნებული დედაკაცი და ყოველივე უთხრა იესოს. იესომ უთხრა მას; „ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; ვიდოდე მშვიდობით“

ამ დროს იაიროსის სახლიდგან მოვიდა კაცი და უთხრა

Იაიროსს: „ასული შენი მოკვდა, ნუ შეაწუხებ მოძღვარს“. Იესომ უთხრა Იაიროსს: „ნუ გეშინინ, მხოლოდ გრწმენინ და სცხოვნდეს იგი“. Იესო მივიდა Იაიროსისას. Იქ დიდი გლოვა და ტირილი იყო. Იესომ უთხრა მათ: „ნუ სტირთ, ყრმა ესე არა მომკვდარ არს, არამედ სძინავს“. Იქ მყოფთა ეს სიტყვები დაცინვით მიიღეს: ყველამ იცოდა, რომ ყრმა მკვდარი იყო. Მაგრამ Იესომ სახლიდგან ყველა დაითხოვა, გარდა გარდაცვალებულის დედ-მამისა, Პეტრე, Იაკობ და Იოანესა. Მსენი სახლში შეიყვანა, მკვდარს ხელი მოკიდა და უთხრა: «ყრმაო! აღსდეგ». Მკვდარი გაცოცხდა და აღსდგა. Იესომ ბრძანა, რომ ყრმისთვის საჭმელი მიეცათ. Ყრმის დედ-მამა ძლიერ განკვირდნენ. Იესომ უთხრა მათ, რომ ეს საქმე არა ვის არ უთხრან, და წავიდა Იესო იქიდგან.

---

§ 42. საქადაგებლად გაგზავნა თორმეტი მოციქულისა.

(Მათ. 10 თ., Მარკ. 6, 7—11; Ლუკ. 9, 1—6; 12, 1—19).

Იესო ქრისტემ ქალაქებში და სოფლებში სლვის და ქადაგების დროს ნახა, რომ ხალხი ისეა, როგორც ცხვრები უმწყემსოდ, შეეწყალა ისინი, მოუწოდა თავისს 12 მოციქულს და ისინი ორორი ერთად გაგზავნა საქადაგებლად. Გაგზავნის წინ მისცა მათ დარიგება და უთხრა: „მივედით ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაილისათა, უქადაგეთ, რომ სასუფეველი ცათა მოახლებულ არს, უძლურთა განკურნებდით, მკვდართა აღადგინებდით, ეშმაკთა განასხემდით. Გზაზე ნუ წაიღებთ ნუც ოქროს, ნუც ვეცხლს, ნუც სპილენძს, ნუც ხვირჯინს, ნუც ორ ტანისამოსს, ამიტომ რომ მუშაკი ღირს არს სასყიდლისა. Რომელ ქალაქშიაც შეხვიდეთ, გამოიკითხეთ ვინ არის იქ ღირსი და იქ დადეგით, სახლში რომ შეხვიდეთ, მოიკითხეთ და სთქვით: მშვიდობა სახლსა ამას; ვინც თქვენ მიგიღებს, მე მიმიღებს და ვინც მე მიმიღებს, მიიღებს მომავლინებელსა ჩემსა. Უკეთუ თქვენ არა ვინ შეგიწყნაროს და არცა სიტყვანი თქვენი ისმინოს, გამოხვიდეთ რა სახლიდგან ანუ იმ ქალაქიდგან, განიყარეთ მტვერი ფერხთა თქვენთა. Ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: უმოლხინეს იყოს ქვეყანა სოდომისა და გომორისა

დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი. მე გგზავნი თქვენ, როგორც ცხვრებს მგლებთან, იყვენით უკვე მეცნიერ (გაფრთხილებულ), ვითარცა გველნი და უმანკო ვითარცა ტრედნი. ბეტყვი თქვენ: ნუ გეშინინ მათი, რომელთა ხორცნი მოსწყვიდნენ და შემდგომად ვერა რა გიყონ თქვენ, არამედ გეშინოდენ მისა, რომელსა შემდგომად მოწყვედისა ხელემწიფების შთაგდებად გეენიასა. რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა, და რომელმან უარ მყოს მე წინაშე კაცთა, უარ ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა. რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს, და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს. რომელმან თქვენ შეგიწყნაროს, მე შემიწყნარა და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი". მოციქულები წავიდნენ და ხალხს უქადაგებდნენ სასუფევლის მოახლოვებას, ეშმაკებს განსხმიდნენ, სნეულთა სცხებდნენ ზეთს და განკურნებდნენ.

---

43. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა.

(მათ. 14, 1—12; მარკ. 6, 14—29; ლუკ. 9, 7—9).

ეროდი მეფემ ცოლად შეირთო თავისს ძმის ფილიპეს ცოლი—ეროდიადა. იოანე ნათლისმცემელი ამხილებდა მას ეგეთ უსჯულოებისათვის. ეროდიმ დაიჭირა იოანე, შებორკილა და საპყრობილეში შესვა. ბოროტი ეროდიადა ამით არ კმაყოფილდებოდა და იოანეს მოკვლა უნდოდა. თავისს ბოროტ განზრახვის აღსასრულებლად მან მალე იშოვნა მარჯვე დრო. თავისს შობის დღეს ეროდიმ ლხინი და წვეულება გამართა. ლხინის დროს გამოვიდა ეროდიადას ქალი და ითამაშა, (იცეკვა). მეფეს ძლიერ ესიამოვნა და ფიცით აღუთქვა, რასაც მთხოვ, მოგცემო. ქალი დედას დაეკითხა. დედამ დაარიგა, რომ იოანე წინამორბედის თავი ეთხოვა. ქალი მეფესთან მივიდა და უთხრა: „მსურს, რომ ეხლავე მომცე იოანე წინამორბედის თავი ლაკნით (თეფშით)". მეფე შეწუხდა, მაგრამ ფიცის გამო და რომ იქ მყოფთ წინაშე

ფიცი არ გაეტეხა, ბრძანა Იოანეს თავის მოკვეთა და მიცემა. მეხრმლე საპყრობილეში წავიდა, Იოანეს თავი მოკვეთა და ლაკნით ქალს მიუტანა და ქალმა დედას მიართვა. ეს სამწუხარო ამბავი Იოანეს მოწაფეებმა გაიგეს, მივიდნენ, შემოსეს გვამი Იოანესი და დაასაფლავეს. მერმე მივიდნენ და ეს ამბავი Იესო ქრისტეს უთხრეს.

ამის შემდგომ საქადაგებლად გაგზავნილნი მოციქულები დაბრუნდნენ Იესო ქრისტესთან და უამბეს მას ყოველივე, რაცა ჰქმნეს და ასწავეს.

Იოანე ნათლისმცემელის თავის კვეთას ვდღესასწაულობთ 29 აგვისტოს და ამ დღეს ვმარხულობთ.

§ 44. ხუთი პურით ხუთი ათასი კაცის გაძღომა.

(მათ. 14, 13—21; მარკ. 6, 32—44; ლუკ. 9, 11—17; Iოან. 6, 1—14).

Iოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის შემდგომ Iესო თავისს მოწაფეებიანად გალილიის უდაბნოში წავიდა. Iქ დიდ—ძალი ხალხი შეიკრიბა. Iესო ქრისტემ ქადაგება დაიწყო და მთელი დღე ასწავლიდა მათ. საღამოს მოციქულებმა უთხრეს Iესოს: „აქ უდაბნოა და დრო გვიანი, ხალხი გაუშვი, რომ იმათ მახლობელ სოფლებში საჭმელი იყიდონ“. Iესომ უბრძანა: „მიეცით მათ საჭმელი“. მოციქულებმა უთხრეს, რომ ამდენი ხალხის გაძღომა მათ არა გზით არ შეუძლიათ, რადგანც იმდენი საჭმელი არ აქვთ. Iესომ მოაკითხვინა პური. აღმოჩნდა, რომ ერთ ყმაწვილს ჰქონდა ხუთი პური და ორი შემწვარი თევზი. Iესომ მოატანინა ისინი, აიხედა ზეცას, აკურთხა პური, გატეხა და მისცა მოციქულებს, რომ იმათ ხალხისთვის დაერიგებიათ. ხალხი რიგ-რიგათ ას ასი, ორმოცდაათ—ორმოცდა ათი დასხდნენ, სჭამეს პური, განძღენ და კიდევ გადარჩათ. ხალხი იყო დედაკაცებს და ყმაწვილებს გარდა ხუთი ათასი. მოციქულებმა შეაგროვეს დანარჩენი და გამოვიდა 12 გოდორი. ყველას გაუკვირდა ეს საქმე და ამბობდნენ: „ნამდვილ ეს არის ის წინასწარმეტყველი, რომელიც უნდა მოსულ იყო ქვეყნად“. ხალხმა მოინდომა მისი მეფედ დაყენება, მაგრამ Iესო განშორდა მათ.

§ 45. სლვა ქრისტესი წყალთაზედა. (მათ. 14, 22—36; მარკ. 6, 45—56; იოან. 6, 15—21).

ხუთი პურით ხალხის გაძღომის შემდგომ იესომ უბრძანა მოციქულებს, რომ ისინი ნავში ჩამჯდარ იყვნენ და ზღვის მეორე მხარეს გასულ იყვნენ; თვითონ მთაზედ აღვიდა სალოცავად. ღამით ატყდა ძლიერი ქარი. ზღვა აღელდა და მოციქულების ნავს ძლიერ არყევდა. ბათენების წინ იესო წავიდა მათთან. ის წყალზე მიდიოდა. როცა მოციქულებს მიუახლოვდა, მოციქულებმა დაინახეს და შეეშინდათ: მოჩვენება რაჰმე ეგონათ. იესომ დაუძახა მათ: „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ“. პეტრემ უთხრა: „უფალო! თუ შენ ხარ, მიბრძანე მე შენთან მოსვლა წყალზე“. იესომ უთხრა: „მოდი“. პეტრე ნავიდგან გადმოვიდა და იესოსთან მიდიოდა წყალზე. მაგრამ ღელვის შეეშინდა და ჩაიძირა. მაშინ იესოს დაუძახა: „უფალო! მიხსენ მე“. იესომ ხელი მოკიდა და უთხრა: „მცირედ მორწმუნეო, რას შეუორგულდი?“ როცა ისინი ნავში ჩავიდნენ, ქარი დაცხრა. ნავში მყოფთ ძლიერ გაუკვირდათ ეს სასწაული, თაყვანისცეს იესოს და უთხრეს: „ჭეშმარიტად ძე ღვთისა ხარ შენ“. ამ დროს ნავიც მიადგა ნაპირს და გავიდნენ გენესარეთის ქვეყანაში. იქაურებმა იცნეს იესო და მასთან მოყავდათ ავად მყოფნი, რომ ისინი იესოს სამოსლის კიდეს შეხებოდნენ, რადგანც სამოსლის შეხებით ისინი იკურნებოდნენ. იქ იესო ქრისტემ ბევრი ავად მყოფნი განკურნა და მერმე კაპერნაუმს წავიდა.

---

§ 46. საუბარი ქრისტესი საიდუმლო ზიარებაზე. (იოან. 6, 22—71).

ხუთი პურით ხუთი ათასი კაცის გაძღომის შემდგომ, მეორე დღეს, ხალხმა დაუწყო ძებნა იესო ქრისტეს. ის იპოვეს კაპერნაუმის თორაში ზღვის მახლობლად, და ჰკითხეს მას: „მოძღვარ! როდის მოხვედი შენ აქ?“ იესო ქრისტემ მიუგო მათ: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ; თქვენ მეძებთ მე იმიტომ კა არა, რომ სას-

წაულები იხილეთ, არამედ იმიტომ, რომ სჭამეთ პური და გაძ-
ძღეთ. **მ**ცადენით არა განსახრწნელ საზრდელისათვის, არამედ
საზრდელისათვის, რომელი დაადგრების საუკუნო ცხოვრებაში,
რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქვენ". ურიები ჰკითხავდნენ
მას: „რა ვყოთ, რომ **ღ**ვთის საქმე აღვასრულოთ?" **ი**ესომ მიუგო
მათ: „ესე არს საქმე **ღ**ვთისა, რათა გრწმენეს, რომელი მან
მოავლინა". **ა**მ სიტყვებზე უთხრეს: „რა სასწაულს იქმ, რომ
ვიხილოთ და გვრწმენეს შენი. **მ**ამანი ჩვენნი სჭამდეს უდაბნოში
მანანას, როგორც წერილ არს: პური ზეცით მოსცა მათ ჭამად".
იესომ უთხრა მათ: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ; მოსემ კი არ
მოსცა პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქვენ პური
ჭეშმარიტი ზეცით. **პ**ური **ღ**ვთისა არს, რომელი გარდამოხდა
ზეცით და მოსცა ცხოვრება სოფელსა". **ი**მას უთხრეს: „**უ**ფალო!
მოგვეც ჩვენ ყოველთვის ეგეთი პური". **ი**ესომ უთხრა: „მე ვარ
პური ცხოვრებისა, რომელი ზეცით გარდამოვხედ. **რ**ომელი
მოვიდეს ჩემდა, არა შიოდეს და რომელსა რწმენეს ჩემი, არა-
ვადა სწყუროდეს, რომელი სჭამდეს პურსა ამას, აქვნდეს ცხოვრე-
ბა საუკუნო; ხოლო პური, რომელი მე მივსცე, არს ხორცი ჩემი,
რომელსა მე მივსცემ ცხოვრებისათვის სოფლისა". **ურ**იებმა ერთ-
მანეთშორის დაიწყეს დაობა: „როგორ შეუძლია მას, მოგვცეს
ხორცი თვისი ჭამად?" **ი**ესო **ქ**რისტემ უთხრა მათ: „ჭეშმარიტად
გეტყვი თქვენ: უკეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა და არა
სვათ სისხლი მისი, არა გაქვნდესთ ცხოვრება თავთაშორის თქვენ-
თა. **რ**ომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა,
აქვნდეს ცხოვრება საუკუნო და მე აღვადგინო იგი უკანასკვნელ-
ად მას დღესა. **რ**ომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა
ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს და მე მისთანა". **ა**ქ **ი**ესო
ქრისტე ასწავლიდა ხალხს სულიერ საზრდოზე. **რ**ოგორც პური
არის ხორციელი საზრდო, ეგრეთვე «პური ზეცით» ე. ი. **ი**ესო
ქრისტე არის სულიერი საზრდო, რომელიც ყოველ მორწმუნეს
მიანიჭებს საუკუნო ცხოვრებას. **ხ**ალხმა ვერ გაიგო **ი**ესო **ქ**რისტეს
სწავლა და ბევრი შესცდა. **მ**ათ შორის იგეთებიც იყვნენ, რო-
მლებიც **ი**ესოს მოწაფეებად ითვლებოდნენ და რომლებმაც
თქვეს: „საოცარია ეს სიტყვა, ვის შეუძლია, ამის მოსმენა?"

Იესომ იცოდა მოწაფეების უკმაყოფილება და უთხრა მათ: „ეს გაბრკოლებს თქვენ?“ და აუხსნა (განუმარტა) მათ, რომ ზემო მოყვანილ სიტყვებს აქვს მხოლოდ მიმსგავსებითი, სულიერი მნიშვნელობა. Იესომ უთხრა მათ: „იხილოთ ძე კაცისა აღმავალი ზეცად, სადაც პირველად იყო“. ქრისტეს ზეცად ამაღლებას უნდა დაემტკიცებია მათთვის, რომ ის ზეციდგან მოვიდა და რომ მის საუბარს ხორცზე, რომელსაც აღამაღლებდა ზეცად, შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ მიმსგავსებითი, სულიერი მნიშვნელობა. Ამაზედ Იესომ უთხრა მათ: „სიტყვანი, რომელთა გეტყვი თქვენ, არიან სული და ცხოვრება“. ხოლო ურიებს ეჩვენა საოცრად, ამიტომ რომ არ ერწმუნენ მას.

Ამიტომ ბევრი მოწაფეთაგანი განშორდა Იესოს და აღარ დადიოდნენ მასთან. მაშინ Იესომ უთხრა 12 მოციქულს: „თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?“ ყველას მაგიერ სიმონ – პეტრემ მიუგო მას: „Უფალო! ვისთან წავიდეთ ჩვენ? შენ გაქვს სიტყვანი საუკუნო ცხოვრებისა. ჩვენ გვრწამს და ვიცით, რომ შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა. Იესო ქრისტემ უთხრა მათ: „მე თქვენ 12 არ აღმოგირჩიე? და ერთი თქვენგანი ეშმაკი არს“. Ის იტყოდა Იუდა ისკარიოტელზე, რომელიც იყო ერთი თორმეტთაგანი და რომელსაც ეგულვებოდა მიცემა მისი.

მესამე წელიწადი ქრისტეს მსახურებისა.

47. ქანანეველ დედა-კაცის ასულის განკურნება.
(მათ. 15, 21—28; მარკ. 7, 24—30).

Ერთხელ Იესო ქრისტე ტვიროსის და სიდონის ქვეყანაში მივიდა. Იქ ის დაინახა ერთმა ქანანეველ დედაკაცმა, რომელიც კერპთ თაყვანის მცემელი იყო, გაედევნა მას და ხმა მაღლა დაუწყო ვედრება: „შემიწყალე მე, Უფალო, ძეო დავითისაო, ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეული არს“. Იესომ არა უთხრა. Დედაკაცი მისდევდა და ევედრებოდა. მოწაფენი Იესოსთან მივიდნენ და უთხრეს: „გაუშვი ეს დედაკაცი, ყვირილით მოგვდევს ჩვენ“.

ᲡᲝᲛ მიუგო მათ: „მე მოვლინებულ ვარ ცხოვართა მათ წარ-
მედულთა სახლისა ისრაილისათა“. (Მ. ი. თუმცა ᲩᲔ მოვედ
ᲛᲔᲚᲚ კაცის საცხოვნებლად, მაგრამ ჩემი დროებითი ქვეყნიური
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ და მოქმედება უნდა შესრულდეს ისრაელთა შორის).
ᲛᲔᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲔᲡᲝ შევიდა სახლში, დედა-კაცი მივიდა მასთან, მოე-
ᲠᲐ ფეხებზე და უთხრა მას: „ᲣᲤᲐᲚᲝ! შემიწყალე მე“. ᲘᲔᲡᲝᲛ
ᲣᲒᲝ მას: „მაცადე, განძღებად შვილთა, ვინაიდგან არა კეთილ
ᲘᲡ მოღება პურისა შვილთაგან და დაგებად ძაღლთა“. ᲔᲒᲔᲗᲘ
ᲡᲣᲮᲘᲗ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ უნდოდა დედაკაცის სარწმუნოების გამო-
ᲪᲓᲐ. დედა-კაცმა უთხრა: „ეგრეა, ᲣᲤᲐᲚᲝ, მაგრამ ძაღლნიცა
ᲥᲐᲛᲔᲜ ნაფხვენებს, რომელნიც გადმოსცვივიან ტაბლისაგან (სუფ-
ᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ) ᲣᲤᲐᲚᲗᲐ მათთასა“. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲔᲡᲝᲛ მიუგო და უთხრა მას:
ᲘᲝᲠᲘ ᲓᲔᲓᲐ-ᲙᲐᲪᲝ! დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი, გეყავნ
ᲔᲑᲜ, ვითარცა გნებავს. ᲓᲐ განიკურნა ასული იგი მისი მაშინვე.

---

§ 48. შვიდი ᲞᲣᲠᲘᲗ ᲝᲗᲮᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲝᲛᲐ.

(მათ. 15, 29—39; მარკ. 1, 1—9).

ᲥᲐᲜᲐᲜᲔᲕᲔᲚ ᲓᲔᲙᲐᲙᲐᲪᲘᲡ ასულის განკურნების შემდგომ ᲘᲔᲡᲝ
ᲨᲕᲘᲓᲐ გალილის ზღვის კიდეზე, აღვიდა მთაზე და იქ დაჯდა.
ᲘᲡᲝᲡᲗᲐᲜ შეიკრიბა ერი მრავალი, რომელთაც მოიყვანეს კოჭლ-
ᲗᲐ, ბრმები, ყრუნი და ᲘᲔᲡᲝᲛ განკურნა იგინი. ᲮᲐᲚᲮᲡ უკვირდა
ᲛᲔᲗᲘ სასწაულთ მოქმედება და ადიდებდა ᲦᲛᲔᲠᲗᲡ. ᲘᲔᲡᲝᲛ მოუ-
ᲮᲛᲓᲐ მოწაფეებს და უთხრა: „მებრალება ეს ხალხი, აგერ სამი
ᲓᲦᲔ მელიან და საჭმელი არ აქვთ და მათი უზმათ გაშვება არ
ᲜᲓᲐ, ამიტომ რომ ზოგი მათგანი შორიდან არიან მოსულნი და
ᲒᲐᲖᲔᲓ დავარდებიან. ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲔᲑᲛᲐ უთხრეს: „სადა გვაქვს უდაბ-
ᲜᲐᲨᲘ იმოდენა პური, რომ ისინი გავაძღოთ“. ᲘᲔᲡᲝᲛ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ მათ:
„ᲠᲒᲔᲜᲘ პური გაქვთ?“ იმათ მიუგეს: „შვიდი პური და ცოტა
ᲬᲕᲠᲘ“. ᲘᲔᲡᲝᲛ უბრძანა ხალხს დასხდომა, მოატანინა შვიდი პუ-
ᲠᲘ და თევზი, მადლობდა და გასტეხა, მისცა მოწაფეებს და მო-
ᲬᲐᲤᲔᲔᲑᲛᲐ დაურიგეს ხალხს. ᲨᲕᲔᲚᲐᲛ სჭამა და განძღა; დანარჩენი
ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲡ და აღავსეს შვიდი კალათი. ხალხი იყო ოთხი ათასი

დედა კაცებს და ყმაწვილებს გარდა. შემდგომ იესომ გაუშ
ხალხი, თვითონ ჩაჯდა ნავში და მაგდალოს სამზღვართან მივიდ

---

§ 49. პეტრე მოციქულის აღვიარება. წინასწარმეტყველობა ქრისტესი თავის წვალებაზე, სიკვდილზე და აღდგომაზ და სწავლა მის მიმეოლთა ჯვარზე.

(მათ. 16, 13—22 მარკ. 8, 27—38; ლუკ. 9, 18—27).

ერთხელ იესო ქრისტე თავისს მოწაფეებიანათ მიდიოდ ქესარია-ფილიპეს სოფლებში, გზაზე მან ჰკითხა მოციქულებს „რას ამბობს ჩემზე ხალხი, ვინ ვგონივარ მე“? იმათ მიუგე „ზოგს იოანე ნათლის მცემელი, ზოგს ილია და სხვებს ერთ წინასწარმეტყველთაგანი“. „თქვენ რას იტყვით, ვინ ვარ მე“ ჰკითხა იესომ მოციქულებს. პეტრემ დაასწრო სხვებს და უთხრა „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა“. ამაზედ იესო უთხრა მას: „ნეტარ ხარ შენ, სვიმონ ძეო იოანესო, ამიტო რომ არა ხორცთა და სისხლთა გამოგიცხადეს ესე, არამედ მამა მან ჩემმან ზეცათამან. მე გეტყვი შენ, შენ ხარ კლდე და ამა კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას და მიგცნე (მოგცე) შენ კლტენი სასუფეველი სა ცათანი და რომელი შეკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგ ცათა შინა და რომელი გახსნა ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგ ცათაშინა“; მერმე უთხრა იესომ თავის მოწაფეებს, რომ იმა არავის უთხრან, რომ იგი არს ქრისტე.

ამის შემდგომ იესომ წინასწარ უთხრა (უწინასწარმეტყველ მოციქულებს, რომ ის მივა იერუსალიმს და იქ მას მოელის დ დი ვნება-წვალება მღვდელთ მთავართაგან, მწიგნობართა და მო ხუცებულთაგან ურიათა; მას მოკვლენ და მესამესა დღესა აღსდ გება. პეტრემ ურჩია ქრისტეს, რომ მას არ მიეღო წვალება, მაგრ იესომ წყრომით უთხრა მას: „წარვედ ჩემგან, ეშმაკო, არ ფი რობ შენ, რომ ღვთის ნება არს ეგრე“.

მერმე იესო ასწავლიდა მათ, რომ ვისაც უნდა თავისს სულ ცხოვნება, მან უნდა აღიღოს ჯვარი და შეუდგეს ქრისტეს ე.

ან Იესო ქრისტეს გულისთვის უნდა დაითმინოს დევნა, ტანჯვა, ვალება და სიკვდილიც და ამით ის აცხოვნებს თავის სულს; ოლოს ქრისტემ დაუმატა: „რა სარგებლობა ექმნება კაცს, რომ ან მთელი სოფელი შეიძინოს და თავისი სული წარსწყმიდოს, ნუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად თავის სულისა“.

---

§ 50. ფერის ცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

(მათ. 17, 1—13; ლუკ. 9, 28—36; 9, 2—13.

Რომ მოციქულებს ქრისტეს წვალების დროს სარწმუნოება არ დაეკარგათ და ცოდნოდათ, რომ Იესო ქრისტე არის ჭეშმარიი ძე ღვთისა, Იესომ მოინდომა ეჩვენებინა მათთვის თავისი ქვთაებრივი დიდება. Ამისათვის ის აღვიდა მთაბორის მთაზე, თან აიყვანა პეტრე, იაკობ და იოანე, (სხვები მთის ძირში დატოვა). ქ Იესომ დაიწყო ლოცვა. მოციქულებს დაღაღულობის გამო ეძინათ. Ამ დროს Იესომ ფერი იცვალა: მისი პირის სახე განრწყინდა როგორც მზე; ტანისამოსი გათეთრდა როგორც თოვი. მასთან გამოცხადდენ მოსე და Ილია და დაიწყეს ლაპარაკი ესოს მომავალ წვალებაზე და სიკვდილზე, რომელიც უნდა მომხარიყო იერუსალიმში. სინათლემ გააღვიძა მოციქულები, იმათ აინახეს Იესოს დიდება. მოსემ და Ილიამ რომ დააპირეს წასვლა, ეტრემ შენიშნა და წამოიძახა: „მოძღვარ, კარგია ჩვენი აქ ყონა, თუ გნებავს, აღვაშენებ სამ ტალავარს (საჩრდილობელს), ერთს ენთვის, ერთს მოსესთვის და ერთს Ილიასთვის“. მაშინ ნათელ ურუბელმა დაფარა ისინი, და ზეციდგან ხმა მოისმა: „ესე არს ე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ“. მოციქულები შეშინდნენ ა პირქვე დაეცნენ. Იესო მივიდა მათთან, ხელი შეახო მათ და ეთხრა: „ადექით, ნუ გეშინიათ“. Იმათ აიხედეს და მარტო Იესო რისტე დაინახეს თავისს ჩვეულებრივი სახით. როცა მთიდგან ბრუნდენ, Იესომ უთხრა მათ, რომ ეს შემთხვევა არავისთვის თქვათ, სანამ Იესო მკვდრეთით აღსდგებოდა. Ამ დღეს, რადგანც რისტემ ფერი იცვალა, ვეძახით ფერის ცვალებას და ვდღესასწაულობთ ექვს აგვისტოს.

§ 51. ურუ—მუნჯის და ეშმაკეულ ჭაბუკის განკურნება.
(მათ. 17, 14—23; მარკ. 9, 14—32; ლუკ. 9, 37—45).

ფერის ცვალების შემდგომ იესო ქრისტე მთიდგან ჩამოვ
და. მთის ძირში იესოს მოციქულებთან ხალხი შეგროვილ იყ
იესოს დანახვაზე ხალხიდგან ერთი კაცი გამოვიდა, იესოსთ
მივიდა, მის წინ დაიჩოქა და უთხრა: „უფალო! შეიწყალე ძე ჩემ
იგი შეპყრობილ არს ეშმაკისაგან, მასთან არს სული უტყვების
რომელიც უეცრად წამოაყვირებს და სტანჯავს: ბევრჯერ ცეკ
ხლში ჩააგდო, ბევრჯერ წყალში; ახალ მთვარეზე გიჟდებ
დორბლს წამოყრის, კბილებს იღრჭენს და იტანჯება. მე მი
ყვანე იგი შენ მოწაფეებს, მაგრამ ვერ შეიძლეს მისი განკურნება
იესომ უთხრა მას: „ჰოი, ნათესავი ურწმუნო და გვლარძნილ
(მრუდე, უკულმართი), ვიდრემდის ვიყო მე თქვენთან, მომგვარე
მე იგი აქა“. ავადმყოფი მიგვარეს. მაგრამ როგორც კი დაინა
ეშმაკეულმა იესო, ეშმაკმა დასცა ავადმყოფი მიწაზე, მან გორ
დაიწყო და პირიდგან დორბლი წამოუვიდა. იესომ ჰკითხა მამა
„რავდენი ხანია, რაც ეს შეემთხვა მას?“ მამამ უპასუხა: „სიყ
მითვან, და, თუ შეგიძლია, უფალო, შეგვეწიე ჩვენ“. იესო
უთხრა მას: „თუ შეგიძლია რწმენა, მორწმუნისთვის ყოველი
შესაძლებელ არს“. მაშინ ჭაბუკის მამა ხმა მაღლა შეეკივლა იესო
ცრემლით და უთხრა: „მრწამს, შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა
მაშინ იესომ ბოროტ სულს შერისხა და უტყვს და ყრუ სულ
უთხრა: „მე გიბრძანებ; განვედ შენ მაგისაგან და ნუღარა შ
ხვალ მაგისა“. ბოროტ სულმა დაიყვირა, ჭაბუკი მიწაზე დასც
და განვიდა მისგან. ავადმყოფი მკვდარს დაემსგავსა და ბევრ
მკვდარი ეგონა, მაგრამ იესომ მოკიდა ხელი, ააყენა და ჭაბუკ
განკურნებულ იყო. ხალხი ძლიერ გაკვირდა. როცა იესო სახლ
ში შევიდა, მოწაფეებმა ჰკითხეს მას: „მისი განკურნება რატო
ჩვენ ვერ შევძელით?“ იესომ უთხრა მათ: „ურწმუნოებისა გამ
თქვენისა, ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: უკეთუ გაქვთ მცირედ
სარწმუნოება და უთხრათ ამ მთას: მიიცვალე ამიერ იქით დ
მიიცვალოს, და არა რა შეუძლებელ იყოს თქვენ მიერ. ხოლ
ნათესავი ესე არა რით განვალს, მხოლოდ ლოცვითა და მარხვითა

ამის შემდგომ იესო წავიდა კაპერნაუმს. ამ მოგზაურობის დროს ის ხალხს ერიდებოდა, რადგანც ხედავდა, რომ მტრებს უნდოდა შეპყრობა მისი; ამ დროს მომეტებულად ასწავლიდა თავისს დაახლოვებულ მოწაფეებს, და ხელ ახლა უთხრა მათ: „ძე კაცისა მიეცემის ხელთა კაცთასა, და მოკლან იგი და მესამესა დღესა აღსდგეს“. ამ სიტყვის გამო მოწაფეები ძლიერ შეწუხდნენ.

---

§ 52. სასწაულებრივი შოვნა ფულისა საეკლესიო ხარკის გადასახდელად. (მათ. 17, 24—27).

კაპერნაუმში პეტრესთან მივიდნენ საეკლესიო ხარკის შემკრებნი და უთხრეს მას: „მოძღვარი თქვენი ხარკს არ მოგვცემს?“ პეტრემ უთხრა: „მოგცემს“. როცა პეტრე სახლში შევიდა, იესომ დაასწრო და უთხრა მას: „შენ როგორ ჰგონებ, სვიმონ, ქვეყნიური მეფენი ვისგან იღებენ ხარკს, შვილთაგან, თუ უცხოთაგან?“ პეტრემ მიუგო: „უცხოთაგან“. იესომ უთხრა: „და ესრეთ შვილნი თავისუფალ არიან, მაგრამ იგინი რომ არ შეცდენ, წადი, ზღვაში ანკესი ჩააგდე და პირველად რომ თევზს დაიჭერ, მას პირი გაუღე და მის პირში ჰპოვებ სტატირს (სტატირი=86 კაპ.), წამოიღე ის და მიეც შენთვის და ჩემთვის.

---

§ 53. დარიგება უფლისა თავმდაბლობაზე, გულ უბრუვილობაზე, საცთურზედ, უმცირეს ძმათა ჰატივებაზე, საეკლესიო სამსჯაროს (სასაძართლოს) და საზოგადო ლოცვის უპირატესობაზე. (მათ. 18, 1—20; მარკ. 9, 33—50; ლუკ. 9, 46—50; 17, 1—4)

როცა იესო კაპერნაუმში მივიდა და სახლში შევიდა, მან ჰკითხა მოწაფეებს: „რას იცილებოდით (დაობდით) ერთმანეთ შორის გზაზე?“ ისინი ჯერ გაჩუმდნენ და მერმე უთხრეს: „ვინ უფროს იყოს სასუფეველში?“ იესომ უთხრა მათ: „ვისაც უნდა პირველი იყოს; იყოს იგი ყველაზე უკანასკნელ და ყველას მსახური. ზერ-

მე Იესომ ბავშვს მოუწოდა, მათ შორის გააჩერა, მკლავზე მიიწვინა და მოწაფეებს უთხრა: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: თუ არ მოიქცეთ და არ იქმნეთ, როგორც ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველში, ამიტომ რომ რომელმანც დაიმდაბლოს თავი თვისი, როგორც ეს ბავში, იგი უფროს იყოს სასუფეველსა ცათასა, და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესე ვითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს. რომელმან დააბრკოლოს (შეაცდინოს) ჩემდამო მორწმუნე, ერთი მცირეთა ამათგანი, მისთვის უმჯობესია კისერზე წისქვილის ქვა დაიკიდოს და ზღის ღფსკრულში დაინთქას. Ვაი სოფელსა საცთურთაგან, ვინაიდგან უნებურად მოვალს საცდური, მაგრამ ვაი იმ კაცს, რომლისაგან საცდური მოვიდეს. Უკეთუ ხელი ან ფეხი შენი გაცდუნებდეს, მოიკვეთე და განაგდე, უკეთუ თვალი შენი გაცდუნებდეს, ამოიღე და განაგდე იგი შენგან. Უმჯობესია, ერთი ხელით, ან ფეხით **და** თვალით შეხვიდე სასუფეველში, ვინემ ორივე ხელი, ან ფეხი **და** თვალი გქონდეს და ჩავარდე გეენიასა ცეცხლისასა.

„Მოერიდენით, ნუ შეურაცხყოფ ერთ მცირეთა ამათ განს. Გეტყვი თქვენ: რომ ანგელოსნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა. Არ ნებავს მამასა თქვენსა ზეცათასა, რომ ერთი მცირეთა ამათგანი წარწყმდეს“.

„Თუ შეგცოდოს ძმამან შენმან, ამხილე მას, როცა შენ და იგი მარტონი ხართ; თუ შეისმინოს შენი და შეინანოს, მიუტევე მას. Თუ არ შეისმინოს, შენთან მიიყვანე ერთი ან ორი; თუ იმათიც არ შეისმინოს, უთხარ კლებულსა (მწყემსთა ეკლესიისათა), თუ კრებულისაც არ შეისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზვერე და წარმართი. Ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: რაჲც თქვენ (ეკლესიის მწყემსთა) შეკრათ ქვეყანაზე, კრულ იყოს იგი ცათა შინა და რაჲცა გახსნათ ქვეყანაზე, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“.

„Ძიდევ გეტყვი თქვენ: თუ ორი თქვენგანი შეთანხმდენ ქვეყანაზე, რაჲცა ითხოვონ, ეყოს მათ მამისაგან ჩემისა (ე. ი. მამა Ღმერთმა აღუსრულოს მათ თხოვნა); რამეთუ სადაცა იყვნენ

რნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ (იქ) ვარ
შორის მათსა".

---

54. იგავი მოწყალე მეფისა და უწყალო მოვალე—მევალსებელზე. (მათ. 18, 21—35).

მოციქული პეტრე მივიდა ქრისტესთან და ჰკითხა მას: „ფალო! რაოდენ გზის მიუტეო ძმასა ჩემსა შეცოდებანი მისნი, ,ი გზისადმეა?" **ი**ესომ მიუგო მას: „არა გეტყვი შენ, ვიდრე ,იდგზისამდე, არამედ ვიდრე სამეოცდა ათ შვიდ გზის". (**ე**. ი. ,ველთვის). **ა**მაზე **ი**ესომ სთქვა შემდეგი იგავი: ერთ მეფემ ინება ,ვისს მონებთან ანგარიშის გაწმედა. **მ**ას წარუდგინეს ერთი მონა, ,ომელსაც მისი ათი ათასი ტალანტი (25,800,000 მ.) ემართა. ,ოდგანც მას არა ჰქონდა რა, რომ ვალი გადაეხადა, მეფემ ბრძანა ,ყიდვა მისი, მისი ცოლშვილის და ყოველივესი, რაც კი მას ,აჩნდა, რომ მას მეფის ვალი გადაეხადა. **მ**აშინ მონა იგი დავარ- ,ა მეფის ფეხქვეშ და ევედრებოდა მას: „სულგრძელ იქმენ ჩემ- ,და, **უ**ფალო, და ყოველივე მოგცე შენ". **მ**ეფეს შეეწყალა მონა ,ი, გაუშვა და ვალიც აპატივა.

მეფიდგან დაბრუნებულ მონას შეხვდა ერთი თავისს ამხანაგი, ,ომელსაც მისი ასი დრაჰკანი (21 მანეთ ნახევარი) ემართა; შეი- ,რა იგი, ახრჩობდა მას და ეტყოდა: „მომეც, რაც გმართებს". ,ხანაგი მისი დავარდა მის ფეხქვეშ, ევედრებოდა და ეტყოდა: ,ულ-გრძელ იქმენ ჩემზედა და ყოველივე მოგცე შენ". **მ**აგრამ ,ა არ შეიწყალა იგი, წაიყვანა და საპყრობილეში შეაგდო, ,ამ ვალს გადიხდიდეს. **ს**ხვა ამხანაგებმა დაინახეს ეს, ძლიერ ,ღავრდნენ, წავიდნენ და მეფეს ყოველივე უთხრეს. **მ**ეფემ მოუ- ,და **უ**წყალო მონას **და** უთხრა: „მონაო ბოროტო! მთელი ,ლი გაპატივე შენ, რადგანც მევედრე; არ იყო რიგი, რომ ,ც ამხანაგი შენი ისე შეგეწყალებია, როგორც მე შენ შეგი- ,ალე?" და გაურისხდა მას **უ**ფალი მისი **და** მისცა იგი მტანჯვე- ,ებს ხელში, სანამ მთელი მისი ვალი გადაიხადოს. **ე**გრეცა მამამან ,ვენმან ზეცათამან გიყოს თქვენ, უკეთუ არ მიუტევნეთ კაცად

კაცადმან ძმასა თვისსა ყოვლითა გულითა თქვენითა ცთომან მათნი.

---

§ 55. იესო ქრისტეს წასვლა გალილიიდგან იერუსალიმში კარვობის დღესასწაულზე. სამარიტელთა უარის თქმა ქრისტეს მიღებაზე. იესოს საუბარი ზოგიერთებთან გზაზე. აღრჩევა და საქადაგებლად გაგზავნა 70 მოწაფისა.

(Იოან. 7, 2—9; Лук. 9; 51—62; 10, 1—24; Мат. 8, 19—21; 11, 25—30)

Მოახლოვდა კარვობის დღესასწაული ურიათა. ამ დღესასწაულზე იერუსალიმში წასასვლელად Იესო ქრისტე მისმა ძმებმ[illegible] გამოიწვიეს, რომ მან იქ გამოუცხადოს თავი თვისი ქვეყანა[illegible] (Იესოს ძმებად იწოდებოდნენ Იოსების შვილები: Იაკობ, Იოსი[illegible] Იუდა და Სიმონ, ხოლო დებად Იოსების ასულნი: Მარიამ [illegible] Სალომია, რომელნიც ჰყავდა Იოსებს გარდაცვალებულ ცოლ[illegible] Სალომიასგან). Იესო ქრისტემ უთხრა მათ: „ჩემი დრო ჯერ [illegible] მოსულა, თქვენთვის კი ყოველთვის დროა, თქვენი მოძულებ[illegible] სოფელს არ შეუძლია, მე კი ვსძულვარ, რადგანც ვამბობ, რ[illegible] საქმენი მათნი ბოროტ არიან. თქვენ წადით, ხოლო მე ჯერ [illegible] წამოვალ, რადგანც ჯერ არ მოსულა დრო ჩემი“. Ისინი წავიდნ[illegible] Იესო გალილიაში დარჩა. რაოდენიმე ხნის შემდგომ მან გადა[illegible] წყვიტა იერუსალიმს წასვლა სამარიით. წინდაწინ მან მოციქულებ[illegible] გაგზავნა, რომ მისთვის სამგზავროდ რამე მოემზადებიათ. Ისინ[illegible] სამარიტელთ სოფელში შევიდნენ, მაგრამ, რადგანც შეიტყვე[illegible] რომ Იესო იერუსალიმს მიდიოდა, სამარიტელებმა ისინი [illegible] მიიღეს. Იესოს მოწაფენი, Იაკობ და Იოანე, გაჯავრდნენ და Იესო[illegible] უთხრეს: „Უფალო! გნებავსა, რომ ვსთქვათ: ზეციდგან გადმოვიდ[illegible] ცეცხლი და აღხოცნეს იგინი, როგორც Ილიამ ჰქმნა?“ Იეს[illegible] დაუშალა და უთხრა მათ: „არ იცით, რომლისა სულისანი ხარ[illegible] თქვენ, ამიტომ რომ ძე კაცისა კაცთა სულის წარსაწყმედელად [illegible] არ მოსულა, არამედ საცხოვნებელად“. და წავიდნენ სხვა სოფელ[illegible]

გზაზე ერთმა მწიგნობარმა უთხრა Იესოს: Უფალო! წამოვა[illegible] შენთან“. Იესო ქრისტემ იცოდა, რომ ის მისგან ქვეყნიურ სა[illegible]

ებლობას მოელოდა და ამიტომ უთხრა: „მელთა ხვრელი აქვთ და ფრინველთა ბუდე, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს თავის შესაფერებელი ადგილი“. მერმე იესომ მეორეს თვითონ უთხრა: „შენ კამომყევ მე“. მან უთხრა იესოს: „ნება მომეც, ჯერ მივიდე და ჰამა ჩემი დავასაფლაო“. იესომ უთხრა: „აცადე მკვდართა (სულიერად) დაფლვად თვისთა მკვდართა, ხოლო შენ წადი და ქადაგე ასუფეველი ღვთისა“. კიდევ უთხრა სხვამ: „უფალო! მე გამოგყვები, მაგრამ ნება მომეცი, ჩემ შინაურებს გამოვეთხოვო“. იმას უთხრა იესომ: „ის, რომელიც ხელს მოკიდებს სახვნელს (ე. ი. რომელიც მე გამომყვება) და უკან დაიწყებს ცქერას (ე. ი. წინანდელ ცხოვრებას დაუბრუნდება), არა კეთილ საიმედოა სასუფეველისათვის ღვთისა“.

ამის შემდგომ იესო ქრისტემ, 12 მოციქულებს გარდა, კიდევ 70 მოწაფენი აღმოირჩია და ისინი ორ ორი ერთად იმ ადგილებში გაგზავნა საქადაგებლად, სადაც თვითონ უნდოდა მისლვა. გაგზავნის წინ უთხრა მათ: „სამკალი ფრიად არს, ხოლო მომკალნი მცირედ. წადით, მე გგზავნი თქვენ, როგორც კრავთა მგელთა შორის. გზაზე ნუ რა რას წაიღებთ და ნუც მიესალმებით ვინმეს (რომ მისალმებით დრო არ დაეკარგათ, რადგანც მაშინდელი მისალმება დიდხანს გრძელდებოდა). რომელ სახლშიც შეხვიდეთ, სთქვით: „მშვიდობა სახლსა ამას“. იქ დადეგით, სჭამეთ და სვით, რაც იმათ ექმნეს; ვინაიდგან მუშაკი ღირს არს სასყიდლისა. უძლურნი განკურნეთ და უთხართ მათ: მოახლოვებულ არს თქვენზედა სასუფეველი ღვთისა. სადაც თქვენ არ მიგიღებენ, გამოხვიდეთ რა იქიდგან, განიყარეთ მტვერი ფერხთაგან თქვენთა. რომელმან თქვენი ისმინოს, ჩემი ისმინა, რომელმან თქვენ შეურაცხ-გყოს, მე შეურაც-მყოს, და რომელმან მე შეურაც-მყო, მან შეურაცხ—ჰყო მომავლინებელი ჩემი. 70 მოწაფენი წავიდნენ საქადაგებლად. ისინი მალე დაბრუნდნენ გახარებულნი და უთხრეს იესოს: „სახელითა შენითა ეშმაკნიც გვემორჩილებიან ჩვენ“. უფალმა უთხრა მათ: „ვხედავდი ეშმაკს, როგორც ელვას, ზეციდგან გადმოვარდნილს აჰა მე გაძლევ თქვენ უფლებას დათრგუნვად გველთა და ღრიანკალთა (მორიელთა) და ყოველსა ზედა ძალსა მტრისასა და თქვენ არა რა გევნოს. მაგრამ ის კი ნუ

გიხარიათ, რომ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რომ სახელები თქვენი დაიწერა ცათა შინა". მაშინ Iეს ი იხარებდა სულითა და სთქვა: „აღგიარებ შენ, მამაო, Uფალო ცისა და ქვეყნისაო, რომ დაფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა (ესე იგი მათგან, რომელნიც თავისს თავს სთვლიდენ ბრძენად და მეცნიერად, ნამდვილად კი დაბრმავებულნი იყვნენ ცრუ სწავლით და ცრუ მორწმუნებით) და გამოუცხადე ეს ჩჩვილთა". (ე. ი. უბრალო კაცებს, რომელთაც აქვთ გულ წრფელი სარწმუნოება).

---

§ 56. Iესო ქრისტეს ქადაგება კარვობის (ტალავრობის) დღესასწაულის დროს თავისს სწავლაზე, სოფლიდან განსვლაზე და ცხოველ წყალზე. (Iოან. 7, 10—53).

Dაიწყო კარვობის დღესასწაული. Uრიები, რომელნიც ამ დღესასწაულზე იერუსალიმში შეკრებილ იყვნენ, Iესო ქრისტეს ეძებდნენ და ამბობდნენ: „სად არის იგი?" Iესო იერუსალიმში ხალხის შეუმჩნევლად მივიდა, დღესასწაულის განზოგების დღეს (შუა დღესასწაულში) ის ტაძარში შევიდა და ხალხს დაუწყო სწავლება. Uრიები გაკვირებით ამბობდნენ: „როგორ იცის მან წიგნი, რომ არ უსწავლია?" Iესომ მიუგო მათ: „ეს ჩემი მოძღვრება ჩემი არ არის, არამედ მომავლინებელისა ჩემისა. Vისაც სურს მისი ნების აღსრულება, მას შეუძლია გაიგოს: ეს მოძღვრება Kვთისაგან არს, თუ მე თავით თვისით ვიტყვი. Mოსემ არ მოგცათ თქვენ სჯული? და არავინ თქვენგანი არ ასრულებს სჯულს; რისთვის მეძებთ მე მოსაკლავად?" Uრიებმა უთხრეს: „ეშმაკი ხომ არა შენთან? ვინ გეძებს შენ მოსაკლავად?" მაგრამ Iესომ იცოდა, რომ ფარისევლებს გადაწყვეტილი ქონდათ მისი მოკვლა. Rადგან ისინი Iესოს Mოსეს სჯულის დამარღვეველად სთვლიდნენ, ამიტომ Iესომ გაახსენა მათ შაბათ დღეს მის მიერ ავადმყოფის განკურნება, რომელმანც მის წინააღმდეგ Uრიები აღაშფოთა, და უთხრა მათ: „ერთი საქმე ვქმენ თქვენ შორის და ყველას გიკვირს. Tუ თქვენ შაბათ დღეს ასრულებთ წინადაცვეთას და მით

სჯულს არ არღვევთ, მე რაღასთვის მდებრ ბრალს, რომ შაბათ
დღეს მთელად კაცი განკურნე. ნუ სჯით თვალ—ღებით (მიდ-
გომით), არამედ საჯეთ სიმართლით". იერუსალიმის ზოგიერთ
მცხოვრებლებმა სთქვეს: „ის არ არის ეს, რომელსაც მოსაკლავად
ეძებდნენ? აჰა, ის განცხადებულად იტყვის და არა რას ეუბნებიან
მას, ნუთუ მთავარნი მართლა ერწმუნენ, რომ ეს არის ჭეშმარი-
ტად ქრისტე? მაგრამ ჩვენ ვიცით, ეს ვინ არის, ხოლო ქრისტე
როცა მოვიდეს, არა ვის არ ეცოდინება, ვინ არის". იესო ასწავ-
ლიდა მათ და ეტყოდა: „თქვენ იცით, ვინ ვარ მე, მაგრამ არ
იცით მომავლინებელი ჩემი. მე ვიცი იგი, ამიტომ რომ მან მომავ-
ლინა მე". ამ სწავლების დროს ბევრი ერწმუნა იესოს და ამბობ-
დნენ: „როდესაც ქრისტე მოვიდეს, ნუ თუ ამაზე მეტი სასწაუ-
ლები ჰქმნას?" ფარისევლებმა ეს ხმები ხალხში გაიგონეს და
გადაწყვიტეს ძალით მისი შეპყრობა, ამიტომ მის შესაპყრობად
მოსამსახურები გაგზავნეს. იესომ იცოდა მათი განზრახვა და
უთხრა ურიებს: „მცირედ ხანს ვარ თქვენთან და წავალ ჩემ
მომავლინებელთან. მეძებდეთ მე და ვერ მპოვოთ და სადაც მე
ვიქმნები, იქ თქვენ არ შეგიძლიათ მოსვლა". ურიები ერთმანეთს
ეუბნებოდნენ: „სად უნდა წასვლა, რომ ჩვენ ვერ ვპოვოთ, ნუ
თუ მას წარმართებთან უნდა წასვლა და ქადაგება?"

დღესასწაულის უკანასკნელ (მერვე) დღეს იესომ ხალხში
ხმა მაღლა წარმოსთქვა: „უკეთუ ვინმეს გწყუროდეს, მოვიდეს
ჩემთან და სვმიდეს. რომელსა რწმენეს ჩემი, როგორც საღვთო
წერილში ნათქვამია, მისი მუცლისაგან სდიოდენ მდინარენი
წყლისა ცხოველისა" (ისაია 12, 3; იოვ. 3, 18). ეს სთქვა მან
სული წმიდაზე, რომელსაც მისი მორწმუნენი მიიღებენ. ეს სიტყ-
ვები რომ გაიგონეს, ზოგი მათგანი ამბობდა: „ეს არის წინას-
წარმეტყველი". ზოგი ამბობდა: „ეს არის ქრისტე". სხვები ამ-
ბობდნენ: „ნუ თუ გალილიიდგან მოვა ქრისტე?" და ხალხში
შეიქმნა მასზედ ცილობა.

მოსამსახურეებმა, რომელნიც იესოს დასაჭერად იყვნენ
ფარისევლებისაგან გაგზავნილნი, მოისმინეს რა მისი სწავლა, ვერ
გაბედეს მისი შეპყრობა და ფარისევლებთან ხელცარიელნი დაბ-
რუნდნენ. ფარისევლებმა ჰკითხეს: „რად არ მოიყვანეთ იგი?"

იმათ მიუგეს: „არა ვინ კაცთაგანი იტყოდა ისე, როგორც ის“. ფარისეველებმა უთხრეს მოსამსახურეებს: „ნუ თუ თქვენ შეცდომილ ხართა? განა ვინმე მთავართაგანი, ანუ ფარისეველთაგანი ერწმუნა მას? ხოლო ხალხმა (რომელიც მას ერწმუნა) სჯული არ იცის და წყეულ არიან“. მაშინ სინედრიონის ერთმა წევრთაგანმა, ნიკოდიმოსმა უთხრა მათ: „ნუ თუ ჩვენი სჯული დასჯის კაცს, თუ პირველად მისი არ მოისმინოს და არ გაიგოს, რის მოქმედია?“ მას უთხრეს: „შენც ხომ გალილიიდგან არა ხარ? გამოიკვლიე და ნახე, რომ გალილიიდგან წინასწარმეტყველი არ მოსულა“. და ყველანი თავთ-თავიანთ სახლში წავიდნენ. ხოლო იესო ქრისტე ზეთის ხილის მთაზე წავიდა და ღამე იქ გაათია.

შენიშვნა. ქარვობის დღესასწაული დაწესებულ იყო ებრაელების მოგზაურობის სახსოვრად არაბეთის უდაბნოში. იწოდება კარვობის დღესასწაულად, ამიტომ რომ ამ დღესასწაულის დროს, რომელიც გრძელდებოდა შვიდ დღეს, ებრაელები ცხოვრობდნენ ხის ახლად მოკაფულ ტოტებისაგან გაკეთებულ კარვებში. ამ დროს, მსხვერპლის შეწირვის და ლოცვის გარდა, შემდგომ წესს ასრულებდნენ: მსხვერპლის შეწირვის შემდგომ ყოველ დილით მღვდელი ხალხითურთ სილოამის საბანელთან მიდიოდა, წყლით ავსებდა ოქროს ჭურჭელს, მიჰქონდა ტაძარში და ამ წყალს ღვინოსთან ერთად სამსხვერპლოზე ასხამდა; ხოლო ხალხი ისაია წინასწარმეტყველის სიტყვებს გალობდა (ის. 12, 3....), უკრავდა მუსიკას და მხიარულობდა. ამით ისინი ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რადგან მან უდაბნოში ისრაელებს არა ერთხელ მიანიჭა წყალი სასწაულებრივ, და ეგრეთვე სთხოვდენ ღმერთს კურთხევას და ახლად ნათესებისათვის თავისს დროზე წვიმის მოსვლას. სახსოვრად ღრუბლის სვეტისა, რომელიც ღამე ცეცხლის იყო და ებრაელებს უდაბნოში გზას უნათებდა, ამ დღესასწაულზე ებრაელები ტაძრის ეზოს გააჩირაღდნებდენ და ჩირაღდნის გარშემო მამაკაცნი მუსიკას უკრავდნენ, ფსალმუნებს გალობდნენ და სიხარულით აღტაცებულნი, სანათებით ხელში, ცეკვავდნენ შერვე დღეს იყო დღესასწაულის წარგზავნა. ამ დღეს განსაკუთრებით დიდის—დიდებით დღესასწაულობდნენ. ქარვებს ტოვებდნენ, ტაძარში იკრიბებოდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ და მერმე ტაძრიდგან თავთ—თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ.

§ 57. ცოდვილი დედა კაცის შეწყალება. (Იოან. 8, 2—11).

პარვობის დღესასწაულის შემდგომ მეორე დღეს Იესო ქრისტე ტაძარში მოვიდა, დაჯდა და ხალხს ასწავლიდა. ფარისევლებმა ხერხს მიმართეს: მოინდომეს მისი დაჭერა სჯულის დარღვევაში. მასთან მიიყვანეს ცოდვილი დედაკაცი, რომელიც მრუშობაში დაეჭირათ, და უთხრეს Იესოს: „მოძღვარ! მოსეს სჯული კვიბრძანებს: ეგეთი ცოდვილი ქვით უნდა ჩაიქოლოს; შენ რას იტყვი?“ Იესო ქრისტემ მათ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. დაიხარა და მიწაზე თითით წერა დაიწყო. ფარისევლები არ ეშვებოდნენ, პასუხს თხოვდნენ. მაშინ Იესომ თავი ზე ასწია და უთხრა მათ: „ვინც თქვენგანი უცოდველია, პირველად დედაკაცს ქვა მან ესროლოს“. მერმე ისევ დაიხარა და მიწაზე წერა დაიწყო. ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ ამ დროს Იესო ქრისტე მიწაზე ფარისევლების ცოდვას სწერდა. Იესოს სიტყვების გამგონე ფარისევლები სინიდისმა შეაწუხა და ისინი ერთი მეორის შემდგომ ყველანი წავიდნენ. Იესოსთან მარტო დედაკაცი დარჩა. Იესომ აიხედა და დაინახა, რომ დედაკაცს გარდა ყველანი წასულან, და უთხრა დედაკაცს: „დედა-კაცო! სად არიან შენი შემასმენელნი (ბრალმდებელნი), არა ვინ დაგსაჯა?“ მან უპასუხა: „არა ვინ, შფალო!“ Იესომ უთხრა მას: „არც მე გსჯი შენ, წადი და ამიერიდგან ნურღარა სცოდავ“.

---

§ 58. ბრმად შობილის განკურნება. (Იოან. 9, 1—38).

ერთხელ Იესო ქრისტემ იხილა გზაზედ კაცი შობიდან ბრმა. მოწაფეებმა ჰკითხეს Იესოს: „მოძღვარ! ვინ სცოდა, ამან, თუ ამის მშობლებმა, რომ ბრმა იშვა?“ Იესომ მიუგო მათ: „არც ამან სცოდა და არც ამის მშობელთა, არამედ ეს მისთვის მოხდა, რომ მასზედ გამოსცხადნეს საქმე ღვთისა“. ამ სიტყვების შემდგომ Იესომ მიწაზე დააფურთხა, ტალახი შექმნა, ბრმას თვალებზე სცხო და უთხრა: წადი და სილოამის საბანელში დაიბანე“. ბრმა წავიდა, დაიბანა და აღეხილნა მას თვალები. დღე იგი იყო

შაბათი. მეზობლები და ნაცნობები ჰკითხავდნენ მას: „როგორ აგეხილნეს თვალნი შენნი?“ მან მიუგო მათ: „კაცმან, რომელსა ჰქვია Iესო, შექმნა ტალახი, მცხო თვალთა ჩემთა და მითხრა: წადი საბანელსა მას სილოამისასა და დაიბანე, მივედ, დავიბანე და აღვიხილენ“. Oთვალ აღხელილი ფარისევლებთან მიიყვანეს. Ფარისევლებმა ჰკითხეს მას: „როგორ აღიხილენ?“ მან უამბო მათ ყოველივე. Zოგი ფარისეველთაგანი ამბობდა Iესოზე: „ეს კაცი არ არის Lვთისაგან, ამიტომ რომ შაბათს არ იმარხავს“. Sხვები ამბობდნენ: „ეგეთი სასწაულის ქმნა ცოდვილ კაცს როგორ შეუძლია“. Dა ჰქონდათ მათ ცილობა ერთმანერთ შორის. Mერმე განკურნებულს ჰკითხეს: „შენ რას იტყვი მისთვის?“ მან მიუგო მათ: „წინასწარმეტყველი არს“. Uრიებს არ რწამდა, რომ ის ბრმა იყო და აღიხილნა თვალნი; მის მშობლებს მოუწოდეს და ჰკითხავდენ მათ: „ეს არის თქვენი ძე, რომლისათვის იტყოდით, რომ ბრმა იშვა? ახლა როგორ ხედავს?“ მშობლებმა მიუგეს მათ: „ჩვენ ვიცით, რომ ეს არის ძე ჩვენი და რომ ბრმა იშვა; ახლა როგორ ხედავს ან ვინ აღუხილნა თვალნი, ჩვენ არ ვიცით, მაგას ჰკითხეთ, სრული წლოვანია, თვითონ იტყვის თავისთვის“. მშობლებმა ასე იმიტომ უთხრეს, რომ მათ ეშინოდათ ურიების: ისინი შეთქმულ იყვნენ, რომ თუ ვინმე აღიარებდა Iესოს Kრისტედ, მას კრებულისაგან გააგდებდნენ, ურიებმა განკურნებულს მეორედ მოუწოდეს და უთხრეს: „Lმერთს დიდება მიეც, ჩვენ ვიცით, რომ კაცი ესე ცოდვილი არს“. Mან მიუგო: „ცოდვილი თუ არს, მე არ ვიცი, ერთი ეს ვიცი, რომ ბრმა ვიყავ, და ახლა ვხედავ“. Mერმე კიდევ ჰკითხეს მას: „რა გიყო შენ? ვითარ აღგიხილნა თვალნი შენნი?“ მან მიუგო მათ: „გითხარ თქვენ, და არა გესმა, რაღა გნებავთ კიდევ? თუ გნებავთ, მის Mოწაფედ ყოფა?“ ურიები გაჯავრდნენ და გინებით ეუბნებოდნენ მას: „მისი მოწაფე შენა ხარ, ჩვენ კი Mოსეს მოწაფენი ვართ; ვიცით, რომ Mოსეს Lმერთი ელაპარაკებოდა, ეს კი არ ვიცით, ვინ არის“. Zანკურნებულმა უთხრა მათ: „საკვირველია ეს, რომ თქვენ არ იცით, ვინ არის იგი და მე აღმიხილნა თვალნი; ეს ვიცით, რომ Lმერთი ცოდვილისას არ ისმენს, არამედ ვინც Lვთის მსახურია და Lვთის ნებას ასრულებს. Oთუ ის Lვთისაგან არ იყოს, ვერც კი აღმიხელდა

თვალსა“. Ფრიესმა უთხრეს მას: „სრულიად ცოდვაში შობილ ხარ და შენ გვასწავლი ჩვენ?“ და გააგდეს გარე (შესაკრებელისაგან). Იესო შეხვდა მას და ჰკითხა: „გრწამს შენ ძე ღვთისა?“ მან მიუგო: „ვინ არს იგი, Უფალო, რათა მრწმენეს იგი“. Იესომ უთხრა: „გინახავს შენ იგი და ის გელაპარაკება შენ“. Ბანკურნებულმა უთხრა: „მრწამს, Უფალო“! და თაყვანისცა მას.

---

§ 59. იგავი მოწყალე სამარიტელსე. ლუკ. 10, (25—37).

Ერთხელ გამოსაცდელად Იესო ქრისტესთან სჯულის მცოდნე კაცი მივიდა და ჰკითხა: „მოძღვარ! რა უნდა ვქმნა, რომ ვცხონდე?“ Იესომ უთხრა: „სჯულში როგორ სწერია?“ სჯულის მცოდნემ მიუგო: „შეიყვარო Უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. Იესომ უთხრა მას: „მართლად მომიგე, მაგას იქმოდე და სცხოვნდე“. სჯულის მცოდნეს უნდოდა თავის გამართლება და ჰკითხა: „ვინ არს მოყვასი ჩემი?“ ამაზედ Იესომ უთხრა იგავი: „ერთი კაცი Იერუსალიმიდგან Იერიქოს მიდიოდა, გზაზე მას ავაზაკნი დაეცნენ, ტანისამოსი გახადეს, დაჭრეს და გზაზე დააგდეს. Იქ მღვდელმა გაიარა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, მერმე ლევიტელმა გაიარა, არც მან მიაქცია ყურადღება; მერმე სამარიტელმა გაიარა, მან შეხედა დაჭრილს, შეეწყალა, მასთან მივიდა, ჭრილობა შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, თავის ვირზე შესვა, სასტუმროში მიიყვანა და მოუარა მას. მეორე დღეს, წასვლის დროს, ორი დრაჰკანი (43 კაპეიკი) ამოიღო, სასტუმროს პატრონს მისცა და უთხრა: „ამას კარგად უპატრონე, კარგად მოუარე, და თუ რამეს მეტს დაახარჯებ, როცა დავბრუნდები, მოგცემ. „Ამ სამში ავაზაკთაგან დაჭრილის მახლობელი ვინ იყო?“ ჰკითხა Იესომ სჯულის მცოდნეს. მან მიუგო: „ის ვინც მას მოწყალება უყო“. Იესომ უთხრა: „წადი და ეგრე ჰყავ შენცა“. Ამ იგავით Იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ჩვენი მახლობელი არის

ყოველი კაცი და ყოველ კაცს, ვინც უნდა იყოს იგი, მოწყალება უნდა უყოთ.

---

§ 60. მისვლა ქრისტესი მართა და მარიამისას
(ლუკ. 10, 38—42).

იერუსალიმის მახლობლად იყო სოფელი-ბეთანია. იქ ცხოვრებდნენ ორნი დანნი: მართა და მარიამ ძმით ლაზარეთი. იესო ქრისტე იმათსა მივიდა. მარიამ იესოს ფეხთან დაჯდა და მის ქადაგებას ისმენდა. მართამ კი მასზედ დაიწყო ზრუნვა თუ რით გაუმასპინძლდეს მას, რადგანაც მარიამ არ ეხმარებოდა მას, ის იესოსთან მივიდა და უთხრა: „უფალო! უთხარ ჩემ დას, რომ შემეწიოს მე, მან მარტო დამიტოვა მე მსახურებად“- იესომ მიუგო მას“: „მართა! მართა! ზრუნავ და შფოთხარ მრავლისათვის, აქ კი ერთი არს საჭირო, მარიამმა კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელიც არას დროს არ წაერმევა მას“ ე. ი. მარიამმა კეთილი საქმე ამოირჩია, იესო ქრისტეს ქადაგების სმენა, რაჯცა არ უნდა დაეშალოს მას.

---

§ 61. იესო ქრისტე ასწავლის ლოცვას და ეუბნება იგავს კაცზე, რომელიც მეჯობარს სთხოვს ჰურს.
(ლუკ. 11, 1—13; მათ. 6, 9—13; 7, 7—11).

ერთხელ ერთ ადგილს იესო ქრისტე ლოცვილობდა; როცა მან ლოცვა გაათავა, ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა უთხრა მას: „უფალო! გვასწავლე ლოცვა“. უფალმა უთხრა: „როცა ლოცვილობდეთ, თქვით ეგრე: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევა შენი; იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსებისა მოგვეც ჩვენ დღეს; და მოგვიტევენ ჩვენ თანა-ნადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება, უკუნისამ-

დე. ამინ. ასწავლა რა თავისს მოწაფეებს ლოცვა, იესო ქრისტემ სთქვა, რომ ზეციერი მამა მიანიჭებს ჭეშმარიტ სიკეთეს ყოველ კაცს, რომელიც სთხოვს მას. ეს სწავლა გამოხატა შემდგომ იგავში: „თუ რომ თქვენგანი ვინმე შუაღამეზე მეგობართან მივიდეს და უთხრას მას: მეგობარო მასესხე მე სამი პური, მეგობარი ჩემი ჩემთან მოვიდა და მე არა მაქვს რა მიუტანო მას სუფრაზე, ხოლო მან შიგნიდან უთხრას მას: ნუ მაწუხებ, კარები უკვე დაკეტილი მაქვს და შვილნი ჩემნი ჩემთანა არიან ლოგინში, არ შემიძლია ადგომა და მოცემა. თუ ის არ ადგება და არ მიცემს მას მეგობრობით, გეტყვი თქვენ, რომ მისი მოუშორებლობის გამო, ადგება და მისცემს მას, რავდენსაც სთხოვს. და მე გეტყვი თქვენ: ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განაგეღოს თქვენ. ვინ არს თქვენგანი ისეთი კაცი, რომ მას შვილმა პური სთხოვოს და ქვა მისცეს მას; ან თევზი სთხოვოს და გველი მისცეს მას, ან კვერცხი სთხოვოს და მორიელი მისცეს მას. თუ თქვენ უკეთურებმა კეთილის მიცემა იცით შვილთა თქვენთა, მით უმეტეს მამამან თქვენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი იმათ, რომელნიც სთხოვენ მას“.

---

§ 62. იესო ქრისტე ამხილებს ფარისევლებს და სჯულიის მეცნიერთ ერთ ფარისევლისას სადილზე.

(ლუკ. 11, 37—54).

ერთმა ფარისეველმა იესო ქრისტე სადილად მიიპატაჟა. იესო მივიდა და დაჯდა. როცა დაინახა, რომ სადილის წინ იესომ ხელი არ დაიბანა, ფარისეველს გაუკვირდა. ამ შემთხვევის გამო იესომ ამხილა ფარისევლებს, რომ ისინი გარეგან სიწმიდეზე ზრუნავენ და შინაგან, სულიერ სიწმიდეს არ დაეძებენ; ჯამ-ჭურჭელს ასუფთავებენ და გულნი მათნი ბოროტებით სავსე არიან; რომ ისინი სწირავენ ათეულს პიტნისას, ტეგანისას (ტარხუნისას) და ყოველი მხლისას და გვერდს უხვევენ სამართალსა და სიყვარულსა ღვთისასა; რომ მათ უყვართ ზემო ჯდომა შესაკრებელში (თორაში) და მოკითხვა უბანთა ზედა (ე. ი. შეკრებილებაში).

როცა იესო ამხილებდა და აუგებდა ფარისეველებს, მაშინ ერთმა სჯულის მეცნიერმა უთხრა მას: „მოძღვარ! მაგას რომ ამბობ, ჩვენცა გვაგინებ“. იესომ ამხილა მაშინ და აუგა სჯულის მეცნიერნიც იმიტომ, რომ ისინი სხვებს მძიმე ტვირთს ადებენ და თვითონ ამ ტვირთს თითითაც არ ეხებიან; რომ მამათა მათთა მოსწყვიდნეს წინასწარმეტყველნი და ისინი მათ საფლავებს უშენებენ და მით მოწმობენ მამათა მათთა საქმესა და ისინიც თანამოზიარენი არიან ამ საქმეში; რომ მათ დამალეს მეცნიერების კლიტენი, თვითონ არ შედიან და შემავალთა აყენებენ. მაშინ ფარისეველნი და მწიგნობარნი განრისხდენ, მისთვის ბოროტი განიძრახეს, გმობდენ მას და უკქერდნენ, რომ რაჲმე ჰპოვონ მის სიტყვებში, რათა შეასმინონ იგი.

---

§ 63. იგავი ანგარების მოყვარე მდიდარზე და ბატონის მომლოდნელ მონებზე (ლუკ. 12, 13—59; მათ. 6, 19—21; 25—34).

ფარისეველების მხილების შემდგომ იესო ქრისტე ერთ ადგილზე ასწავლიდა მასთან შეგროვილ ხალხს. ხალხისაგან ერთი ვინმე გამოვიდა და უთხრა იესოს: „მოძღვარ! ჩემ ძმას უთხარი, რომ გამომიყოს მე სამკვიდრებელი“. იესომ უთხრა მას: „კაცო! ვინ დამაყენა მე მსაჯულად და განმყოფელად თქვენდა?“ ხოლო იქ მყოფთ უთხრა: „გაფრთხილდით და ერიდეთ ყოველ გვარ ანგარებას, ამიტომ რომ კაცის ცხოვრება ბევრ ქონებაზე არ არის დამოკიდებული (განსაკუთრებით სულიერი) და უთხრა მათ იგავი: „ერთ მდიდარ კაცს კარგი მოსავალი მოუვიდა, ის ფიქრობდა თავისს გულში და ამბობდა: „რა ვქმნა? რომ ჩემი ნაყოფის შესაკრები ადგილი არა მაქვს“. მერმე სთქვა: „ასე ვიქმ, ჩემ ბეღლებს დავარღვევ და უფრო დიდებს ავაშენებ, ჩემ მოსავალს იქ შევინახავ და ვეტყვი სულს: სულო! მრავალი კეთილი გაქვს შენახული მრავალ წელთათვის; განისვენე, სჭამე და სვი და იხარე. მაგრამ ღმერთმა უთხრა მას: „უგნურო! ამღამ მიგიღონ სული შენი შენგან (ამღამ მოკვდები); ეს, რაც მოიმზადე, ვისი იყოს? ეგრეთვე შეემთხვევა მას, რომელიც თავისთვის შეიკრებს და არ

ღვთისა მიერ განმსდილრების". ე. ი, არ ჰდიდრდება კეთილი საქმეებით.

ამის შემდგომ უფალმა უთხრა თავისს მოწაფეებს: „ნუ ზრუნავთ მასზედ: რა სჭამოთ, რა სვათ და რა შეიმოსოთ. შეხედეთ ყორანთა: ისინი არც სთესვენ, არც მკიან და ღმერთი ზრდის მათ;—რავდენად უმჯობესნი ხართ თქვენ ფრინველებზე? შეხედეთ შროშანთა, როგორ იზრდებიან ისინი: არ შრომობენ და არ რთავენ; მაგრამ გეტყვი თქვენ, რომ, მიუხედავად მისი დიდებისა. ისე სოლომონიც არ იმოსებოდა, როგორც ერთი ამათგანი; თუ ღმერთი ბალახს ეგრე მოსავს, მით უმეტეს თქვენ შეგმოსავს, ჭკირედ მორწმუნენო! ამ გვარად ნუ ეძებთ: რა სჭამოთ და რა სვათ, და ნუ სწუხართ. პირველ ყოვლისა ეძიეთ სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ (ე. ი. მომეტებულად ნუ ზრუნავთ საჭმელ-სასმელზე და ტანისამოსზე, არამედ ღვთის სასუფეველზე). ნუ შეიკრებთ საუნჯეს ქვეყანაზე, სადაც მღილმან (ჩრჩილმან) და ჟანგმა განრყვნას (წაახდინოს) და სადაც ქურდები დათხრიან და მოიპარავენ; არამედ შეიკრიბეთ საუნჯე თქვენი ცათა შინა, სადაც ვერც მღილმან და ვერც ჟანგმა წაახდინოს და ვერც ქურდებმა მოთხარონ და ჰოიპარონ. ვინაიდგან სადაც იყოს საუნჯე თქვენი, მუნცა (იქვე) იყოს გული თქვენი".

შეაგონა რა თავისს მოწაფეებს ზრუნვა ზეციურ სიკეთეზე, ამასთან ერთად იესო ქრისტემ ამცნო მათ, რომ ისინი ყოველთვის ჰზად უნდა იყვნენ მისი მეორედ მოსვლის შესახვედრად: „თქვენ ემსგავსენით იმ კაცებს, რომელნიც ქორწილისაგან თავისს ბატონს მოელიან, რათა, როგორც მოვიდეს და დარეკოს, მაშინვე გაუღონ მას კარები. ნეტარ არიან ის მონანი, რომელნიც მოსვლის დროს ბატონმა ჰპოოს მღვიძარენი. ისიც იცით: თუ რომ სახლის პატრონმა იცოდეს: ქურდი რომელ საათზე მოვა, მაშინ ის იფხიზლებდა და თავისს სახლის ძირის გამოსათხრელად არ მიუშვებდა მათ. თქვენც მზად იყავით; ვინაიდგან, რომელ დროსაც არ გეგონოთ, ძე კაცისა მოვიდეს".

მაშინ პეტრემ უთხრა: „უფალო! ჩვენზე იტყვი ამ იგავს, თუ ყველაზე?" უფალმა უთხრა: „როდესაც თავისს მოურავს ბატონი

მიანდობს, რომ მან მოსამსახურეებს თავისს დროზე აძლიოს პური, ნეტარ არს ის მოურავი, თუ მისმა ბატონმა მოსვლის დროს ჰპოვოს იგი ესრეთ მოქმედი; ის დააყენებს მას მთელ თავისს ქონების მოურავად. უკეთუ ამ მონამ—მოურავმა – სთქვას თავისს გულში: „ჩემ ბატონს დააგვიანდება,“—და დაუწყოს ცემა მოსამსახურეებს, თვითონ დაიწყოს ჭამა, სმა და მთვრალობა, და მოვიდეს მისი ბატონი იმ დროს, როდესაც ის არ მოელოდეს, და განკვეთოს იგი და ურწმუნოს ხვედრი არგუნოს. ის მონა, რომელმანც თავისს ბატონის ნება იცის და მის ნებაზე არ იმოქმედოს, ფრიად იტანჯოს; ხოლო ის მონა, რომელმანც არ იცის და რაიმე ტანჯვის ღირსი ქმნას, მცირედ იგვემოს, რადგანც რომელსაც ბევრი მიეცა, ბევრიც მოეთხოვოს.“

ესო ქრისტემ იცოდა, რომ მისი სიტყვა და სწავლა არის სიტყვა ღვთისა და ეს სიტყვა, როგორც ცეცხლი, დასწვავს კაცის სულში ყოველ ბოროტებას—გასწმენდს კაცის სულს: ამიტომ ახლა მას სურს, რომ მალე აენთოს ეს ალი ჭეშმარიტებისა და სიყვარულისა; რომ მან თავის, სისხლით უნდა დაამოწმოს თავისს სიტყვების ჭეშმარიტება, უნდა ეწვალოს ჭეშმარიტებისათვის, რომ მის მოწაფეებსაც არ მოელის მშვიდობიანი ცხოვრება; რომ ჭეშმარიტებას, რომელიც მან მოიტანა ქვეყანაზე, შეუძლია დაამყაროს ქვეყნიური ბედნიერებაც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მომეტებული ნაწილი კაცობრიობისა მტკიცედ ერწმუნება და მიიღებს მას. სანამდის უმრავლესობა უსამართლობის, მტრობის და თავმოყვარეობის მომხრე იქმნება, მანამდის ახალი სწავლა სიყვარულისა და თავგანწირულებისა, ცოტ-ცოტად შედის რა საზოგადოებაში, ახდენს კაცთა შორის განყოფილებას, თვით უმახლობელეს ნათესავთა შორისაც კი.

---

§ 64. ტაძრის განახლების დღესასწაულზე იესო ქრისტე აცხადებს, რომ ის და მამა ერთ არს (Іоан. 10, 22—42).

დაიწყო ტაძრის განახლების დღესასწაული. ესო ქრისტე იერუსალიმს მივიდა და შევიდა ტაძარში—სოლომონის სტოვაში.

იქ ურიები გარშემოადგნენ მას და უთხრეს: „სანამდის გვამყოფებ ჩვენ გამოურკვეველ მდგომარეობაში? თუ შენ ხარ ქრისტე, გვითხარ ჩვენ განცხადებულად“. მან მიუგო მათ: „მე გითხარ თქვენ და არა გრწამთ, საქმენი, რომლებსაც მამა ჩემის სახელითა ვიქმ, მოწმობენ ჩემზე, რომ მე და მამა ჩემი ერთ ვართ“. მაშინ ურიებმა აიღეს ქვები და უნდოდათ ესროლათ მისთვის. იესომ უთხრა მათ: „ბევრი კეთილი საქმე გიჩვენე თქვენ მამისა ჩემისა მიერ, რომელ საქმისათვის გინდათ მესროლოთ მე ქვები?“ ურიებმა მიუგეს: „კეთილ საქმისათვის კი არ გვინდა გესროლოთ ქვები, არამედ გმობისათვის, იმისთვის რომ შენ კაცი ხარ და თავს ღმერთად სთვლი“. უფალმა მიუგო მათ: „თუ არ ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამთ ჩემი. ხოლო თუ ვიქმ და ჩემი არ გრწამთ გრწამდეთ საქმენი ჩემნი, რათა გაიგოთ და ირწმუნოთ, რომ მამა ჩემთანა არს და მე მამისათანა“. მაშინ ურიებმა მოინდომეს მისი შეპყრობა, მაგრამ ის განშორდა მათ და წავიდა იორდანეს იქით მხარეს, სადაც იოანე წინეთ ხალხს ნათლავდა (პერეიაში) და იქ დარჩა რავდენიმე ხანს. იქ ბევრი ერწმუნა მას.

---

§ 65. იგავი სერობად წოდებულებზე. (ლუკ. 14, 12—24).

ერთხელ იესო ქრისტე სადილად მიწვეული იყო ერთ ფარისევლისას. იესომ უთხრა მას: „როცა სადილს ან ვახშამს აკეთებ, ნუ იწვევ მეგობრებს, ნუც ძმებს, ნუც ნათესავებს, ნუც მდიდარ მეზობლებს, რომ იმათაც მიგიწვიონ და ზაგიერი გადაგიხადონ, არამედ მიიწვიე გლახაკნი, ხეიბარნი (კაცნი დაშავებულნი), კოჭლნი და ბრმანი. და ნეტარ იყო, რადგანც ისინი მაგიერს ვერ გადაგიხდიან და ღმერთი გადაგიხდის მართალთა აღდგომის დროს (ე. ი. სასუფეველში)“. ერთმა იქ მყოფთაგანმა სთქვა: „ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური ღვთის სასუფეველსა“. მაშინ უფალმა წარმოსთქვა იგავი სერობად წოდებულებზე: ერთმა კაცმა გააკეთა სერი (ვახშამი) დიდი და მიიწვია მრავალნი. როცა შეიქმნა სერობის (ვახშმობის) დრო, მან გაგზავნა მონა თვისი წოდებულთა სათქმელად: მოდით, ყოველივე უკვე მზად არის.

თითქო ერთი პირი შეკრესო, ყველამ ბოდიში მოიხადა. პირველმა უთხრა მას: „აგარაკი (საყანე ან სავენახე იდგილი) ვიყიდე და უნდა წავიდე მის სანახავად, გთხოვ, განმათავისუფლო შენი წვეულებისაგან“. მეორემ უთხრა: „ხუთი უღელი ხარი ვიყიდე, მათ გამოსაცდელად მივალ, გთხოვ განმათავისუფლო“. მესამემ უთხრა: „ცოლი შევირთე და ამიტომ არ შემიძლია მოსლვა“. მონა დაბრუნდა და ყოველივე თავის ბატონს მოახსენა. მაშინ სახლის პატრონი გაჯავრდა და მონას უთხრა: „წადი ჩქარა ქალაქის ქუჩებში და მოიყვანე აქ გლახაკნი, ხეიბარნი, კოჭლნი და ბრმანი“. რავდენიმე ხნის შემდგომ მონამ მოახსენა: „უფალო! აღვასრულე, რაც მიბრძანე და კიდევ არის ადგილი“. ბატონმა უთხრა მონას: „წადი გზებში და შუკებში (ორლობეებში) და ვინც შეგვხდეს, უთხარი, რომ მოვიდნენ, რათა აღივსოს სახლი ჩემი. ბეტყვი თქვენ, არა ვინ წინეთ წოდებულთაგანმა იხილოს გემო სერობისა ჩემისა; ვინაიდგან მრავალნი არიან ჩინებულ (წოდებულ) და მცირედნი რჩეულ“. ამ იგავით იესო ქრისტემ გამოგვიმცხადა, რომ ღმერთმა პირველად თავისს სასუფეველში ურიებს მოუწოდა, მაგრამ იმათ უარ-ყვეს ეს მოწოდება, ამიტომ ღმერთი დასტოვებს მათ და მოუწოდებს წარმართებს.

---

§ 66. იგავნი: გზა დაბნეულ ცხვარზე, დაკარგულ დრაქმაზე და უძღებ შვილზე. (ლუკ. 15 თ. მათ. 18, 12—13).

იესო ქრისტეს დაუახლოვდნენ მეზვერენი და ცოდვილნი და მის სწავლას ისმენდნენ. ამიტომ ფარისეველნი და მწიგნობარნი დრტვინავდნენ (იესოს სამდურავს უცხადებდნენ) და ამბობდნენ, რომ ის ცოდვილებს იღებს, მათთან სჭამს და სვამსო. ამის გამო იესომ უთხრა მათ იგავნი: „ვინმე თქვენგანს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთი მათგანი გზას დაებნეს და დაიკარგოს, არ დატოვებს ის უდაბნოში ოთხმოცდა ცხრამეტს და არ წავა დაკარგულის მოსაძებნად? და როცა მას იპოვნის, სიხარულით შეისვამს მხარზედ, მიიყვანს სახლში, მოუწოდებს მეგობრებს და მოძმეებს და ეტყვის მათ: ჩემთან ერთად გაიხარეთ, რადგანც

კიპოვნე ჩემი დაკარგული ცხვარი. ᲒᲔᲢᲧᲕᲘ თქვენ: ეგეთი სიხარული იქმნება ცაში ერთ ცოდვილისათვის, თუ რომ მან შეინანა, კიდრე 99 მართალთათვის, რომელნიც სინანულს არ საჭიროებენ“.

ᲐᲛ იგავში მწყემსი მოასწავებს თვით ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ; გზა დაბნეული ცხვარი—ცოდვილ კაცობრიობას (ᲘᲡᲐᲘᲐ 53, 6), რომლის საცხოვნებლად მოვიდა იგი ზეციდან ქვეყნად.

ᲛᲔᲠᲛᲔ უთხრა ᲘᲔᲡᲝᲛ: „ანუ დედა კაცს რომ ჰქონდეს ათი დრაქმა (21½ კაპეიკი) და ერთი დაკარგოს, არ დაუწყებს გულ მოდგინედ ძებნას? და როცა იპოვნის, არ განიხარებს? ᲒᲔᲢᲧᲕᲘ თქვენ: ეგრეთ განიხარებენ ანგელოსნი ᲦᲕთისანი ერთ შენანებულ ცოდვილთათვის“.

ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲛ კიდევ უთხრა მათ იგავი: „ერთ კაცს ჰყავდა ორი შვილი. ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲛᲐ სთხოვა მამას თავისს წილი ქონება და შორს-უცხო ქვეყანაში წავიდა. ᲘᲥ თავის ქონება მან ბოროტად ცხოვრებაში გაფანტა და ძლიერ დაღარიბდა. ᲒᲐᲩᲜᲓᲐ შიმშილობა. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ საშვალება არ ჰქონდა და ის მოჯამაგირედ დაუდგა ერთ კაცს, რომელმანც გაგზავნა ის ღორების მწყემსად და დიდ გაჭირვებაში ჩავარდა: ღორების საზრდოთი უნდოდა გამძღარ იყო და იმასაც არ აძლევდნენ. ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲐᲛ მოაგონა მას თავისს მამის სახლი და სთქვა: „მამა ჩემის სახლში რავდენი მოჯამაგირეა და პური ყველას ბლომად აქვს, მე კი აქ შიმშილით ვკვდები, წავალ მამა ჩემთან, ვეტყვი: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და შენ წინაშე; მე არ ვარ ღირსი შენ შვილად ვიწოდებოდე, მიმიღე, როგორც ერთი მოსამსახურეთაგანი“. ᲠᲐᲪ თქვა, კიდევაც აღასრულა: აღსდგა და წავიდა იგი მამასთან; ᲯᲔᲠ კიდევ შორს იყო, რომ მამამ დაინახა; შეეწყალა, სიჩქარით მიეგება შვილს, ჩაეხვია კისერში და დაუწყო ალერსი. ᲛᲝᲐᲢᲐᲜᲘᲜᲐ მოსამსახურეებს საუკეთესო ტანისამოსი და შემოსა, ხელზედ ბეჭედი შეაცვა და ფეხსაცმელი ჩააცვა. ᲐᲛ შემთხვევის გამო დააკლევინა ნასუქი ხბო და ლხინი გამართა. ᲐᲛ დროს ᲯᲤᲠᲝᲡᲘ შვილი ყანიდგან მობრუნდა, თავის მამის სახლში სიმღერა გაიგონა და იკითხა: რა მოლხენა ექვს მამა ჩემს“? მას უთხრეს: „ძმა შენი მობრუნდა, მამას გაუხარდა, რომ ის კარგა მყოფი ნახა და ლხინი გამართა“. ᲘᲬᲧᲘᲜᲐ

უფროსმა ძმამ და არ უნდოდა შესლვა. მამა გამოვიდა და ეხვეწებოდა შინ შესულიყო, მაგრამ მან უთხრა: „მე ამდენი წელიწადია შენ გმსახურებ და ერთი თიკანიც არ მომეცი, რომ ჩემ მეგობრებთან მელხინა, მან კი შენი საცოვრებელი შეჭამა და ახლა კიდევ ნასუქი ხბო დაუკალ“. მამამ უთხრა მას: „შვილო! შენ მუდამ ჩემთან ხარ და ყოველივე ჩემი შენია, ახლა კი სიხარული გვმართებს, ამიტომ რომ ძმა ესე შენი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და ვიპოვეთ“. ამ იგავში მამა ნიშნავს მამა ღმერთს, უმცროსი შვილი—შენანებულ ცოდვილს, უფროსი—მწიგნობრებს და ფარისევლებს, რომლებსაც წმიდა კაცებად მიაჩნდათ თავი, ლხინი—სასუფეველს. როგორც ცოდვებ მონანებული შვილი მიიღო მამამ სიხარულით, ეგრეთვე ღმერთი მიიღებს ყოველ ცოდვილს, ვინც კი თავისს ცოდვებს მოინანებს.

---

§ 67. იგავი მდიდარზე და ლაზარეზე. (ლუკ. 16, 19—31).

იესო ქრისტე ასწავლიდა, რომ კაცი არ უნდა იყოს უწყალო გულის ღარიბ და გაჭირვებულთან, არამედ უნდა შეიწყალოს იგინი და, რითაც შეუძლია, უნდა დაეხმაროს მათ. ეგრეთვე ქრისტე გვასწავლის, რომ იმ ქვეყანას (საიქაოს) არის ცნობა კაცთა. ამაზედ იესო ქრისტემ სთქვა შემდგომი იგავი: „ერთი კაცი იყო მდიდარი, იგი ძოწეულით და ბისონით (ძვირფასი სამოსელით) იმოსებოდა და ყოველ დღეს ბრწყინვალედ ლხინობდა. იყო ეგრეთვე ერთი გლახაკი, სახელით ლაზარე. ის იყო დავრდომილი, დაავადმყოფებული, წყლულით დაფარული, მდიდრის კარებში იწვა და სურდა გამძღარ იყო ნამუსრევით, რომელნიც მდიდრის სუფრისაგან გადმოცვივოდნენ. ძაღლები მიდიოდნენ და მის წყლულს ლოკავდნენ. მოვიდა დრო, გლახაკი მოკვდა და სული მისი ანგელოსებმა მიიყვანეს წიაღთა შინა აბრაამისათა (სამოთხეში). მოკვდა მდიდარი და დაასაფლავეს. ის შევიდა სატანჯველში—ჯოჯოხეთში, აიხედა და შორს აბრაამი დაინახა და მასთან ლაზარე ნეტარებაში. მაშინ ხმა მაღლა დაიძახა: „მამაო აბრაამ! შემიწყალე მე, გამომიგზავნე ლაზარე, რომ მან თავისს

თითის წვერი წყალს დააწოს და მით განმიგრილოს ენა ჩემი, რადგან მე ცეცხლის ალით ვიტანჯები". აბრამმა უთხრა მას: „შვილო! გაიხსენე, რომ შენ სიცოცხლეში კეთილი მიიღე და ლაზარემ მაშინ ბოროტი, ახლა კი აქ ლაზარე ნუგეშინისცემულ არს და შენ იტანჯები; გარდა ამისა ჩვენსა და შენ შორის დიდი გაუსვლელი ნაპრალი არს, ასე რომ არც მაქედან შეუძლია ვინმეს აქ მოსვლა და არც აქედან მანდ". მაშინ მან უთხრა აბრაამს: „გთხოვ, მამაო, რომ ეგ მამა ჩემის სახლში გაგზავნო, ხუთი ძმა მყავს და მათ აუწყოს, რომ ისინიც ამ სატანჯველში არ მოვიდნენ". აბრაამმა უთხრა მას: „ქონან მოსე და წინასწარმეტყველნი (ესე იგი-იმათ აქვთ საღვთო წერილის წიგნები), მათი ისმინონ". მან უთხრა: „არა მამაო, აბრაამ, არამედ უკეთუ ვინმე მკვდრეთით აღსდგეს და მივიდეს, მათ შეინანონ". აბრაამმა უთხრა მას: „თუ მოსეს და წინასწარმეტყველების არ ისმინონ, არც მკვდრეთით თუ ვინმე აღსდგეს, რწმენეს მათ". ამ იგავში კიდევ გამოხატულია ის სწავლა, რომ მიცვალებულნი ზრუნავენ ცოცხალთა სულის ცხოვნებაზე.

---

§ 68. განკურნება ათთა კეთროვანთა. (ლუკ. 17, 11—19).

ერთხელ ერთ სოფელში შესვლის დროს იესო ქრისტეს მოეგებნენ ათნი კაცნი—კეთროვანნი (ავადმყოფნი, თეთრად ხორც დასივებულნი და დაქერტლიანებული); ისინი შორს დადგენ და იესოს ხმა მაღლა დაუძახეს: „იესო, მოძღვარ! შემიწყალენ ჩვენ". იესომ შეხედა მათ და უთხრა: „წადით და ეჩვენეთ მღვდელთა". (მოსეს სჯულით ვინც კეთროვნებისაგან განიკურნებოდა, ის მღვდელს უნდა ჩვენებოდა და განკურნების მოწმობა უნდა აეღო). ისინი წავიდნენ და განიკურნენ. ერთი მათგანი, რაკი მან ნახა, რომ განიკურნა, მობრუნდა, ხმა მაღლა ადიდებდა ღმერთს, იესოს ფეხებთან პირქვე მიწაზე დაეცა და მადლობდა მას. ეს იყო სამარიტელი. იესომ ჰკითხა მას: „ათნივე არ განიკურნეთ? სად არიან ცხრანი? ეგოდენი ვერ მიხვდნენ, რომ მობრუნებულ იყვნენ და მადლობა შეეწირათ ღვთისათვის, მხოლოდ ეს უცხო თესლი

(მიხვდა)". მერმე უთხრა მას: „აღზდეგ და წადი, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ".

---

§ 69. იგავი უსაძართლო მსაჯულზე. (ლუკ. 18, 1—8).

Იესოს მოწაფენი მომავალ საშინელ შემთხვევების და უბედურების დროს სასოწარკვეთილებაში რომ არ ჩავარდნილ იყვნენ, Იესო ქრისტემ ასწავლა მათ, რომ ისინი მოუწყენლად და განუწყვეტლად უნდა ლოცვილობდნენ ღმერთს. ლოცვა მისცემს მათ ძალას, რომელიც განამტკიცებს მათ იმედს უბედურების დროს. მხოლოდ მათ არ უნდა შეასუსტონ ლოცვა მაშინაც კი, როდესაც მათი ლოცვა დიდხანს უყურადღებოდ რჩება; და ღმერთი უსათუოდ შეისმენს მათ ლოცვას და დაიფარავს მათ. ეს სწავლა გამოხატა მან შემდგომ იგავში: „ერთ ქალაქში იყო ვინმე მსაჯული, რომელსაც ღვთის არ ეშინოდა და კაცის არ რცხვენოდა. Iმავე ქალაქში ცხოვრებდა ერთი ქვრივი დედაკაცი. Iს მიდიოდა მასთან და თხოვდა: „დამიფარე მე ჩემი მოცილესაგან (მტერისაგან, მაწუხებელისაგან)"; მაგრამ მან დიდხანს არ შეისმინა მისი, მერმე სთქვა თავისს გულში: „თუმცა ღვთისა არ მეშინია და კაცის არ მრცხვენია, მაგრამ რადგანც ეს ქვრივი მოსვენებას არ მაძლევს, დავიფარავ მას, რომ მუდამ არ მოდიოდეს და არ მაწუხებდეს მე". მერმე Iესომ უთხრა მოწაფეებს: „ისმინეთ, რას ამბობს უსამართლო მსაჯული? ნუ თუ ღმერთი არ დაიფარავს რჩეულთა თვისთა, რომელნიც ევედრებიან მას დღე და ღამე (მუდამ დროს) დაუზარებლად. ბეტყვი თქვენ, რომ ღმერთი დაიფარავს მათ თავის დროზე".

---

§ 70. იგავი მესვეურზე და ფარისეველზე. (ლუკ. 8, 9—14).

Iესო ქრისტე ასწავლიდა, რომ კაცმა თავი თვისი არ უნდ[illegible] აღიმაღლოს, არამედ ღმერთს სიმდაბლით უნდა ევედროს [illegible] სთხოვოს ცოდვების მოტევება. ეს სწავლა ქრისტემ გამოხატ[illegible] შემდგომ იგავში: „ორი კაცი შევიდა ტაძარში სალოცავად, ერთ[illegible]

ფარისეველი და ერთი მეზვერე. ფარისეველი წინ წარდგა და ეგრე ლოცვილობდა: „ღმერთო! გმადლობ შენ, რომ არა ვარ მე. როგორც სხვა კაცი, მტაცებელი, ცრუ და მემრუშე, ან როგორც ეს მეზვერე. ვმარხულობ ორ გზის კვირაში, და ყოველ ჩემ მონაგებისაგან ვსწირავ მეათედს“. მეზვერე კი შორს, (უკან, კარებთან) იდგა და თვალების ზეცას აღხილვას ვერც კი ბედავდა, გულზედ ხელს იცემდა და იტყოდა: „ღმერთო! მილხინე ცოდვილსა ამას!“ გეტყვი თქვენ: ეს წამოვიდა სახლში უფრო გამართლებული, ვიდრე ფარისეველი იგი; ამიტომ რომ რომელმანც აღიმაღლ·ს თავი თვისი იგი დამდაბლდეს, და რომელმანც დაიმდაბლოს თავი თვისი იგი ამაღლდეს“.

---

§ 71. ყრმების კურთხევა. (მარკ. 10, 13—16; ლუკ. 18, 15—17· მათ. 19, 13—15).

ერთხელ იესო ქრისტესთან მიჰყავდათ ყრმები, რომ იესომ ხელი დაადოს მათ და აკურთხოს იგინი. მოწაფეები აყენებდნენ მათ. იესომ დაინახა და უთხრა მოწაფეებს: „ნუ აყენებთ მაგათ და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ამიტომ რომ მაგათთანეებისთვის არს სასუფეველი ღვთისა. ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ, ვინც არ მიიღებს სასუფეველს, როგორც ყრმა, იგი ვერ შევიდეს მასშიდ“. ამის შემდგომ იესომ დაადვა მათ ხელი და აკურთხა იგინი.

---

§ 72. მდიდარი ჭაბუკის დარიგება ქრისტეს მიერ. (მარკ. 10, 17—27; მათ. 19, 16—26; ლუკ. 18, 18—27).

როცა იესო ქრისტე გამოდიოდა გზაზე (პერეიადგან დაბრუნებული), მასთან მოირბინა ვინმე მთავართაგანმა—ახალგაზდა კაცმა—მის წინ დაიჩოქა და უთხრა მას: „მოძღვარო სახიერო! რა უნდა ვქმნა, რომ ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდრო?“ იესომ უთხრა მას: „თუ საუკუნო ცხოვრების დამკვიდრება გინდა, მცნებანი აღასრულე“. ჭაბუკმა ჰკითხა: „რომელნი?“ იესომ უთხრა: „არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი დასწამო, პატივ ეც მამასა და დედასა შენსა და შეიყვარე მოყვასი

შენი, როგორც თავი თვისი“. ჯაბუკმა უთხრა: „ყოველივე ამას ვასრულებ სიყმრით ჩემითგან, კიდევ რა მაკლია მე?“ Iესომ შეხედა მას და შეუყვარდა იგი, და უთხრა: „თუ სრულ ყოფა გინდა, ერთი ღა გაკლია შენ: წადი და რაც რამე (ქონება) გაქვს, გაყიდე და მიეც გლახაკთა; და გაქვნდეს საუნჯე ცათა შინა, აიღე ჯვარი, მოდი და შემომიდეგ მე“. Aმ სიტყვების გამგონე შეწუხდა და მწუხარე განშორდა მას, ამიტომ რომ მას ჰქონდა დიდი ქონება. Iესომ მიმოიხედა და უთხრა თავისს მოწაფეებს: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ, რომ მდიდარნი ძნელად შევიდნენ სასუფეველსა ცათასა; უადვილესია, აქლემი გავიდეს ნემსის ხვრელში (ნემსის ყურწში), ვინემ მდიდარი შევიდეს სასუფეველში“. Eს სიტყვები მოწაფეებს ძლიერ გაუკვირდა და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ვის ღა შეუძლია ცხოვნება?“ (რადგანც იშვიათია ისეთი კაცი, რომელიც სიმდიდრეს არ ეტანებოდეს). Iესომ უთხრა მათ: „კაცთა მიერ შეუძლებელ არს ესე, ხოლო Rვთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“. Eკ. ი. კაცს თავით თვისით არ შეუძლია სცხოვნდეს, ხოლო Rვთის შემწეობით შეუძლია.

---

§ 73. იესოვი ქრისტესი ვენახში მშრომელ მუშაკთა თანასწორ სასყიდელსე. (Mათ. 19, 27—30; 20, 1—16, Mარკ. 10, 28—31; Lუკ. 18, 28—30).

Pეტრე მოციქულმა ჰკითხა Iესო Kრისტეს: «აჰა, ჩვენ ყოველივე დავტოვეთ და შეგიდეგით შენ, რა მოგვეცემა ჩვენ?» მან მიუგო: „როდესაც დაჯდეს ძე კაცისა საყდართა ზედა (ტახტსა ზედა) დიდებისა თვისისასა, თქვენც დასხდეთ (დაჯდეთ) თორმეტსა ტახტსა ზედა განსჯად თორმეტთა ტომთა ისრაილისათა. Dა ყოველმან, რომელმან დატოვოს ან სახლი, ან ძმანი, ან დანი, ან დედა ან მამა, ან ცოლი, ან შვილი, ან აგარაკი სახელისა ჩემისათვის, მიიღოს ქვეყნიურ ცხოვრებაშიაც კი ასი წილი მეტი, ხოლო მომავალში დაიმკვიდროს საუკუნო ცხოვრება. Mრავალნი პირველთაგანი (სხვებზე წინ მოწოდებულნი სასუფეველში) დარჩებიან უკან და უკანანი (სხვებზე მერმე მოწოდებულნი სასუ-

ფეველში) წავლენ წინ. სასუფეველი ცათა მსგავს არს სახლის პატრონისა, (ე. ი. ზეციურ სასუფეველში მოხდება იმის მსგავსი, რაც შეემთხვა ერთ სახლის პატრონს), რომელიც დილით ადრე გამოვიდა ბაზარში და დაიქირავა მუშები—თითო თითო დრაჰკანად (21½ კ.), და გაგზავნა თავისს ვენახში. მერმე გავიდა მესამე საათზე (ჩვენებურად მეცხრე საათზე), ნახა უსაქმოდ მდგომარე მუშები და უთხრა მათ: „თქვენც წადით ჩემ ვენახში და, რაც გერგებათ, მოგცემ". ისინი წავიდნენ. კიდევ გამოვიდა მეექვსე და მეცხრე ჟამზე (ჩვენებურად მეთორმეტე და მესამე საათზე) და ჰყო ეგრეთვე. მერმე გავიდა მეთერთმეტე საათზე (ჩვენებურად მეხუთე საათზე), მან კიდევ ნახა უსაქმოდ მდგომარე მუშები და უთხრა მათ: „რას დგეხართ აქ მთელი დღე უსაქმოდ?" იმათ მიუგეს: „არა ვინ გვიქირავა ჩვენ". მან იმათაც უთხრა: „წადით თქვენც ჩემ ვენახში და, რაც გერგებათ, სასყიდელს მიიღებთ". საღამოს ვენახის პატრონმა უთხრა თავისს მოურავს: „მოუწოდე მუშებს და მიეც მათ სასყიდელი, იწყე უკანასკნელიდგან ვიდრე პირველადმდე". მოვიდნენ მეთერთმეტე საათზე დაქირავებულნი და თითომ მიიღო თითო დრაჰკანი. დილას დაქირავებულთ ეგონათ, რომ ისინი მეტს მიიღებენ, მაგრამ იმათაც თითო დრაჰკანი მიიღეს. და სახლის პატრონს ყვედრება დაუწყეს და უთხრეს: „ეს უკანასკნელნი მარტო ერთ საათს შრომობდნენ და შენ ისინი ჩვენთან გაასწორე, როდესაც რომ ჩვენ მთელი დღე სიცხეში ვშრომობდით. მაშინ სახლის პატრონმა უთხრა ერთ მათგანს: „მეგობარო! მე არა რას გავნებ შენ (მე არ გაბნი, მე არ გჩაგრავ შენ); მე ხომ ერთი დრაჰკანი აღგითქვი შენ? წაიღე და წადი, მე მინდა ამ უკანასკნელსაც იმდენი მივსცე, რავდენიც შენ. ნუ თუ არ მაქვს უფლება, მე ჩემი ქონება ისე მოვიხმარო, როგორც მინდა? თუ თვალი შენი შურიანია იმიტომ, რომ მე კეთილი ვარ". მერმე იესომ დაუმატა: „ესრეთ იყვნენ წინანი უკანა და უკანანი წინა, ვინაიდგან მრავალნი არიან ჩინებულ (მოწოდებულ) და მცირედნი რჩეულ".

ამ იგავს შემდგომი მნიშვნელობა აქვს: სახლის პატრონი ნიშნავს თვითონ იესო ქრისტეს; ვენახი—ქრისტეს ეკლესიას, ანუ სასუ-

ფეველს; მუშები—კაცებს, რომელნიც სასუფეველ'ში მოწოდებულ არიან. დილა, მესამე, მეექვსე, მეცხრე და მეთერთმეტე საათი—სასუფეველში მოწოდების სხვა და სხვა დროს; საღამოს ანგარიშის გასწორება—საშინელ განსჯას, როდესაც მართალ მსაჯული ღმერთი ყოველ კაცს მიაგებს სასყიდელს საქმეთაებრ მათთა და არა ვის ნება არა აქვს სთქვას, რომ მან დიდხანს და ბევრი იშრომა სასუფეველისათვის, ხოლო სხვამ ცოტა ხანს და მცირედი შრომა გასწია. სასუფეველში არა აქვს ადგილი არც ყვედრებას, არც შურს, არც თავისს ხანგრძლივ შრომის შურიან შედარებას სხვის შრომასთან; ზეციურ სახლის უფალთან (ღმერთთან) ვაჭრობა არ შეიძლება, არამედ ყოველი კაცი უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რასაც მოწყალე ღმერთი მიანიჭებს მას.

---

§ 74. ლაზარეს ავადმყოფობის ამბავი და ქრისტეს წასვლა ურიასტანს. (იოან. 11, 1—16).

ბეთანიაში ლაზარე, ქრისტეს მეგობარი, ავად გახდა. ლაზარეს დებმა, მართამ და მარიამმა, იესოსთან კაცი გაგზავნეს და შეუთვალეს: ,,უფალო! ის, ვინც შენ გიყვარს, ავად არის''. იესომ მოისმინა ეს ამბავი და სთქვა: ,,ეს ავადმყოფობა სასიკვდინე არ არის, არამედ რათა იდიდოს ძე ღვთისა მისგან,'' და დარჩა იქ, სადაც იმყოფებოდა, ორი დღე. ამის შემდგომ უთხრა მოწაფეებს: ,,წავიდეთ კიდევ ურიასტანს''. მოწაფეებმა უთხრეს მას: ,,მოძღვარ! დიდი ხანი არაა, რაც ურიები გეძებდნენ შენ ქვით ჩასაქოლავად და შენ კიდევ იქ მიხვალ?'' იესო ქრისტემ მიუგო მათ: ,,თორმეტი საათი არაა დღეში? ვინც დღისით დადის მან არ წარსცეს ფერხი (არ წაიბორძიკოს) ე. ი. სანამ გრძელდება ჩემი დღე, ჩემი დრო, მამა ღმერთისაგან ჩემთვის დანიშნული, მე უშიშრად აღვასრულებ ჩემ საქმეს. მერმე დაუმატა: ,,ჩემმა მეგობარმა, ლაზარემ, დაიძინა, მე მივდივარ მის გასაღვიძებლად''. მოწაფეებმა უთხრეს: ,,უფალო! თუ დაიძინა, მორჩება''. მაშინ იესო ქრისტემ უთხრა მათ პირდაპირ: ლაზარე მოკვდა, მე მიხარის თქვენთვის, რომ იქ არ ვიყავ, რათა გრწმენეს ჩემი, არამედ ახლ

წავიდეთ მისას''. და წავიდა იესო თავისს მოწაფეებითურთ ურიასტანს.

---

§ 75. წინასწარმეტყველმა ქრისტესი თავისს სიკვდილზე იერუსალიმში; სალომიას და მისი შვილების: იაკობ და იოანეს თხოვნა. (მარკ. 10, 32—45; მათ. 20, 17—28; ლუკ. 18 31—34).

ურიასტანში უკანასკნელად მოგზაურობის დროს იესო ქრისტე წინ მიდიოდა, მოწაფეები კი უკან მიყვებოდნენ მას და ეშინოდათ. გზაზე იესომ თავისს 12 მოციქულს უთხრა: ,,აჰა ჩვენ იერუსალიმად აღვალთ და ძე კაცისა მიეცეს მღვდელთ მთავართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკვდილით, და მისცენ იგი წარმართთა, განკიცხონ იგი, სტანჯონ იგი, ნერწყვიდენ მას და მოკლან იგი და მესამესა დღესა აღსდგეს''. მოწაფეებმა ეს სიტყვები ვერ გაიგეს.

ამ მგზავრობის დროს ზებედეს ძენი: იაკობ და იოანე დედით სალომიათურთ იესოსთან მივიდნენ და უთხრეს: ,,მოძღვარ! ჩვენ გვინდა აღგვისრულო ის, რაც გთხოვოთ''. იესომ უთხრა: ,,რა გინდათ, რომ გიყო თქვენ?'' ისინი ფიქრობდნენ, რომ იესო ქრისტე ახლა იერუსალიმში იმიტომ მიდის, რომ თავი თვისი მეფედ გამოაცხადოს, და უთხრეს მას: ,,მომეც ჩვენ (ნება), რომ შენ სასუფეველში ერთი მარჯვენით შენსა დავსხდეთ და მეორე მარცხენით''. სალომიაც ამასვე სთხოვდა თავისს შვილებისათვის და ეტყოდა: ,,მოძღვარ! სთქვი, რომ ეს ორნი ძენი ჩემნი დასხდენ სასუფეველსა შენსა, ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით შენსა. უფალმა უთხრა იაკობს და იოანეს: „არ იცით, რას ითხოვთ. შეგიძლიათ სმა სასმელისა, რომელი მე ვსვაა? და ნათლის ღება ნათლის ღებითა, რომლითა მე ნათელ ვიღო“ (ე. ი. შეგიძლიათ წვალება და სიკვდილი ჩემთვის). იმათ უპასუხეს: «შეგვიძლია». იესომ უთხრა მათ: «სასმელი, რომელი მე ვსვა, სვათ, და ნათლის ღებითა, რომლითა მე ნათელ ვიღო, ნათელ იღოთ, ხოლო დაჯ-

დომა მარჯვენით ჩემსა და მარცხენით არ არის ჩემზე დამოკიდებული, არამედ ვისთვისაც განმზადებულ არს მამისაგან ჩემისა''. სხვა მოციქულები გაურისხდნენ იაკობს და იოანეს ამ თხოვნის გაგონებაზე. მაშინ იესომ დაუძახა მათ და უთხრა: ,,რომელსაც თქვენ შორის უფროსობა უნდა, იგი მსახურ თქვენდა იყოს; ხოლო რომელსაც უნდა თქვენ შორის პირველი იყოს, იგი მონა თქვენდა იყოს''.

---

§ 76. ზაქეს მოქცევა (ლუკ. 19, 1—10).

ზაქე იყო მეზვერეთ უფროსი და ძლიერ მდიდარი კაცი. მას უნდოდა იესოს ხილვა. ერთ ელ იესო იერიქოდან მიდიოდა, მან გაიარა ზაქეს მახლობლად, მაგრამ რადგანც იესოს გარშემო ხალხი ეხვია და ზაქე ტანდაბალი იყო, ვერ შეხედა მას. ზაქემ წინ წაირბინა და ლეღვზე აღვიდა. ამ ლეღვის მახლობლად უნდა გაევლო ქრისტეს. ქრისტემ შეხედა ზაქეს და უთხრა: «ზაქე, ჩამოდი ჩქარა, დღეს მე შენ სახლში უნდა ვიყო». ზაქე მაშინვე ჩამოვიდა და იესო თავისს სახლში სიხარულით წაიყვანა. ყველა დრტვინავდა და ამბობდა: ,,რათ შევიდა ცოდვილი კაცისას?'' მაშინ ზაქე წამოდგა და უთხრა იესოს: ,,აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთა მივსცე გლახაკთა და თუ ვინმეს ცილი დავსწამე, მივაგო ოთხი წილი''. იესომ უთხრა მას: ,,დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის, ამიტომ რომ ესეც აბრაამის შვილი არს და ძე კაცისა (იესო ქრისტე) მოვიდა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა''.

---

§ 77. ლაზარეს აღდგინება. (იოან. 11, 17—57).

იესო ქრისტე მივიდა ბეთანიაში ლაზარეს სიკვდილის შემდგომ მეოთხე დღეს. ლაზარეს და მართა, რა კი მან გაიგო, რომ იესო მოდის, მიეგება მას და უთხრა: ,,უფალო! უკეთუ შენ აქ ყოფილ იყავ, არ მოკვდებოდა ძმა ჩემი ლაზარე''. იესომ უთხრა მას: ,,აღსდგება ძმა შენი''. მართამ მიუგო: ,,ვიცი, რომ აღსდგე-

ბა აღდგომასა მას უკანასკვნელსა დღესა". Იესომ უთხრა მას: „მე ვარ აღდგომა და ცხოვრება, რომელსაც რწამს ჩემი, კიდეც რომ მოკვდეს, სცხოვნდეს, გრწამსა ესე?« Მართამ უთხრა მას: „ჰე, Უფალო! მრწამს, რომ შენ ხარ ქრისტე, ძე Ღვთისა მომავალი სოფლად". Ეს რომ სთქვა, წავიდა და მარიამს უთხრა Იესოს მოსვლა. მარიამიც გამოეგება Იესოს და, მასთან მყოფი ურიებიც, რომელთაც ეგონათ, რომ მარიამი სატირლად ძმის საფლავზე მიდისო, გამოყვნენ მას. მარიამი Იესოსთან მივიდა, მის ფეხებთან დავარდა, და უთხრა: «Უფალო! უკეთუ აქ ყოფილ იყავ, არ მოკვდებოდა ძმა ჩვენი". Იესომ დაინახა, რომ ის და მასთან მოსულნი ურიებიც ტიროდნენ, შესძრწუნდა და სთქვა: «სად დასდევით იგი?». მას უთხრეს: „მოვედ და იხილე", Იესოს ცრემლი მოუვიდა. Იესო საფლავთან მივიდა. საფლავზე იდვა ლოდი. Იესომ უბრძანა მათ საფლავიდგან ლოდის გადაგორება. მართამ უთხრა: „Უფალო! ოთხი დღეა მოკვდა, სუნი უდის". ქრისტემ უთხრა: „მე გითხარ შენ, უკეთუ სარწმუნოება გექმნეს, იხილო დიდება Ღვთისა". ლოდი გარდაგორავეს, Იესომ აღიხილა ზეცას და ილოცა; მერმე ხმა მაღლა დაიძახა: „ლაზარე! გამოვედ გარე". მკვდარი გაცოცხდა, და გამოვიდა სახვეველით ხელფეხ შეკრული და სუდრით პირდაბურული. Იესომ ბრძანა: „გახსენით ეგე". ლაზარეს გაუხსნეს ხელფეხი, პირზედ სუდარი ახადეს და ნახეს, რომ ლაზარე სრულიად კარგად არის, მაშინ ბევრი ერწმუნა Იესოს, რომ ის ძე Ღვთისა არს. ზოგიერთები კი წავიდნენ და ეს ამბავი ფარისევლებს უთხრეს.

Ფარისევლები შეიკრიბნენ და ჰქონდათ რჩევა, თუ რა უყონ Იესოს. Ისინი ამბობდნენ: ეს კაცი ბევრ სასწაულებს იქმს, ეგრე თუ დავტოვეთ, ყველა ერწმუნება მას. მოვლენ რომაელნი და დაგვიპყრობენ ჩვენც და ჩვენ ადგილებსაც». მაშინ ქაიაფა მღვდელთ მთავარმა სთქვა: „უმჯობეს არს ჩვენდა, რომ ერთი კაცი მოკვდეს ერისათვის და არა ყოველი ნათესავი წარწყმედს". ქაიაფას თვითონ არ ესმოდა ამ სიტყვების ძალა, ეს სთქვა მან Ღვთის ჩაგონებით, ამიტომ რომ Ღვთის განგებით Იესო უნდა მოკვდარ იყო მთელი კაცობრიობის გამოსახსნელად. მაშინ ურიე-

ბმა გადაწყვიტეს Იესოს მოკვლა. Იესო განშორდა მათ და წავიდა ქალაქ ეფრაიმს—იერიქოს მახლობლად. ხოლო მღვდელთ მთავრებმა და ფარისევლებმა გასცეს ბრძანება, რომ, თუ ვინმემ გაიგოს, სად იქნება ის, განაცხადოს, რომ დაიჭირონ იგი.

---

§ 78. Იესო ქრისტე ბეთანიაში—სიმონ კეთროვნის სახლში ვახშმად. (მათ. 26, 6—13; მარკ. 14, 3—9; Iოან. 12, 1—11).

Პასექის წინ ექვსი დღით შაბათს Იესო თავისს მოწაფეებითურთ მივიდა ბეთანიაში და გაჩერდა სიმონ კეთროვნის სახლში. (სიმონი იყო ქრისტეს მიერ განკურნებული კეთროვნებისაგან და იწოდებოდა კეთროვანად). სიმონის სახლში Iესოს მოუმზადეს ვახშამი. ვახშამზე ემსახურებოდა მართა, ლაზარეს დაჲ, თვითონ ლაზარე სხვებთან ერთად ვახშმად იჯდა. ხოლო ლაზარეს მეორე დამ, მარიამმა ალაბასტრის ჭურჭლით მოიტანა ერთი გირვანქა ნარდის ძვირფასი ნელსაცხებელი (კეთილ სუნნელოვანი ზეთი. რომელსაც ამზადებდენ ნარდის ხის ფესოებისაგან), გატეხა ჭურჭელი და ნელსაცხებელი რაოდენიმე Iესოს დაასხა თავზე, ხოლო დანარჩენი ფეხებზე სცხო Iესოს და თავის თმით წარხოცა Iესოს ფეხნი. მთელი სახლი იმ ნელსაცხებელის კეთილ სუნნელებით აღივსო. ამით მას უნდოდა Iესოსთვის გულითადი მადლობა გამოეცხადებინა ძმის აღდგენისათვის. ეს საქციელი არ მოეწონა ერთ მოციქულთაგანს—ვეცხლის მოყვარე Iუდა ისკარიოტელს, რომელსაც ეკიდა გვადრუცი (კოლოფი); ატარებდა მას და საჭიროების დროს ხარჯავდა იმ ფულს, რომელსაც პატივის მცემელნი ყრიდნენ იმ კოლოფში Iესოს და მისი მოწაფეების სასარგებლოდ. Iუდა ამ ფულებიდგან რაოდენიმე ნაწილს თავისს სასარგებლოდ იპარავდა: Iუდას დაენანა ის ფულები, რათაც ეს ნელსაცხებელი ღირდა. მან უკვე იცოდა: დაახლოვებით რავდენს ჩამორჩებოდა თავისთვის, თუ რომ იმ ნელსაცხებელის ფასი მის კოლოფში ჩაეყარათ და ამიტომ უთხრა მოციქულებს: „რატომ არ განიყიდა ეს ნელსაცხებელი სამ ას დრაჰკანად და არ მიეცა გლახაკთა“. ეს სიტყვები სხვა მოციქულებსაც სიმართლედ ეჩვენათ

და სთქვეს: „რასთვის დახარჯეს ეს ნელსაცხებელი?“ ამ ლაპარაკმა მარიამიც შეაკრთო, შეაშფოთა. თუმცა იესო ქრისტე თავისათვის არა ვითარ გარეგნულ პატივს არა ვისაგან და არასოდეს არ თხოულობდა, მაგრამ რადგანც მარიამის საქციელი იყო შედეგი მისდამი გულრწფელი სიყვარულის გრძნობისა, ამიტომ მოიწონა მარიამის საქციელი და სთქვა: „თავი დაანებეთ, მაგას ნუ აშფოთებთ, მან საქმე კეთილი ჰქმნა ჩემთვის, გლახაკნი მარადის თქვენთანა არიან (და თუ გინდათ, ყოველთვის შეგიძლიათ კეთილი უყოთ), ხოლო მე არა მარადის თქვენთანა ვარ. მან ჰყო, რაც შეეძლო: ჩემ დასაფლავებას დაასწრო ნელსაცხებელის ცხება ხორცთა ჩემთა. ჭეშმარიტად ვეტყვი თქვენ, ყოველ ქვეყანას სადაც იქადაგოს სახარება ესე, მაგის სახსენებლად ითქმოდეს ის, რაც მაგან ჰქმნა ახლა“.

ბევრმა ჩქარა გაიგო, რომ იესო ბეთანიაში მივიდა და ჯგუფ-ჯგუფად გაემგზავრენ იქ, არა მარტო იესოსთვის, არამედ რომ ნახონ ლაზარეც, რომელიც იესომ აღადგინა მკვდრეთით. ეს გაიგეს ფარისეველებმაც, ხელახლად შეჰკრიბეს სინედრიონის წევრნი და მოახდინეს სხდომა. ამ სხდომაზე გადაწყვიტეს: მოკლან არა მარტო იესო, არამედ ლაზარეც, ამიტომ რომ მის გამო ბევრი ურიათაგანი ერწმუნა იესო ქრისტეს.

შენიშვნა: ზოგნი ფიქრობენ, რომ ეს ვახშამი თვითონ ლაზარეს სახლში იყო, ხოლო სიმონ კეთროვანისას იყო იესო ვახშმათ დიდ ოთხშაბათ ღამეს.

[illegible] 12/V-48

III.

[illegible]

იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღენი.

§ 79. დღესასწაულებრივი შესლვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იერუსალიმში. (მარკ. 11, 1—11; მათ. 21, 1—17; იოან. 12, 12—15, 17—19; ლუკ. 19, 29—46).

პასექის წინ ხუთი დღით იესო ქრისტე ბეთანიიდან იერუსალიმს წავიდა. მას დიდ ძალი ხალხი მიყვებოდა. როცა სოფელ

ბეობაგეს გაუსწორდა, მან ორ თავისს მოწაფეს უთხრა: „წინ მდებარე სოფელში წადით, იქ იპოვით მიბმულს ვირს და მის კიცვს, რომელზედაც ჯერ არა ვინ მჯდარა; ახსენით და მომგვარეთ“, და თუ ვინმემ გითხრას თქვენ: რას შვრებით? თქვენ უპასუხეთ, რომ ისინი **უ**ფალს უნდა და ის მაშინვე გამოგატანს თქვენ“. **მ**ოწაფენი წავიდნენ და მოგვარეს მას ვირი და კიცვი. **კ**იცვს გადააფარეს ტანისამოსი; **ი**ესო შეჯდა და წავიდა იერუსალიმს. **გ**ზაზე ხალხი უფრო და უფრო ემატებოდა; ბევრნი იერუსალიმითგან მოიგებნენ, რაკი გაიგეს, რომ ოთხი დღის მკვდრის აღმდგენელი მოდისო. **ბ**ევრს სწამდა, რომ **ი**ესო არის აღთქმული მესია — **ქ**რისტე, ძე **ღ**ვთისა, და დიდი **პ**ატივისცემით ეგებებოდნენ; ზოგნი მათგანი გზაზე ტანისამოსს უფენდენ, ზოგნი ხის ტოტებს კაფავდნენ, გზაზე უფენდნენ და გალობდენ: „ოსანნა (ცხოვნება) ძესა **დ**ავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა **უ**ფლისათა. **ო**სანნა, რომელი ხარ მაღალთა შინა». **ე**გრეთვე მოწაფენიც გალობდნენ. **ხ**ალხში მყოფნი ფარისეველნი ეუბნებოდნენ **ი**ესოს: „მოძღვარ! შერისხენ მოწაფეთა შენთა». **ი**ესომ მიუგო მათ: «გეტყვი თქვენ: უკეთუ ესენი სდუმნენ, ქვანი ღაღადებდენვე“. **რ**ოცა **ი**ესო ქალაქ იერუსალიმს მიუახლოვდა, შეხედა მას, სტიროდა და იტყოდა: „თუ რომ დღეს მაინც გეცნო შენ შენი გამოხსნის დღე (რომელიც მშვიდობას მოგანიჭებს), მაგრამ ახლა ეს დაფარულია თვალთაგან შენთა. **დ**ადგება დრო, როცა მტერი ლაშქარს შემოგასევს, გარშემოგეხვევა, ყოველ მხრიდგან შეგაიწროვებს, და დაგანგრევს და შენ შვილებს ამოწყვეტავს და შენ შორის ქვა ქვაზედ არ დარჩება, ამიტომ რომ შენი მოხედვის დრო ვერ შეიგნე“. (**ე**. ი. შენ ვერ შეიგნე, რომ **ღ**მერთმა მოგხედა შენ, გამოგიგზავნა მხოლოდ შობილი ძე თვისი, შენ ვერ იცანი მესსია—**ქ**რისტე, მაცხოვარი შენი შენთან მოსული და უარ—ჰყავ იგი). **რ**ოცა **ი**ესო შევიდა იერუსალიმში, მთელი ქალაქი შეიძრა და ვისაც არ ენახა, კითხულობდა: «ვინ არს ესე?“ ხალხი ეუბნებოდა მათ: «ესე არს წინასწარმეტყველი **ი**ესო ნაზარეთით». **ი**ესო შევიდა იერუსალიმის ტაძარში და გამორეკა იქიდგან მოვაჭრენი-გამყიდველნი და მყიდველნი — და უთხრა მათ: „დაწერილ არს, სახლი ჩემი არს სახლი სამლოცველო და

თქვენ შეგიქმნიათ იგი ავაზაკთა სადგურად“ (ისაია 56, 7; იერ. 7, 11). ტაძარში მივიდნენ მასთან ბრმანი, კოჭლნი და იესომ განკურნა იგინი. ურმებმა ტაძარშიც დაიწყეს გალობა: «ოსანნა ძესა დავითისასა». ფარისევლები და მწიგნობრები განრისხდნენ და უთხრეს იესოს: „გესმისა, რასა ესე იტყვიან“? იესომ უთ ra მათ: „ჰე, არა სადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართათა დაამტკიცე ქება“ (ფსალ. 8, 3). მეორე დატოვა ისინი და წავიდა ბეთანიაში და მოწაფეებითურთ ღამე იქ გაატარა.

იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლას ვდღესასწულობთ აღდგომის წინ კვირა დღეს და ვეძახით ბზობას.

დიდი ოთხშაბათი.

§ 80. ლეღვის ხის დაწყევლა (მათ. 21, 18—19; მარკ. 11, 12—19).

იერუსალიმში დღესასწაულებრივი შესვლის შემდგომ მეორე დღეს დილით იესო ქრისტე მოწაფეებითურთ ბეთანიიდგან ისევ იერუსალიმს წავიდა. გზაზე მას მოშივდა. შორითგან დაინახა გზის პირად ერთი ლეღვის ხე, რომელსაც ფურცელი ესხა და წაადგა ნაყოფიერ ხეს. იესო მივიდა ლეღვის ხესთან, მაგრამ მასზედ ნაყოფი ვერ იპოვა და დასწყევლა იგი: „ნუღარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ“, და მაშინვე განხმა ლეღვი იგი. იესო ქრისტემ კარგად იცოდა, რომ იმ ხეზე ნაყოფს ვერ იპოვიდა, მაგრამ ასე მოიქცა, რადგანც მას უნდოდა ეჩვენებინა მოციქულებისთვის, რომ ფარისევლები და ურწმუნო ურიები ემსგავსებიან ამ უნაყოფო ლეღვის ხეს.

როგორც ლეღვის ხეს ჰქონდა ფურცელი და ნაყოფიერი ხის შეხედულება, ეგრეთვე ურიები გარეგანი შეხედულობით ემსგავსებოდნენ კეთილმსახურთ და იქებდნენ თავისს თავს საღვთო წესრიგის აღსრულებით. როგორც ლეღვის ხეზე არ იყო ნაყოფი, ეგრეთვე ურიებს არ ჰქონდათ ნაყოფი სარწმუნოებისა და კეთილ მოქმედებისა. იესო ქრისტემ უნაყოფო ლეღვის ხის დაწყევლით

აჩვენა ურიებს, რომ ისინი იქმნებიან დასჯილნი და ღვთისაგან მოძულებულნი, თუ არ გასწორდებიან; ეგრეთვე ღვთისაგან დასჯილ იქნება ყოველი კაცი, რომელიც არ მოიტანს სულიერ ნაყოფს სარწმუნოებისას და კეთილ მოქმედებისას.

იესო ქრისტე მივიდა იერუსალიმს, ტაძარში შევიდა და იქიდგან გამორეკა, როგორც წინა დღით, მსყიდველნი და გამსყიდველნი და საღამოს ქალაქიდგან გავიდა.

დიდი სამშაბათი.

§ 81. დარიგება იესო ქრისტესი სარწმუნოების ძალაზე ლეღვის ხის გახმობის გაძო.

(მარკ. 11, 20—26; მათ. 21, 20—22; 6, 14—15).

ლეღვის-ხის დაწყევლის შემდგომ მეორე დღეს დილით იესო ქრისტე მოწაფეებითურთ გაემგზავრა იერუსალიმს იმავე გზით, რომლითაც წინა დღით მიდიოდა. მოწაფეებმა დაინახეს, რომ უნაყოფო ლეღვის ხე გამხმარა. პეტრე მოციქულმა უთხრა ქრისტეს: „მოძღვარ! აჰა ლეღვის ხე, რომელიც შენ დაწყევლე, გამხმარა“. მან მიუგო: „გაქვნდინ სარწმუნოება ღვთისა. ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: უკეთუ ვინმემ სარწმუნოებით და შეუორგულებლად უთხრას მთასა ამას: აღიფხვარ და შთავარდი ზღვად, ესრედ იქმნეს სიტყვისა ებრ მისისა. ამიტომ გეტყვი თქვენ: ყოველივეს, რასაც ლოცვაში სარწმუნოებით ითხოვთ, მიიღებთ. როცა ლოცვად დგეხართ, მიუტევეთ, თუ ვისთვისმე რამე ბოროტი გაქვთ, რომ ზეციერმა მამამანც თქვენმა მიგიტევოს თქვენ შეცოდებანი თქვენნი. ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ, არც მამა თქვენი ზეციერი მოგიტევებს თქვენ შეცოდებათა თქვენთა“.

---

§ 82. იესო ქრისტეს პასუხი მღვდელთ მთავრების და მოხუცებულების შეკითხვაზე მისი უფლების შესახებ. იგავნი: ურწმუნო შვილზე, რომელმაც შეინანა; ბოროტ მეზვრებზე (მებაღეებზე), და მკვლის შვილის ქორწილზე.

(მათ. 21, 23—46; 22, 1—14; მარკ. 11, 27—33; 12, 1—12; ლუკ. 20, 1—19).

Iესო ქრისტე მივიდა იერუსალიმს, ტაძარში შევიდა და ხალხს სწავლება დაუწყო. მას მიუახლოვდნენ მღვდელთ მთავარნი და მოხუცებულნი და ჰკითხეს: „რა უფლებით იქმ ამას? და ვინ მოგცა შენ ამის უფლება?“ Iესო ქრისტემ მიუგო მათ: „ერთს მეც გკითხავ თქვენ, თუ მის პასუხს მომცემთ, მეც გეტყვი თქვენ, რა უფლებით ვიქმ ამას. ნათლის ღება Iოანესი საითგან იყო— ზეცით, თუ კაცთაგან. მითხარით მე?“ იმათ ერთმანეთში მოილაპარაკეს და სთქვეს: „თუ ვთქვათ: ზეცით იყო, ის გვეტყვის: რატომ არ ერწმუნეთ მას, (რატომ არ ერწმუნეთ Iოანეს მოწმობას ჩემზე)? ხოლო თუ ვსთქვათ: კაცთაგან იყო,—ამ ხალხის გვეშინია, ამიტომ რომ Iოანეს ყველანი წინასწარმეტყველად სთვლიდნენ“. ამ მოლაპარაკების შემდგომ Iესოს უპასუხეს: „არ ვიცით“. მაშინ Iესომ უთხრა მათ: „არც მე გეტყვი თქვენ: რა უფლებით ვიქმ ამას“. მერმე Iესო ქრისტემ უთხრა მათ იგავი, რომლითაც უნდოდა ერთხელ კიდევ ემოქმედნა მათ სინიდისზე და აღეძრა მათში სინანული: «როგორ ფიქრობთ თქვენ? ერთ კაცს ჰყავდა ორი შვილი; მან უთხრა პირველს: «შვილო! წადი და დღეს ჩემ ვენახში იმუშავე“. მან მიუგო: „არ მინდა“, მაგრამ მერმე შეინანა და წავიდა. მამამ მეორე შვილსაც ეგრეთვე უთხრა. მან მიუგო: „წავალ“ და არ წავიდა. ამ ორში რომელმან აღასრულა ნება მამისა?“—პირველმა, უთხრეს Iესოს. მაშინ Iესომ უთხრა მათ: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: მეზვერენი და ცოდვილნი თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში, ამიტომ რომ Iოანე მოვიდა თქვენთან გზითა სიმართლისათა და თქვენ არ ერწმუნეთ მას, ხოლო მეზვერენი და ცოდვილნი ერწმუნენ მას; თქვენ კი იხილეთ ეს და არც მერმე შეინანეთ, რომ რწმუნებოდით მას“.

Იხილა რა შეუნანებლობა მათი, Იესო ქრისტეს უნდოდა ემოქმედნა მასზედ ღვთის მართლ-მსაჯულებაზე სწავლით და უთხრა მათ: „მოისმინეთ სხვა იგავი: ერთმა სახლის პატრონმა დარგო და გააშენა ვენახი, გარშემოზღუდა იგი; დადგა შიგ საწნეხელი, ააშენა კოშკი, მისცა ის მეზვრეებს (მებაღეებს) სამუშაოდ და წავიდა. სთვლის დროს (ყურძნის შეკრების დროს) მან გაგზავნა თავისს მოსამსახურენი მეზვრეებთან ყურძნის წამოსაღებად. მეზვრეებმა დაიჭირეს მოსამსახურენი, ზოგს სცემეს, ზოგი დახოცეს და ზოგი ქვით ჩაქოლეს. ძიდევ გაგზავნა მან სხვა მოსამსახურენი, წინანდელზე ბევრი და იმათაც ეგრე უყვეს. ბოლოს მან გაგზავნა მათთან ძე თვისი და სთქვა: „შერცხვებათ ძისა ჩემისა“. მაგრამ მეზვრეებმა, დაინახეს რა ძე მისი, უთხრეს ერთმანეთს: „ეს არის მემკვიდრე, მოდით, მოკვლათ იგი და დავიპყროთ სამკვიდრებელი მისი“, და შეიპყრეს იგი, ვენახს გარე გაიყვანეს და მოკლეს“. Იესო ქრისტემ გაათავა იგავი და ჰკითხა მათ: „რას უზამს ვენახის პატრონი მეზვრეებს?“ მას უთხრეს: „ბოროტთა მათ ბოროტად მოსწყვედს, ხოლო ვენახს გადასცემს სხვა მეზვრეებს, რომელნიც თავისს დროზე დაუწყებენ ნაყოფის ძღევას“. მღვდელთ მთავრები და მოხუცებულები მიხვდნენ, რომ Იესო მათზე ლაპარაკობდა, ამიტომ იმათ სთქვეს: „ნუ იყოფინ“. (ღმერთმან ნუ ჰქმნას). მაშინ Იესომ სთქვა: „ნუ თუ არაოდეს არ აღმოგიკითხავთ წერილში: ლოდი, რომელ შეურაცხ-ჰყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა“. (ფსალ. 117, 22) ამიტომ გეტყვი თქვენ: წაგერთმევათ თქვენ სასუფეველი ღვთისა და მიეცემა ერს, რომელიც მოიტანს ნაყოფს. ყოველი, რომელი დაეცეს ამ ქვაზე, შეიმუსროს (დაიმტვრეს), ხოლო რომელსაც ეს ქვა დაეცეს, იგი გაანქრიოს (წვრილად დაჯეჯგოს, გასრისოს, გაჭლიტოს). მღვდელთ მთავრებს და ფარისეველებს უნდოდათ Იესოს დაჭერა, მაგრამ ხალხის ეშინოდათ.

ამ იგავში ვენახის პატრონი ნიშნავს მამა ღმერთს, ვენახი ღვთის ეკლესიას, ზღუდე მოსეს სჯულს, საწნეხელი — საკურთხეველს; კოშკი—ტაძარს, მეზვრეები —ურიების მღვდლებს, მღვდელთ მთავრებს და მოხუცებულებს; მოსამსახურენი—წინასწარმეტყველებს; ძე—თვით Იესო ქრისტეს. ამ სახით Იესო ქრისტემ ამხილა

ურიების მღვდელთ მთავრებს, ფარისევლებს, მწიგნობრებს და მოხუცებულებს, რომ იმათ დახოცეს ბევრი წინასწარმეტყველნი ღვთისაგან მოვლენილნი და რომ მოკლავენ თვითონ ღვთის ძეს— იესო ქრისტეს და იწინასწარმეტყველა, რომ სასუფეველი ღვთისა წაერთმევა მათ.

როცა ისინი არ ერწმუნენ ამას, მაშინ იესომ გაახსენა მათ ერთი წინასწარმეტყველება, რომელშიაც მესსია შედარებულია ლოდთან, რომელიც მაშენებლებმა „შეურაცხ-ჰყვეს“—გადააგდეს, მაგრამ ის ლოდი შეიქმნა ეკკლესიის საფუძვლის კუთხის ქვად— „ესე იქმნა თავ კიდეთა, უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვირველ წინაშე თვალთა ჩვენთა“, რომ ამ ქვაზე დაცემა სავნებელია.

ბანაგრძო რა სწავლება იგავით, იესო ქრისტემ უთხრა თავისს მსმენელთ: „სასუფეველი ცათა მსგავს არს მეფისა (ესე იგი, ღმერთი მოეპყრობა იმ კაცთა, რომელნიც სახარების ქადაგებით მოწოდებულ არიან ზეციურ სასუფეველში, მსგავსად მეფისა), რომელმან ჰყო ქორწილი ძისა თვისისა და გაგზავნა მოსამსახურეები მიპატიჟებულთა ქორწილში მისაწვევად, მაგრამ იმათ არ ისურვეს მისვლა. მან კიდევ გაგზავნა სხვა მოსამსახურენი მიპატიჟებულთა სათქმელად: „აჰა სადილი ჩემი მზადა მაქვს, მოდით ქორწილში“. მაგრამ იმათ ამ მიპატიჟებაზედაც ყური სთქვეს და წავიდნენ—ზოგი ყანაში, ზოგი სავაჭროდ, აღმოჩნდა იგეთებიც, რომლებმაც შეიპყრეს მოსამსახურენი, აგინეს მათ და დახოცეს იგინი. მეფემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, ის ძლიერ განრისხდა, გაგზავნა თავისს ჯარის კაცნი, მოსწყვიდა მკვლელნი და დასწვა ქალაქი მათი. მაშინ უთხრა მან თავისს მოსამსახურეებს: „ქორწილი ესე მზად არის, მაგრამ მოპატიჟებულნი არ იყვნენ ღირსნი. წადით გზა ბოძალზე და ყველანი, ვინც შეგხვდეთ, მოიყვანეთ ქორწილში“. მოსამსახურენი გამოვიდნენ გზებზე, ყველანი შეკრიბეს, ვინც კი ნახეს, კეთილნი და ბოროტნი და ქორწილი სტუმრებით აღივსო. მეფე სტუმრების სანახავად შევიდა და იქ დაინახა კაცი, რომელსაც საქორწინე სამოსელი არ ეცვა. (ივ დროს იქ ჩვეულება იყო მასპინძელი სტუმრებს საქორწინე ტანისამოსს დაახვედრებდა და სტუმრები საქორწინე სამოსლით უნდა

შემოსილ იყვნენ. ვინც არ შეიმოსებოდა, იმას გარედ ბნელში გააგდებდნენ და სიცივის გამო კბილების ღრჭენით ატარებდნენ ღამეს). მეფემ უთხრა მას: „მოყვასო! როგორ შემოხვედ აქ, რომ საქორწინე სამოსელი არ გაცვია?“ ის ჩუმად იყო. მაშინ მეფემ უთხრა მოსამსახურეებს: „შეუკართ მაგას ხელ-ფეხი და გააგდეთ იგი გარე ბნელში. მუნ იყოს ტირილი და ჟრჭენა კბილთა“. ვინაიდგან მრავალნი არიან ჩინებულ (მოწვეულ) და მცირედნი რჩეულ“.

ამ იგავში მეფე, რომელმანც ჰყო ქორწილი ძისა თვისისა, ნიშნავს მამა ღმერთს; ქორწილი—ღვთის სასუფეველს, ჩინებულნი, ანუ ქორწილში მიწვეულნი—ებრაელებს; მონანი—წინასწარმეტყველებს, რომლებსაც არ უსმენდნენ ებრაელები, სდევნიდნენ და კლავდნენ; მოწოდებულთა ქორწილში მიუსვლელობა ნიშნავს მას, რომ ურიებმა უარ ყვეს იესო ქრისტე და მით სასუფეველი ღვთისა. მათი ქალაქის დაწვა ნიშნავს იერუსალიმის დაქცევას. გზაბოძალზე წასვლა მონებისა და სტუმრების შეკრება ნიშნავს წარმართების მოწოდებას სასუფეველში. ის, რომელიც არა საქორწინე სამოსლით შევიდა ქორწილში, ნიშნავს იგეთ კაცს, რომელიც თუმცა ითვლება ეკკლესიის წევრად, მაგრამ რადგანც არა აქვს საქმენი კეთილნი, განკვეთილ, განგდებულ იქმნება ეკკლესიისაგან და ვერ ვახდება სასუფევლის ღირსი.

---

§ 83. იესო ქრისტე ეასუსს აძლევს კითხვებსე ფარისევლებს—კეისრისთვის ხარკის მიცემაზე, სადუკევლებს—მკვდრეთით აღდგომაზე, სჯულის მცოდნეს—უმთავრეს მცნებებზე; და შეკითხვა ქრისტესი მესსიის ღვთაებრივ ღირსებაზე. (მათ. 22, 15—46; მარკ. 12, 13—37; ლუკ. 20, 20—45).

მოისმინეს რა მხილება იესო ქრისტესი, ფარისევლები წავიდნენ, ერთმანეთს შორის მოილაპარაკეს და დაადგინეს, რომ იესო სიტყვაში დაიჭირონ ე. ი. მათი ფიქრით წამოაცდინონ სიტყვა წინააღმდეგი ან მათი სჯულის და ჩვეულებისა, ან მთავ-

რობისა და მერმე მთავრობას შეასმინონ. ამიტომ ფარისევლებმა ეროდიანებთან ერთად თავისს მოწაფენი მიუგზავნეს. (ეროდიანები =ეროდი ანტიპას მომხრენი). იმათ უთხრეს იესოს: „მოძღვარ! ვიცით, რომ ჭეშმარიტ ხარ და ღვთის გზას ჭეშმარიტად ასწავლი და არავის პირფერობ. ახლა გვითხარი ჩვენ: როგორ ფიქრობ? კეისარს უნდა ვაძლიოთ ხარკი თუ არა?“ ფარისევლები ფიქრობდნენ: თუ იტყვის, რომ კეისარს უნდა აძლიოთ ხარკიო, მაშინ მას შერაცხდნენ ხალხის მოღალატედ და თუ იტყვის, რომ არ უნდა აძლიოთო, მაშინ ეროდიანები მთავრობას მოახსენებდნენ, ხალხის აღმაშფოთებლად შერაცხდნენ და სასჯელში მისცემდნენ. იესომ იცოდა ფარისევლების ბოროტ განზრახვა და უთხრა მათ: „რას გამომცდით მე, ორგულნო! მიჩვენეთ დრაჰკანი იგი ხარკისა“. იმათ მიუტანეს დრაჰკანი. იესომ ჰკითხა მათ: „ეს ვის სახეა, ან ვისი ზედწარწერაა?“ —კეისრისა, მიუგეს ფარისევლებმა. მაშინ იესომ უთხრა მათ: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა‘‘. ეს რომ გაიგონეს, გაუკვირდათ, დატოვეს იგი და წავიდნენ.“

მერმე მივიდნენ იესოსთან სადუკეველნი, რომელნიც უარჰყოფდნენ მკვდრეთით აღდგომას, და ჰკითხეს მას: „მოძღვარ! მოსემ ასე სთქვა: თუ ვინმე მოკვდეს და შვილი არ დარჩეს, მისმა ძმამ შეირთოს ცოლი მისი და ძმას აღუდგინოს შთამამავლობა (მეორ. სჯ. 25, 5). ჩვენში იყვნენ შვიდნი ძმანი, პირველმა შეირთო ცოლი და უშვილოდ მოკვდა და ცოლი თვისი დაუტოვა ძმასა თვისსა. აგრეთვე მეორემან, მესამემან, ვიდრე მეშვიდედმდე. ბოლოს მოკვდა ის დედაკაციც. მკვდრების აღდგომის შემდგომ რომელ მათგანის ცოლი უნდა იქმნეს ის დედაკაცი?“ იესომ მიუგო მათ: „სცდებით, რადგანც არ იცით წერილი, არც ძალა ღვთისა. აღდგომის შემდგომ არც იქორწინებენ, არც განქორწინდებიან, არამედ იქმნებიან, როგორც ანგელოსნი ცათა შინა. ხოლო მკვდრეთით აღდგომაზე არ აღმოგიკითხავთა მოსეს წიგნში, ღმერთმან რომ უთხრა მას მაყლოვანის ბუჩქთან: მე ვარ ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა (გამოს. 3, 6). არა არს ღმერთი მკვდართა, არამედ ცოცხალთა; რადგანც ყო-

ველნი ცოცხალ არიან მის წინაშე“. (ძველი აღთქმის საღვთო წერილის წიგნებში სხვა ადგილებიც არის მკვდრეთით აღდგომაზე: დან. 12, 2; ისაია 26, 19; ოსია 13, 14; იობ. 19, 25; ფსალ. 15, 10; 2 მაკაბ. 7, 14; მაგრამ იესო ქრისტემ უჩვენა მათ ადგილი მოსეს წიგნიდგან, ამიტომ რომ სადუკეველებს სწამდათ მხოლოდ მოსეს წიგნები). ხალხი გაკვირდა, გაიგონა რა ეს სწავლა ქრისტესი, ხოლო სადუკეველნი გაჩუმდნენ და პასუხი ვერ მისცეს ქრისტეს.

ფარისეველებმა გაიგეს, რომ იესო ქრისტემ თავისს პასუხით სადუკეველნი გააჩუმა, და შეიკრიბნენ ერთად. მაშინ ერთი მათგანი, სჯულის მცოდნე, მივიდა იესოსთან და გამოსაცდელად ჰკითხა მას: „მოძღვარ! რომელი მცნება უფროს არს სჯულსა შინა?“ იესომ მიუგო მას: „პირველი ყოველთა მცნებათა ესე არს: ისმინე, ისრაილ, უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს. შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა, ესე არს დიდი და პირველი მცნება და მეორე მსგავსი ამისი: შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. უფროს ამათსა სხვა მცნება არა არს. ამ ორ მცნებაზეა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი დამოკიდებულ“. სჯულის მცოდნემ უთხრა მას: „კეთილად, მოძღვარ! ჭეშმარიტად სთქვი, რომ ერთ არს ღმერთი და არა ვინ არს სხვა მისა გარეშე და უნდა შევიყვაროთ იგი ყოვლითა გულითა, და ყოვლითა სულითა, და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გულის ხმის ყოფითა და ეგრეთვე უნდა შევიყვაროთ მოყვასი, როგორც თავი თვისი, უფროს არს ესე ყოველთა მსხვერპლთა და შესაწირავთა“. იესომ დაინახა, რომ გონიერად მიუგო და უთხრა მას: „არა შორს ხარ სასუფევლისაგან ღვთისა“.

ამის შემდგომ იესო ქრისტემ ჰკითხა ფარისეველებს: „ქრისტეზე რას ფიქრობთ? ვისი ძე არს იგი?“ მას მიუგეს: „დავითისა“. იესო ქრისტემ ჰკითხა მათ: „ზეგარდამო შთაგონებით დავით როგორ-ღა უწოდებს მას უფლად, როცა ამბობს: „რქვა უფალმან უფალსა ჩემსა, დასჯედ მარჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე

მტერნი შენნი ქვეშე ფერ̣ᲗᲐ შენთა“ (ფსალ. 109, 1)? და ესრეთ, თუ **Დ**ავით მას უფლად უწოდებს, ის ძე მისი როგორღა არის?“ ამაზე პასუხის მიცემა ვერავინ ვერ შესძლო. (**პ**ასუხი ამ გვარად უნდა მიეცათ: კაცობრივი ბუნებით **ქ**რისტე **Დ**ავითის შთამამავლობა არს, ანუ **Დ**ავითის ძე არის; ხოლო **ღ**ვთაებრივი ბუნებით, როგორც განხორციელებული ძე **ღ**ვთისა, **ქ**რისტე **Დ**ავითის **უ**ფალი არს. **მ**აგრამ ფარისევლებმა არ იცოდნენ, ან არ უნდოდათ შეგნება, რომ **ქ**რისტე არს სრული **ღ**მერთი და სრული კაცი). **ა**მის შემდგომ **ქ**რისტეს ვერავინ ვერ გაუბედა ვერაფრის კითხვა იმ აზრით, რომ ის სიტყვაში დაეჭირათ. **რ**ოცა ფარისევლები დაჩუმდნენ, **ქ**რისტემ ხალხის და თავისს მოწაფეების გასაგონათ ფარისევლების შესახებ წარმოსთქვა მრისხანე სიტყვა, რომლითაც აუგებდა და ამხილებდა მათ უსჯულოებისათვის, პირფერობისა და თვალთ მაქცობისათვის.

---

§ 84. ქვრივი დედაკაცის შეწირულების მოწონება.
(**მ**არკ. 12, 41—44; **ლ**უკ 21, 1—4).

ერთხელ **ი**ესო **ქ**რისტე, გამოდიოდა რა ტაძრიდგან, დაჯდა მახლობლად ფასის საცავისა ე. ი. იმ კოლოფისა, რომელშიაც სდებდნენ კეთილ მნებლობით შეწირულებას ტაძრის სასარგებლოდ და დაუწყო ცქერა; ამ დროს ბევრნი **მ**დიდარნი მიდიოდნენ კოლოფთან და სწირავდნენ ბევრს. **მ**ივიდა ერთი მეტად ღარიბი ქვრივი დედაკაცი და შესწირა ორი წვლილი (ნახევარი კაპეიკი). **ი**ესომ მოუწოდა თავისს მოწაფეებს და უთხრა მათ: „გეტყვი თქვენ, რომ ამ ქვრივმა ღარიბმა ყველაზედ მეტი შესწირა, ამიტომ რომ სხვებმა შესწირეს ნამეტნავისაგან მათისა, ე. ი. იქიდგან რაც ზომაზე მეტი ჰქონდათ, ამან კი ყოველივე საცხოვრებელი, რაც რამე ჰქონდა, შესწირა“.

---

§ 85. წინასწარმეტყველება ქრისტესი იერუსალიმის დაქცევაზე და მის მეორედ მოსვლაზე.

(ლუკ. 21, 5—38; მათ. 24 თ.; მარკ. 13 თ.).

როცა იესო ქრისტე ტაძრიდან გამოვიდა და ზეთის ხილის მთისკენ წავიდა, მაშინ მოწაფენი მისნი მიუახლოვდნენ მას და უთხრეს: „მოძღვარ! შეხედე, როგორი ქვებია და როგორი შენობები?“ იესომ უთხრა მათ: „ყოველივე ამას ხომ ხედავთ? ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: მოვა დრო, როდესაც ყოველივე ეს დაირღვევა და აქ ქვა ქვაზედაც არ დარჩება“. იესო ავიდა ზეთის ხილის მთაზე და ტაძრის პირდაპირ დაჯდა. მისი მოწაფეები ფიქრობდნენ, რომ იერუსალიმის და ტაძრის დაქცევასთან ერთად იქმნება ქრისტეს დიდებული მეორედ მოსვლა ქვეყანაზე და აღსასრული ქვეყნისა. ამიტომ პეტრემ, იაკობმა, იოანემ და ანდრიამ ჰკითხეს მას: „მოძღვარ! გვითხარი ჩვენ: როდის მოხდება ეს? და რა ნიშანიარს შენი მოსვლისა და ქვეყნის აღსრულებისა?“ ამის პასუხად იესო ქრისტემ უთხრა მათ: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოს თქვენ. ბევრნი მოვლენ სახელითა ჩემითა და იტყვიან: მე ვარ ქრისტე და ბევრს შეაცდენენ, იმათ ნუ გაყვებით. ხალხი ხალხის წინააღმდეგ აღსდგება და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ; ადგილ-ადგილ მოხდებიან დიდ-დიდნი მიწის ძვრანი, მომსვრელნი სენნი, შიმშილობანი და ზეცით დიდ-დიდნი სასწაულნი და საშინელებანი. ხოლო ყოველ ამ ამბავების წინ, თქვენ სასიკვდილოდ არ დაგზოგვენ: დევნას დაგიწყებენ, სამართალში და საპყრობილეში მიგცემენ, მთავრებთან და მეფეებთან მიგიყვანებენ სახელისა ჩემისათვის. თქვენ გულში დაიმარხეთ, რომ წინდაწინ არ იფიქროთ: რა სიტყვა მიუგოთ, ამიტომ რომ მე მოგცე თქვენ პირი და სიბრძნე, რომლის წინააღმდეგობას და პასუხის გებას თქვენი მოწინააღმდეგენი ვერ შესძლებენ; რადგანაც მეტყველნი თქვენ კი არ იქმნებით, არამედ სული წმიდა. მაშინ მისცეს ძმამან ძმა სიკვდილად, და მამამან შვილი, დააღსდგენ შვილნი მამა დედათა ზედა და მოკვლიდენ მათ, და იყვნეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის. მაგრამ

თმა თავისა თქვენისა არა წარწყმდეს და მოთმინებითა თქვენითა მოიპოვოთ სულნი თქვენნი და რომელმან მოითმინოს სრულიად, იგი სცხოვნდეს. **ᲓᲐ** იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა სოფელსა და მაშინ მოვიდეს აღსასრული“.

„**Რ**ოცა იერუსალიმი მხედრებით გარშემორტყმული იხილოთ, მაშინ იცოდეთ, რომ მოოხრება მისი მოახლებულ არს. **Რ**ოცა საძაგლობა მოოხრებისა იხილოთ, მაშინ ვინც ურიასტანში იყოს, მთებში გაიქცეს (დასამალავად); ვინც ქალაქში იყოს, ქალაქიდგან გაიქცეს და ვინც ქალაქს გარეთ იყოს, ნუ შევა შიგ; რადგანც მაშინ ისეთი ჰირი (**უბ**ედურება) იქმნება, რომლის მსგავსი ქვეყნის შექმნიდგან დღემდე არ ყოფილა და არც იქმნება, და (მცხოვრებნი იერუსალიმისანი) მახვილით ამოწყდებიან და (**რ**ომელნიც მათგანი **გ**ადარჩებიან) ტყვედ წაყვანილ იქმნებიან, იერუსალიმი წარმართთაგან დათრგუნულ იქმნება, სანამ წარმართთა დრო არ დასრულდება. **Უ**კეთუ **Უ**ფალს არ შეემოკლებია ის დღენი, არავინ ხორციელი არ გადარჩებოდა, მაგრამ რჩეულთათვის შემოკლდებიან დღენი იგი“.

„**მ**აშინ თუ თქვენ ვინმემ გითხრას: აჰა, აქ არის **ᲥᲠ**ისტე, ან იქაა, ნუ გრწამთ, ვინაიდგან აღდგებიან **ᲥᲠ**ისტე მტყუარნი და ცრუ წინასწარმეტყველნი და დიდ სასწაულებს მოახდენენ, რომ შეაცდინონ, თუ შესაძლო იქმნება, რჩეულნიც. **Რ**ოგორც ელვა გამობრწყინდების **ᲐᲦᲛ**ოსავლეთიდგან **ᲓᲐ** სჩანს დასავლეთამდე, ესრეთ იყოს მოსვლა ძისა კაცისა“.

„**ᲓᲐ** იქმნეს სასწაული მზესა შინა და მთვარესა და ვარსკვლავთა: მზე დაბნელდეს, მთვარემ არ გამოსცეს ნათელი თვისი და ვარსკვლავნი ჩამოსცვივდნენ ზეცით და ძალნი ცათანი შეიძრნეს. **ᲓᲐ** მაშინ ცაში გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისა (ჯვარი), და მაშინ ყოველნი ტომნი ქვეყანისანი იტყებდნენ (თავში იცემდნენ, გოდებდნენ), და **ᲘᲮᲘᲚᲝᲜ** ძე კაცისა, მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა, **ᲓᲐ** წარავლინოს მან ანგელოსნი თვისნი დიდ ხმიანი საყვირით და შეკრიბოს რჩეულნი მისნი ყოველ მხრიდგან. **ᲮᲝᲚᲝ** **Მ**ეორედ მოსვლის დღე და საათი არა ვინ იცის, არც ანგელოსებმა, არცა ძემან (კაცობრივი ბუ-

ნებით), ხოლო მარტო მამამან ჩემმან. Იხილეთ, იღვიძებდით, განმზადებულ იყვენით და ილოცევდით, ამიტომ რომ არ იცით, როდის მოვა ის დრო; რომელ დროსაც არ გეგონოსთ, ძე კაცისა მოვიდეს".

---

§ 86. იგავნი ათ ქალწულსა და ქანქარზე (ტალანტზე). სწავლა ქრისტესი მკვდრების აღდგომაზე და საშინელ განსჯის გამოსატვა. (მათ. 25 თ. 26, 1—2; ლუკ. 21, 37—38; იოან. 5, 21—29).

Იგავნი ათ ქალწულზე და ქანქარზე Iესო ქრისტემ წარმოსთქვა მეორედ მოსვლის შესახებ: „მაშინ (მეორედ მოსვლის დროს), სთქვა Iესო ქრისტემ, სასუფეველი ცათა (ე. ი. ქრისტეს ეკკლესიის წევრნი) ემსგავსოს ათთა ქალწულთა, რომელთაც აიღეს ლამპრები და გავიდნენ სიძის მისაგებებლად. მათგანი ხუთნი იყვნენ ბრძენი და ხუთნი სულელნი. სულელებმა ლამპარი უზეოთოთ წაიღეს, ბრძენებმა კი თან ზეთიც იქონიეს. სიძეს დააყოვნა და ყველას მიერულა და დაიძინეს. შუა ღამის დროს მოისმა ხმა: „აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა". მაშინ ქალწულნი აღსდგენ და ლამპრები გაასწორეს. სულელებს ზეთი არ ჰქონდათ და ბრძენებს უთხრეს: „ცოტა ზეთი მოგვეცით, რადგანც ჩვენი ლამპრები ჰქრებიან". ბრძენებმა მიუგეს: „თქვენც და ჩვენც ზეთი არ გვეყოფა; უმჯობესია, წახვიდეთ და იყიდოთ თქვენთვის". როცა ისინი ზეთის საყიდლად წავიდნენ, სიძე მოვიდა და განმზადებულნი სიძესთან ქორწილში შევიდნენ და დახურეს კარები, მერმე მოვიდნენ სულელნი და დაუწყეს ხვეწნა: შფალო! განგვიღე ჩვენც". სიძემ მიუგო მათ: „მე თქვენ ვერ გიცნობ", და აღარ შეუშვა ისინი ქორწილში". მერმე ქრისტემ ამ იგავს დაუმატა: „იღვიძებდით უკვე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცსა მოვიდეს".

ამ იგავით Iესო ქრისტე გვასწავლის, რომ მისი მეორედ მოსალა იქმნება უცბად, მოულოდნელად, ამიტომ ყოველი კაცი მზად უნდა იყოს: წმიდად უნდა ცხოვრებდეს, კეთილ საქმეებს

უნდა იქმოდეს. არ კმარა: მორწმუნეს რომ ქონდეს მარტო ლამპარი სარწმუნოებისა, არამედ მასთან ერთად საჭიროა ზეთი კეთილი საქმეებისა, რომ მორწმუნე მეორედ მოსვლის დროს ღირსეულად მიეგებოს ქრისტეს და გახდეს სასუფევლის ღირსი.

ᲐᲛᲘᲡ შემდგომ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲛ სთქვა სხვა იგავი: „ერთი კაცი სხვა ქვეყანას მიდიოდა, მან თავისს მოსამსახურეებს მოუწოდა და მისცა მათ მონაგები თვისი: ერთს მისცა ხუთი ქანქარი, მეორეს ორი და მესამეს ერთი, თვითოეულ მათგანს, მათი შეძლებისა გვარად და წავიდა. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ მიიღო ხუთი ქანქარი, ასარგებლა და ხუთი სხვა შესძინა; რომელმანც მიიღო ორი, მან ასარგებლა და სხვა ორი შესძინა, ხოლო რომელმანც ერთი მიიღო, მან წაიღო იგი და დაფლა მიწაში. ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲮᲜᲘᲡ შემდგომ ᲣᲤᲐᲚᲘ მათი მოვიდა და თვითოეულ მათგანს ანგარიში მოსთხოვა. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ხუთი ქანქარი მიიღო, მოვიდა და მოართვა მას სხვა ხუთი და უთხრა: „ᲣᲤᲐᲚᲝ! ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა სხვა ხუთი შევსძინე“. ᲣᲤᲐᲚᲛᲐ უთხრა მას: „კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ, შეეედ სიხარულსა ᲣᲤᲚᲘᲡᲐ შენისასა“. რომელმანც მიიღო ორი ქანქარი, მოვიდა და უთხრა: „ᲣᲤᲐᲚᲝ! ორი ქანქარი მომეც მე, აჰა სხვა ორი შევსძინე“. ᲛᲘᲡᲛᲐ ბატონმა მასაც ასე უთხრა: „კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ, შეეედ სიხარულსა ᲣᲤᲚᲘᲡᲐ შენისასა“. ᲛᲝᲕᲘᲓᲐ იგიც, რომელმანც ერთი ქანქარი მიიღო და უთხრა: „ᲣᲤᲐᲚᲝ! ვიცოდი, რომ შენ ფიცხი კაცი ხარ, იქ მომკი, სადაც არ დაგითესია, და იქ შეკრებ, სადაც არ გაგიბნევია, შემეშინა, წავედი და დავმალე ქანქარი შენი, აჰა შენი შენთანა არს“. ᲣᲤᲐᲚᲛᲐ უთხრა მას: „ბოროტო მონაო და ზედგარო! იცოდი, რომ მოვიმკი, სადაც არ დამითესია, და შევკრებ, საცა არ გამიფანტავს, რატომ ჩემი ვეცხლი არ მიეც სავაჭროდ და არ ასარგებლე, მოვიდოდი და მოგებით ავიღებდი; აიართვით მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსაც ათი ქანქარი აქვს; ყოველსა, რომელსა აქვნდეს, მიეცეს და მიემატოს; რომელსა არა აქვნდეს, რაც კი აქვნდეს, იგიცა მოეღოს მისგან

და უხმარი ეგე მონა განხადეთ ბნელსა მას გარესკნელსა, მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა. რომელსა ასხენ ყურნი სმენაჲ ისმინენ".

ამ იგავით იესო ქრისტე გვასწავლის, რომ მეორედ მოსვლის დროს ის ყოველ კაცს ანგარიშს მოთხოვს, თუ ვის როგორ უსარგებლნია ღვთისაგან მინეტებულ მადლით. ვისაც კეთილად უსარგებლნია, მას დააჯილდოებს და ვისაც ბოროტად — მას დასჯის.

მკვდრების აღდგომაზე იესო ქრისტე ასწავლიდა ამ გვარად: მოვა დრო, როდესაც ყოველნი საფლავში მყოფნი გაიგონებენ იესო ქრისტეს ხმას და აღსდგებიან იგინი, იმათგან კეთილის მოქმედნი ცხოვრებისათვის, ბოროტის მოქმედნი კი სასჯელისათვის. რაში მდგომარმობს მკვდრების აღდგომა? მკვდრების აღდგომა მდგომარეობს იმაში, რომ მკვდრების სულნი შეუერთდებიან თავთ-თავიან სხეულებს და ღვთის შემძლებლობით აღსდგებიან. აღდგომის შემდგომ კაცთა სხეულნიც იქმნებიან უხრწნელნი და უკვდავნი. მკვდრების აღდგომა მოხდება მეორედ მოსვლის დროს. ისინი, რომლებიც მეორედ მოსვლის დროს ცოცხალნი იქმნებიან, ერთბაშად უცბად შეიცვლებიან, ღვთის შემძლებლობით განახლდებიან და საფლავებიდგან აღდგომილ სხეულების მსგავსად შეიქმნებიან უხრწნელნი და უკვდავნი.

მაშინ მოხდება საშინელი განსჯა: იესო ქრისტე დაჯდება თავის დიდების ტახტზე. მის წინაშე შეიკრიბებიან ყოველნი კაცნი. ძაცებს განარჩევს, განყოფს ერთმანეთისაგან, როგორც მწყემსი განარჩევს ცხვრებს თიკანთაგან, და დააყენებს მართალ კაცებს მარჯვენით, ხოლო ბოროტ კაცებს მარცხენით. მაშინ მეუფე მარჯვენით მყოფთ ეტყვის: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო! და დაიმკვიდრეთ სასუფეველი დასაბამიდგან სოფლისა თქვენთვის განმზადებული; ამიტომ რომ მშიოდა და მაჭამეთ, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე, საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემთან". მაშინ მიუგებენ მართალნი და ეტყვიან: „უფალო! როდის გნახეთ შენ მშიერი, ანუ მწყურვალე, ანუ უცხოდ, ანუ შიშველი, ანუ უძლური, ანუ

ალპყრობილესა და გემსახურეთ შენ". მაშინ მეუფე მიუგებს და ეტყვის მათ: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: რა სიკეთეც უყავით ერთ მცირეთაგანს, იგი მე მიყავით".

მერმე მაცხოვარი ეტყვის მარცხენით მყოფთ: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის; ამიტომ რომ მშიოდა და არ მაჭამეთ, მწყუროდა და არ მასვით მე, უცხო ვიყავ და არ შემიწყნარეთ მე, შიშველი ვიყავ და არ შემმოსეთ მე, უძლურ ვიყავ და საპყრობილესა და არ მოხვედით ჩემთან". მაშინ ისინიც მიუგებენ და ეტყვიან: „უფალო! ოდეს გიხილეთ შენ მშიერი, ანუ მწყურვალე, ანუ უცხოებასა, ანუ შიშლოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ ალპყრობილესა შინა და არ გმსახურეთ შენ". მაშინ მაცხოვარი ეტყვის მათ: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: რაც სიკეთე არ უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არ მიყავთ". და წავლენ ესენი საუკუნესა, ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა.

როცა იესო ქრისტემ გათავა ეს სიტყვები, უთხრა თავის მოწაფეებს: „თქვენ იცით, რომ ორი დღის შემდგომ პასქა იქმნება და ძე კაცისა მიეცემა ჯვარცმად". ამ გვარად იესო ქრისტე დღისით ასწავლიდა ხალხს ტაძარში, სადაც ბევრი ხალხი მიდიოდა ქრისტეს სწავლის მოსასმენად; საღამოობით გადიოდა იერუსალიმითგან და ღამეებს ატარებდა ზეთის ხილის მთაზე.

დიდი ოთხშაბათი.

§ 87. იუდას გამცემლობა. (მათ. 26, 3—5, 14—16; მარკ. 14, 1—2, 10—11; ლუკ. 22, 1—6).

პასექის დღესასწაულის წინ ორი დღით ურიების მღვდელთმთავრები, მოხუცებულები და მწიგნობრები კაიაფა მღვდელთმთავრისას შეიკრიბნენ და რჩევა ჰქონდათ ქრისტეს მოკვლის შესახებ; გადასწყვიტეს, რომ იესო რაჲმე ეშმაკობით დაეპირათ და მოეკლათ, მაგრამ ამბობდნენ: „მხოლოდ არა ამ დღესასწაულის დროს, რომ ხალხში შფოთი არ მოხდეს". მაშინ იუდა ისკარიოტელი, იესო ქრისტეს ერთი ათორმეტ მოწაფეთაგანი, მივიდა მათთან და უთხრა: „რას მომცემთ მე, რომ მოგცე თქვენ იგი?"

მღვდელთ მთავრება, გაიგონეს რა Იუდასაგან ეს სიტყვები, ძლიერ
გაიხარეს, მაგრამ Იუდას იგეთი სახე აჩვენეს, ვითომც Იესოს და-
ჭერას და ამ საქმეში Იუდას დახმარებას დიდ ყურადღებას არ
აქცევდნენ, ამიტომ მას შეაძლიეს უკანასკვნელი მონის ფასი, ოცდ-
ათი ვეცხლი (30 ვეცხლი=24 მ. 30 კ.). Იუდა დათანხმდა დ-
მერმე ეძებდა მარჯვე დროს, რომ Იესო ფარულად მიეცა მათთვის

შენიშვნა: ოთხშაბათი დღე Იესო ქრისტემ ბეთანიაში გაატარა დ-
იყო მიწვეული ვახშმად ხიმონ კეთროვნისას, როგორც ამას ამტკიცებ-
წმ. Იოანე ოქროპირი და დიდ ოთხშაბათის სვინაქსრის დამწერი.

დიდი ხუთშაბათი.

§ 88. საიდუმლო სერობა (მათ. 26, 17—29; მარკ. 14, 12—26
ლუკ. 22, 7—23; Іоан. 13, 1—30).

Პასექის წინ, ხუშაბათს, Იესო ქრისტემ უთხრა პეტრეს დ
Іоанეს: „წადით და მოგვიმზადეთ ჩვენ პასქა, რათა ვსჭამოთ“
Იმათ ჰკითხეს: „სად გნებავს, რომ მოგიმზადოთ“. Იესომ უთხრ
მათ: „წადით ქალაქში, იქ შეგხვდებათ კაცი, რომელსაც მხარზ
ედგმება სარწყული წყლითა, მას გაყევით იმ სახლამდი, რომელ
შიაც შევიდეს. Იმ სახლის პატრონს უთხარით: ჩემი დრო ახლო
არს, სად არის ოთახი, რომელშიც ჩემ მოწაფეებთან ერთად პასქ
უნდა ვსჭამო? მან გიჩვენოს თქვენ ოთახი დიდი, მოწყობილი დ
მომზადებული, იქ მოგვიმზადეთ“. პეტრე და Іоанე წავიდნენ
ქალაქში მივიდნენ და ჰპოვეს, როგორც უთხრა მათ Იესომ დ
მოიმზადეს პასქა. საღამოს Იესო მივიდა და დაჯდა თორმეტ
მოციქულებთან ერთად ჭამად=სერობად და პირველად ძველ
აღთქმის პასექის შესრულებას შეუდგა. მან უთხრა მოციქულებს
„ძლიერ მსურდა ჩემ ვნებადმდე თქვენთან მეჭამა პასქა ესე“. აიღ
სასვმელი, მადლობდა და სთქვა: „მიიღეთ და განიყავთ თავის
თქვენისა“.

ამ სერობის დროს Იესო ქრისტემ საქმით აჩვენა, რომ მა
მოწაფენი თვისნი შეიყვარა სრულიად. მან იცოდა, რომ ზეციერ
მამამ მას ყოველივე მოსცა ხელთა მისთა, რომ ის ღვთისაგ

გამოვიდა და ღვთისადმი მივალს (ე. ი. თუმცა იცოდა თავისი ღვთაებრივი ღირსება), მაგრამ რომ აჩვენოს მოციქულებს მათდამი სიყვარული თვისი და ასწავლოს მათ თავმდგაბლობა და მოყვასის მსახურება, ის სერობიდგან აღსდგა, ზევითური სამოსელი გაიხადა, არდაგი (ფეშტამალი, ტილო) მოირტყა, მერმე ხელსაბანში წყალი ჩაასხა და მოწაფეებს დაუწყო ფეხთა ბანა და არდაგით წარხოცა. როცა მივიდა სვიმონ—პეტრესთან, პეტრემ უთხრა მას: „უფალო! შენ დამბანა ფერხთა ჩემთა?“ იესომ მიუგო: „რასაც მე ვიქმ, ახლა არ იცი და შემდგომ გაიგებ“. პეტრემ უთხრა: „არა დამბანნე ფერხნი ჩემნი უკუნისამდე“. იესომ უთხრა: „თუ არ დაგბანე შენ ფერხნი, არ გაქვნდეს ნაწილი ჩემთანა“. პეტრემ მიუგო: უფალო! თუ ეგრეა, არა თუ მარტო ფერხნი, ხელნიცა და თავიც დამბანე“, იესომ უთხრა: „განბანილს მარტო ფეხის დაბანა უნდა, ამიტომ რომ სრულიად წმიდა არს იგი, და თქვენც წმიდა ხართ, მაგრამ არა ყოველნი“. ეს სთქვა მან თავისს გამცემელზე. როცა მოწაფეებს ფეხი დაბანა და სამოსელი თვისი ჩაიცვა, იესო ხელ ახლად დაჯდა სერობად და უთხრა მათ: „იცით, რა გიყავთ თქვენ? თქვენ მიძახით მე: მოძღვარო და უფალო, და მართალსაც ამბობთ, ამიტომ რომ ვარ. თუ მე, უფალმან და მოძღვარმან, დაგბანე ფერხნი, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფერხნი. მე თქვენ ბაგალითი მოგეცით, რომ თქვენც ეგრე ყოფდეთ, რაც მე თქვენ ყიყავ. ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ: მონა, არა არს უფროს უფლისა თვისისა, არც მოციქული უფროს მომავლინებელისა თვისისა. თუ ეს იცით, ნეტარ ხართ, უკეთუ ჰყოფდეთ ამას. თქვენ ყველას არ გეუბნები (რომ ნეტარ ხართ): მე ვიცი, ვინც გამოვირჩიე, (ვიცი, რომ გამოვირჩიე იგეთიც, რომელიც არ იქმნება ნეტარი); მაგრამ (მე გამოვირჩიე ის), რომ წერილი აღსრულდეს: „რომელი სჭამდა ჩემთანა პურსა, აღიღო ჩემზედა ბრჭალი (ფრჩხილი) მისი“. (ფსალ. 40, 10). ეს სთქვა იესომ და შესძრწუნდა სულითა და სთქვა: „ერთი თქვენგანი მიმცემს მე“. მოციქულებმა ერთმანეთს დაუწყეს ცქერა და ვერ გაეგოთ: ვისზე ამბობდა იესო, ძლიერ შეწუხდნენ და ერთი მეორის შემდგომ დაუწყეს ასკითხვა: „მე ხომ არა ვარ, უფალო?“ მან მიუგო მათ: „რო-

მელმან ჩამოყოს ჩემ ჯამში ხელი, მან მიმცეს მე; ძე კაცისა წარვალს, როგორც მისთვის წერილ არს, მაგრამ ვაი იმ კაცს, რომლისა მიერ ძე კაცისა მიეცეს. მისთვის უმჯობეს იყო, რომ არ შობილიყო იგი". მაშინ იუდამც ჰკითხა: „მე ხომ არა ვარ მოძღვარ?" იესომ დაბლის ხმით მიუგო: „შენ სთქვი".

ხერობა არ იყო გათავებული. როდესაც მოწაფეები სჭამდნენ, იესო ქრისტემ აიღო პური, მადლობდა, აკურთხა, განტეხა, მისცა მოწაფეებს და სთქვა: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი, ამას ჰყოფდეთ მოსახსენებლად ჩემდა". მერმე აიღო სასმისი ღვინით, მადლობდა, აკურთხა, მისცა მოწაფეებს და სთქვა: „სუთ ამისაგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული, მისატევებლად ცოდვათა, ამას ჰყოფდეთ მოსახსენებლად ჩემდა". მოწაფეებმა მიიღეს იესო ქრისტეს ხორცი და სისხლი პურის და ღვინის სახედ, (ისინი ეზიარნენ). ამ გვარად დაადგინა იესო ქრისტემ საიდუმლო ზიარება.

საიდუმლო ზიარების დადგენის შემდგომ იესო ქრისტემ სთქვა: „აჰა ხელი გამცემელისა ჩემისა ჩემთანა ტაბლასა ზედა (სუფრაზე)". მოწაფეებმა ერთმანეთს დაუწყეს კითხვა: ვინ უნდა იყვეს მათგანი, რომელიც ამას იქმს. იოანე, განსაკუთრებით საყვარელი მოწაფე ქრისტესი, გვერდით უჯდა მას. სიმონ—პეტრემ ანიშნა მას, რომ მან ჰკითხოს უფალს, ვისზედ ამბობს ამას. იოანე მიეყრდნო იესოს მკერდზე და ხმა დაბლა ჰკითხა: „უფალო! ვინ არს ესე?" უფალმაც ეგრეთვე ხმა დაბლა მიუგო: „ეს არის ის, ვისაც მე ამოწებულ პურის ლუკმას მივსცემ", ამოაწო ლუკმა და მისცა იუდა ისკარიოტელს. ამის შემდგომ იუდას სულს დაეპატრონა ეშმაკი. მაშინ უფალმა უთხრა მას: „რომელი გეგულვების საქმედ, ჰყავ ადრე". მოწაფეები ფიქრობდნენ, რომ იესომ გაგზავნა ის ან რამეს სასყიდლად, ან გლახაკთა სამოწყალოს მისაცემად. იუდა მაშინვე გავიდა და იყო ღამე. მან გაიგო სად გაატარებდა იესო ღამეს.

89. გაძოსათხოვარი მოძღვრება ქრისტესი მოწაფეებთან და მისი საძღვდელ მთავრო ლოცვა.

(მათ. 26, 30—35; მარკ. 14, 26—31; ლუკ. 22, 27—39; იოან. 13, 31—38; 14; 15, 16 და 17 თ.).

როდესაც **ი**უდა წავიდა, **ი**ესო **ქ**რისტემ უთხრა მოციქულებს გამოსათხოვარი მოძღვრება: „აწ იდიდა ძე კაცისა, და ღმერთიცა იდიდა მისთანა. **უ**კეთუ **ღ**მერთი იდიდა მისთანა, ღმერთმანცა ადიდოს იგი თავისა თვისისა თანა და მეყსეულად (მალე) ადიდოს იგი. **შ**ვილნო! ცოტა ხანს დავრჩები თქვენთან. ახალ მცნებას გაძლევ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი. **რ**ოგორც მე თქვენ შეგიყვარეთ, ეგრეთვე თქვენც ერთმანერთი გიყვარდეთ. ამით გიცნონ თქვენ, რომ თქვენ ჩემი მოწაფენი ხართ, უკეთუ ეყმნებათ ურთიერთ შორის სიყვარული“.

სიმონ—**პ**ეტრემ ჰკითხა **ი**ესო **ქ**რისტეს: „**უ**ფალო! სად ეახვალ შენ?“ **ი**ესომ უპასუხა: „სადაც მე მივალ, ახლა შენ ემთან წამოსვლა არ შეგიძლია, მერმე კი წამოხვალ ჩემთან“. ამაზედ **პ**ეტრემ უთხრა: „რატომ არ შემიძლია ახლა შენთან ამოსვლა? მე სულსა ჩემსა დავსდებ შენთვის“. **ი**ესომ უთხრა: „შენ სულსა შენსა დასდებ ჩემთვის? ჭეშმარიტად გეტყვი შენ: ამლის ყივილამდე სამგზის უარ მყო მე“. **მ**ერმე **ი**ესო **ქ**რისტე ეუბრუნდა ყველა თავისს მოწაფეებს და უთხრა: „ნუ შეძრწუნებიან გულნი თქვენნი. **გ**რწამდეთ **ღ**მერთი, გრწამდეთ მეცა. ამა ჩემის სახლში სავანე (საყოფელი ადგილი) ბევრია.... **მ**ე ვალ თქვენთვის ადგილის ჰოსამზადებლად, და როდესაც თქვენვის ადგილს მოვამზადებ, მოვალ და თქვენც ჩემთან წაგიყვან, ომ თქვენც იქ იყვეთ, სადაცა მე ვარ. (**რ**ადგანც) უჩემოდ რავინ ვერ მივა მამასთან“. **ფ**ილიპემ უთხრა მას: „**უ**ფალო! აჩვენე ჩვენ მამა“. **ი**ესომ უთხრა: „ვინც მე მიხილა, მან მამა ი იხილა. **მ**ერწმუნეთ, რომ მე მამასთან ვარ და მამა ჩემთანა ს და ჩემი სახელით თუ რამე მამისაგან ითხოვოთ, იგი ვყო, ომ იდიდოს მამა ძისა თანა. **მ**ე ვთხოვ მამა ჩემს და ის სხვა ეგეშინის მცემელს, სული წმიდას, მოგივლენს თქვენ. რომ

თქვენთან დაადგრეს უკუნისამდე. ნუგეშინის მცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს სახელითა ჩემითა, გასწავლის და გაგახსენებს თქვენ ყოველივეს, რასაც მე გეტყოდი თქვენ. მშვიდობასა დაგიტოვებ თქვენ. მშვიდობასა ჩემსა მოგცემ თქვენ. ნუ შესძრუწუნდებიან გულნი თქვენი და ნუცა ეშინინ. აღსდეგით წარვიდეთ აქედგან“.

სერობიდგან აღსდგენ, ფსალმუნები იგალობეს და წავიდნენ ზეთის ხილის მთაზედ. იესომ უთხრა მათ: „თქვენ ყველანი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა“. (ე. ი. თქვენ ყველანი შესცდებით ამ ღამ). პეტრემ უთხრა: „ყველა რომ შესცდეს, მე მაინც არ შევსცდები“. იესომ უთხრა მას: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: სანამ მამალი ორჯერ იყივლებდეს, სამ გზის უარ მყოფ მე“. პეტრემ კიდევ უთხრა, რომ თუნდ სიკვდილიც მოელოდეს მას, მაინც არ ეარ ჰყოს ქრისტე. ამას ამბობდნენ სხვა მოწაფეებიც.

გზაზე იესო ქრისტემ უთხრა მოწაფეებს: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამა ჩემი მოქმედი არს. ყოველმან რტომან, რომელი ჩემთანა არს და არ გამოიღოს ნაყოფი, იგი მოეკვეთოს, და რომელმან გამოიღოს ნაყოფი, იგი განიწმიდოს, რომ მეტი ნაყოფი გამოიღოს. დაადგერით თქვენ ჩემთანა და მე თქვენთანა; როგორც ნასხლეტს თვითონ ნაყოფის გამოღება არ შეუძლია, თუ ვენახზე არ იყოს, ეგრეთვე თქვენ, თუ ჩემთანა არ დაადგრეთ. მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი: რომელი ჩემთან დაადგრეს და მე მისთანა, იმან გამოიღოს ნაყოფი მრავალი, რადგანც უჩემოთ არ შეგიძლიათ არაფრის ქმნა. როგორც მამამან მე შემიყვარა, მეც შეგიყვარე თქვენ; დაადგერით სიყვარულსა ჩემსა ზედა. ესე არს მცნება ჩემი, რომ გიყვარდეთ ერთმანერთი, როგორც მე თქვენ შეგიყვარე. თუ სოფელს სძულხართ თქვენ, იცოდეთ, რომ პირველად მე მომიძულა. თუ რომ სოფლისაგანი იყვნეთ, მაშინ სოფელს ეყვარებოდით; ვინაიდგან თქვენ სოფლისაგანი არა ხართ, არაფერად მე გამოგირჩიე თქვენ სოფლისაგან, ამიტომ სოფელს სძულ ხართ თქვენ. ამ სოფელში პირი, მწუხარება შეგემთხვევათ, მაგრამ ნუ გეშინინ, ამიტომ რომ მე ვსძლიე სოფელსა“.

ბზაზე Იესო ქრისტემ გადასცა თავის მოწაფეებს დარიგება, ›ომ მათ იქონიონ მასთან (ქრისტესთან) სულიერი ერთობა, ›ოლო ერთმანეთში სიყვარული, მერმე Იესომ აღაპყრო თვალნი ›ვისნი ზეცად და მამა ღმერთისადმი წარმოსთქვა ლოცვა: „მამაო! ›ოიწია ჟამი ჩემი. Ადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს ენ... Მამაო წმიდაო! სახელითა შენითა დაიცვენ ესენი, რომელიც შენ მომეც მე, რომ იყვნენ ერთ, როგორც ჩვენ. Სანამ იყავ მათთან სოფელში, მე ვიცავდი მათ სახელითა შენითა და ›ათგან არავინ წარწყმედილა, გარდა ძე იგი წარწყმედისა, რომ ›ერილი აღესრულოს (ფსალ. 108, 17). ხოლო ახლა შენთან ›ოვალ, დაიცევ იგინი ბოროტისაგან. წმიდა ჰყავ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყვა შენი ჭეშმარიტ არს. Არა მარტო ამათვის გთხოვ, არამედ ყოველ მორწმუნეთათვის, რომ ყველანი ›ოთ იყვნენ ჩვენ შორის. Მამაო! მნებავს, რომ რომელნიც შენ ›ამეც, იგინი ჩემთან იყვნენ, სადაც მე ვიყო, რომ ხედვიდენ ჩემ ›ადებას, რომელი მომეც მე“. Იესო ქრისტემ ეს ლოცვა გაათავა › მოწაფეებითურთ გავიდა ნაძოვან ხევს გაღმა და შევიდა გეთსანიის ბაღში, სადაც ხშირად მიდიოდა ქრისტე მოწაფეებითურთ ›ალოცავად და ან დასასვენებლად.

---

90. ლოცვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი გეთსამანიის ბაღში. მხედართაგან მისი დაჭერა.

›თ. 26. 36—56; მარკ. 14, 32—52; ლუკ. 22, 39—53; Iოან. 18, 2—12)

Როცა Იესო ქრისტე შევიდა გეთსამანიის ბაღში, მან უთხრა › მოციქულს: „დასხედით მანდ, სანამდის მივიდე იქ და ›ლოცო“, და ისინი იქ დატოვა, ხოლო პეტრე, Iაკობ და Iოანე ›ნ წაიყვანა. Დაიწყო მწუხარება და ურვა. Მაშინ Iესომ უთხრა › ›: „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე, დაადგრით აქ და იღვიძებდით ჩემთანა; ილოცეთ, რომ არ შეხვიდეთ ›ესაცდელში“. Iესო ცოტა ოდენი განშორდა მათ (იმდენზე ›შორდა, რავდენზედაც შეიძლება ქვის გადასროლა), და მუხლ დრეკით დაიწყო ლოცვა: „მამაო ჩემო! უკეთუ შესაძლებელ არს

თანა წარსმედინ ჩემგან სასვმელი ესე. ხოლო არა ვითარ მე ვნებავს, არამედ ვითარცა შენ“. მაშინ გამოეცხადა მას ანგელოსი ზეცით და განაძლიერებდა მას. რავდენადაც მომეტებული იყო მისი მწუხარება, იმდენად უფრო გულს მოდგინედ ლოცვილობდა, მას ჩამოდიოდა ოფლი, როგორც სისხლის წვეთი. მერმე ადგა და მივიდა მოწაფეებთან და ნახა ისინი მწუხარებისაგან მძინარენი. და უთხრა მათ: „რასა გძინავთ, აღსდეგით, ილოცევდით, რომ არ შეხვიდეთ განსაცდელსა“. მერმე კიდევ განშორდა მათ და დაიწყო ლოცვა და სთქვა: „მამაო ჩემო! უკეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანაწარსვლად ჩემდა, რათამცა არა შევსვი იგი, იყავნ ნება შენი“. მეორედ მივიდა მოწაფეებთან და პოვა იგინი მძინარენი, დატოვა ისინი წავიდა და მესამედ ილოცვიდა და ამბობდა იმავე სიტყვებს. მერმე მესამედ მივიდა მოწაფეებთან და უთხრა მათ: „დაიძინეთ ამიერითგან და განისვენეთ, მოიწია აღსასრული და მოვიდა ჟამი. აჰა ძე კაცისა მიეცემის ხელთა ცოდვილთასა, აღსდეგით და წარვედით აქედან. აჰა მიმცემელი ჩემი მოახლებულ არს“.

როცა იესო ამ სიტყვებს ამბობდა გამოჩნდა ხალხი ფარნებით და ლამპრებით, მახვილებით და წათებით შეიარაღებული. ესენი იყვნენ მხედრები, და მღვდელთ მთავრების, ფარისეველების და მოხუცებულების მოსამსახურენი. იმათ წინ მოუძღოდა იუდა. მან წინდა წინვე უთხრა მათ: „ვისაც მე აკოცოს (ვაკოცო), ის არის, დაიჭირეთ და წაიყვანეთ“. იუდა მივიდა იესოსთან და უთხრა: „გიხაროდენ. მოძღვარ?“ (ამ სიტყვებით მიესალმა) და ეამბორა მას. იესომ უთხრა მას: „მოყვასო! აქ რისთვის მოსულხარ?“ მერმე უთხრა: „იუდა! ამბორის ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა“? მერმე იესო მივიდა მხედრებთან და მოსამსახურეებთან და ჰკითხა მათ: „ვის ეძებთ?“ იმათ მიუგეს: „იესო ნაზარეველსა!„ იესომ უთხრა: „მე ვარ“. ამ სიტყვების გაგონებაზე იმათ უკან დაიწიეს და პირქვე მიწაზე დაეცნენ. შფალმა კიდევ ჰკითხა მათ: „ვის ეძიებთ?“ მათ მითგეს: „იესო ნაზარეველსა“. იესომ უთხრა: „მე თქვენ გითხარ, რომ მე ვარ“. მერმე უჩვენა მოციქულებზე და დაუმატა: „თუ მე მეძებთ, ამათ თავი დაანებეთ, წავიდნენ“. მო-

წაფეებმა დაინახეს, საქმე რაში იყო და უთხრეს Iესოს: „Uფალო! არ ამოვწყვიტოთ ესენი მახვილითა?“ სანამდის ამ კითხვაზე Iესო პასუხს მისცემდა, Pეტრემ მაშინვე იშიშვლა (საჩქაროდ ქარქაშიდგან ამოიღო) მახვილი, დაკრა მღვდელთ მთავრის მოსამსახურეს, Mალქოზს, და მარჯვენა ყური ჩამოაჭრა. Iესომ შეაჩერა მოწაფეები, მერმე შეახო ხელი Mალქოზის ყურს და განუკურნა იგი. MAასთან ერთად მიუბრუნდა Pეტრეს და უთხრა: „ჩააგე მახვილი ქარქაშში, ამიტომ რომ რომელმან აღიღოს მახვილი, იგი მახვილითა წარსწყმდეს. Nუ თუ არ ვსვა სასვმელი, რომელიც მამამან მომცა მე; ანუ ფიქრობ, რომ მე არ შემიძლია ვსთხოვო მამა ჩემს და ის გამომიგზავნის მე თორმეტ გუნდ ანგელოსებზე მეტს“. Mხედრებს და მოსამსახურეებს შორის Iესომ შენიშნა მღვდელთ მთავარნი და ფარისეველნი და უთხრა მათ: „ჩემ დასაჭერად გამოხვედით მახვილებით და წათებით, როგორც ავაზაკის დასაჭერად; მე ყოველ დღე თქვენთან ვიყავ ტაძარში, ვასწავლიდი ხალხს და არ დამიჭირეთ, მაგრამ ახლა მოვიდა დრო თქვენი და ხელმწიფება ბნელისა, რომ წერილი აღესრულოს“. Mაშინ მხედრები მიუახლოვდნენ Iესოს, დაიჭირეს, შეკრეს და წაიყვანეს იგი. Mისი მოწაფეები გაიფანტნენ. მხოლოდ ერთი ვინმე ჭაბუკი, რომელსაც შიშველ ტანზე მოეხვია არდაგი (ტილო მოსაფარებელი, აქ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ზეწარი), მიყვებოდა მას, მხედრებმა მისი დაჭერაც მოინდომეს, მაგრამ მან ზეწარი შეატოვა მათ და შიშველი გაიქცა. (Mს ჭაბუკი, როგორც ფიქრობენ, იყო Mარკოზ მახარობელი, რადგანც მარტო მას აქვს ამაზე ნაჩვენები).

---

§ 91. განკითხვა ქრისტესი ურიების მღვდელთ მთავრების ანნას და კაიაფასაგან. (Mათ. 26, 57—69; Mარკ. 14, 53—65; Lუკ. 22, 54, 63—65; Iოან. 18, 13, 19—24).

Mხედრებმა და მოსამსახურეებმა Bირველად Iესო ANნა მღვდელთ-მთავრისას მიიყვანეს. ANნამ დაუწყო Iესოს გამოკითხვა მის სწავლაზე და მოწაფეებზე. Iესომ მიუგო მას: „მე განცხადებულად ვეტყოდი სოფელს• და ყოველთვის ვასწავლიდი სალოცავ

სახლებში და ტაძარში, სადაც იკრიბებოდნენ ხოლმე ურიები დ
ფარულად არა რას ვეტყოდი. რას მკითხავ მე? ჰკითხე მათ, რო
მელთა ესმოდა, რასაც ვასწავლიდი, მათ იციან, რას ვეტყოდ
მათ". ეს რომ უთხრა იესომ მღვდელთ მთავარს, მაშინ ერთმა ი
მდგომარე მოსამსახურეთაგანმა ყბაში გაარტყა იესოს და უთხრა
„ეგრე მიუგებ მღვდელთ მთავარსა?" იესომ უთხრა მას: „თ
ცუდს ვეტყვი, მითხარ: რაარის ცუდი, თუ არა, რისთვის მცე
" მაშინ ანნამ გაგზავნა ის ქაიაფა მღვდელთ მთავრისას, სადა
იყვნენ შეკრებილნი მოხუცებულნი ურიანი, მწიგნობარნი დ
ცრუ მოწმენი. მათ უნდოდათ მოწმეებით აეხსნათ, რომ იესო
ქრისტე სიკვდილით დასჯის ღირსია, მაგრამ ვერავინ ვერ უჩვენ
იგეთი მიზეზი, რომლის ძალითაც ურიებს შესძლებოდათ იესო
სთვის სიკვდილი მიესაჯათ. შემდგომ ორი ცრუ მოწმენი მოვი
დნენ და სთქვეს: „ის ამბობდა: მე დავარღვიო ტაძარი ესე ხელი
ქმნული და მესამე დღეს აღვაშენო სხვა ხელით უქმნელი''
რადგანც მოწმეების ჩვენებით არ შეიძლებოდა, რომ იესოსთვ
სიკვდილი მიესაჯათ, ამიტომ ქაიაფამ ჰკითხა ქრისტეს: ,,გაფიცე
შენ ღმერთსა ცხოველსა, მითხარ ჩვენ, უკეთუ შენ ხარ ქრისტე
ძე ღვთისა?'' ქრისტემ მიუგო: ,,შენ სთქუ; ამიერიდგან იხილო
ძე კაცისა მჯდომარე მარჯვენით ძლიერებისა''. მღვდელთ მთავარ
შამოიგლიჯა ტანისამოსი და უთხრა კრებას: „რაღად გვინდა ჩვ
მოწმენი? ხომ გესმით მაგისი გმობა? რა გნებავს თქვენ?" მა
მიუსაჯეს იესოს სიკვდილი. შემდგომ მწიგნობარნი და ფარისევ
ლნი წავიდნენ ქაიაფასაგან და იესო გაიყვანეს ეზოში მღვდელ
მთავრის მოსამსახურეებთან. მოსამსახურეებმა დაუწყეს მას და
ცინვა და ცემა: ზოგი ყურს წევდა, ზოგი აფურთხებდა, ზოგ
თვალებს უხუჭავდა, სცემდა პირის სახეზე და ეუბნებოდა: „გამ
იცან, ქრისტე, ვინ დაგარტყა შენ". იესო ითმენდა და ჩუმად იყო

§ 92. პეტრე მოციქულისაგან ქრისტეს უარ ყოფა და მისი სინანული. (მათ. 26, 58, 69—75; მარკ. 14, 66—72; ლუკ. 22, 55—62; იოან. 18, 16—18, 25—27).

როცა იესო ქრისტე მხედრებმა დაიჭირეს და ანნა მღვდელთ მთავართან წაიყვანეს, მოციქულები შეშინდნენ და გაიფანტენ. პეტრე და იოანე შიშისაგან მალე გამოერკვენ და იესოს შორე ახლო გაყვნენ. იოანე მღვდელთ მთავრის ნაცნობი იყო და მღვდელმთავრის ეზოს შიგნით შევიდა, პეტრე კი ეზოს გარედ (კარებს უკან) დარჩა. იოანემ მეკარე დედაკაცს უთხრა და შეიყვანა პეტრე. ამ დროს ეზოში მოსამსახურეებს ცეცხლი დაენთოთ და თბებოდნენ, რადგანც ძლიერ სიცივე იყო. პეტრეც მივიდა მათთან და თბებოდა. იქ მივიდა მეკარე დედაკაცი, შეხედა პეტრეს და უთხრა: „შენც იყავი იესო გალილეველთან; შენც იმ კაცის მოწაფეთაგანი ხარ?“ პეტრემ მიუგო: „არა ვარ და არ ვიცი, რას ამბობ“, და გამოვიდა გარე წინა ეზოში. ამ დროს მამალმა იყივლა. როდესაც იესო ქრისტე ანნასაგან ქაიაფასთან წაიყვანეს, პეტრე კიდევ შევიდა შიგნით ეზოში და დაიწყო ცეცხლზე თბობა. იქ მეორე მოსამსახურე დედაკაცმა დაინახა პეტრე და იქ მყოფთ უთხრა: „ესეც იმათგანია“; სხვებიც იქ მდგომარენი ამასვე ამბობდნენ. პეტრემ კიდევ უარ-ჰყო ფიცით და სთქვა: „არა ვარ და არ ვიცი კაცი იგი“. მრთი საათის შემდგომ იქ მდგომარენი მივიდნენ პეტრესთან და კიდევ უთხრეს მას: „ჭეშმარიტად შენც მათგანი ხარ: შენ გალილეველი ხარ და სიტყვაცა შენი გამოგაჩინებს შენ“. (გალილეველნი ურიანი განირჩეოდენ სხვა ურიებისაგან სიტყვის გამოთქმით,—სხვანაირ კილოზე ლაპარაკობდნენ). მღვდელთ მთავრის ერთმა მოსამსახურეთაგანმა, რომელიც იყო ნათესავი მალქოზისა რომელსაც პეტრემ ყური წარკვეთა, უთხრა: „მე არ გიხილეა შენ ბაღში მასთან?“ მაშინ პეტრემ იწყო შეჩვენებად და ფიცვად, და არწმუნებდა მათ: „არა ვიცი კაცი იგი‘‘. და მაშინვე ქათამმა მეორედ იყივლა. ამ დროს იესო ქაიაფასაგან ეზოში იყო გამოყვანილი, მან მიიხედა და შეხედა პეტრეს. მაშინ პეტრეს გაახსენდა უფლის სიტყვები: ,,სანამ მამალი ორჯერ იყივლებდეს, სამ

გზის უარ მყო მეო''. ბამოვიდა ეზოდგან გარედ და დაიწყო მწარედ ტირილი.

დიდი პარასკევი.

§ 93. სინედრიონის გადაწყვეტილება იესო ქრისტე სიკვდილით დასჯისა. იუდას დალუპვა. პილატეს მიერ პირველი განსჯა უფლისა იესო ქრისტესი. იესო ქრისტე ირودის წინაშე (მათ. 27, 1—11; მარკ 15, 1—5; ლუკ. 22, 66—71; 23, 1—12; იოან. 18, 28—38).

ღვდელთ მთავრებს, ფარისევლებს და მწიგნობრებს თავიანთ განაჩენის დასაბოლავებლად მეორე კრება უნდა მოეხდინათ ერთი დღის შემდგომ, მაგრამ კრება მოახდინეს ოთხიოდე საათის შემდგომ: პარასკევს დილით ადრე სინედრიონის ყველა წევრნი შეიკრიბნენ ისევ ქაიაფასას, შეიყვანეს შიგ იესო ქრისტე და ჰკითხეს: ,,შენ ხარ ქრისტე? გვითხარ ჩვენ''! იესომ მიუგო: ,,უკეთუ გითხრა თქვენ არ დამერწმუნებით, უკეთუ გკითხო თქვენ, (რომ თქვენი პასუხისაგან გიჩვენო ჩემი ღვთაებრივი ღირსება), თქვენ არ მომიგებთ მე და არ გამიშვებთ. (მაგრამ მაინც გეტყვი თქვენ): ამიერითგან იყოს ძე კაცისა მჯდომარე მარჯვენით ძლიერებისა ღვთისასა". მაშინ ყველამ ჰკითხა მას: „შენ უკვე ხარა ძე ღვთისა?" იესომ მიუგო მათ: ,,თქვენ იტყვით, რომ მე ვარ". მათ სთქვეს: ,,რაღა მოწმეები გვინდა ჩვენ? ჩვენ თვითონ გვესმის პირისაგან მჯგისა გმობა, (რომ ის თავისს თავს ძედ ღვთისა უწოდებს''. და გადაუწყვიტეს იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯა.

ამ დროს იუდამ, დაინახა რა, რომ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, შეინანა, (მაგრამ სინანული მისი იყო უიმედო, ესე იგი მას არ ჰქონდა იმედი გასწორებულ იყო და მიეღო უფლისაგან შეწყალება, შეცოდების მიტევება). მან ღვდელთ-მთავრებს და მწიგნობრებს დაუბრუნა ოცდა ათი ვეცხლი და უთხრა მათ: „ვსცოდე, რომ მოგეც თქვენ სისხლი მართალი". იმმათ უპასუხეს: „ჩვენდა რა? შენ იხილე". (ე. ი. ჩვენ რა საქმე

გვაქვს, შენ აკე პასუხი). Იუდამ ვეცხლი ტაძარში დააბნია, განეშორა, წავიდა და შიშთვილიბა (თავი ჩამოიღრჩო). Მღვდელთ მთავრებმა მოიღეს ვეცხლი იგი და მით იყიდეს აგარაკი (ადგილი) მეკეცისა უცხოთა სასაფლაოდ. Იმ დროიდგან იწოდება ის ადგილი აგარაკად სისხლისა.

Როცა ურიებმა Იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ის წაიყვანეს პონტოელ პილატესთან თავიანთ გადაწყვეტილების დასამტკიცებლად. Პილატე იყო რომაელებისაგან გამოგზავნილი ურიასტანის მმართველი. Იმ დროს ურიები რომაელების ქვეშევრდომნი იყვნენ და Პილატეს დაუკითხავად სიკვდილით დასჯის ნება არ ჰქონდათ. Ისინი Პილატეს სახლში არ შევიდნენ, რადგანც Პილატე კერპთ თაყვანის მცემელი იყო, რათა არა შეიგინენ (ე. ი. რომ არ შებილწულ იყვნენ), არამედ რათა სჭამონ პასექი. Პილატე გარე გამოვიდა და ჰკითხა მათ: „რა ბრალსა სდებთ ამ კაცს?“ ურიებმა მიუგეს: „თუ ის ბოროტ მოქმედი არ ყოფილ იყო, ჩვენ არც მოვიყვანდით მას შენთან“. Პილატემ, რა კი დაინახა, რომ ურიებს არ უნდათ Იესოს დანაშაულის თქმა, უთხრა მათ: „წაიყვანეთ იგი და თქვენი სჯულის თანახმად განიკითხეთ იგი“. Ურიებმა უთხრეს მას: „ჩვენ არავისი მოკვლის ნება არა გვაქვს“, და რომ დაუმტკიცონ, რომ Იესო სიკვდილით დასჯის ღირსია, დაუწყეს მას ბრალდება; ისინი ამბობდნენ: „ის რყვნიდა ხალხს და კეისრისთვის ხარკის მიცემას უკრძალავდა და თავისს თავს უწოდებდა ქრისტედ და მეუფედ“. მაშინ Პილატე სახლში შევიდა, Იესო თან შეიყვანა და ჰკითხა მას: „შენ ხარ მეუფე ურიათა?“ Იესო ქრისტემ უთხრა: „შენით ამბობ მაგას, თუ სხვებმა გითხრეს ჩემთვის?“ Პილატემ უთხრა: „განა მე ურია ვარ? შენ ხალხს და მღვდელთ მთავრებს მოუცემიხარ შენ ჩემდა; რა ჰქმენ შენ?“ მაშინ Იესო ქრისტემ უპასუხა: „მეუფება ჩემი არა ამ სოფლისაგანი არს; თუ რომ მეუფება ჩემი ამ სოფლისაგანი ყოფილ იყო, მსახურნიცა ჩემნი იღვწიდეს ჩემთვის (ე. ი. ჩემი მსახურნი ხელს გამოიღებდნენ და მტრისაგან დამიფარავდნენ). Პილატემ ჰკითხა: „და ესრეთ, შენ მეფე ხარ?“ Იესომ მიუგო: „შენ (სწორედ) ამბობ, რომ მე მეუფე ვარ. მე

მისთვის ვშობილ ვარ და მისთვის მოველ ქვეყანაზე, რომ ვსწამ ჭეშმარიტი. ყოველმა, რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, ისმინოს ხმისა ჩემისა". პილატემ ჰკითხა: „რა არის ჭეშმარიტება?" მაგრამ პასუხს არ მოუცადა, გამოვიდა გარე ურიებთან და უთხრა მათ „მე არა ვითარ ბრალს არ ვპოვებ მისთანა". მაგრამ ურიები და ჟინებით თხოულობდნენ, (რომ პილატეს დაემტკიცებია მათი განაჩენი) და ამბობდნენ: „ის აღაშფოთებს ხალხს და ასწავლის მთელ ურიასტანში, გალილიიდგან დაწყებული ვიდრე აქამომდე". პილატემ ჰკითხა: „განა ის გალილეველია?" და რაკი გაიგო, რომ ის გალილიიდგან არის. ироდი მეფის სამფლობელოდგან, გაუგზავნა ის ироდის, რომელიც იმ დროს იერუსალიმში იყო. Иესოს დანახვა ироდის ძლიერ გაეხარდა, რადგანც დიდი ხანი უნდოდა მისი ნახვა, ამიტომ რომ Иესოს შესახებ ироდის ბევრი რამე ესმოდა და უნდოდა მისგან მომხდარი რამე სასწაული თვითონ თავისს თვალით ენახა. Иს ბევრ კითხვებს აძლევდა მას, მაგრამ Иესომ არა რა მიუგო მას. Мღვდელთ' მთავარნი და მწიგნობარნი იქ იდგნენ და ироდის წინაშე მას ბრალს სდებდნენ. ироდიმ, რაკი პასუხი ვერ მიიღო მისგან, განკიცხა იგი, „დაცინვის ნიშნად შემოსა მას ბრწყინვალე შესამოსი (ურიების მეფეების შესამოსის მსგავსი) და ისევ პილატეს გაუგზავნა.

---

§ 94. მეორედ განკითხვა უფლისა ჩვენისა Иესო ქრისტესი პილატეს მიერ და მისი სასიკვდილე განჩინება.

(Мათ. 27, 12—30; Мარკ. 15, 3—19; Лუკ. 23, 13—25; Иოან. 18, 39—40; 19, 1—16).

Роცა Иესო ქრისტე ироდიდგან უკანვე პილატესთან მიიყვანეს, პილატემ მოუწოდა მღვდელთ მთავრებს, მთავრებს და ხალხს და უთხრა მათ: „თქვენ მომიყვანეთ მე ეს კაცი, როგორც ხალხის აღმაშფოთებელი; თქვენ წინაშე გამოვიკითხე და ვერავითარი ბრალი მასში ვერ ვპოვე; ироდის გაუგზავნე და ვერც მან ჰპოვა ვერა ვითარი ბრალი, რომ ეგ სიკვდილის ღირსი იყოს". Мაშინ ხალხმა ყვირილი დაიწყო და მოსთხოვა პილატეს, რომ მას,

ჩვეულებისამებრ, პასექის დღესასწაულის გამო, გაეშვა ერთი პყრობილთაგანი (ტყვეთაგანი), რომელსაც ხალხი მოისურვებდა. პილატემ იცოდა, რომ მღვდელთ მთავარებმა იესო ქრისტე შურის გამო მისცეს დასასჯელად, და ეგონა, რომ ხალხს გაუხარდებოდა მისი განთავისუფლება, ამიტომ მან უთხრა ხალხს: ,,თქვენ ჩვეულება გაქვთ, რომ პასექის გამო მე ერთი პყრობილთაგანი განვათავისუფლო; ვინ გინდათ, განვათავისუფლო, ბარაბა თუ იესო, რომელსა ჰქვიან ქრისტე? გინდათ, განვათავისუფლო მეუფე ურიათა? (ე. ი. იესო ქრისტე?)'' ბარაბა იყო ავაზაკი, მის მიერ მოხდენილ აღშფოთების და კაცის კვლის გამო იყო შეპყრობილი და იჯდა საპყრობილეში. (ხალხმა დაიწყო მოლაპარაკება). ამ დროს პილატეს, რომელიც სამსაჯულო ადგილზე იჯდა, ცოლმა კაცი გამოუგზავნა და შემოუთვალა: ,,არა უყო რა მაგ მართალ კაცს, მე ბევრი მევნო ჩვენებით მაგისთვის". (ზეპირ გადმოცემა ამბობს, რომ პილატეს ცოლს ერქვა ქლავდია პროკულა ანუ პროკლა, რომ ის იყო ღვთის მოშიში, მან ნახა სიზმარში უფალი იესო ქრისტე, რომელიც ახდენდა საშინელ განსჯას ყოველ კაცზე; რომ ის შემდგომში შეიქმნა ქრისტიანე).

მღვდელთ მთავრების და მოხუცებულების ჩაგონებით ხალხმა მოითხოვა ბარაბას განთავისუფლება და იესოს დაღუპვა. როცა პილატემ ჰკითხა ხალხს: ,,ვინ გინდათ განვათავისუფლო, ყველამ დაიყვირა: ,,ბარაბა''. პილატემ ჰკითხა: ,,რა უყო იესოს, რომელსაც ჰქვიან ქრისტე?'' ხალხმა დაიყვირა: ,,ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე''. პილატემ ჰკითხა ხალხს: ,,რა ბოროტი უქმნია მას?', პასუხის მაგიერ ხალხმა კიდევ უფრო ხმა მაღლა დაიყვირა: ,,ჯვარს აცვ ეგე''. პილატემ უთხრა მათ: ,,მე მასში სიკვდილის ღირსს ვერა რას ვპოვებ, დავსჯი და გაუშვებ''. და ბრძანა, რომ იესოსთვის შოლტით ეცემათ. მხედრებმა ის წაიყვანეს შიგნით ეზოში და სცემეს იესოს შოლტით, ეკლის გვირგვინი გააკეთეს და თავზე დაადგეს, წითელი სამოსელით შემოსეს, ხელში სამეფო სკიპტრის მაგიერად ლელწამი მისცეს და დაუწყეს დაცინვა: ,,გიხაროდენ! მეუფე ურიათაო''. აფურთხებდნენ მას, ლელწამს გამოართმევდნენ და თავზე სცემდნენ, ეკლები ესობოდა თავში

და სისხლი გადმოდიოდა. ამის შემდგომ პილატე გამოვიდა და უთხრა ურიებს: ,,აჰა, მე გამოვიყვან მას თქვენთან, რათა თქვენ იცოდეთ, რომ მე ვერავითარ ბრალს ვერ ვპოვებ მასში''. მაშინ იესო გამოვიდა ეკლის გვირგვინით და ძოწეულით (წითელი სამოსელით) შემოსილი. პილატეს ეგონა: ურიების გულში იესოსადმი სიბრალულს აღძრავდა და უთხრა მათ: ,,აჰა, კაცი იგი''. მაგრამ, როგორც კი დაინახეს იგი, მღვდელთ მთავრებმა და მათმა მოსამსახურეებმა დაიყვირეს: ,,ჯვარ აცვ, ჯვარს აცვ ეგე''. პილატემ უთხრა მათ: ,,წაიყვანეთ იგი თქვენ და ჯვარს აცვთ: მე მასში ბრალს ვერ ვპოვებ''. ურიებმა მიუგეს: ,,ჩვენ სჯული გვაქვს და სჯულისა ჩვენისა ებრ ის სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ამიტომ რომ თავი თვისი ძედ ღვთისა ჰყო''. ეს სიტყვები რომ გაიგონა, პილატეს უფრო შეეშინა. შევიდა თავისს სახლში, იესო შეიყვანა და ჰკითხა მას: ,,ვინა ხარ შენ?'' იესომ სიტყვა არ მიუგო, მაშინ პილატემ უთხრა მას: ,,მე არას მეტყვია? თუ არ იცი, რომ უფლება მაქვს ჯვარს გაცვა და უფლება მაქვს გაგიშვა''. იესომ მიუგო: ,,არა ვითარი უფლება არ გაქვს შენ, რომ ზეგარდამო არ გქონდეს მოცემული, ამიტომ მიმცემელსა ჩემსა შენზე უდიდესი ცოდვა აქვს''. ამიტომ პილატეს უნდოდა მისი გაშვება. ეს რომ შენიშნეს ურიებმა დაიყვირეს: ,,თუ შენ ეგ გაუშვი, არა ხარ მოყვარე კეისრისა, ამიტომ რომ ყოველი, ვინც თავისს თავს მეფედ სთვლის, კეისრის მოწინააღმდეგეა''. პილატემ ეს სიტყვები რომ გაიგონა, გამოიყვანა იესო გარე და დასჯდა სამსაჯულო ადგილზე, რომელსა ჰქვიან ქვაფენილ, ხოლო ებრაულად კაპპათა. იყო პარასკევი პასქასა, მეექვსე საათი (ჩვენებურად მეთორმეტე). პილატემ უთხრა ურიებს: ,,აჰა, მეუფე თქვენი''. ურიებმა დაიყვირეს: ,,აღიღე, აღიღე და ჯვარს აცვ ეგე''. პილატემ უთხრა: ,,თქვენი მეფე მე ჯვარს ვაცვაა?'' მღვდელთ მთავრებმა მიუგეს: ,,არა გვყავს ჩვენ მეფე, გარდა კეისრისა''.

რაკი დაინახა ხასიათით სუსტმა პილატემ, რომ არას არგებს (ე. ი. რომ ურიებთან არა ვითარი საშველება არ გადის), არამედ უჯრო და უფრო შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და მათ

წინაშე დაიბანა ხელი და სთქვა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისა, თქვენ იხილეთ“. ურიებმა უპასუხეს: „სისხლი მ•გისი ჩვენ-ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა“. მაშინ პილატემ დაამტკიცა ურიების განჩინება: „იყოს თანახმად ურიების თხოვნისა.“ პარაბა გაუშვა, ხოლო იესო მისცა ურიებს, რომ ჯვარს აცვან იგი.

---

§ 95. სლვა იესო ქრისტესი გოლგოთას და ჯვარცმა მისი.

(მათ. 27, 31—38; მარკ. 15, 20—28; ლუკ. 23, 26—33; იოან. 19, 16—24).

როცა პილატემ იესო ქრისტე ჯვარსაცმელად ურიებს მისცა, ურიებმა იესო მხედრებს გადასცეს. მხედრებმა განკიცხეს იგი, მერმე წითელი სამოსელი გახადეს და თავისივე სამოსელით შემოსეს, აკიდეს მას ჯვარი, რომელზედაც უნდა ჯვარცმული იყო იგი და წაიყვანეს გოლგოთას, რათა ჯვარს აცვან იგი. იესოს დიდ ძალი ხალხი მიყვებოდა. ხალხში ქალებიც ბევრი იყო. იესო, რადგანც მეტად ნაწვალები იყო, ძლიერ დაიღალა, ველარ შეძლო ჯვარის წაღება და გზაზე ეცემოდა. მხედრებმა გზაზე შენიშნეს ერთი კაცი, სახელდობრ, სვიმონ კვირინელი, მინდვრიდგან მომავალი, რომელიც იესოს გულმტკივნეულად უცქეროდა, დაიჭირეს ის და წააღებინეს ჯვარი იესოსი. ჯვარის გადაცემის დროს იესომ დაინახა: ქალები ტიროდნენ და გოდებდნენ, და უთხრა მათ: „ასულნო იერუსალიმისანო! ნუ სტირთ ჩემთვის, არამედ სტიროდეთ თავთა თქვენთა და შვილთა თქვენთა, უკეთუ ნედლ ხეს ესრეთ უყოფენ, ხმელსა მას რაიმე ეყოს?“ (ზეპირ გადმოცემა ამბობს: როცა გოლგოთის აღმართს შეუდგენ, იესოსთან მივიდა ვერონიკა, რომელიც იესომ წინეთ განკურნა სისხლის დენისაგან, და მოწშიდა იესოს პირის სახეზედ ტილოთი სისხლი და ოფლი და იმ ტილოზე დაიხატა მაცხოვრის სახე. დასავლეთის ეკკლესიაში (კათოლიკების ეკკლესიაში) ეს სახე მაცხოვრისა იწოდება ხელით უქმნელ ხატად „ვერონიკისა“. ეს ხატი განსხვავდება მართლმადიდებელ ეკკლესიაში ცნობილ ხელით უქმნელ ხატისაგან მით, რომ იესო ქრისტეს ადგას თავზე ეკლის გვირგვინი). იესო ქრისტესთან ჯვარსაცმელად მიყავდათ კიდევ

ორი ბოროტის—მოქმედნი, ანუ ორი ავაზაკი. Ავიდნენ გოლგოთის მთაზე და შეუდგენ მზადებას, რომ ჯვარს აცვან Იესო და ორი ავაზაკი.

Სიკვდილით დასასჯელებს ჩვეულებრივ სიკვდილის წინეთ ასმევდნენ ღვინოს, რომელიმე დამაძინებელ ნივთიერებასთან შერეულს, რომ შეემცირებიათ მათი წვალება. (Მდიდარნი იერუსალიმელნი ქალანი თავისს საფასით ყიდულობდნენ და მოჰქონდათ დამაძინებელი სასმელი სიკვდილით დასასჯელებისათვის). Იესო Ქრისტესთვისაც მოეტანათ მჟავე ღვინო შემურვილი (მურით შეზავებული), მაგრამ მტრებმა შეაზავეს იგი ნაღველით და მისცეს Იესოს დასალევად. Იესომ გემო გაშინჯა და აღარ დალია. Იყო მოახლოვებული შუა დღე, Იესო Ქრისტე ჯვარს აცვეს. Ზეპირ გადმოცემა ამბობს, რომ Იესო Ქრისტე პირველად მიალურსმნეს (ლურსმნით დააჭედეს) ჯვარზე, რომელიც მიწაზე იდვა, მერმე აღმართეს ჯვარი და ჩაასვეს წინათვე ამოთხრილ ორმოში. Იესოსთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი: ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით მხა. Ამ გვარად აღსრულდა საღვთო წერილის სიტყვები: ,,უსჯულოთა თანა შეირაცხა''. (Ისაია 53, 12). Იესო Ქრისტეს თავს ზემოთ ჯვარზე მიაკრეს ფიცარი, რომელზეეაც ებრაულად, ბერძნულად და რომაულად ეწერა Იესოს დანაშაული: ,,Იესო ნაზარეველი მეუფე ურიათა''. Შრიებმა ეს ზედწარწერა მათ დაცინვად მიიღეს და Პილატეს სთხოვდნენ: ,,ნუ სწერ: მეუფე ურიათა, არამედ დასწერე, რომ ის ამბობდა: მე ვარ მეუფე ურიათაო". Პილატემ გადაჭრით უპასუხა ურიებს: ,,რაც დავსწერე, დავსწერე (შეუცვლელად)''. Იესოს ჯვარცმის შემდგომ მეედრებმა გაიყვეს სამოსელი მისი ოთხ ნაწილად, თითოეულ მხედარს თითო ნაწილი. Იესოს ჰქონდა სრულიად მოქსოვილი პერანგი=კვართი. Მხედრებს დაენანათ მისი გაჭრა და წილი ყარეს მასზედ. (Კვართი Უფლისა ერგო საქართველოდგან მისულ ურიას—Ელიოზს, მან Კვართი Ქრისტესი მოიტანა საქართველოში).

96. ჯვარზე წვალება იესო ქრისტესი. შვიდი სიტყვა ჯვარითგან. (მათ. 27, 39—56; მარკ. 15, 29—41; ლუკ. 23, 34—49; იოან. 19, 25—37).

ჯვარზე იესო ქრისტემ დაითმინა მეტად საშინელი წვალება. თვით ჯვარცმა იყო უსაშინელესი სასჯელი, შეერთებული ხეულის ყოველ გვარ ტკივილებთან. ჯვარცმულნი ვრძნობდნენ ბეტის მეტ თავის ტკივილს. ხეულის დაკრუნჩხვას, ძალის დაკარგვას, ცივებას, გაშეშებას, ჭრილობების ანთებას, ხეულში უტანელ სიცხეს და წყურვილს. მიუხედავად ამ წვალებისა, ბტერები ჯვარზედაც არ აძლევდნენ მას მოსვენებას: გამვლელ-გამომვლელნი თავის ქნევით ეუბნებოდნენ მას: ,,ჰეი, ტაძრის დამრღვევო და სამ დღეში აღმშენებელო! იხსენ თავი შენი და, თუ ძე ღვთისა ხარ, ჩამოდი ჯვარითგან". ურიების მღვდელთ მთავრები და მოხუცებულები დაცინვით ეუბნებოდნენ ერთმანერთს: „სხვანი აცხოვნა და თავისს თავი ვერ იხსნა; თუ ის ქრისტეა, ჩამოვიდეს ჯვარითგან, რომ ვიხილოთ და ვერწმუნოთ მას. თუ ღვთის იმედი ჰქონდა, ახლა იხსნას იგი, თუ ნებავს იგი, რამეთუ სთქვა: ძე ღვთისა ვარ მე". თუმცა მტრები იესოს ასე უდიერად ეპყრობოდნენ, მაგრამ იესოს პირველი სიტყვა ჯვარითგან იყო ვედრება მამა ღმერთისადმი მტრების ცოდვების მიტევებაზე: „მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან". იესოს გმობდნენ ჯვარზე არა მარტო გამვლელ-გამომვლელნი და მღვდელთ მთავარნი, არამედ ერთი მასთან ჯვარცმულ ავაზაკიცა. მან უთხრა ქრისტეს: „თუ შენ ქრისტე ხარ, იხსენ თავი შენი და ჩვენცა". მეორე ავაზაკმა გამოიჩინა კეთილ გონიერება და უთხრა ამხანაგს: ,,შენ ღვთის არ გეშინია, რომ მაგას იტყვი, ჩვენ სამართლიანად ვართ დასჯილი, მაგას კი არა ვითარი ბოროტება არ უქმნია''. მერმე ქრისტეს უთხრა: ,,მომიხსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა''. იესოს მეორე სიტყვა ჯვარითგან იყო კეთილ გონიერი ავაზაკის ვედრების პასუხი: ,,ჭეშმარიტად გეტყვი, დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა შინა''. შეიქმნა შუა დღე, დილითგან მეექვსე საათი; უეცრად მზე დაბნელდა, ვარსკვლავები გამოჩნდენ. სიბნელე გაგრძელდა სამ საათს.

ეს მზის დაბნელება არ იყო ჩვეულებრივი, არამედ იყო სასწაული. ბუნებრივი მზის დაბნელება ჰოხდება ახალ მთვარეზე, ხოლო ეს დაბნელება მოხდა სავსე მთვარის დროს. დიონის არეოპაგიელმა, როცა ეს დაბნელება დაინახა, წამოიძახა; ან ღმერთი წვალობს, ან ბუნება გულმტკივნეულობს ღვთისადმი, ან ქვეყანა იქცევა. ამ დაბნელებაზე ტერტულიანი სწერს რომის სენატს: უეცრად მზე მიეფარა დედამიწისაგან შუადღეზე. ეს შემთხვევა დაწერილი გაქვთ თქვენ და დაცულია თქვენ არხივში—სიძველეთ საცავში (აპოლოგია 21 თ.). მოწამე ლუკიანე ეუბნება ნიკომიდიის პრეფექტს: მზემ დაინახა თუ არა ეგეთი უღვთოება (შფლის მოკვლა), შუა დღეზე დაფარა თავისი სინათლე. თქვენ იპოვით ამას თქვენ მატიანეში. მეორე საუკუნის მწერალი წარმართთა ფლეგონტი ამბობს ამ დაბნელებაზე, რომ ის იყო უდიდესი ყველა იმ დრომდი ცნობილ დაბნელებებზე; დღის მეექვსე საათზე (შუა დღეზე) იყო ისეთი ღამე, რომ ცაზედ ვარსკვლავნი მოჩანდნენ).

როცა დაბნელდა ყველანი შეშინდნენ და იესოს ჯვარს მოეცალნენ. რაკი თავისუფლება იშოვნეს იესოს ჯვართან მივიდნენ დედა იესოსი, იოანე მოციქული, მარიამ მაგდალინელა, სალომია და სხვა ქალები. იესომ დაინახა დედა თვისი, აჩვენა მას თვალით იოანეზე და უთხრა: ,,აჰა, ძე შენი''. მერმე შეხედა იოანეს, თვალით აჩვენა მარიამზე და უთხრა მას: ,,აჰა დედა შენი''. ეს იყო მესამე სიტყვა იესოსი ჯვარითგან. მერმე იოანემ მიიღო ღვთის მშობელი თავისს სახლში და ის ცხოვრებდა იოანესთან მიძინებამდის. ნაშვადღევის მესამე საათზე იესომ ხმა მაღლა წარმოსთქვა ჯვარიდგან მეოთხე სიტყვა: ,,ილი, ილი, ლამა საბაქთანი''. ეს ნიშნავს ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რასთვის დამიტოვე მე''. იესოს მტრებმა სთქვეს: ,,ილიას უძახის იგი''. წერილი რომ აღესრულოს, იესო ქრისტემ დაიძახა: ,,მწყურის''. ეს იყო მეხუთე სიტყვა ჯვარითგან. ერთმა მხედართაგანმა საჩქაროდ ძმარში ღრუბელი დაასველა, ლერწამში ჩაარჭო და, თუმცა სხვები უშლიდნენ, შეახო იესოს პირს. იესომ გემო გაშინჯა და

ათქვა: ,,აღსრულდა''. ეს იყო მეექვსე სიტყვა ჯვარითგან. ქრისტეს წვალება გათავდა. მან მთელი კაცობრიობის გამოსახ-ნელად შესწირა მსხვერპლი და მით შეარიგა კაცი ღმერთთან. მაშინ ჯვარიდგან მოისმა მეშვიდე სიტყვა ქრისტესი: ,,მამაო, ელთა შენთა შევევედრებ სულსა ჩემსა''. ეს სთქვა და განუტევა სული. მაშინ კრეტსაბმელი (ფარდა), რომელიც ტაძარს ორ ნაწილად ყოფდა, შუაში გაიპო, მიწა შეიძრა, კლდენი გასკდნენ, მკვდრები აღსდნენ და გამოვიდენ საფლავებიდგან. ასის თავი, იესოს ჯვართან მდგომი, შეშინდა და სთქვა: ,,ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო, ძე ღვთისა''. ბევრნი, ძლიერ ჩაფიქრებულნი, ეკერდზედ ხელის ცემით განშორდნენ იესოს ჯვარს; იქ დარჩნენ მარტო ყარაულნი. მეორე დღეს (შაბათს) ურიების პასექობა იყო და ჯვრებზედ ჯვარცმულნი არ უნდა დაეტოვებიათ. რადგანც ჯვარზე წვალება ხშირად ორსამ დღეს გასტანდა, ამიტომ ურიებმა გაგზავნეს მხედრები, რომ მათ ჯვარცმულთათვის წვივნი გაეტეხათ და მალე მომკვდარ იყვნენ. მხედრებმა ავაზაკებს განუტეხეს წვივნი, იესოსთან მივიდნენ, ნახეს მომკვდარა და არ განუტეხეს წვივი, არამედ ერთმა მხედართაგანმა ლახვრით უგმირა გვერდსა ისსა და გარდამოვიდა სისხლი და წყალი.

---

§ 97. იესო ქრისტეს დასაფლავება. (მათ. 27, 57—62; მარკ. 15, 42—47; ლუკ. 23, 50—56; იოან. 19, 38—42).

პარასკევ საღამოს პილატესთან მივიდა იოსებ არიმათიელი, კაცი მდიდარი, სახელოვანი წევრი სინედრიონისა, იესო ქრისტეს ფარული მოწაფე, (რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა იესოს შესახებ ურიების რჩევაში და საქმეში), და პილატესაგან ებართვა გამოითხოვა, რომ სხეული იესოსი გარდამოხსნას და დასაფლაოს. პილატემ ასის თავისაგან გაიგო, რომ იესო უკვე მოკვდა და იოსებს ნება მისცა გარდამოეხსნა და დაესაფლავებია იესოს სხეული. იოსებმა იყიდა არდაგი (ტილო), იესოს სხეული ჯვარიდგან გარდამოხსნა და შეახვია არმენაკში (წმიდა ტილოში). ამრეთვე მოვიდა ნიკოდიმოსი, მეორე ფარული მოწაფე ქრისტესი

და მოიტანა ას გირვანქამდე მური და ალო (კეთილ სუნნელოვანი ნივთიერებანი) ერთად შერეული. იმ ადგილის მახლობლად, სადაც იესო ჯვარს აცვეს, იყო იოსებ არიმათიელის ბაღი, ხოლო იმ ბაღში ჰქონდა იოსებს თავისთვის კლდეში გამოკვეთილი ახალი საფლავი, რომელშიაც ჯერ არავინ იყო დამარხული. იოსებმა და ნიკოდიმოსმა იესოს სხეული შეახვიეს სახვეველითა კეთილ სუნნელოვანი ნივთიერებითურთ, როგორც ჰქონდათ ურიებს ჩვეულება მიცვალებულის დამარხვის დროს, წაიღეს სხეული იგი და დასდვეს იმ ახალ საფლავში, საფლავის კარზე მიაგორვეს, და დაადვეს დიდი ლოდი და წავიდნენ. იესოს სხეულის გარდამოხსნის და დასაფლავების დროს დაესწრენ ყოვლად წმიდა დედა მისი მარიამ და სხვანი დედანი, რომელნიც მოსულ იყვნენ გალილიიდგან. დასაფლავების შემდგომ დედანი ბინაზე დაბრუნდნენ და იმ ღამესვე მოამზადეს სუნნელი და ნელსაცხებელი (კეთილ სუნნელოვანი ნივთიერებანი), რომ ეცხოთ იესოს სხეულისთვის შაბათის მეორე დღეს, რადგანც შაბათი მცნების თანახმად უნდა გაეტარებიათ მოსვენებით.

დიდი შაბათი.

98. იესო ქრისტეს საფლავზე მცველების დაყენება. (ძათ. 27, 62—66), ქრისტეს ჩასვლა ჯოჯოხეთში საქადაგებლად და მორწმუნე სულთა გამოსახსნელად.

(1 პეტრ. 3, 18—19).

შაბათს პილატესთან შეიკრიბნენ მღვდელთ მთავარნი და ფარისეველნი და უთხრეს მას: „შფალო, გავიხსენეთ, რომ მან მაცდურმან სთქვა სიცოცხლეში: სამი დღის შემდგომ აღვსდგეო. ახლა უბრძანე, დაიცვან საფლავი მისი მესამე დღემდე, რომ მოწაფენი მისნი არ მოვიდნენ, არ მოიპარონ სხეული მისი და არ უთხრან ხალხს, რომ იგი აღსდგა მკვდრეთით. და იყოს უკანასკვნელი საცდური (მოტყუვლება) პირველზე უარესი. (მოტყუვლებას უძახდნენ ისინი იესო ქრისტეს განცხადებას თავის თავზე, რომ ის არის ქრისტე, ღმერთი, ძე ღვთისა). პილატემ უთხრა

მათ: „თქვენ გყავთ მცველნი, წადით და დაკრძალეთ (დაიცვევით), როგორც იცოდეთ“. ისინი წავიდნენ, დააყენეს მცველნი და ლოდი დაბეჭდეს.

როცა იესო ქრისტეს სხეული საფლავში იდვა, ის თავისი სულით ჩავიდა ჯოჯოხეთში და ქადაგა—აუწყა მიცვალებულ კაცთა სულებს თავისი გამარჯვება ეშმაკზე და სიკვდილზე და აღმოიყვანა ჯოჯოხეთისაგან სამოთხეში ის სულნი, რომელნიც მის მოსვლას სარწმუნოებით მოელოდნენ. ამავე დროს ის იყო მამისათანა და სულისა წმიდისათანა საყდართა ზედა დიდებისა თვისისათა.

---

§ 99. აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

მენელ საცხებელნი დედანი, პეტრე და იოანე ქრისტეს საფლავთან. მცველების სიცრუე. (მათ. 28, 1—15; მარკ. 16, 1—11; ლუკ. 24, 1—12; იოანე 20. 1—18).

იესო ქრისტე აღსდგა მკვდრეთით შაბათის მეორე დღეს დილით ადრე—შუაღამისას. ამ დროს ქრისტეს საფლავთან შეიქმნა საშინელი მიწის ძვრა, ანგელოსი უფლისა გარდამოვიდა ზეცით, იესოს საფლავიდგან გადააგორვა ლოდი და დასჯდა მაზედ. ქრისტე აღსდგა. მცველნი რომელნიც იქ იყვნენ დაყენებულნი, ძლიერ შეშინდნენ: უგრძნობლად პირ-ქვე დაეცნენ და, როცა გრძნობაში მოვიდნენ, გაიქცნენ. იმ დღესვე ადრე, მინამ ირაჟრაჟებდა, მარიამ მაგდალინელა, მარიამ იაკობისა, სალომე და სხვანი მენელსაცხებელნი დედანი წინათვე მომზადებულ ნელსაცხებელით წავიდნენ ქრისტეს საფლავზე, რომ მის სხეულს სცხონ ნელსაცხებელი. მარიამ მაგდალინელამ დაიწინაურა, ჯერ კიდევ ბნელოდა, იალონი არ ამოსულიყო, რომ მივიდა საფლავთან. მან დაინახა, რომ საფლავიდგან ლოდი გადაგორვებულია. შეშინდა, ფიქრმა გაუელვა: უთუოდ ვინმემ წაიღო იესოს სხეულიო; სჩქაროდ დაბრუნდა უკან, მივიდა პეტრე და იოანესთან და უთხრა მათ: ,,წაუღიათ სხეული უფლისა და არ ვიცი, სად დასდვეს იგი‘‘. ამ დროს სხვანი მენელ საცხებელნი დედანი მიდიოდნენ და ერთმანეთს

ეუბნებოდნენ: ,,ვინ გარდაგვიგორებს საფლავიდგან ლოდს?'' ლოდი იყო მეტად დიდი. როცა მივიდნენ საფლავთან დაინახეს, რომ ლოდი გადაგორვებულია, და მასზედ ზის ანგელოსი, რომელმანც უთხრა მათ: ,,ნუ გეშინიათ, მე ვიცი, თქვენ ეძებთ იესოს ჯვარცმულსა. ის აღსდგა, არა არს აქ, მოდით და ნახეთ ადგილი, სადაც იდვა უფალი. მერმე წადით და უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს, რომ ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, და, როგორც თვითონ უთხრა, შეხვდება მათ გალილიაში. იმათ ჩახედეს საფლავში და დაინახეს ანგელოსები, რომლებმაც უთხრეს მათ: ,,რათ ეძიებთ ცხოველსა მკვდართათანა, ის აღსდგა, არა არს აქ''. მენელსაცხებელნი დედანი შიშით დაბრუნდნენ ქალაქში და უთხრეს ეს ამბავი ქრისტეს მოწაფეებს. მოწაფენი არ ერწმუნენ მათ.

ამასობაში პეტრე და იოანე, რომლებმაც მარიამ მაგდალინელასაგან გაიგეს, რომ ქრისტეს სხეული საფლავში არ არისო, საფლავისკენ გაეჩქარნენ. იოანემ გაუსწრო პეტრეს და პირველად მივიდა საფლავთან. ჩახედა საფლავში და დაინახა ტილონი და სუდარი შეკეცილნი და დაწყობილნი, მაგრამ შიგ არ შევიდა. მერმე პეტრეც მივიდა, შევიდა საფლავში და იხილა ტილონი დაკეცილნი და დალაგებულნი, ხოლო სუდარი, რომელიც ჰქონდა იესოს თავზე შემოხვეული, იდვა ცალკე შეკეცილი. პეტრეს ჩაჰყვა იოანეც. იოანე ერწმუნა ქრისტეს აღდგომას, პეტრე კი კვირობდა ამ ამბავს და დაბრუნდნენ თავიანთ ბინაზე.

იმ დროს, როცა მენელსაცხებელნი დედანი დაბრუნდენ საფლავისაგან და მიდიოდნენ იესოს მოწაფეებთან, რათა აუწყონ მათ აღდგომა ქრისტესი, ზოგიერთნი მცველთაგანნი მივიდნენ მღვდელთ მთავრებთან და აუწყეს ყოველივე, რაც მოხდა იესოს საფლავთან. (ე. ი. აუწყეს აღდგომა ქრისტესი, მიწის ძვრა, ზეცითგან ანგელოსის გადმოსვლა და იესოს საფლავიდგან ლოდის გადაგორვება). მღვდელთ მთავრებმა შეკრიბეს მოხუცებულნი და გამართეს რჩევა, თუ როგორ მოიქცნენ. დიდ ძალი ვეცხლი მისცეს მცველებს და უთხრეს: „სთქვით, რომ როცა გვეძინა, იესოს მოწაფენი მოვიდნენ და მოიპარეს იგი". იმათ მიიღეს ვეცხლი და ისე მოიქცნენ, როგორც ჰქონდათ მათ ნათქვამი. ამ

გვარად მცველებმა ურიათა შორის გაავრცელეს ცრუ ამბავი. (რომ მცველების მიერ გავრცელებული ამბავი სიცრცე არის, ეს თავის თავად სჩანს: მცველებს ნება არ აქვთ დაიძინონ, მაგრამ, ვსთქვათ, დაეძინათ. თუ მცველებს ეძინათ, როგორ შეეძლოთ, გაეგოთ, რომ იესოს სხეული მისმა მოწაფეებმა მოიპარეს? ვანა მძინარე კაცს შეუძლია რაჲმეს დანახვა?! და თუ არ ეძინათ, როგორ მიუშვებდნენ იესოს მოწაფეებს სხეულის მოსაპარავად, ან მოწაფენი როგორ მიბედავდნენ)?!

---

§ 100. აღდგომის შემდგომ ქრისტეს გამოცხადება.

(მათ. 28, 9—10, 16—20; მარკ. 16, 9—18; ლუკ. 24, 13—49; იოან. 20, 14—31; 21 თ; 1 კორიათ. 15, 5—8).

აღდგომის შემდგომ იესო ქრისტე პირველად გამოეცხადა მარიამ მაგდანილენას. ეს მოხდა ამ გვარად: იმის შემდგომ, რაც მარიამ მაგდანილელამ აცნობა პეტრეს და იოანეს, რომ იესოს სხეული საფლავში არ არისო, ის ისევ იესოს საფლავთან მიბრუნდა; საფლავის ახლოს გაჩერდა და ტიროდა, ტირილის დროს საფლავში ჩაიხედა და ორი ანგელოსი დაინახა. ანგელოსებმა უთხრეს მარიამს: „დედა კაცო! რასა სტირ?“ მარიამმა უპასუხა: „აღიღეს უფალი ჩემი საფლავით და არ ვიცი, სად დასდვეს იგი“. ეს რომ სთქვა, მიიხედა და დაინახა იესო მდგომარე, მაგრამ არ იცოდა, თუ იესო არს. იესომ უთხრა მას: „დედაკაცო! რასა სტირ? ვის ეძებ?“ მარიამს ეგონა, რომ ის იყო მებაღე და უთხრა: „უფალო! თუ შენ აღიღე იგი, მითხარ: სად დასდევ და მე წარმოვიღო იგი“. იესო ქრისტემ უთხრა: „მარიამ“. მაშინ მარიამმა იცნო იგი და სიხარულით წამოიძახა: „მოძღვარ“, და საჩქაროდ აპირებდა ფეხებზე მოხვევას, მაგრამ იესომ უთხრა მას: „ნუ შემომეხები მე. რამეთუ არ ავსულ ვარ მამისა ჩემისა; წადი ჩემ ძმებთან და უთხარ მათ: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა. მარიამ მაგდალინელა გახარებული წავიდა მოწაფეებთან, რომ აბაროს მათ აღდგომა ქრისტესი.

მერმე ქრისტე გამოეცხადა სხვა მენელ საცხებელ დედებს, რომელნიც საფლავიდგან დაბრუნებულნი მიდიოდნენ მოწაფეებთან, და უთხრა მათ: „გიხაროდენ“. ისინი დავარდენ და თაყვანი სცეს მას; იესომ უთხრა მათ: „ნუ გეშინიათ, წადით და აუწყეთ ძმათა ჩემთა, რომ ისინი წავიდნენ გალილიაში და იქ მიხილონ მე“.

***

აღდგომა დღესვე იესო ქრისტეს ორნი მოწაფენი, ქლეოპა და ლუკა იერუსალიმიდგან ს. ემმაუსს მიდიოდნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ მასზედ, რაც იმ დღეებში მოხდა იერუსალიმში. უეცრად თვითონ იესო მიეახლა მათ და თან გაყვა. იმათ ვერ იცნეს იგი. მან ჰკითხა მათ: „რაზე ლაპარაკობთ და რად ხართ თქვენ მწუხარე?“ იმათ უამბეს ყოველივე, რაც შეემთხვა იესო ნაზარეველს, როგორ მისცეს იგი სიკვდილად მღვდელთ მთავრებმა და მთავრებმა და ჯვარს აცვეს იგი; როგორ მივიდნენ მის საფლავზე ზოგიერთნი დედანი დილით ადრე და სხეული მისი ვერ ჰპოვეს, არამედ იხილეს ანგელოსები, რომლებმაც აუწყეს მათ, რომ ის ცოცხალ არს. ზოგიერთი ჩვენგანიც წავიდნენ საფლავად და ჰპოვეს ეგრე, როგორც დედათა მათ სთქვეს, მაგრამ თვითონ ის ვერ იხილეს“. მაშინ იესო ქრისტემ განუმარტა მათ საღვთო წერილის წიგნები მოსედან დაწყებული და წინასწარმეტყველების ნაწერები და უთხრა მათ, რომ ესრეთ ჯერ იყო ვნებად ქრისტესა და შესვლად დიდებასა თვისსა. ამ ლაპარაკში ისინი მიუახლოვდნენ სოფელ ემმაუსს. იესო ქრისტემ სახე აჩვენა, რომ უფრო შორს უნდა წასლვა. მაგრამ იმათ სთხოვეს მას: „დარჩი ჩვენთან, რადგანც საღამო დროა და დღე მიწურულია“. იესო შეევიდა მათთან დასადგომად. როცა ვახშმად დაჯდენ, მან აიღო პური, აკურთხა და მისცა მათ. მაშინ აღეხილათ მათ თვალები და იცნეს იგი. მაგრამ იესო მიეფარა მათგან (უხილავად შეიქმნა). ისინი მაშინვე ადგენ, იერუსალიმს დაბრუნდნენ და ჰპოვეს მოციქულები და მათთან სხვა მოწაფენიც, რომლებმაც უთხრეს მათ, რომ ქრისტე ჭეშმარიტად აღსდგა და გამოეცხადა პეტრეს. იმათაც უამბეს მათ გამოცხადება ქრისტესი და როგორ იცნეს იგი პურის განტეხის დროს

*
* *

Იმავე დღეს საღამოს, როცა ქრისტეს მოწაფენი კარ დახშულ სახლში იჯდენ სეროობად (ვახშმად) და ბაასობდნენ ქრისტეს აღდგომაზე, უეცრად თვითონ Iესო დადგა მათ შორის და უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენთანა“. Iსინი შეშინდნენ: ეგონათ, სული რაჲმე გამოეცხადა მათ. მაშინ Iესომ უთხრა მათ: „რას შეძრწუნებულ ხართ? შეხედეთ ჩემ ხელებს და ფეხებს, ეს თავად მე ვარ. ხელი შემახეთ მე და გამშინჯეთ; სულს ხორცი და ძვალი არ აქვს, როგორც მე მხედავთ, რომ მაქვს“. Eს უთხრა და უჩვენა მათ თავისი ხელი და ფეხი. როდესაც ისინი სიხარულისაგან კიდევ ვერ დაერწმუნენ და კვიროობდნენ, Iესომ უთხრა მათ: „გაქვთ თქვენ აქ რამე საჭმელი?“ იმათ მიუტანეს ნახევარი თევზი შემწვარი და თაფლი. Iესომ აიღო და მათ წინაშე სჭამა, ხოლო დანარჩენი მისცა მათ. მაშინ გაუხსნა მათ გონება, რომ გაეგოთ საღვთო წერილში აღწერილნი წინასწარმეტყველებანი, და უთხრა მათ: „ესრეთ წერილ არს და ესრეთ ჯერ იყო ვნებად ქრისტესა და აღდგომად მკვდრეთით მესამესა დღესა, და ქადაგებად სახელითა მისითა სინანული და მოტევება ცოდვათა ყოველთა მიმართ წარმართთა, იწყეთ იერუსალიმით. რამეთუ თქვენ ხართ მოწამე (და მქადაგებელი) ამის ყოვლისა“. მერმე კიდევ უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენთანა, როგორც მე მომავლინა მამამან, ეგრეთვე მე წარგავლინებ თქვენ“. Eს რომ სთქვა შებერა მათ და უთხრა: „მიიღეთ სული წმიდა. ვისაც მიუტევოთ ცოდვანი, მიეტეოს მათ, და ვისაც არ მიუტეოთ, არ მიეტეოს მათ‘‘. Aმ გამოცხადების დროს ერთი მოციქულთაგანი, სახელდობ, თომა არ იყო მათთან. როდესაც ის მოვიდა და სხვა მოწაფეებმა უთხრეს მას: ,,ჩვენ ვიხილეთ Uფალი‘‘,—მან უთხრა მათ: „თუ არ ვიხილო მის ხელებზე სახე იგი სამსჭვალთა (ლურსმნისაგან ჭრილობა) და დავსდვა ხელი ჩემი გვერდსა მისსა, არა სადა მრწმენეს“.

*
* *

Aღდგომის შემდგომ მერვე დღეს ქრისტეს მოწაფენი შეკრებულ იყვნენ კარდახშულ სახლში და თომაც მათთან იყო. Uეცრად

გამოეცხადა მათ Იესო, დადგა მათ შორის და უთხრა მათ: ,, მშვიდობა თქვენთანა''. მერმე მიუბრუნდა Თომას და უთხრა: ,,მოჰყვენ თითნი შენნი და იხილენ ხელნი ჩემნი და მოიღე ხელი შენი და დამსდევ გვერდსა ჩემსა და ნუ იქმნები ურწმუნო, არამედ გრწმენინ". Თომამ მიუგო: „Უფალი ჩემი და Ღმერთი ჩემი". Იესომ უთხრა: „მიხილე და გრწამს, ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმენე".

*
* *

Პასექობის შემდგომ მოციქულები გალილიაში წავიდნენ. Იქ, ტიბერიის ზღვის პირზე Იესო გნმოეცხადა მოციქულებს. ხოლო გამოეცხადა ესრეთ: Პეტრე, Თომა, Იაკობ და Იოანე, ნათანაილ და ორი სხვა მოწაფე ძრისტესი წავიდნენ სათევზოთ. მთელი ღამე ითევზეს, მაგრამ ვერაფერი დაიჭირეს. Დილას ქრისტე გამოცხადდა ზღვის პირზე, მაგრამ იმათ ვერ იცვნეს. Იესომ უთხრა მათ: „ყრმანო! საჭმელი თუ რამე გაქვთ?" მათ მიუგეს: „არ გვაქვს". Იესომ უთხრა მათ: „სდევით ბადე ნავის მარჯნივ მხარეს და დაიჭერთ". Იმათ სდვეს ბადე და იმდენი თევზი დაიჭირეს, რომ ბადე ძლივს გამოათრიეს. მაშინ Იოანემ უთხრა Პეტრეს: „ეს Უფალი არს". როგორც კი გაიგონა Პეტრემ, რომ ეს Უფალიაო, უცბად შეიმოსა, რადგანც შიშველი იყო, გადმოვიდა ნავიდგან და ცურვით გამოვიდა ნაპირზე. სხვები ნავით მოდიოდნენ და მოათრევდენ თევზით სავსე ბადეს. როცა ნაპირზე გამოვიდნენ, დაინახეს ანთებული ცეცხლი და მასზედ თევზი და პური. Იესომ უთხრა მათ: „მოიტანეთ თევზი, რომელიც დაიჭირეთ. Პეტრე მიეშველა სხვებს და გამოათრიეს ნაპირზე დიდრონი თევზებით სავსე ბადე. ბადეში აღმოჩნდა 153 თევზი; ამდენი თევზი იყო და ბადე არ გახეულა. მერმე Იესომ უთხრა მათ: „მოდით და ისადილეთ". Ისინი დასხდნენ სადილად.

Იესომ უთხრა Პეტრეს: „სიმონ Იონასო! გიყვარ მეა უფროს ამათსა?" Პეტრემ მიუგო: „ჰე, Უფალო! შენ იცი. რომ მიყვარხარ შენ". Იესომ უთხრა მას: „აძოვენ კრავნი ჩემნი". მერმე კიდევ მეორედ ჰკითხა: „სიმონ Იონასო! გიყვარ მეა?" Პეტრემ მიუგო: ,,შენ იცი. რომ მიყვარხარ შენ''. Იესომ უთხრა: ,,დამწყსენ

ცხოვარნი ჩემნი''. ბოლოს, მესამედ ჰკითხა: ,,სიმონ იონასო! გიყვარ მეა?'' პეტრე შეწუხდა, რომ მესამეთ ჰკითხა უფალმა და უთხრა მას: ,,უფალო! შენ ყოველი იცი, შენ იცი, რომ მიყვარხარ შენ''. იესომ უთხრა მას: ,,დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი. ჭეშმარიტად ვეტყვი შენ: როდესაც შენ ჭაბუკი იყავ, შეირტყამდი თვითონ და, სადაც გინდოდა, დადიოდი, ხოლო როცა დაბერდე, განიპყრნე ხელნი შენნი, სხვამან შეგარტყას შენ და წაგიყვანოს, სადაც შენ არ გინდოდეს''. ამ საუბრით იესო ქრისტემ მიუტევა პეტრეს სამგზითი უარის ყოფა და ისევ აღიყვანა მოციქულის ხარისხზე, რომელიც პეტრემ დაკარგა ქრისტეს უარის ყოფით. ამ საუბარში აგრეთვე ქრისტემ აუწყა პეტრეს: რომლითა სიკვდილითა ადიდოს ღმერთი (ე. ი. რომ პეტრეს მოელის მოწამებრივი სიკვდილი). ბოლოს იესომ უთხრა პეტრეს: ,,შემომიდეგ მე''.

* * *

ბალილიის ერთ მთაზე იესო ქრისტე გამოეცხადა თერთმეტ თავისს მოწაფეებს და 500-ზე მეტ მორწმუნეებს. იმათ თაყვანისცეს იესოს, ზოგი მათგანი კი შეუორგულდა (ეჭვში შევიდა); იესო ქრისტე მიუახლოვდა მათ და უთხრა: ,,მომეცა მე ყოველი ხელმწიფება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ სცემდით მათ სახელითა მამისათა, დაძისათა, და სულისა წმიდისათა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქვენ, და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ.

იესო ქრისტე გამოეცხადა კიდევ პეტრეს და იაკობს. ამ გვარად მკვდრეთით აღდგომის შემდგომ ორმოცი დღის განმავლობაში იესო ქრისტე ემცხადებოდა მოციქულებს, მოწაფეებს და მორწმუნეებს და დაარწმუნა ისინი, რომ ქრისტე ჭეშმარიტად აღსდგა მკვდრეთით.

101. ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

(მარკ. 16, 19; ლუკ. 24, 49—53; საქ. მოციქ. 1, 4—12).

აღდგომის შემდგომ მეორმოცე დღეს მოციქულები იყვნენ შეკრებულნი იერუსალიმში ერთ სახლში. იქ იმათ გამოეცხადა ქრისტე და უთხრა: „მე მოგივლინო თქვენ აღთქმა იგი მამისა ჩემისა (ნუგეშინის მცემელი, სული წმიდა), თქვენ დარჩით იერუსალიმში, სანამ არ შეიმოსოთ ძალი მაღლით. იოანე ნათელსცემდა წყლითა, ხოლო თქვენ რაოდენიმე დღის შემდგომ ნათელ იღოთ სულითა წმიდითა. თქვენ შეიმოსებით ზეციურ ძალით, როდესაც გადმოვა თქვენზე სული წმიდა და იქმნებით ჩემდა მოწამედ ყოველსა ქვეყანასა ზედა. ბადასცა რა მოციქულებს დარიგება, იესო ქრისტემ წაიყვანა ისინი იერუსალიმითგან ბეთანიისაკენ, გაჩერდა ზეთის ხილის მთაზე, ხელები აღაპყრო ზეცას და აკურთხა იგინი. აკურთხევის დროს განეშორა მათგან და იმათ შესახედავად, იმათ თვალთ წინ ხორციელად ამაღლდა ზეცას და დასჯდა მარჯვენით მამისა. მოციქულები იდგნენ და იცქირებოდნენ ზეცას. ამ დროს მათთან მივიდა ორი თეთრად შემოსილი კაცი (ანგელოსები) და უთხრა მათ: ,,კაცნო გალილეველნო! რასა სდგეხართ და შესცქერით ზეცას? იესო, ამაღლებული თქვენგან ზეცას, კვალად მოვალს ეგრეთვე, როგორც თქვენ იხილეთ იგი აღმავალი ზეცას''. მოციქულებმა თაყვანისცეს ქრისტეს და დიდი სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში.

იესო ქრისტეს ზეცას ამაღლებას ვდღესასწაულობთ აღდგომის შემდგომ მეორმოცე დღეს, დღით ხუთშაბათს.

---

§ 102. სული წმიდის გადმოსვლა მოციქულებზე.

(საქმ. მოციქ. თ. 2).

ქრისტეს ამაღლების შემდგომ მოციქულები დარჩენ იერუსალიმში. იქ ისინი ერთად იკრიბებოდნენ, ატარებდნენ დროს ლოცვაში და მოელოდნენ სული წმიდის მოსვლას. ამაღლების შემდგომ მეათე დღეს, როცა ქრისტეს მორწმუნენი ას ოცამდე ერთად იყვნენ შეკრებულნი დილითაგან მესამე საათზე (ნაშვა-

(ამევის მეცხრე საათზე) მოისმა ძლიერი შუვილი ცითგან, თითქო ლიერი ქარისაგან და აღავსო მთელი სახლი, სადაც ქრისტეს მორწმუნენი იყვნენ. მათ ეჩვენათ განყოფილნი ენანი, როგორც ცეცხლისანი და თვითოეულ მათგანს დაადგა თავზე თითო ენა და აღივსნენ იგინი სული წმიდით. სული წმიდა გადმოვიდა მათზე და მოციქულებმა დაიწყეს სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკი. ამ დროს იერუსალიმში იყო დიდ ძალი ხალხი სხვა და სხვა ქვეყნებიდგან მოსულნი. შუვილის ხმაზე ისინი შეიკრიბენ იმ სახლთან, რომელშიაც იყვნენ მოციქულები, მოციქულები გამოვიდნენ და დაიწყეს სხვა და სგვა ენაზე ლაპარაკი. შეცხო ქვეყნის ხალხი გაკვირდა და ამბობდა: „ესენი ყველა გალილეველნი არ არიან? საიდან იციან ამათ ჩვენი ენა?“ ზოგიერთნი დაცინვით ამბობდნენ: „ისინი ტკბილი ღვინით დამთვრალან“. მაშინ პეტრე გამოვიდა, დადგა მათ წინ, აღიმაღლა ხმა და უთხრა მათ: „კაცნო ურიანო და ყოველნო მცხოვრებნო იერუსალიმისანო! მოისმინეთ ჩემი სიტყვები. ისინი მთვრალნი არ არიან, როგორც თქვენ ფიქრობთ, არამედ ახლა აღსრულდა ღვთის აღთქმა, მოცემული იოველ წინასწარმეტყველის მიერ: მივფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორციელსა... მონათა ჩემთა ზედა და მხევალთა ჩემთა ზედა მათ დღეთა შინა მივფინო სულისაგან ჩემისა, და წინასწარმეტველებდნენ.—ისრაელნო! ყური დამიგდეთ, რა გითხრათ: იესო ნაზარეველი თქვენ ჯვარსაცვით და მოკალით. მაგრამ ღმერთმა აღადგინა იგი, რომლის მოწამე ვართ ჩვენ ყოველნი. ის უკვე მარჯვენითა მისითა ამაღლდა ზეცას და მოგვივლინა (მოგვფინა) ჩვენ სული წმიდა, რასაც ახლა თქვენ ხედავთ და გესმისთ. განცხადებულად უკვე იცოდეს ყოველმან სახლმან ისრაილისამან, რომ ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით, უფალ და ცხებულ ჰყო ღმერთმან; რომ ის არის ქრისტე უფალი, როგორც იტყვის დავით: რქვა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჰსჯედ მარჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დავჰსხნე მტერნი შენნი ქვეშე ფეხრთა შენთა“. მოისმინეს რა ქადაგება პეტრესი, გულით შეინანეს და უთხრეს პეტრეს და სხვა მოციქულებს: „კაცნო, ძმანო! რა ვქმნათ ჩვენ?“ პეტრემ მიუგო: „შეინანეთ და მიიღეთ ნათლის ღება სახელითა ქრისტესითა მისატევებელად ცოდვათა, და მიიღებთ სული წმიდის

ნიეს". ბევრმა გაუგონა პეტრეს, ერწმუნა იესო ქრისტეს და მიიღო ნათლის ღება. იმ დღეს მოინათლა სამი ათასამდე კაცი.

სული წმიდის გადმოსვლას მოციქულებზე ჩვენ ვდღესასწაულობთ აღდგომის შემდგომ მეორმოცდა ათე დღეს.

---

§ 103. ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის მიძინება.

იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდგომ იოანემ მიიღო ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი მარიამი თავისს სახლში, სადაც ცხოვრებდა იგი მიძინებამდის. როცა მოახლოვდა გარდაცვალების დრო, ქალწულ მარიამს გამოეცხადა მთავარ ანგელოსი გაბრიელ და აუწყა მას მისი გადაცვალების დღე. მარიამმა სიხარულით მიიღო ეს ამბავი და ისურვა, რომ გარდაცვალების წინეთ ენახა მას მოციქულები, რომელნიც სხვა და სხვა ქვეყანას იყვნენ წასრულნი საქადაგებლად. ღვთის განგებით თომას გარდა ყველა მოციქულები მოგროვდნენ და დაესწრენ ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის —მარიამის გადაცვალებას. იმათ დაინახეს: გამოცხადდა თვით იესო ქრისტე ანგელოსებით და წმიდა სულებით და მიიღო ყოვლად წმიდა სული მარიამისა და აღამაღლა იგი ზეცას. მოციქულებმა ანთებული ლამპრებით და ფსალმუნების გალობით გაასვენეს მარიამის სხეული გეთსამანიის ბაღში და დაასაფლავეს მღვიმეში=გამოჭრილ კლდეში, იქ, სადაც იყვნენ დასაფლავებულნი მშობელნი მისნი და იოსები. მესამე დღეს თომაც მოვიდა. მისი თხოვნით გახსნეს საფლავი და ვერაფერი ვერ იპოვეს. მოციქულები გაკვირდნენ, მაგრამ იმათი განკირვება მალე შეიცვალა სიხარულად. იმავე საღამოს მათ გამოეცხადა ყოვლად წმიდა ქალწული ანგელოსებით და უთხრა მათ: „გიხაროდენ! მე მარადის თქვენთანა ვარ". მოციქულებმა წარმოსთქვეს: „ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო! შეგვეწიე ჩვენ". მაშინ მოციქულები დარწმუნდნენ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით და აღამაღლა ზეცას. ამიტომ წმიდა ეკკლესია ღვთისმშობლის გარდაცვალებას უწოდებს ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინებას.

ღვთისმშობლის მიძინებას ჩვენ ვდღესასწაულობთ 15 აგვისტოს და მივეგებებით ამ დღესასწაულს ორი კვირის მარხვით.

---

§ 104. ჯვართ ამაღლება.

ქრისტეს შობის შემდგომ სამას მეცამეტე წელში რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მიიღო ქრისტიანობა და გამოაცხადა, რომ მის სახელმწიფოში ყველას თავისუფლად შეუძლია მიიღოს ქრისტიანობა. ამის შემდგომ (326 წ.) იმპერატორის კონსტანტინეს დედამ ელენამ მოისურვა ქრისტეს ჯვარის ძონახვა. ამ მიზნით ის წავიდა იერუსალიმს; იქ ერთ ებრაელისაგან გაიგო, რომ ქრისტეს ჯვარი მიწაშია დაფლული და იმ ადგილს ბომონია აღშენებული. იქ მიწა მოათხრევინა და სამი ჯვარი აღმოჩნდა. ერთი იყო ქრისტესი და ორი ავაზაკების, რომელნიც ქრისტესთან ერთად იყვნენ ჯვარცმულნი. ქრისტეს ჯვარს პილატესაგან მიკრული ფიცარი მოშორებოდა და ამიტომ ვერ იცვნენ იგი. ქრისტიანებმა გულმოდგინედ ილოცეს ღმერთი, რომ ღმერთს ეჩვენებინა მათთვის, რომელი იყო ჯვარი ქრისტესი. ფერმე დაადეს ისინი ერთი მეორის შემდგომ მკვდარს. ორმა ჯვარმა არ იმოქმედა და როცა მესამე ჯვარი დაადვეს, მკვდარი გაცოცხლდა. მაშინ ქრისტიანები მიცვინდნენ და დიდის მოწიწებით დაუწყეს ქრისტეს ცხოველ მყოფელ ჯვარს თაყვანისცემა და მთხვევა. იქ იყო ბევრი ქრისტიანე და ყველა ვერ მიეტეოდა ჯვართან და ვერ ცემდა მას თაყვანს, ამიტომ იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიმ აასვენა ცხოველს მყოფელი ჯვარი ქრისტესი მაღალ ადგილზე და იქ აამაღლა—ზევით ასწია, რომ ყოველ ქრისტიანს დაენახა იგი და თაყვანიეცა მისთვის. ქრისტიანები თაყვანსცემდნენ ჯვარს და ამბობდნენ: „უფალო! შეგვიწყალენ“. ეს დღე დააწესეს დღესასწაულად და დაარქვეს ამ დღესასწაულს ჯვართ-ამაღლება. ჯვართ-ამაღლებას ვდღესასწაულობთ 14 დეკემბერს და, რადგანც ამით ქრისტეს წვალებას გავიხსენებთ, ამ დღეს ჩვენ ვმარხულობთ.

სარჩევი.

§§ გვერ.

1. ყოვლად წმიდა ქალწულ მარიამის შობა და ტაძრად მიყვანება 3
2. წინათ უწყება იოანე წინამორბედის და ნათლის მცემლის შობაზე 5
3. ხარება 6
4. ყოვლად წმ. ქალწულ მარიამის მისლვა ელისაბედთან სანახავად 7
5. იოანე ნათლის მცემლის შობა . . 8
6. ანგელოსი უცხადებს იოსებს ღვთის ძის განხორციელების საიდუმლოებს 8
7. შობა ქრისტესი. მწყემსთა თაყვანისცემა. წინადაცვეთა უფლისა 9
8. მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 11
9. მოგვთა თაყვანისცემა 12
10. იოსების გაქცევა ეგვიპტეში ყრმით იესოთი და მარიამითურთ. ბეთლემში ყრმების დახოცვა და წმიდა სახლობის დაბრუნება ისრაელთ ქვეყანაში. 14
11. ყრმა იესო ტაძარში 15
12. იოანე ნათლისმცემლის ქადაგება . . 17
13. ნათლის ღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 18
14. იესო ქრისტეს გამოცდა უდაბნოში . . 19
15. იოანე ნათლისმცემლის მოწმობა იესო ქრისტეზე 20
16. პირველნი მოწაფენი ქრისტესნი . . 21
17. პირველი სასწაული ქრისტესი . . . 22
18. მოვაჭრეთ განდევნა ტაძრიდგან . . 23
19. იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდიმოსთან 23
20. უკანასკვნელი მოწმობა იოანე ნათლისმცემლისა იესო ქრისტეზე და იოანეს შეყენება საპყრობილეში 25
21. იესო ქრისტეს საუბარი სამარიტელ დედაკაცთან 27

§§ გვერ.
22. განკურნება მეფის კარის კაცის შვილისა . 29
23. იესო ქრისტეს ქადაგება ნაზარეთში 29
24. საკვირველი ნადირობა თევზთა . . 30
25. განკურნება ეშმაკეულისა კაპერნაუმის თორაში, სიმონის სიდედრისა, კეთროვანისა და სხვათა მრავალთა 31
26. განკურნება განრღვეულისა კაპერნაუმში . 32
27. მოწოდება ლევისა, ანუ მათესი და სწავლა მარხულობაზე 33
28. განკურნება განრღვეულისა ცოვართა საბანელთან 35
29. იესო ქრისტე თავის თავს აცხადებს ძედ ღვთისა, თანასწორად მამისა 36
30. იესო ქრისტეს სწავლა შაბათ დღის უქმობაზე 37
31. თორმეტი მოციქულის აღრჩევა . . 38
32. მთაზე თქმული ქადაგება . . 39
33. ასისთავის მოსამსახურის განკურნება 44
34. ნაინელ ქვრივას ძის აღდგინება . . 45
35. იესო ქრისტესთან მიგზავნა იოანეს მიერ თავისს მოწაფეებისა 45
36. იესო ქრისტე სვიმონ ფარისევლის სახლში . 47
37. იგავი ქრისტესი მთესვარზე . . . 48
38. იგავი კეთილ თესლზე და ღვარძლზე; იგავი მდოკვის მარცვალზე 49
39. გალილიის ზღვაზე მძაფრი ქარის დაცხრომა 51
40. ეშმაკეული კაცის განკურნება გადარინის ქვეყანაში . . . 51
41. სისხლ მდინარე ავადმყოფ დედაკაცის კანკურნება და იაიროსის ასულის აღდგინება . 52
42. საქადაგებლად გაგზავნა თორმეტი მოციქულისა 53
43. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა . 54
44. ხუთი პურით ხუთი ათასი კაცის გაძღრომა 55
45. სლვა ქრისტესი წყალთაზედა . . . 56

§§ გვერ

46. საუბარი ქრისტესი საიდუმლო ზიარებაზე . 56
47. ქანანეველ დედაკაცის ასულის განკურნება . 58
48. შვიდი პურით ოთხი ათასი კაცის გაძღომა . 59
49. პეტრე მოციქულის აღვიარება. წინასწარმეტყველება ქრისტესი თავის წვალებაზე, სიკვდილზე და აღდგომაზე და სწავლა მის მიმყოლთა ჯვარზე 60
50. ფერის ცვალება უფლისა იესო ქრისტესი . 61
51. ყრუ მუნჯის და ეშმაკეული ჰაბუკის განკურნება 62
52. სასწაულებრივი შობა ფულისა საეკლესიო ხარკის გადასახდელად . . . 63
53. დარიგება უფლისა თავმდაბლობაზე, გულუბრყვილობაზე, საცდურზე, უმცირეს ძმათა პატივებაზე, საეკლესიო სამსჯავროს და საზოგადო ლოცვის უპირატესობაზე. . . . 63
54. იგავი მოწყალე მეფეზე და უწყალო მოვალე—მავასხებელზე 65
55. იესო ქრისტეს წასვლა გალილიიდგან იერუსალიმში კარვობის დღესასწაულზე. სამარიტელთა უარის თქმა ქრისტეს მიღებაზე. იესოს საუბარი ზოგიერთებთან გზაზე. აღრჩევა და საქადაგებლად გაგზავნა 70 მოწაფისა . . . 66
56. იესო ქრისტეს ქადაგება კარვობის დღესასწაულის დროს თავისს სწავლაზე, სოფლიდან განსლვაზე და ცხოველ წყალზე . . 68
57. ცოდვილი დედაკაცის შეწყალება . . 71
58. ბრმად შობილის განკურნება . . 71
59. იგავი მოწყალე სამარიტელზე . . . 73
60. მისვლა ქრისტესი მართა და მარიამისას 74
61. იესო ქრისტე ასწავლის ლოცვას და ეუბნება იგავს კაცზე, რომელიც მეგობარს სთხოვს პურს 74
62. იესო ქრისტე ამხილებს ფარისევლებს და სჯულის მეცნიერთ ერთ ფარისევლისას სადილზე 75
63. იგავი ანგარების მოყვარე მდიდარზე და ბატო-

§§ გვერ.
ნის მომლოდნელ მონებაზე . . 76
64. ტაძრის განახლების დღესასწაულზე იესო ქრისტე აცხადებს, რომ ის და მამა ერთ არს . 78
65. იგავი სერობად წოდებულებზე . 79
66. იგავნი: გზა დაბნეულ ცხვარზე, დაკარგულ დრაქმაზე და უძღებ შვილზე . . 80
67. იგავი მდიდარზე და ლაზარეზე . . 82
68. განკურნება ათთა კეთროვანთა 83
69. იგავი უსამართლო მსაჯულზე . 84
70. იგავი მეზვერეზე და ფარისეველზე . . 84
71. ყრმების კურთხევა . . . 85
72. მდიდარი ჭაბუკის დარიგება ქრისტეს მიერ . 85
73. იგავი ქრისტესი ვენახში მშრომელ მუშაკთა თანასწორ სასყიდელზე . . . 86
74. ლაზარეს ავადმყოფობის ამბავი და ქრისტეს წასლვა ურიასტანში . . . 88
75. წინასწარმეტყველება ქრისტესი თავისს სიკვდილზე იერუსალიმში, სალომიას და მისი შვილების იაკობ და იოანეს თხოვნა . . 89
76. ზაქეს მოქცევა 90
77. ლაზარეს აღდგინება . . . 90
78. იესო ქრისტე ბეთანიაში სიმონ კეთროვნის სახლში ვახშმად . . . . . 92.
79. დღესასწაულებრივი შესლვა ქრისტესი იერუსალიმში 93
80. ლეღვის ხის დაწყევლა 95
81. დარიგება იესო ქრისტესი სარწმუნოების ძალაზე ლეღვის ხის გახმობის გამო . . . 96
82. იესო ქრისტეს პასუხი მღვდელთ მთავრების და მოხუცებულების შეკითხვაზე მისი უფლების შესახებ; იგავნი: ურჩ შვილზე, რომელმანც შეინანა, ბოროტ მეზვრებზე და მეფის შვილის ქორწილზე . . . 97

§§ გვერ.

83. იესო ქრისტე პასუხს აძლევს კითხვებზე ფარისევლებს კეისრისთვის ხარკის მიცემაზე, სადუკეველებს მკვდრეთით აღდგომაზე, სჯულის მცოდნეს—უმთავრეს მცნებებზე და შეკითხვა ქრისტესი მესიის ღვთაებრივ ღირსებაზე . . . 100
84. ქვრივი დედაკაცის შეწირულების მოწონება . 103
85. წინასწარმეტყველება ქრისტესი იერუსალიმის დაქცევაზე და მის მეორეთ მოსვლაზე . . 104
86. იგავი ათ ქალწულზე და ქანქარზე. სწავლა ქრისტესი მკვდრების აღდგომაზე და საშინელ განსჯის გამოხატვა . 106
87. იუდას გამცემლობა . . 109
88. საიდუმლო სერობა . . . 110
89. გამოსათხოვარი მოძღვრება ქრისტესი მოწაფეებთან და მისი სამღვდელმთავრო ლოცვა . 113
90. ლოცვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი . გეთსამანიის ბაღში. მხედართაგან მისი დაჭერა 115
91. განკითხვა ქრისტესი ურიების მღვდელთმთავრების ანნას და კაიაფასაგან 117
92. პეტრე მოციქულისაგან ქრისტეს უარყოფა და მისი სინანული 119
93. სინედრიონის გადაწყვეტილება იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯისა. იუდას დაღუპვა. პილატეს მიერ პირველი განსჯა უფლისა იესო ქრისტესი. იესო ქრისტე ეროდის წინაშე . 120
94. მეორედ განკითხვა ქრისტესი პილატეს მიერ და მისი სასიკვდინე განჩინება . 122
95. სლვა იესო ქრისტესი გოლგოთას და ჯვარცმა მისი 125
96. ჯვარზე წვალება იესო ქრისტესი. შვიდი სიტყვა ჯვარიდგან . . . 127
97. იესო ქრისტეს დასაფლავება . . 129
98. იესო ქრისტეს საფლავზე მცველების დაყენება. ქრისტეს ჩასლვა ჯოჯოხეთში საქადაგებლად და

§§ გვერ.
მორწმუნე სულთა გამოსახსნელად . . 130
99. აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 131
100. აღდგომის შემდგომ ქრისტეს გამოცხადება 133
101. ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი . 138
102. სული წმიდის გადმოსლვა მოციქულებზე . 138
103. ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის მიძინება . 140
104. ჯვართ ამაღლება . 141

შენიშნულ შეცდომათა გასწორება.

ერ.	სტრ.	ზემოდან		დაბეჭდილია	უნდა იყოს:
16	„	27	„	იერუსალიმაში	იერუსალიმში
20	„	1	„	ხახლში	ხალხში
22	„	18	„	გალიას	გალილიას
—	„	27	„	სარწუნლი	სარწყულნი
24	„	22	„	საქიროა	საჭიროა
25	„	7	„	როგოც	როგორც
29	„	26	„	კირხვა	კითხვა
31	„	11	„	განველ	განვედ
46	„	33	„	იტევიან	იტყვიან
47	„	23	„	წარხორცდა	წარხოცდა
58	„	28	„	არა უთხარ	არა უთხრა
60	„	18	„	კლტენი	კლიტენი
64	„	9	„	ზლის	ზღვის
88	„	4	„	მართალ-მსაჯული	მართლ-მსაჯული
88	„	31	„	ახლ	ახლა
89	„	3	„	წინასწარმეტყველმა	წინასწარმეტყველება
98	„	2	„	მასზე	მათზე
100	„	1	„	მღვდელთ მთავრება	მღვდელთ მთავრებმა
116	„	31	„	მითგეს	მიუგეს
117	„	7	„	მაასთან	ამასთან
118	„	27/23	„	გამიცან	გამოიცან

...ოწმიდეთის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტის ნესტორის მიერ შედგენილ—გამოცემული წიგნები.

(...ოგებული ნაწილი ქვემო აღნიშნულ წიგნებისა შედგენილ — გ. ...ოძულია დეკანოზობის დროს და აწერია: შედგენილი დეკანოზის ნესტორ-ყუბანეიშვილის ...ერ).

1) **პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე.** ეს წიგნი შესდგება ოთხი განყოფილებისაგან: ა) ლოცვები, ბ) ძველი და ახალი აღთქმის საღვთო ისტორია. გ) მოკლე კატეხიზმო და დ) სწავლა ღვთის მსახურებაზე. ეს წიგნი მიღებულია სასწავლო წიგნად სამრევლო შკოლებში, ხმარობენ საინსტრუ. შკოლებშიც. გამოცემა მეცხრე. ფასი 20 კ.

2) **კაიაფას ვაჟი შვილი.** ისტორიული მოთხრობა ქრისტეს დრო...იდგან, წიგნი ძლიერ საინტერესო შინაარსისა, შეიცავს 30 თავს, 247 გვერდს, დიდი ფორმატისა . ფასი 50 კ.

3) **მესამე ოძრო.** მცირე მოთხრობა კაცის სიხარბე-გაუმაძღრობაზე. . . . . ფასი . კ.

4) **გზა ცხოვრებისა.** მაგალითნი მოყვანილნი ...ხეა და სხვა მა...ალ ზნეობის კაცთა ცხოვრებიდგან, ...იგნში არის §§ 69 ფასი 30 კ.

5) **ოლ-ქრმობა.** აზრი და სწავლა საღვთო წერილიდგან გამოკრებილი ოლ-ქრობაზე . . . ფასი 5 კ.

6) **მამა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა.** . . . . . ფასი 10 კ.

7) **ქრისტიანობა** და **დემოკრატია;—ქრისტიანობა** და **სოციალიზმი.** ნათარგმნი პროფესორ ანატოლ ლერუა ბოლიეს წიგნიდგან . . . . . ფასი 15 კ.

8) **ძველი აღთქმის საღვთო ისტორია.** შედგენილი გიმნაზიის, რეალურ, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პროგრამაზე. . . . . ფასი 50 კ.

9) **ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.** შედგენილი ზემოაღნიშნულ სასწავლებლების პროგრამაზე. . . . . ფასი 40 კ.

10) **სიკვდილი მართლისა.** პონტოელ პილატეს ოლის წერილი თავისს მეგობარ ქალთან. . . . . ფასი 10 კ.

ზემოაღნიშნული წიგნები იყიდება თბილისში და ქუთაისში წიგნების მაღაზიებში, ...ა მოწამეთის მონასტერში. ვინც პირდაპირ გამომცემლისაგან დაიბარებს ნაღდ ფულზე არა ნაკლებ ათი მა...ეთი წიგნისა, მას დაეთმობა 20 %. გაგზავნა კი ბეყიდველის ხარ...ით.

...ესი: Черезъ Кутаисъ въ Моцамети. Архимандр. Нестору.